ᲝᲓᲘᲡᲔᲐ

16

1954

ᲬᲘᲚᲝᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ
ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮᲘ

16

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
1954

ფრიდონ ხალვაში

ა ვ რ ო რ ა

ასე არსებობს დასაბამიდან:
დღის დაბადებას ჰქვია ავრორა,
— რამდენი შავი ჟამი გავიდა,
ნუთუ რიჟრაჟი მაინც არ მოვა? —

ეკითხებოდა მიწა ღამეებს,
მთები—არწივებს,
მზისთვის მეომრებს,
და წინაპრები განაწამები
ეკითხებოდნენ ერთიმეორეს.

იდგა ბურუსი სულთამხუთავი,
მიწა მთლიანად ეპყრა ქარბუქებს.
...მუშა მიადგა მეფეს მუდარით,
სასახლიდან კი ტყვია აჩუქეს.

ზღვას შეერია სისხლი ნაკადად,
ზღვამ სისხლიანი ტალღა მომართა,
ცაზე ავრორა წითლად ამაღლდა
და მიუბრუნდა ნაპირს ხომალდად.

ღელვაში შორი გზები დასახა
და გაანათა ყველა გზაშარა,
ომახიანად ხმელეთს გასძახა,
თან დროშასავით ცეცხლი გაშალა.

ტყვიის წვიმებით ბნელი გადასხლეს...
ქარმა დალეწა ძველი ხეებიც,
გემმა ესროლა ზამთრის სასახლეს
და შებარბაცდნენ სასახლეები.

ბურუსებს წვავდა ელვის ალები,
„ავრორას" ძახილს გაჰყვა მამული,
ბრძოლით, ქუხილით და გრიგალებით
ქვეყნად მოვიდა დღესასწაული.

კომუნისტები მოდიან მინდვრად

ის აგრონომი,
ვინც პირველად
პარტიის დიად ხმას დაეწინდრა,
კომუნისტია.
ვით ბრძოლის ველად,
კომუნისტები მოდიან მინდვრად!

ფერჩაუქრობ მზეს რომ შეუმოსავს
მიწა შავშავად ჩანს გადახნული.
რა საამოა, მიმავალს როცა
მოგესალმება მწვანე ზაფხული.

შენ—აგრონომი გრძნობ ხეთა ტკივილს,
ოქროს ყანების სიმღერა გიყვარს,
და მიგაქვს მინდვრად სინათლე დილის,
ხალხის ძალა და პარტიის სიტყვა.

შენ ძლიერი ხარ!
შენ ბაღებს იცავ,
ხელით ლაჟვარდის ფანჯარას აღებ,
უებარ წამალს დაადებ მიწას
და ააფეთქებ თავთავთა ნაღმებს.

ჭიგოებს მოხვევ ვაზების გრეხილს,
მზე ვაზთა ზონარს შუქს აადევნებს
და უნაპირო ბაღსა და ხეხილს
დაჰკიდებ ძუძუგავსებულ მტევნებს.

შენ დილას სწრაფი ნაბიჯით მოსდევ,
მზესავით ქვეყნის სიუხვე გინდა,
დე, ამ ჯეჯილებს სათქმელად ჰქონდეს:
კომუნისტები მოდიან მინდვრად.

მღერის ჭაღარა ჭადარი

დროთასვლით გათეთრებული,
მკლავებით ცაში ამდგარი,
ბულდაგულ ქართან შებმული
მღერის ჭაღარა ჭადარი.

—სამ საუკუნეს გადავცდი,
სიბერე მაინც ადრეა,
ზეცაში მიწის სურნელი
ამისროლია შადრევნად.

მე, როგორც საზრდო, ფესვებით
ვისუნთქე ქვეყნის ამბავი,
სხეულზე თბილი ღრუბელი
მეხვია, როგორც საბანი.

ჩემს დაუდეგარ ძარღვებში
მშობელი მიწის წვენია...
სამასჯერ დავბერებულვარ,
ქოჩორი ჩამომცვენია.

მაგრამ სამასჯერ გაავსო
კვირტი აპრილმა კეთილმა
და გაზაფხულის ზეიმი
ფოთლებად ამოხეთქილა.

ტანზე ფოთოლთა ტალღები
ქარში ყოველთვის მიაგავს
ზღვის შესამუსრად მიმავალ
ხუნალდის გაშლილ იალქანს.

ყანისპირს ავმაღლებულვარ,
გზა ჩრდილით დამიფარია,
ვხედავ—არტელის ყანაში
შემოდის შრომის არმია.

შემდეგ ჩემს ჩრდილში მოდიან
მოღლილი მუშაკაცები;
და "მწამს საერთო საქმეში
მეცა ვარ დასაფასები...

მათ ღიმილიან საუბარს
შრიალით ვეხმაურები
და მიყვარს ყანის ღელვიდან
მოსული მეზღვაურები.

მე ხომ მიწიდან აწვდილი
აფრებიანი ანძა ვარ,
ასე მგონია ქვეყანა
უჩემოდ მზისკენ არ წავა.

ფიქრები ლევ ტოლსტოიზე

1. წიგნი

იღვიძებს ქუჩა,
ფანჯარაში
გაჟონა დილამ.

ჩავივლი ნელა,
ვიტრინასთან ვჩერდები მგზავრი
და ვხედავ
ცისფრად
წიგნებს შორის რომ ამოწვდილ-
სტამბიდან წუხელ მოტანილი
„ომი და ზავი".

იზრდება რიგი
და იღება კარები ფართოდ.
...მომაქვს ტოლსტოის
სქელი წიგნი,
ცისფერყდიანი.
დილით სახლიდან გამოვედი
სულ მარტოდ-მარტო,

მოველ და მომყვა
ეს მაღალი ადამიანი.
და წიგნთა შორის
ზემო ადგილს იკავებს იგი,
ძმათა ენებზე ირგვლივ
ბევრი წიგნები მოჩანს,
მასთან, თაროზე, მოკრძალებით
თექვსმეტი წიგნი
აწყვია, როგორც
თექვსმეტი დროშა.

2. პორტრეტი

უშრეტი აზრი მოანათებს
წარბების ტევრით,
კაცი ღრმა მზერით
ხედავს ათას უხილავ მხარეს
და არის იგი ყოველივე
ბოროტის მტერი,
ყველა სიკეთის არის მოყვარე.

თმებსა და წვერებს დაფენია
უდნობი თოვლი,
დიდი რუსეთის უკვდავების
მზე შუბლზე აზის,
წარსულს, მომავალს კვლავ აშუქებს
სხივების თრთოლვით
ასოცდახუთი წლის ბუმბერაზი.

ის ჩვენთან არის.
ხედავს ქვეყნის ელვიან სივრცეს,
ამდენ სიხარულს და სიყვარულს,
ვით ამხდარ იგავს
და გვჯერა
მუდამ ბრძოლისათვის
მომავალს მისცემს
გონების ზღვაში შენახულ გრიგალს.

ქელეზნოვოდსკი

ქელეზნოვოდსკი.
მუხისა და იფნის ტყეები,
კლდეთა ტახტები,
არწივების მწვანე სამეფო,
ცხელი წყარონი,
წყაროებზე ცისარტყელები.
აქ ველარ იტყვი
უკვდავებას არ ვიწამებო.

ქელეზნოვოდსკი.
შადრევნების მუსიკა მშვიდი,
თეთრი შარაგზა,
ბილიკები ტყით გაპარული,
ერთი ბილიკი ნაცნობია,—
ის იქით მიდის,
სად შეხვედრაა,
მოგონება
და სიყვარული.

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲝᲣᲮᲕᲐ

თ ო ვ ლ ი

აჭარის მთებზე თოვლი ათხელდა,
აპრილის შუქმა მოქარგა მიწა,
გადმოიქუხა კლდიდან ჩანჩქერმა
და ენძელები გამოაღვიძა.

ბარში ტყემლებმა ქათქათა ზოლი
გაავლეს ზღვისპირს ცისფერ სანთლებად
და გეგონება: აპრილში თოვლი
მთას აკლდება და ბარს ემატება.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

დღე დღევანდელი, დღე დღევანდელი...
მშვიდობას ითხოვს, არ არის მშვიდი.
ჩანს დღევანდელში ხვალის ნათელი,
წინ გიგანტური ნაბიჯით მიდის.

გამჭრიახია პარტიის თვალი,
იგი მოვლენებს ზომავს და წონავს,
ის ემყარება ლენინს და სტალინს
და გვიადვილებს შრომას და ბრძოლას.

სულ მას ეკუთვნის მიღწევა ჩვენი,
მისი სიტყვა და საქმე ერთია,
პარტიისათვის დღე დღევანდელი
ხვალინდელი დღის ფუნდამენტია.

ლიდი სტალინი ლენინურ სიბრძნით
გვიძღოდა, ელავს წმიდა ნათელი!
ვაშა პარტიავ! — ლენინური გზით
მიემართება დღე დღევანდელი.

პარტიავ, ვაშა! შენს უკვდავ მკერდში
კვლავ ისმის უკვდავ ბელადთა სუნთქვა,
ჩვენი სიმღერა და ჩვენი ლექსი
შენ იყავი და იქნები მუდამ.

ჩემი სიმდიდრე ძრის ურიცხვი,
რადგან გულს ახლავს რწმენა, ნათელი,
ლენინური გზით,
სტალინური გზით,
რომ მიაბიჯებს დღე დღევანდელი!

კიმ ირ სენი მოსკოვში

გამარჯვებული მოეახლა მშვიდობის ქალაქს
და გმირი უფრო გაამხნევა მისმა ნათელმა,
ვინაც აძლევდა სამ წელიწადს ბრძოლებში ძალას
მის ხმალს,
მის რწმენას,
მის შემართებას.

მოაქვს სალამი მშვიდობისათვის მებრძოლ ჯარისა,
მოდის პატაკით — რომ ჩააქრო ომის ღადარი,
წამით დუმილი...— ეს მშვიდობის მამაც ჯარისკაცს
ვერ ეგებება მთავარსარდალი...

მაგრამ იმედად კვლავ ელვარე მოსკოვი მოჩანს,
კაცობრიობის გაზაფხული გაჩაღებული,
მოსკოვი არის და იქნება მშვიდობის დროშა —
ლენინ — სტალინის უკვდავებით ამაღლებული.

ქართველი აგრონომის წერილი

სოციალისტურ სოფელში დადგეს ხვავი და ბარაქა,
მწიფე ხილი და მაჭარი უხვად მიიღოს ქალაქმა.

ცეკას მივწერე წერილი—ამანთო მისმა დიდებამ,—
სოფლად მივდივარ, პასუხად პარტიის მოწოდებისა.

შევცვალოთ სახე სოფლისა, წალკოტად იქცეს ბუნება,
რომ გვახარებდეს ყამირზე ტრაქტორის აგუგუნება.

რომ ვიყოთ გამარჯვებაზე გამარჯვებათა მიმთვლელი,
სიხშირით ველარ სუნთქავდნენ ხვავგაჭედილი
მინდვრები.

ფორთოხლებს აელვარებდეს მზის სხივი
ნაშადრევნევი,
ვაზს წელში ხრიდეს სიმძიმით გიდლის ოდენა
მტევნები.

ხალხისთვის ზრუნავს მარადჟამს ჩვენი დიადი პარტია,
მის მოწოდებას მივყვებით, მის ძახილს ვისმენთ
მადლიანს.

სოფლისკენ მივეშურებით, გველოდებიან სოფლები,
ჩვენც ვასახელებთ ქვეყანას — საბჭოთა აგრონომები.

*
* *

შენ სახლისკენ მიიჩქარი,
ჩემო მიზეზ-მიზეზა,
მოგეწია ცელქი ქარი—
თმები გადაგიწეწა.

დაგიკოცნა ბროლის ყელი,
ფრთები გაჰკრა ლოყასა
და ტუჩებზე ვარდისფერი
გაღიმება მოხაზა.

გაუსწარი—დაგეწია,
თან მოგყვება მგზავრივით,
ის ხომ ჩემი ალერსია
შენთან გამოგზავნილი.

პარმენ ლორია

მაღაროელთა ქალაქში

* * *

პ. ლორიამ დაამთავრა მუშაობა ახალ რომანზე ჭიათურის მაღაროელთა ცხოვრებიდან. რომანის გმირები არიან ჩვენი დროის ადამიანები, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან ქართული მარგანეცის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მოპოვებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და უკეთ გამოყენებისათვის. ამ გზაზე ისინი ძლევენ მრავალ წინააღმდეგობას, შეურიგებლად ებრძვიან ყოველივე დახავსებულსა და დრომოჭმულს, რაც კი ხელს უშლის ახლის, მოწინავის დამკვიდრებას.

რომანში აგრეთვე გადმოცემულია ჭიათურის მაღაროელთა რევოლუციური ბრძოლის ამბები, რაც ცხრაასხუთიან წლებში ვითარდებოდა ახალგაზრდა სტალინის ხელმძღვანელობით.

რომანში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში მარგანეცის წარმოების ისტორიას, ჩვენი დიდი პოეტის აკაკი წერეთლის როლს ამ საქმეში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ნაწყვეტს პ. ლორიას ახალი რომანიდან, რომელსაც ახლო ხანში მთლიანად გამოსცემს „ჭარის სახელგამი.

I.

ქალაქის პარტორგანიზაციის აქტივის კრებას უამრავი ხალხი ესწრებოდა. თეატრის დარბაზი სავსე იყო.

ყველა დიდი ინტერესით მოელოდა ხელმძღვანელი ამხანაგების გამოსვლას. ბევრი იყო სათქმელი და სალაპარაკო, ბევრი საამაყო და მოსაწონი, მაგრამ ბევრი დასაწუნი და გამოსასწორებელი.

მაღაროს მუშები არ იყვნენ კმაყოფილნი მიღწევებით. ბევრი რამის გაკეთების პირობას იძლეოდნენ ისინი, მაგრამ თვითონაც ბევრ რამეს მოითხოვდნენ ხელმძღვანელობისაგან. განსაკუთრებით საყვედურობდნენ საბინაო მშენებლობაზე, სამუშაო იარაღებისა და მანქანების ნაკლებობასა და მოძველებაზე.

ამასვე საყვედურობდნენ რკინიგზელები და გამაუხვებელი ქარხნების მუშებიც.

გაცხარებულ კამათს იწვევდა ზოგიერთი უმოქმედო ხელმძღვანელი მუშაკის საქციელი. ნაცვლად იმისა, რომ ადგილებზე მოვიდნენ, შეგვამოწმონ და დახმარება აღმოგვიჩინონ, ტელეფონით გებულობენ ჩვენს ამბავს და ისე მსჯელობენ ჩვენი მუშაობის შესახებო, ამბობდნენ ადგილებიდან.

— ფაქტები, ამხანაგებო, ფაქტები! — იძახდა თავმჯდომარე და სიტყვით გამოსულ ამხანაგებს უფრო კონკრეტულობისაკენ მოუწოდებდა. ასეთი შეძახილებით ცდილობდა იმ ორატორების დაბნევას, რომელთა სიტყვაც კრიტიკული იყო. კრიტიკით გამოსვლა ბევრს არავის სიამოვნებდა. გარდა იმ მუშებისა, რომლებიც დარბაზში მყოფთა უმეტესობას შეადგენდნენ. განსაკუთრებით გაკრიტიკებული ხელმძღვანელები ვერ იყვნენ კარგ ხასიათზე, მაგრამ აშკარად ამის გამომჟღავნებას ვერ ბედავდნენ.

— ამხანაგებო, კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი იარაღია. შეგიძლიათ გააკრიტიკოთ ყველა, განურჩევლად მისი თანამდებობისა და პიროვნებისა, — ასე განაცხადა თავმჯდომარემ, მაგრამ გულში კი სწყინდა, რომ კრება ამ მიმართულებით მიდიოდა.

— სიტყვით ასე ამბობთ, მაგრამ როცა ვინმეს ვაკრიტიკებთ და მათ ჩრდილოვან მხარეებს შევეხებით, გული მოგდით, — წამოიძახა ერთმა ახალგაზრდამ.

— თუ რამე სათქმელი გაქვთ, გამოდით და აქ ილაპარაკეთ, ამხანაგო სიკო! — გადმოხედა თავმჯდომარემ მას.

— ვილაპარაკო, თორემ ერთბაშად არ მიაქციოთ ყურადღება, — ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ და წამოდგა. — მომეცით სიტყვა!

— სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ცარციძეს. — თავმჯდომარემ ზარი გააწკრიალა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ცარციძე სწრაფად ავიდა სცენაზე და შუა ადგილას გაჩერდა. ყველა მას შეჰყურებდა. საქალაქო კომიტეტის მუშაკების სახეზე შეშფოთება იხატებოდა. ცარციძე არ იყო კამათში ჩაწერილთა სიაში, არც მისი სიტყვა იყო წინასწარ შემოწმებული. ამიტომ შიშობდნენ, ვაითუ ისეთი რამ წამოცდეს, რომ ხელმძღვანელი ამხანაგები უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოსო.

— კათედრასთან მიდით, ამხანაგო, კათედრასთან! — ჩუმი ხმით მიაძახა ახალგაზრდას ვილაცამ პრეზიდიუმიდან.

— კათედრასთან რა საქმე მაქვს! — პირმიუბრუნებლად ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ და დაიწყო. — მე, ამხანაგებო, წინასწარ არც სიტყვა დამიწერია და არც მოვმზადებულვარ აქ გამოსასვლელად, იმასაც გეტყვით, რომ პირველადა ვარ პარტიულ აქტივზე და შეიძლება ზოგ რამეში შევცდე; მაგრამ მაპატიეთ... მე რომ მკითხოთ, ამხანაგებო, ძალიან მიკვირს აქ გამოსული ამხანაგების საქმე. თუ სათქმელი არა აქვთ, ნუ გამოდიან, ხოლო თუ სათქმელი აქვთ, თქვან ის, რაც აწუხებთ. ქალაქკომი რომ გვეხმარება, ცხადია, აქ რომ მოწინავე ამხანაგები არიან შეკრებილი, ესეც ცხადია. ჩვენს ქვეყანას რომ მიღწევები აქვს, ესეც ნათელია და მომხსენებელმა ამის შესახებ ვრცლად ილაპარაკა. მაგრამ, მოდი, ჩვენ იმაზე ვილაპარაკოთ, რაც ჩვენ გვაწუხებს, რა ნაკლსაც ჩვენ თვითონ ვამჩნევთ, იმაზე ვთქვათ, თუ რითი შეგვიძლია ამ ნაკლოვანებების გამოსწორება.

— სწორია, სწორი! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ჩვენ გეგმებს ვასრულებთ, — განაგრძო ახალგაზრდამ. — ეს კარგია, ასეც უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ ხომ უკეთესად შევასრულებდით ამ გეგმებს, უკეთეს პირობებში რომ ვიყოთ? ჩვენი უფროსი, ხელმძღვანელი ამხანაგები კი ერთხელაც არ დაინტერესებულან ჩვენი მდგომარეობით, სად ვცხოვრობთ, როგორი ბინები გვაქვს, როგორ გვამარაგებენ, როგორია ჩვენი კულტურული მომსახურება... ხანდახან ამოიქროლებენ მანქანებით, გაიგებენ რამდენი პროცენტითაა შესრულებული გეგმა და წავლენ. მაგრამ ვინ შეასრულა ეს გეგმა, როგორ, რა პირობებში, ამას არავინ კითხულობს...

— კონკრეტულად ილაპარაკეთ, ამხანაგო, რითი ხართ უკმაყოფილო? — ქალაქკომის მდივნის ხმაში წყრომა გამოკრთა.

ახალგაზრდამ მისკენ მიიხედა.

— უფრო ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშაობა მაღაროს მუშებს, მაგრამ ჯერ წუწუნებდნენ, — მიაგება პრეზიდიუმისაკენ მიბრუნებულ ახალგაზრდას ქალაქკომის მეორე მდივანმა და პირველი მდივნისაკენ გაიხედა. რაკი შეატყო, ჩემი რეპლიკა ესიამოვნა, ბეჭები შეარხია და უფრო განიერად მოთავსდა სკამზე.

— ამხანაგო, შენ გავიწყდება, რომ ჩვენ, ძველი მუშები, ნახევრად მშიერ-მწყურვალენი ვმუშაობდით ძველად! — ახლა დარბაზიდან წამოიძახა ერთმა ქოსა, ჩია ტანის კაცმა.

იმას ვიღაც შეეკამათა და დარბაზში ხმაური ატყდა.

— კიდევ გაქვთ რამე სათქმელი? — შეეკითხა სცენაზე გაჩერებულ ახალგაზრდას თავმჯდომარე.

— თუ არ დამაცლით, როგორ უნდა ვთქვა, — იწყინა ახალგაზრდამ. — კრიტიკა გვინდაო და თუ არ გნებავთ... — მობრუნდა და სცენიდან ჩამოვიდა.

— სიტყვა ამხანაგ თოდაძეს ეკუთვნის! — და დარბაზის დასამშვიდებლად თავმჯდომარემ კვლავ ზარი აახმაურა.

თოდაძე პრეზიდიუმში იჯდა, როგორც ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს ხელმძღვანელი და ქალაქკომის ბიუროს წევრი.

იგი, როგორც ხელმძღვანელი ამხანაგი და ავტორიტეტული პიროვნება, უფრო სადირექტივო მითითებებით გამოვიდა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მან. — არ არიან მართალი ის ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობისაგან იმას მოითხოვენ, რის მოთხოვნაც არ შეიძლება. ჩვენი ქალაქკომის მდივანმა, ნამდვილი ბოლშევიკური წრთობის ხელმძღვანელმა, თავის ეგზომ შესანიშნავ მოხსენებაში ნათლად და გარკვევით გააშუქა ყველაფერი. და ამის შემდეგ გამოსვლა და იმაზე წუწუნი, რომ ჩვენ ეს გვაკლია, ჩვენ ის გვაკლიაო, როგორც ეს ამხანაგ ცარციძეს აქ მოუვიდა, ყოვლად მოუთმენელია. მაგალითად, მან დაიწყო ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გაკრიტიკება. ეს კარგია და სასარგებლო, ქვემოდან კრიტიკას ჩვენ მივესალმებით, ჩვენ ის გვიყვარს, მაგრამ თვითკრიტიკა? თვითკრიტიკა სადაა, ამხანაგებო? ამხანაგ ცარციძეს ერთი სიტყვითაც არ გაუკრიტიკებია თავისი თავი.

— ცარციძე მოწინავე სტახანოველია! — წამოიძახა ვიღაცამ დარბაზიდან.

— სამასი პროცენტით ასრულებს გეგმას! — დაუმატა მეორემ.

— მით უმეტეს, ამხანაგებო! — განაგრძო თოდაძემ. — თუ მოწინავე სტახანოველი არ გამოვა თვითკრიტიკით, სხვას რა უნდა მოვთხოვოთ?!.

— დემაგოგიაა!

— ფაქტების დამახინჯებაა!

— ადროვეთ, ამხანაგებო, ადროვეთ! — წამოდგა თავმჯდომარე.

— ჰოდა, ამხანაგებო, — განაგრძო თოდაძემ. — ამხანაგმა, ჩვენმა პატივცემულმა მდივანმა სამართლიანად გაგვაკრიტიკა ჩვენ.

— მაგრამ ქალაქკომის მუშაობის გაკრიტიკება დაავიწყდა. — ახლა დარბაზის კუთხიდან ისროლა ვიღაცამ. ეტყობოდა, იგი მოფარებულ ადგილას იჯდა, ვინაიდან პრეზიდიუმის წევრებიდან არავის დაუნახავს.

— ამხანაგებო, ასეთ წამოძახებებს ადგილი ნუ ექნება. თუ ვინმეს სიტყვა სურს, გამოვიდეს და აქედან ილაპარაკოს. — კვლავ გააფრთხილა თავმჯდომარემ დარბაზი. — განაგრძეთ, ამხანაგო როსტომ!

— დიახ, ამხანაგებო, — მიიხედ-მოიხედა თოდაძემ. — ჩვენ უნდა მივიღოთ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგის მითითება. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ ვმუშაობთ, როგორც საჭიროა. ზოგიერთი ამხანაგი კმაყოფილდება იმით, რომ ორასი ან სამასი პროცენტით ასრულებს ნორმას, მაგრამ სრულიად არ ცდილობს იმას, რომ მეტი მაჩვენებლები ჰქონდეს, თავის პირად ინტერესებს სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა აყენებს, ავიწყდება, რომ კომუნიზმს ვაშენებთ. — ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, დააცქერდა და განაგრძო. — აი, ამხანაგებო, რას გვასწავლის დიდი სტალინი. — „ნუ გავიწყდებათ, რომ ახლა ჩვენ თვითონ ერთგვარ მოთხოვნებს ვუყენებთ მუშას, — მოვითხოვთ მისგან შრომის დისციპლინას, დაძაბულ მუშაობას, შეჯიბრებას, დამკვრელობას“. აი, ამხანაგებო, რას მოითხოვს პარტია ჩვენგან, რას გვავალებს ჩვენი საყვარელი ბელადი, და ამის შემდეგ ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ ეს არა გვაქვს, ჩვენ ის არა გვაქვს, ზედმეტია, კიდევ მეტი, ვიტყოდი ლაყბობაა და სხვა არაფერი. ეს კარგად უნდა ესმოდეს ამხანაგ ცარციძეს.

ცარციძე, რომელიც წინა რიგში იჯდა, გაფითრდა. ახალგაზრდა მუშა, რომელიც პირველად გამოვიდა ასე მრავალრიცხოვან კრებაზე, რათა ეთქვა რაც აწუხებდა, რა ნაკლსაც ხედავდა, ისე ჩამოაგდეს სცენიდან, რომ აზრის გამოთქმა არ დაამთავრებინეს. ახლა მოდგნენ და ლაყბობაც დასწამეს. ალბათ, აწი სხვებიც აჰყვებიან თოდაძეს და გასაპარავად გაუხდიან საქმეს.

— მომეცით სიტყვა! — გაისმა უკანა რიგებიდან.

— სიტყვა აქვს ამხანაგ გვანცელაძეს!

ამ გვარის გაგონებაზე ცარციძეს ტანში დასცხელა. გვანცელაძე ვერ იყო მასთან კარგ დამოკიდებულებაში, მუდამ ეჩხუბებოდა. პოლიტიკურ წიგნებს არ კითხულობ, არ მეცადინეობ, წრეში არ ხარ ჩაბმული, წიგნზე დამოუკიდებლად არ მუშაობ. ერთხელ პირველადი პარტორგანიზაციის კრებაზედაც დააყენა მისი საკითხი. მაშინ წალაპარაკდნენ კიდეც და მას შემდეგ არც თუ ისე გულკეთილად უცქერის მას ცარციძე.

ჰოდა, ამ კრებაზე გვანცელაძის გამოსვლა, ალბათ, უფრო მკაცრი იქნება, პირდაპირ გამანადგურებელი ცარციძისათვის.

როცა ორატორი სცენაზე ავიდა, ცარციძემ თავი დაჰხარა და თვალები იატაკს დააშტერა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, გაიპარებოდა, მაგრამ ასეთი საქციელით უფრო შერცხვებოდა. მეტი გზა არ იყო, უნდა აეტანა ყოველგვარი დარტყმა.

— ამხანაგებო! — კათედრასთან მისვლამდე დაიწყო გვანცელაძემ. — მე სრულიადაც არ ვაპირებდი აქ გამოსვლას, მაგრამ ერთმა გარემოებამ მაიძულა ორიოდე სიტყვა ვთქვა. ამხანაგი ცარციძე რომ პოლიტიკური მომზადებითაც ისეთი ძლიერი იყოს, როგორიც მაღაროშია მუშაობის დროს, დარწმუნებული ვარ, აქ გამოსვლა არ დამჭირდებოდა, მაგრამ სახელგანთქმულ სტახანოველს ადვილად დაათმობინეს ტრიბუნა, მოლაყბედაც გამოაცხადეს. ამიტომ მოვალედ ჩავთვალე თავი ვთქვა ის, რაც მას არ ათქმევინეს.

თავჩაღუნული ცარციძე, რომელიც აქამდე ცხელ ოფლში იღვრებოდა, ახლა წელში გაიმართა.

— მე კი ისე ადვილად ვერ ჩამიყვანთ აქედან, — მტკიცედ თქვა გვანცელაძემ და პრეზიდიუმს გადახედა. — ამხანაგმა მდივანმა კონკრეტულობისაკენ მოუწოდა ამხანაგ ცარციძეს. მეორე ამხანაგმა პრეზიდიუმიდან საჭიროდ ჩასთვალა მოეგონებინა ორატორისათვის, თუ რა პირობებში უხდებოდათ წინათ მაღაროს მუშებს მუშაობა. მესამე ამხანაგმა, პატივცემულმა ინჟინერმა როსტომ თოდაძემ სრულიად ახალი შეხედულება განავითარა: რაკი კომუნიზმს ვაშენებთ, კულტურულ-მატერიალური მოთხოვნილებები უნდა დავივიწყოთ და იმას დავჯერდეთ, რაც ოდესღაც გვქონიაო. ამხანაგ თოდაძეს ავიწყდება, რომ სოციალიზმი ჩვენ ხალხისათვის — მუშებისა და გლეხებისათვის ავაშენეთ, რომ კომუნიზმსაც იმავე ხალხისათვის ვაშენებთ...

ამხანაგი თოდაძე მოგვიწოდებს დისციპლინისაკენ, დაძაბული მუშაობისაკენ...

— მე კი არა, ბელადი მოგვიწოდებს, ამხანაგო! — წამოვარდა თოდაძე. — მე გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარე, განმარტებისათვის მომცეთ სიტყვა.

— დამშვიდდით, ამხანაგო თოდაძე, ადროვეთ ამხანაგს!

— არ შეიძლება, ამხანაგებო, ასეთი პოლიტიკური შეცდომის დაშვება. მე ის სიტყვები ზუსტად მაქვს ამოწერილი, — გაცხარებით წარმოსთქვა თოდაძემ.

ცარციძეს კვლავ ეცვალა ფერი. ვაითუ გვანცელაძესაც ისე მოუვიდეს, როგორც მე. სცენაზე გაჩერებულ ამხანაგს თანაგრძნობით ახედა, მაგრამ ძალიან გაუკვირდა, როცა მის სახეზე კიდევ მეტი სითამამე და გაბედულება ამოიკითხა.

— ჩვენც ვიცით, ამხანაგო თოდაძე, ჩვენც ვიცნობთ ამ სიტყვებს. მაგრამ ვეჭვობთ, რომ თქვენ საფუძვლიანად გესმოდეთ ამ სიტყვების აზრი. მე ისიც მეეჭვება, რომ თქვენ შეგეძლოთ მოახსენოთ აქტივს საიდან გაქვთ ეს სიტყვები ამოწერილი, რომელი წიგნიდან, რომელი სიტყვიდან. ალბათ რომელიმე საგაზეთო სტატიით ისარგებლეთ.

— ეს სულ ერთია საქმისათვის! — წამოიძახა სახეშეფერადებულმა თოდაძემ და მიიხედ-მოიხედა, იქნებ ვინმე გამომესარჩლოსო.

— სწორედ-რომ არაა სულ ერთი.

— ამხანაგო გვანცელაძე! — გამაფრთხილებელი ტონით უთხრა მას თავმჯდომარემ.

— ციტატების ასე ამოგლეჯა და გამოყენება, დანაშაულია, — არ ცხრებოდა გვანცელაძე. — დიახ, დანაშაულია!

— სტყუი, მე ის ცუდად არ გამომიყენებია, — აღელდა თოდაძე.

— მე კი ვამბობ, ცუდად გამოიყენეთ! — აუწია ხმას გვანცელაძემ. — თქვენ გაგიგონიათ, მაგრამ საფუძვლიანად არ წაგიკითხავთ, არ შეგისწავლიათ.

— სწორედ, თქვენს გარდა არავის არაფერი წაუკითხავს და შეუსწავლია! — ესროლა ადგილიდან თოდაძემ.

— თუ მართალი ხართ, დამისახელეთ საიდან ამოიღეთ თქვენ ეს სიტყვები?

თოდაძეს ფერმა აუარ-დაუარა.

— ვერ დაასახელებთ. ეს მე კარგად ვიცი, რომ ვერ დაასახელებთ. მაშ ნება მომეცით მე წაგიკითხოთ ის ადგილი მთლიანად.

— ამხანაგო გვანცელაძე, რეგლამენტი გაგითავდათ, გთხოვთ დაასრულოთ სიტყვა, — წამოდგა თავმჯდომარე

— გავუგრძელოთ!

— გავუგრძელოთ! — აზანზარდა დარბაზი.

— რამდენი წუთი გეყოფათ, ამხანაგო გვანცელაძე?

— იმდენი, რამდენიც სათქმელის დასამთავრებლად დამჭირდება, — მიუგო გვანცელაძემ.

— მივცეთ!

— ათი წუთი!

— თხუთმეტი!

კრებამ რეგლამენტი ათი წუთით გაუგრძელა. ორატორმა უბიდან ამოღებული მოსქო წიგნი გადაფურცლა და მშვიდად განაგრძო. — ინებეთ!..

„ნუ გავიწყდებათ, რომ ახლა ჩვენ თვითონ ერთგვარ მოთხოვნებს ვუყენებთ მუშას, — მოვითხოვთ მისგან შრომის დისციპლინას, დაძაბულ მუშაობას, შეჯიბრებას, დამკვრელობას“.

— ჰოდა, მეც ასე წავიკითხე! — წამოიძახა თოდაძემ.

— მართალია, მართალი, თქვენც ასე წაიკითხეთ, მაგრამ განვაგრძოთ ქვემოთ, თუ რას გვეუბნება ამხანაგი სტალინი. „ნუ გავიწყდებათ, რომ მუშების დიდმა უმრავლესობამ საბჭოთა ხელისუფლების ეს მოთხოვნები დიდი აღტყინებით მიიღო და გმირულად ასრულებს მათ. ამიტომ ნუ გიკვირთ, რომ, ახორციელებენ რა საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნებს, მუშები თავის მხრივ მოითხოვენ მისგან, რათა მან შეასრულოს თავისი ვალდებულებანი მუშების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მხრივ“. ამაზე რას გვეტყვით, ამხანაგო თოდაძე?

დარბაზი ტაშის გრიალმა დაფარა.

— რას იტყვით ამის შემდეგ, ამხანაგებო? — ახლა დარბაზს გადახედა გვანცელაძემ.

დარბაზში კვლავ ტაშმა იგრიალა.

— მე მგონია ამხანაგ ცარციძეს და მრავალ მისთანებს, რომლებიც საწარმოო დავალებებს ორასი და სამასი პროცენტით ასრულებენ, უფლება აქვთ მოითხოვონ და კატეგორიულადაც მოითხოვონ თავიანთი მატერიალური და კულტურული მომსახურების გაუმჯობესება...

— მართალია!

— სწორია! — და ტაში არ ცხრებოდა.

— დიახ, ამხანაგებო. დიდი სტალინი გვასწავლის, — განაგრძო გვანცელაძემ. — „არ შეიძლება აგრეთვე იმაზე მითითება, რომ წინათ მუშათა მომარაგება გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ახლაა, და რომ ამიტომ შეიძლება დავკმაყოფილდეთ არსებული მდგომარეობით“. — გვანცელაძემ პრეზიდიუმისაკენ მიიხედა და შემდეგი ადგილი წაიკითხა — „მხოლოდ დამპალ და საბოლოოდ დამყაყებულ ადამიანებს შეუძლიათ დამშვიდდნენ წარსულზე მითითებებით“. — სწრაფად მობრუნდა და სცენიდან ჩამოვიდა.

ამის შემდეგ კამათში არავინ გამოსულა. ახალგაზრდა ინჟინრის სიტყვით აღტაცებული ცარციძე ვერ ფარავდა სიხარულს. შესვენების დროს იგი მორიდებით მივიდა გვანცელაძესთან, მაგრად ჩამოართვა ხელი და მადლობა გადაუხადა.

— აი, ახლა გავიგე, თუ რა ძალა ჰქონია პოლიტიკურად მომზადებულ ადამიანს... უნდა დამეხმარო, ვანო, — უთხრა მან ინჟინერს.

გვანცელაძემ ღიმილით შეხედა ამხანაგს.

— სწორია, დაგეხმარებით! — მხარზე დაადო ხელი და თვალებში ჩახედა. — მოწინავე მაღაროელი პოლიტიკური მომზადებითაც მოწინავეთა რიგებში უნდა იდგეს.

კრების მეორე ნაწილი, ძირითადად, რეზოლუციის განხილვასა და მიღებას მოუნდა.

ქალაქკომის მდივანმა საბოლოო სიტყვაში ილაპარაკა კამათში გამოსული ამხანაგების მიერ გაკეთებულ შენიშვნებზე, ზოგს დაუწუნა, ზოგს მოუწონა, მაგრამ ცარციძისა და გვანცელაძის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს.

— არ უნდა გვაწყენინოს, ამხანაგო სიკო, — უთხრა გვანცელაძემ ცარციძეს, როცა დარბაზიდან გამოდიდოდნენ.

2.

ქალაქკომის პირველი მდივნის კაბინეტში რამდენიმე კაცს მოეყარა თავი.

ქალაქკომის მდივანი, შუა ხნის, სერიოზული გამომეტყველების კაცი თავის მაგიდასთან იჯდა და პაპიროსს ეწეოდა. დანარჩენები ირგვლივ შემოხვეოდნენ. ზოგი იდგა, ზოგიც იჯდა. მდივნის მაგიდასთან ყველაზე ახლოს ქალაქკომის მეორე მდივანი გიორგი გომიდაშვილი იდგა. მას ცალი ფეხი სკამზე შემოედგა და ნახევრად წინ გადახრილი, გაშლილ გაზეთს დაჰყურებდა.

— არ მოითმინება, არა, — აღელვებით ამბობდა გიორგი გომიდაშვილი. — რაკი ორი წიგნი წამიკითხავს, ყველაფერი ვიცი. გაიგონეთ, როგორი სიტყვებით მომმართა: დამყაყებულ ადამიანს შეუძლია ასე იფიქროსო. გამოდის, რომ მე დამყაყებული ვარ.

— კაცო, მას ეს სიტყვები შენზე და ჩემზე კი არ უთქვამს, — ჩაერია ლაპარაკში პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე სანდრო ბორჩელიძე. — მან ამხანაგ სტალინის სიტყვები მოიყვანა...

— დიახ, დიახ, ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ ის სიტყვები სწორედ მე შემეხებოდა. — ბორჩელიძისაკენ მობრუნდა გიორგი. — სწორედ ჩემი რეპლიკის პასუხად მოიყვანა და მერე რა მარჯვედ, რა ეფექტურად... ჩვენი პრესტიჟი სულ მიწასთან გაასწორა. მოდი ამის შემდეგ და გამოდი სადმე სიტყვით. ვინ დაგიჯერებს? ვინ გენდობა? ვიღაც ახალგამომცხვარმა ინჟინერმა უნდა დაგიცეს ავტორიტეტი. ეს ყველაფერი შენი ბრალია, ამხანაგო სანდრო. წინასწარ უნდა იცოდე, ვინ გამოდის და რას იტყვის. ყველა სიტყვა შემოწმებული უნდა გქონდეს. ხომ შეიძლება გამოვიდეს ვინმე და კონტრრევოლუციური სიტყვები წარმოთქვას.

ბორჩელიძემ გაკვირვებით შეხედა მას.

— ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ პარტაქტივის კრება გვქონდა, ამხანაგო გიორგი. — სწრაფად მიუგო მან. — თქვენ რომ პოლიტიკურად მოუმზადებელი იყოთ და ყოვლად გაუმართლებელ რეპლიკებს ისროდეთ აქეთ-იქით, ვინ შეგარჩენთ. მდივნობა იმას კი არ ნიშნავს, რომ ტყუილი და მართალი ერთნაირად დაგიჯერონ. არა... ნუ ფიქრობთ, რომ სხვებმა არაფერი იციან, პოლიტიკურად თქვენზე ნაკლებ მომზადებული არიან, არ კითხულობენ. იქნებ ვანო გვანცელაძეზედაც ასე ფიქრობთ, მაგრამ ერთი მოსინჯეთ?! ამას წინათ ცეკას მიერ მოვლინებული ლექტორი ჩასვა ზოგიერთ რამეში. თქვენ კი გგონიათ, თუ დიდი თანამდებობა გაქვთ, ყველაფერი იცით. მცდარი შეხედულებაა!

— მადლობელი ვარ ჭკუის სწავლებისათვის. უმჯობესი იქნებოდა სხვისთვის შემოგენახა. — სიბრაზე მოერია გიორგის.

— ამხანაგი გიორგი მართალს ბრძანებს, — ჩაილაპარაკა მრეწველობის განყოფილების გამგემ; დაბალი და ჩია ტანის ათანასე ბელტაძემ, რომელიც მანამდე იქ მყოფთა განწყობილებებს ამოწმებდა. — ჩვენი უფროსი ამხანაგი, ჩვენი ნაცადი ხელმძღვანელი გვასწავლის, — ქალაქკომის მდივნისაკენ მიიხედა. — რომ... რამდენჯერ უთქვამს ჩვენთვის ჩვენს უფროს ხელმძღვანელსა და ჩვენზე ბევრად მცოდნეს, ჩვენი ქალაქკომის მდივანს, რომ პოლიტიკური მომზადება საჭიროა, მაგრამ ჩვენი პირადი მოვალეობა...

— პოლიტიკური მომზადება თქვენი პირადი მოვალეობაა, ამხანაგო, — შეაწყვეტინა სიტყვა ქალაქკომის მდივანმა.

— დიახ, დიახ, მეც მაგას მოგახსენებთ, — დაიხია უკან ათანასემ. — ჩვენი პირადი მოვალეობაა პოლიტიკური მომზადება მივიღოთ და გვანცელაძის მსგავსი... — უნდოდა ეთქვა მოლაყბეებიო, მაგრამ ქალაქკომის მდივანმა დაასწრო.

— მომზადებული ბიჭი ყოფილა, არა უშავს!

— ვიგინდარაა! — წამოიძახა მეორე მდივანმა და ჩია ტანის კაცი უფრო დაჩიავდა. აღარ იცოდა რა ეთქვა, პირველი მდივნის აზრი გაეზიარებინა, გვანცელაძე მომზადებულ ბიჭად გამოეცხადებინა, თუ მეორე მდივნის ნათქვამი სიტყვა გაემეორებინა. მეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

— რასაკვირველია, გვანცელაძე მომზადებული ბიჭია, მაგრამ...

— ტუტუცია, ტუტუცი! — კვლავ ჩაურთო მეორე მდივანმა.

— რასაკვირველია, ტუტუცია, მაგრამ, — ახლა პირველი მდივნისაკენ გაიხედა ათანასემ. — არა, მომზადებული და განათლებული რომ არის, ამას ვერავინ ვერ უარყოფს... მაგრამ...

— რა ისეთი განათლება აქვს, რომ გააჭირე საქმე?! — მწყრალად გააწყვეტინა ისევ მეორე მდივანმა.

— არა, განათლებული კი არ არის, მაგრამ მომზადებული... — კვლავ პირველი მდივნისაკენ გააპარა თვალები, იქნებ კვერი დამიკრასო, მაგრამ მდივანი ყურადღებას არ აქცევდა.

— მე მასეთი მომზადების არაფერი მწამს. გაიზეპირებენ რამდენიმე ფრაზას და მორჩა! — ჩაილაპარაკა გიორგიმ და გასვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან კაბინეტში ინჟინერი თოდაძე შემოვიდა.

— აა, მობრძანდით, მობრძანდით, როსტომ პავლოვიჩ! როგორ მოგეწონათ თქვენი შემცვლელის გამოსვლა, — მიაგება შემოსვლისთანავე მას.

— ერთი შენც! — ყურადღება არ მიაქცია გიორგის სიტყვებს თოდაძემ, მდივანთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და მაგიდასთან ჩამოჯდა.

დანარჩენები წავიდ-წამოვიდნენ.

ათანასე ბელტაძე მეორე მდივანს გაჰყვა კაბინეტში და თან გულდაგულ უმტკიცებდა, ვანო გვანცელაძე ტუტუცია, თავხედია, პოლიტიკის არაფერი არ გაეგება, მისი გუშინდელი გამოსვლა პოლიტიკური დანაშაულია, რისთვისაც სამართლიანად უნდა დაისაჯოს ვინც ღირსიაო. გულისხმობდა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

— ეს სულ ამხანაგ სანდრო ბორჩელიძის ბრალია. იგი რომ თავისი მოეალეობის სიმაღლეზე იდგეს, ეს არ მოხდებოდა, — გამოელაპარაკა მეორე მდივანი.

— მეც მაგას მოგახსენებთ, მეც. მაგის ბრალია ყველაფერი, — გამოცოცხლდა ათანასე და ჩურჩულით დასძინა. — ჩვენს შორის დარჩეს და იქნებ წინასწარ ჰყავდა მომზადებული. აბა საიდან გაჩნდა გვანცელაძის ხელში ასე უცბად ის წიგნი?

— ეს აზრი ჭკუასთან ახლოსაა! — დაუდასტურა გომიდაშვილმა.

— მაგის მოხერხებაა, ნამდვილად, ნამდვილად, — იმეორებდა ათანასე, კმაყოფილი იმით, რომ უფროს ამხანაგს ასიამოვნა.

მდივნის კაბინეტში შესული ინჟინერი როსტომ თოდაძე უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქალაქკომმა არ დაიცვა თავისი ბიუროს წევრი და ამავე დროს ცნობილი ინჟინერი.

— თქვენგან მწყენია, ამხანაგო სიმონ, რომ ისე აუარეთ გვერდი გვანცელაძის გამოსვლას და საბოლოო სიტყვაში არაფერი თქვით, თორემ გვან-

ცელაძეს რა ზრახვებიც აქვს, კარგად ვიცი... მობრძანდეს, ბატონო, ვინაა წინააღმდეგი, თუ ჩემს ადგილას გამოდგება და დანიშნავენ...

— კარგი ერთი, ამხანაგო როსტომ, ნუ აჰყოლიხარ ფეხის ხმას, — შეაწყვეტინა სიტყვა მდივანმა. — არავინ თანამდებობას არ გართმევს და არც არავინ უმიზნებს შენს ადგილს.

— მაშინ, რას ნიშნავდა გვანცელაძის გუშინდელი გამოსვლა? იყო თუ არა იგი ჩემს წინააღმდეგ მომართული?

— სრულიადაც არა! — მიუგო მდივანმა. — მართალია, ყველაზე სასტიკად შენ დაგესხა, რამდენადმე დაჩაგრულ მდგომარეობაში აღმოჩნდი, მაგრამ...

— ჰოდა, მაშინ ამის შესახებ რატომ არაფერი არ თქვით, ამხანაგო სიმონ? მე კი მეგონა საბოლოო სიტყვაში საკადრის პასუხს გაცემდით, დაიცავდით თქვენსა და თქვენი ბიუროს წევრის ღირსებას. თუ დაუკვირდებით და კარგად გაცხრილავთ გვანცელაძის სიტყვას, აღმოაჩენთ, რომ ქალაქკომსაც საკმაოდ გადაჰკრა.

— გასა არ ვიცი! გვანცელაძემ ყველაზე დიდი ცეცხლი ქალაქკომის წინააღმდეგ დაანთო.

— ძაშინ ვერ გამიგია, რად აუარეთ გვერდი მის გამოსვლას, რად შეარჩინეთ ჩვენი გამოლანძღვა? ეს არაფრით არაა გამართლებული.

— მე განზრახ ავუარე გვერდი მის გამოსვლას, — მიუგო მდივანმა.

— ვითომ ღირსად არ ჩათვალეთ? ერთგვარი ხერხი ესეც არის ზოგიერთების გასაბიაბრუებლად. მაგრამ ამას გამგები უნდა. გუშინ კი, ხომ ხედავდით, როგორი გამოძახილი ჰპოვა მისმა გამოსვლამ. ისე გამოვიდა, თითქოს ქალაქკომში ბეცები, არაფრის მცოდნენი სხედან. ხომ ასეთი შთაბეჭდილება შეიქმნა?

— სამწუხაროდ! — დაუდასტურა მდივანმა.

— მაშასადამე, საჭირო იყო გარჯილიყავით და უხერხული მდგომარეობიდან გამოგეყვანეთ,—უმატა საყვედურს თოდაძემ.

მდივანმა დაკვირვებით ახედა მას. კარგა ხანს უცქირა, შემდეგ ფანქარი აიღო ხელში და ბლოკნოტზე რამდენიმე წრე შემოხაზა.

—შენ მართალი ხარ,—უთხრა მან.—უნდა შეეხებოდი გვანცელაძის გამოსვლას, მაგრამ არ მეყო ბოლშევიკური გამბედაობა... თქვენც შემებრალეთ, საკუთარი თავიც შემებრალა.

— როგორ?! — გაუკვირდა როსტომს.

— მე რომ გამბედაობა გამომეჩინა, უნდა გამოვსულიყავი და აშკარად მეთქვა პარტაქტივისათვის, რომ გვანცელაძე მართალია, რომ მან სწორი შენიშვნა გააკეთა, რომ ქალაქკომში ზოგიერთი პოლიტიკურად მოუმზადებელი ადამიანი ზის. აი რა უნდა მეთქვა მე და ვერ ვთქვი.

— რას ამბობთ, ამხანაგო...

— სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, — შეაწყვეტინა სიტყვა მდივანმა. — როგორ ფიქრობთ, ქალაქკომის ბიუროს წევრი რომ ხართ და დიდი თანამდებობა გიჭირავთ, იმიტომ არაფრის წაკითხვა და ცოდნა არ გჭირიათ? კარგად მოიქცა გვანცელაძე. ხომ აგეწვათ ზურგი? რად არ იცოდით ასე მოგვიდოდათ, როცა ყოველგვარი ფაქტისა და მაგალითების გარეშე ლაპარაკობდით.

ციტატა მოგყავთ და არ იცით საიდანაა, რა საკითხს ეხება. ლაპარაკობთ ულოგიკოდ, არეულ-დარეულად. რატომ გგონიათ, რომ ადამიანები, რომლებიც ქალაქკომში და დირექტორების კაბინეტებში არ სხედან, უვიცნი არიან, არ კითხულობენ, არ მეცადინეობენ და ამიტომ ჩვენ, დიდი კაცები, რასაც ვეტყვით, ყველაფერს დაგვიჯერებენ. მცდარი, ყალბი შეხედულებაა. დიახ, მე არ მეყო გაბედულება, მეთქვა ეს სიმართლე იქ, პარტიის აქტივზე, მაგრამ დანაშაულს ვგრძნობ. ამ შეცდომის გამოსწორებასთან ერთად სხვა რამეების გამოსწორებაც მომიხდება... დიახ, შენც, ამხანაგო ბიუროს წევრო, საყვედურის სათქმელად კი არ უნდა მოსულიყავი აქ, არამედ იმისათვის, რომ შეცდომა გეღიარებინა.

თოდაძე თავდახრილი იჯდა, ცალი ხელი მაგიდაზე ჩამოედო და თითებს ნერვიულად ათამაშებდა.

— თუ ჩვენ უფრო ბეჯითად არ ვიმეცადინეთ, მეტი არ ვიკითხეთ, მეტი არ შევიძინეთ, მასებს ყური თუ არ ვათხოვეთ, უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, ვიდრე გუშინ. შევრცხვებით, თავი მოგვეჭრება. თუ გვინდა შევინარჩუნოთ ის სიმაღლე, რომელზედაც ვდგევართ, თუ გვსურს (და რომ არ გვსურდეს, არ შეიძლება) უფრო წინ წავიდეთ, ცხოვრებას არ უნდა ჩამოვრჩეთ. სხვანაირად არ გამოვა, ამხანაგო როსტომ...—მდივანს სიტყვა ტელეფონის ზარის მოულოდნელმა წკრიალმა შეაწყვეტინა.

— ცენტრალური კომიტეტის პლენუმია, — თქვა მან, როცა ტელეფონით ლაპარაკს მორჩა და თოდაძეს შეხედა.—არ გვაპატიებენ, ჩემო კარგო, არა! მოუმზადებლობას, დოყლაპიობასა და თავისთავზე ბატონკაცურ წარმოდგენას არ გვაპატიებენ... ნახვამდის! — და ხელი გაუწოდა.

თოდაძე წამოდგა და ისე გამოვიდა კაბინეტიდან, რომ თავი არ აუწევია.

3.

დასლში ჩამდგარი რაჟდენ სირბილაძე მთელი დღის ნავაჭრს ანგარიშობდა. ამ ორი დღის განმავლობაში თითქმის მთელი თვის გეგმა შეასრულა.

ძალიან კარგი ვაჭრობა ჰქონდა და გამოსარჩენითაც არ იყო გულნატკენი. ბევრი არა, მაგრამ სამი-ოთხი ათასი მანეთი რჩებოდა თვეში. მართალია, ამაში წილი სხვებსაც ედო, ნახევარზე მეტი ესე კიპაძისათვის უნდა მიეტანა, მაგრამ გულნატკენი რაჟდენიც არ რჩებოდა. პირიქით, ეს პატარა სასაუზმე უფრო მეტს აძლევდა, ვიდრე საკუთარი სამიკიტნო, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ჰქონდა.

ახლა არც გადასახადის ეშინოდა, არც შენობის იჯარას იხდიდა, არც პატენტს ილებდა და არც გაკოტრება მოელოდა. იყო არხეინად. რევიზიის არ ეშინოდა და მილიციის. ზაფხულობით ჩაციებულ ლუდს მიირთმევდა, ზამთრობით ცოლიკაურის წვენს. ყოველ საღამოს ასწორებდა ანგარიშს. მიიღო ამდენი, გაყიდა ამდენი, დარჩა ამდენი, სალაროშია ზუსტად იმდენი, რამდენიც გაყიდული საქონლის მიხედვით უნდა იყოს, რაც არ გაყიდულა, თაროებზე აწყვია.

ჰოდა, სირბილაძის ჯიბეში რა არის და რამდენი, ვისი რა საქმეა? ვის რას მისცემს და გაუზიარებს, მან იცის და მისმა სინდისმა. სახელმწიფოს ხომ არ აკლებს? ხელისუფლებას ხომ არ ღალატობს? მაშ ვის რა ესაქმება მასთან?

საიდან რჩება ამდენი ფული? ამისათვის პასუხს ვერავინ მოსთხოვს. თუ ხახლახან ლიტრიან ბოთლში ექვსი ჭიქის ნაცვლად რვა გამოდის, ეს რა დანაშაულია. რაჟდენს ექვსი ჭიქა ეთვლება, მუშტარს — რვა. ლუდი დოვლათიანი რამაა. კასრში ასი ლიტრი ჩადის, კასრიდან ასორმოცდაათი გადმოდის... კერძიც ასეა. ერთი წიწილი ხუთადაც გაიჭრება და თორმეტადაც. ხუთად გაჭრილი წიწილის მჭამელსაც შეუძლია თქვას წიწილი მივირთვიო და ერთი მეთორმეტედის მჭამელსაც.

დალოცოს ღმერთმა ეს კოოპერატიული სასაუზმე!.. ფული სხვისი, საქონელი სხვისი, ხარჯი სხვისი, მოსაგები შენი. თავიდან რომ სცოდნოდა ასე იქნებოდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე კოოპერატივს გადასცემდა თავის სამეკიტნოს და თვითონ გამგედ დადგებოდა. აქამდე მილიონერი გახდებოდა. ტყუილა უბრალოდ იხდიდა გადასახადებს. ასე არ სჯობდა, ახლა რომ არის? ხელფასსაც აძლევენ, გეგმის გადაჭარბებისათვის პრემიალურს ღებულობს. უშველოს ღმერთმა ამის მომგონს!

რაჟდენმა შემოსავალ-გასავალი გადაიანგარიშა.

ორი კასრი ლუდის ღირებულება — ამდენი და ამდენი მანეთი, და ცალკე გადადო.

ორმოცი ლიტრი ღვინო, ამდენი. ესეც ცალკე.

ქათამი, კვერცხი, თევზი, ძეხვი ამდენი და ამდენი. კიდევ ცალკე.

კანტორას სულ უნდა ჩაბარდეს ამდენი. რაჟდენმა შეაჯამა.

დანარჩენი?

დანარჩენს რად უნდა დათვლა. ერთ ხუთას მანეთს ესეს მიუტანს, დანარჩენს რაჟდენის მეუღლეც დათვლის სახლში და ადგილს მიუჩენს.

ის იყო მორჩა ნავაჭრის ანგარიშსა და განაწილებას, რომ უეცრად კარებთან მანქანა გაჩერდა. სასაუზმეში ესე შემოვიდა. ეტყობოდა ვერ იყო კარგ ხასიათზე, მაგრამ სირბილაძეს მაინც გაღიმებული მიესალმა.

— რად არ დაგიკეტია აქამდე? — ესემ მიიხედ-მოიხედა.

— ბევრი მუშტარი მყავდა, ბატონო ესე. გიშველათ ღმერთმა, ამ ორი-სამი დღის განმავლობაში რომ მომარაგება მაქვს, ისეთი თუ სხვა დღეებშიც დამირჩა, ჩვენს ძვირფას ხელისუფლებას ვახეირებ და ჩვენთვისაც კარგი იქნება.

— ნუ გეშინია, ხვალიდან მოგიმატებ. რა უფრო გადის? — ესემ ცარიელ კასრზე შემოდგა ცალი ფეხი.

— ყველაფერი, ბატონო, მაგრამ ამ ლუდს არაფერი სჯობს. რამდენსაც ისურვებ, იმდენს გამოიყვან. ისეთი საქონელიც სარფიანია, რომელსაც კა-

პეიკები ახლავს, მაგალითად, მანეთი და ჩვიდმეტი შაური, სამი მანეთი და თოთხმეტი შაური, ანდა ორმოცდაჩვიდმეტი კაპიკი. ასეთ საქონელზე ყოველთვის რჩება.

— კარგი. ხვალ მანქანით მიიღებ ყველაფერს. — ესემ კვლავ მიიხედ-მოიხედა. ამ დღეებში თბილისიდან ველოდები სტუმრებს. ისეთები იქნებიან, ჩვენ რომ გვინდა. საჭირო იქნება მანადმე ცოტა რამ დავაგროვოთ. გულნაკლული არ უნდა გავუშვათ, ხომ იცი, ხელი ხელს ბანს, ორივე პირს. გასაგებია?

— რასაკვირველია, გავიგე, — მიუგო სირბილაძემ და თვალებში მიაცქერდა. — ვის ელოდებით არ ითქმება?

— შენთან როგორ არ ითქმება, — ახლოს მიიწია კიპაძე. — იმ საქმეზე იქნებიან, ჩვენ რომ ვიცით. შენ ხომ არ დაგვიწყნია, რაც დაგავალე?

— დამვიწყნიაო? დამვიწყნია კი არა, მთელი ქალაქი ლაპარაკობს ჭედიძის წარსულზე. უარესი რამეებიც კი გამოუძებნიათ. თურმე ნუ იტყვი და კაციც ჰყოლია მოკლული. თავისი პირით უთქვამს იმ ჩემ ნათესავ დედაკაცთან.

— მართლა?

— ყველაფერს იფიცებს, ასე მითხრეს. მაგი და მისი აღმზრდელი ნატო რომ ბრძანდება, ყველაფერში ეჩრებიან. ახლა კიდევ ამზადებს, თურმე, წერილს გაზეთში დასაბეჭდად. ყოველ დღე რედაქციაში დადისო.

— ვნახოთ რასაც გახდებიან.

— მე, ბატონო, პატარა კაცი ვარ, ყველა მოგერევა, მაგრამ თქვენთან შეჭიდებას როგორ ბედავენ. პატიოსან და კეთილშობილ ადამიანთან რა უნდათ? — სირბილაძემ ქაღალდში შეხვეული ფული ამოიღო დახლიდან და ისე ჩაუდვა ჯიბეში, ვითომც არაფერი.

— ჰო, ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგე. საქონელს მოგაყრი, — თითქოს არაფერი შეემჩნიოს, ისე თქვა ესემ. — უფაქტურო საქონელი ადრე გაუშვი. სხვა შენ იცი. — მშვიდად გამოვიდა და საკუთარ მანქანაში ჩაჯდა.

სირბილაძემ შიალაგ-მოალაგა იქაურობა, თავისი წილი ფული უბეში ჩაიდვა, სავაჭრო დაკეტა და სახლისაკენ წავიდა.

კმაყოფილი იყო. ყოველმხრივ კარგად მიდიოდა მისი საქმე. დავალებასაც პირნათლად უსრულებდა თავის მფარველს. ისე მოხერხებულად მოაპნია ქალაქში ჭორის თესლი, რომ მასზე ეჭვიც არავის მიუტანია, ლევან ჭედიძეზე და ხვედელიძის ოჯახზე კი ვინ იცის რაებს არ ლაპარაკობდნენ ჭორიკანა დედაკაცები.

— თურმე ქურდობისათვის ყოფილა გადასახლებული ლევან ჭედიძე.

— კაციც მოუკლავს.

— ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირი დაუმალავთ და საზღვარგარეთ გაუპარებიათ ლევანსა და მის ცოლს. ყაჩაღსაც ინახავენ თურმე.

ქალების მითქმა-მოთქმას ზოგიერთი მამაკაციც აყვა.

— ალბათ ცუდად წაუვა საქმე.

— რასაკვირველია. არ შეარჩენენ, თუ ყველაფერი ეს მართალია.

— თურმე თავისი წარსული დაუმალავს პარტიაში შესვლისას.

— კი, მაგრამ რა ისეთი წარსული აქვს ჩვენს თვალწინ გაზრდილ ბიჭს? — გულისტკივილით კითხულობდნენ ზოგიერთები.

მაგრამ ჭორი მაინც დადიოდა, დადიოდა ნელ-ნელა, ხოხვით, ფორთხვით და პატარა ქალაქში სწრაფად ვრცელდებოდა.

რაოდენი ფრთხილად შევიდა სახლში. ეგონა მეუღლე დაძინებული დახვდებოდა, მაგრამ მართა მაგიდასთან მარჩიელობდა. ქმარი რომ შემოვიდა, ერთი გულგრილად ახედა და ისევ თავისი საქმე განაგრძო.

— როგორაა საქმე ბედის მრჩეველო? — შეეკითხა რაოდენი ცოლს და მაგიდას გადაავლო თვალი.

— კარტი უფრო კარგს ამბობს, ვიდრე ზოგიერთები წინასწარმეტყველებენ, — მიუგო მართამ. — აი, შეხედე, ეს ფულის მოსვლის ნიშანია. ეს კი ჩვენი მტრების განადგურებას ნიშნავს. ეს კაცი, რომელიც ჩამოსვლას აპირებს, ჩვენი საქმეების მოსაგვარებლად მოიჩქარის.

— ნაღდია! — წამოიძახა სირბილაძემ. ჯიბიდან გაზეთში შეხვეული ფული ამოიღო და წინ დაუდო.—ეს ხომ ფულია! კაცი კი ამ დღეებში ჩამოვა.—ქუდი მოიხადა და ტახტზე მიაგდო.

მართამ შეხვეული ფული გაშალა, დათვალა და სკივრში შეინახა.

— გადახურდავებას ნუ დააყოვნებ, — ცოლს გააყოლა თვალი რაოდენმა. — ხომ იცი, ეშმაკს არ ძინავს. — ტახტთან მივიდა და ფეხსაცმელი გაიხადა.

— დარდი ნუ გაქვს, — მიუგო ცოლმა. — შენ ოღონდ მოიტანე და გადახურდავება ჩემზე იყოს. მადლობა ღმერთს, მწარე გამოცდილება მაქვს. და მართამ სინანულით მოიგონა ის ას სამოცდაათი ათასი მანეთი, რომელიც ფულის რეფორმის დროს იზარალა. იზარალა მთლიანად, ერთი კაპიკიც არ უსარგებლია... სხვა დრო იყო, თორემ რამეს იღონებდა. იმ ღირებულებას მაინც მიიღებდა, რაც კანონით ეკუთვნოდა, მაგრამ გადახურდავება ვერ გაბედა. ხომ ეტყოდნენ მეზობლები, სად გქონდა ამდენი ფული. რატომ შემახველ სალაროში არ შეგიტანიაო? რა იცოდა მართამ საკუთარ სკივრს თუ შემნახველი სალარო სჯობდა. აწყობდა და აწყობდა ერთმანეთზე ასიანებს. ინახავდა „შავი დღისათვის". უშვილო ოჯახის სიხარული ფულია. რაც ბევრი ფული აქვს, მით უფრო ბედნიერი და კმაყოფილია.

ფული პატარა ღმერთია, იცის ხოლმე თქმა მართამ. ფული რომ არ ჰქონოდა, რაოდენი ახლა იქ ეყოლებოდა, სადაც მისთანები არიან, მაგრამ უშველა ფულმა. როგორ უშველა? როგორ და, ფულმა კაცი იშოვა, კაცმა კი ციხის გასაღები.

აწი კი მადლობა ღმერთს. ისეთი რამ არ შეხვდება მართას ოჯახს. რაოდენი ისეთი კაცის ხელქვეითია და ისე აქვს მოჭახრაკებული საქმე, რომ ვერავინ ვერაფერს დააკლებს. ის დედაკაცი კი ჰყავს გადამტერებული, მაგრამ საცაა იმასაც მოიშორებს. ისეთი კაცი რომ ვინმეს ჯიბრში ჩაუდგება, როგორი მაგარი კედელიც არ უნდა ჰქონდეს, მაინც დაამარცხებს. კიპაძეს რისი გაკეთება არ შეუძლია? თურმე ზევით ჰყავს თავისი კაცები. რომ მისწეროს გადააყენე აქაური მთავრობაო, შეასრულებენ.

— ღმერთმა სიკეთე მისცეს ჩვენი ოჯახის დახმარებისათვის, — მართამ მაღლა აიხედა.

— სიკეთე და სიმდიდრე არ აკლია იმას, — ჩაილაპარაკა რაჟდენმა. — მის სახლში რომ შეხვიდე, სამოთხე გეგონება.

— მოახმაროს უფალმა. ჭკვიანი კაცია და ჭკვიანად წაუყვანია თავისი საქმე.

— ეს ბიჭ-ბუჭები რომ არ ურევდნენ, უფრო კარგად იქნებოდა, მაგრამ საშველს არ აძლევენ. კიდევ გაზეთში გაუწერიათ.

— აი ღმერთმა საწერელი გაუჩინოს მათ ხელებს, — დაიწყევლა მართამ. — რას ემართლებიან ამ ბატკანივით უმანკო ადამიანს?

— სულ მაგ დედაკაცის მოხერხებაა. ის ქურდი ბიჭიც ხელს უწყობს, — რაჟდენმა მაგრად შეუკურთხა ორთავეს, ტანზე გაიხადა და დაწვა.

მართამ მეორე საბანი წაახურა ქმარს, შემდეგ მიბრუნდა და კვლავ მაგიდას მიუჯდა.

ახლა იგი სულ სხვა ფიქრებში იყო გართული. ამ თვეში ქმარმა საკმაოდ მოუტანა ასიანები, მას კი გადახურდავება ვერ მოესწრო. ერთხელ შეშინებული, ჩქარობდა ისეთი რამ შეეძინა, რომელიც არასოდეს ღირებულებას არ დაჰკარგავდა და იოლი შესანახიც იქნებოდა. ასეთი კი იყო ოქრო. სირბილაძის ოჯახში ბევრი ოქროს სამკაული ინახებოდა. ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ყელსაბამები საიმედოდ შეხვეული, გარეშე თვალისათვის მიუგნებელ ადგილას იყო დამალული, ზოგი ჭერზე, კავებსა და ლარტყებს შუა, ზოგი კედლებში, ზოგიც იატაკქვეშ.

ხანგამოშვებით ერთად დაუვლიდნენ „შავი დღისათვის“ შემონახულ განძს და ათვალიერებდნენ.

ამდენი ქონების პატრონი ცოლ-ქმარი ღარიბულად ცხოვრობდა. ერთი სასიკეთო ავეჯიც არ ედგათ სახლში. მუდამ სწუხდნენ და წუწუნებდნენ. მეზობლებს აცოდებდნენ თავს. ზოგჯერ ფულსაც სესხულობდნენ და გადახდას აჭიანურებდნენ, ერთი-ორი დღე კიდევ გვადროვეთ, ცოტა ხანი კიდევ დაგვაცალეთო.

სწავლა სიბერემდიო, თავისთავს ეტყოდა ხანდახან მართა და კმაყოფილი იყო იმით, რომ ახლა ჭკუა ნასწავლი ჰქონდა, ისე აღარ იქცეოდა, როგორც წინათ, როცა რასაც იშოვიდა, მაშინვე გამოამზეურებდა. კომუნისტებმა ჭკუა მასწავლესო, ჩაიცინებდა თავისთვის და ძონძებში გახვეულ ოქროულობას გულდაგულ მალავდა.

4.

სანამ ქალაქკომის მდივანი თბილისიდან დაბრუნდებოდა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ ინფორმაცია გაზეთებმა გამოაქვეყნეს.

ესე კიპაძეს თავზარი დაეცა, როცა ზოგიერთი მისი მფარველი გაზეთში ცუდად იყო მოხსენებული.

— ხსნიან, აქვეითებენ... შეიძლება... — და ესეს გააჟრჟოლებდა ამის გაფიქრებაზე.

კიპაძეს ყველაზე უფრო ძველი ცოდვებისა ეშინოდა. საქმეები იმ თანხებზე, რომლის მითვისებაც მას ბრალად ედებოდა, მაგრამ ძლიერი მფარველის წყალობით ჩამოეწერა, პროკურატურასა და სასამართლოში ჯერ კიდევ სუხთქავდნენ. სულ პატარა ნიავი იყო საჭირო, რომ წამოშლილიყვნენ, ბრალმდებლის სკამზე დამსხდარიყვნენ და ბრალდებულებს პირისპირ წარსდგომოდნენ.

თუ ვინმემ ძალად არ გამოჩხრიკა, ისე არაფერი უშავს. პროკურორი მისი კაცია, ქალაქკომშიაც არ უცქერიან ცუდად. გაზეთში მომუშავე ბიჭები ჩხირკედლაობენ რაღაცას, მაგრამ... იმათ გახსენებაზე ფერი ეცვლებოდა.

მაინც რა ხალხი მუშაობს ამ რედაქციებში?! თითქო ადამიანის სატანჯველად იყონ მოვლინებულნი. თვალები გაუბრწყინდებათ, ნაკლი თუ აღმოაჩინეს. საქვეყნოდ მოგჭრიან თავს. ეს საკუთარი კორესპონდენტები ხომ პირდაპირ სულს ამოგხდიან. თოკს არ წაგიჭერენ, მაგრამ ისე გაგიხდიან საქმეს, რომ თვითონ ეძებდე თოკს...

ესეს პროკურორის ისე არ ეშინია, როგორც გაზეთის მუშაკებისა. პროკურორი გამოგიბარებს თუ საჭიროა, დაგკითხავს. თუ სცნო აუცილებლად, სამართალში მიგცემს. გაგასამართლებენ, მოგისჯიან, ან გაგათავისუფლებენ, მაგრამ ამას ბევრი ვინმე ვერ გებულობს. მაგრამ ვაი შენს მტერს, თუ გაზეთის მუშაკების ხელში მოხვდი. მთელ ქვეყანას მოდებენ შენს ამბავს, სასამართლოში საქმის განხილვამდე გამოგიტანენ განაჩენს.

ესენი რომ არ უჭირვებდნენ საქმეს, მაშინ რა უშავს ესეს? მოსამართლეებსა და პროკურორებსაც კი ეშინიათ თურმე გაზეთისა.

საგონებელში ჩავარდნილი კიპაძე დიდხანს ფიქრობდა იმაზე, თუ საიდან და როგორ მიდგომოდა ამ საშიშ ადამიანებს, რომ დროებით მაინც დაეჩუმებინა ისინი. რამდენჯერაც ახალ გაზეთს გაშლიდა, იმდენჯერ წაუვიდოდა ფერი. ყველგან თავისი გვარი ელანდებოდა. ამ შიშის თავიდან აცილება არც ისე ადვილი იყო.

ერთ ორ-სამ თვეს რომ დააცლიდნენ და ძველ საქმეებს არ გამოჩხრეკავდნენ, ჯანდაბას, მერე ყველაფერი რიგზე იქნება. ან ახალი მფარველები გამოჩნდებიან, ან ხელმძღვანელობას შესცვლიან. თუ არა და შეუძლია სულ გადავიდეს აქედან, სხვა ქალაქში მოეწყოს.

ეს უკანასკნელი აზრი უფრო მოეწონა. ფული აქვს, მაგრამ ეცოტავება. მისი ოჯახის აქედან სხვა ქალაქში გადაბარგუბას ბრ ეყოფა. საჭიროა რამდენიმე ათასი კიდევ შეაგროვოს... ეგ არაფერია. ფულს იშოვნის, თუ სირბილაძე კარგად ეყოლა...

დღეს დილით უთხრეს, რომ მოსალოდნელია ქალაქკომშიც მოხდეს ცვლილებაო, წუხელის ნიკიფორე ფოთოლაძე გამოუძახებიათ ცეკაში. ამბობენ დაწინაურებას უპირებენო. მაინცადამაინც დიდი იმედის დამყარება არ შეიძლება მასზე, მაგრამ რაც უნდა იყოს, ელენეს ნათესავია. პირადად მან რომ არავითარი დახმარება არ გაუწიოს, მისი გავლენით სხვები დასდებენ ხათრს, მოერიდებიან, წამდაუწუმ არ გასწერენ გაზეთში.

არა, თუ მართლა ფოთოლაძე დააწინაურეს, ესესათვის მისწრება იქნება. ხშირად ივლის მისას ოჯახში. დაუახლოვდება, როგორც ნათესავი, საჩუქ-

რებსაც მიუტანს, სხვებთან თამამად იტყვის — ნიკიფორესას ვიყავი, ჩემი მეუღლის ახლობელია, მან ასე თქვა, მე ისე ვუთხარიო. ასე, რომ ყველაფერი მოგვარდება, მაგრამ საქმე ისაა სად, რა თანამდებობაზე დანიშნავენ ფოთოლაძეს.

ასეთი ფიქრებით დატვირთული ესე ბინას მიადგა და ელექტრონის ზარი დარეკა.

სახლში დახვდა ჩვეულებრივი ამბავი: ელენეს საყვედური მოსამსახურე ქალზე. წუწუნი იმის შესახებ, რომ ლუდვიკს დღეს ერთი ფინჯანი კაკაოც არ დაულევია, ბივშტექსი მთლიანად არ შეუჭამია. საჩივარი, რომ ეზოში მეზობლის ქალმა იხმაურა. ლუდვიკის მასწავლებელს შემოუთვლია ბავშვი ოჯახში ამეცადინეთო...

ერთი სიტყვით, დიდი ამბავი დატრიალებულა ესეს აქ არ ყოფნაში.

ესეს პირველად როდი ესმოდა ასეთი საყვედურები, წუწუნი, საჩივრები და ამიტომ ცოლის ლაპარაკისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

ცოლ-ქმარი მარტო სადილობდა. მოსამსახურე ქალი მეორე ოთახში ლუდვიკს ართობდა, ხან ბურთს გაუგორებდა, ხან ბზიალას, ხან ფიტულებს აუთამაშებდა. როცა სასადილო ოთახიდან ჭურჭლის წკრიალს გაიგონებდა, გაიქცეოდა და მოსადილეებს მიაკითხავდა.

— გაიგე ახალი ამბავი? — უთხრა ესემ ცოლს, როცა სადილს მორჩნენ. — ნიკიფორეს აწინაურებენო, ამბობენ.

— სადაცაა იქ რა ბედენაა, რომ აწინაურებენ? თუ ვინმეს დაწინაურება სურთ, კაცი ვერ იპოვეს? — წყენით თქვა ელენემ.

— რატომ, ფოთოლაძე ცუდი კაცი არაა. ნეტავი დააწინაურებდნენ...

— შენ ვითომ რაო? სულ სხვის დაწინაურებაზე რომ ფიქრობ, რატომ შენი თავი არ გაგონდება. სირცხვილიც კია ლუდხანებისა და აქოთებული სასაუზმეების უფროსი იყო. ერთი ხეირიანი ხელქვეითი არა გყავს. მე ვიცი ქალები, რომლებიც თავაწეული დადიან და იპრანჭებიან. ჩემი ქმარი მინისტრის მოადგილეა, ჩემი ტრესტის მმართველია, ჩემი კიდევ ბანკისო. მე კი ენა მებმება, როცა მკითხავენ — თქვენს ქმარს რა თანამდებობა უჭირავსო.

— ჰოდა, შენც უპასუხე ჩემი ქმარი ტრესტის მმართველია-თქო. — შეაწყვეტინა ესემ.

— თავი მოვიტყუილო? — გაბრაზდა ელენე. — ქვეყანას აწინაურებენ, მაღალ თანამდებობას აძლევენ, შენ კი... თითქოს არც არსებობდე ამ ქვეყნად. ნიკიფორეზე უარესი კომუნისტი ხარ თუ მასზე ნაკლები ვაჟკაცი. ახლა მისმა დედაკაცმა უნდა ასწიოს ზევით ცხვირი და იძახოს ჩემი ქმარი ქალაქკომის მუშაკია, პასუხისმგებელი ამხანაგიაო. არა, არ შეიძლება მუდამ ასეთ დღეში ყოფნა. მომწყინდა ეს ერთფეროვანი ცხოვრება, მუდამ ერთი და იმავე თანამდებობის ქმარი. რატომ? რისთვის? — და ცხვირსახოცი მოიშველია.

ესეს სრულიადაც არ სურდა საუბარი ასე წარმართულიყო, მაგრამ რა გაეწყობოდა, სხვა გზა არ იყო, უნდა გაეძლო, მოთმინებით მოესმინა ლანძღვა-გინება, დამცირება. ცოლს არ შეკამათებია, რადგან იცოდა, რომ კადნიერება ძვირად დაუჯდებოდა.

როცა ელენემ გული იჯერა და დამშვიდდა, ესემ ჯიბიდან ოქროს პატარა საათი ამოიღო თავისი სამაჯურით და ფუნთუშა მაჯაზე გაუკეთა.

ელენემ ჯერ წარბებშეკრული დახედა საათს, კარგად შეათვალიერა და ბოლოს გაღიმებული სახით ქმარს ახედა.

— ეს კი მომწონს! — შეატრიალ-შემოატრიალა ძვირფასი სამკაულით დამშვენებული მაჯა.

— ჰოდა, ეს ნივთი სწორედ იმ შენს მიერ აუგად ხსენებულმა ხელქვეითებმა მოგვიძღვნეს,—უთხრა ესემ.—როგორ გგონია, რომელი დარგის მუშაკებს შეუძლიათ დაასაჩუქრონ თავიანთი უფროსი ასეთი ნივთით?—და ესემ თავი მოხსნა თავის საიდუმლეობებს, ბევრი რამ გაანდო ცოლს.

საქმე ის კი არაა ოლქკომში, ქალაქკომში, პროკურატურაში მუშაობდე და დღე-ღამეს ასწორებდე. უმჯობესია შეუმჩნეველ, ხეირიან ადგილას იჯდე და ზევით გყავდეს მფარველები, იცნობდე, გიცნობდნენ, გეხმარებოდნენ. ნუთუ ცხადი არაა, რომ დიდი და ძლიერი მფარველების გარეშე ესე ახლა ასეთ პირობებში არ იქნებოდა? და თუ ეს გასაგებია, ახლანდელი ვითარებაც უნდა გაიგოს ელენემ. დიახ, უნდა იცოდეს, რომ ესემ ბევრი მფარველი დაჰკარგა, ახლა შეიძლება სულ სხვანაირად წაუვიდეს საქმე. ამიტომ საჭიროა ახალი მფარველების გაჩენა. წინათ კიპაძის ნათესავები ისხდნენ მაღალ თანამდებობებზე, ახლა სეფერთელაძეების ნათესავები წინაურდებიან. დგება ფოთოლაძის დრო. მალე შეიძლება მთელი ქალაქი ჩააბარონ, ქალაქკომის მდივნად აირჩიონ, ან პროკურორად დანიშნონ...

— პროკურორადო? — სკამიდან წამოიწია ელენე.

— რა გიკვირს?! პრინციპული და მტკიცე კაცია. იურიდიულიც დაამთავრა დაუსწრებლად.

— მერე მისი ცოლი?

— ცოლი დარჩება ცოლად, — მიუგო ესემ.

— ეს მეც ვიცი, — გაჯავრდა ელენე. — მაგრამ როგორ ცოლად დარჩება?

— როგორ და ჩვეულებრივ ცოლად. პროკურორის ცოლი იქნება.

— ჰოდა, ისაა საქმე, რომ პროკურორის ცოლი იქნება... — შურით აენთო ელენე.

—დაშშვიდდი, ეგ არაფერია,—ოქროს საათიანი მაჯა ცოლს თვალებთან მიუტანა ესემ.—საქმე პროკურორობა კი არაა, აი, ესაა, ეს. ვისაც ეს აქვს, ყველაზე დიდი პროკურორი იგია.

ესემ ცოლს თანდათან შეაპარა და ყველაფერი ბოლომდე, აშკარად უთხრა.

საჭიროა ფოთოლაძესთან დამეგობრება მანამ, სანამ მისი დაწინაურება ძალაში შევიდოდეს, სანამ იგი ჯერ კიდევ პატარა კაცად ითვლება. ამის საბაბიც არის. ესესას ყოფნისას მან მამიდაშვილს სთხოვა ოჯახში მეწვიეო. ელენეს შეუძლია...

— არ მითხრა, — წამოიჭრა ელენე. — როგორ, ქებურიას ქალს ვეახლო საჩუქრებით?

— აქ ჩვენ ქებურიებსა და ფოთოლაძეებთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ჩვენი მომავალი წყდება.

ესეც არ იყოს, ესესათვის საჭირო და სასარგებლო კაცია. მეტადრე ახლა, ამ მომენტში, როცა თბილისიდან კომისიის ჩამოსვლას ელოდებიან. ლევან ჭედიძის წინააღმდეგ დაწერილ განცხადებას გაუჭრია. შეიძლება უშიშროებიდანაც გამოგზავნონ ვინმეო. ხუმრობა არაა, დაჭერას ვერ გადაურჩებ. დეზერტირი, ყაჩაღი, კაცის მკვლელი შეუფარებია, დაუმალავს. ბევრი სხვა რამეც ბრალდება.

ჰოდა, ასეთ დროს ცოლიც უნდა დაეხმაროს ესეს და ცოლის ნათესავებ-მეგობრებიც.

თანდათან დაიყოლია ცოლი ესემ, დაავალა მეორე დღეს ლუდვიკთან ერთად ფოთოლაძეს ესტუმროს, ბავშვებს საჩუქრები წაუღოს.

— კარგი, ასე მოვიქცევი, — უპასუხა ელენემ ცოტახნის ყოყმანის შემდეგ, — მაგრამ იცოდე ამის ხათრისათვის, — ხელი გაუშვირა და ოქროს საათი დაანახვა.

5.

წიგნებითა და რვეულებით დატვირთულ საწერ მაგიდასთან ქალ-ვაჟი იჯდა. ვაჟი თოთხმეტ-თხუთმეტი წლის იქნებოდა, გოგონა უფრო ნაკლების. ეტყობოდა გაკვეთილებს ამზადებდნენ. ერთ ვანიერ რვეულში რაღაცას ხაზავდა, ხელში ფარგალი და სამკუთხედი ფირფიტა მოემარჯვებინა. მეორე თავაუღებლივ წერდა.

კუთხეში მიდგმულ ვიწრო მაგიდასთან შვიდი-რვა წლის ბიჭი მაკრატლით ქაღალდს სჭრიდა, რაღაცნაირი თარგი გამოჰყავდა და შემდეგ ერთმანეთზე აწებებდა. იქვე ეწყო თვითმფრინავის, გემის, ნავის, წისქვილის ახალშეკრული მოდელები. ბიჭს წინ თიხის მოზრდილი ნაჭერი ედო, რომლისაგან სხვადასხვა ცხოველებსა და მცენარეებს ძერწავდა. ახლო-მახლო ქაღალდის ნაჭრები, შუშის ნამსხვრევები, წვრილ-წვრილი ჯოხები და ქვის ნამტვრევები ერთმანეთში იყო არეული.

ნახევრად ღია კარიდან მოჩანდა მეორე ოთახის მორთულობა: წყვილი ტახტი, სუფთად ალაგებული, ერთი მაგიდა წიგნებით სავსე, რამდენიმე სკამი. ეტყობოდა ოთახი საწოლადაც იყო გამოყენებული, სასტუმროდაც და სამუშაოდაც. ამიტომ შიგ შედარებით უკეთესი ავეჯი იდგა და უფრო კოხტადაც იყო დალაგებული.

აქ კი, სადაც ბავშვები ისხდნენ, უფრო უწესრიგობა იყო. საოჯახო ნივთებს გარდა აქ ნახავდით სამუშაო იარაღებსაც—ხერხს, ცულს, შალაშინს, გონიოს, ქლიბს და ჭიბოშანს.

განცალკევებით მჯდარმა ბიჭმა თავი მიანება თარგების ჭრას, თიხა აიღო და ზელა დაიწყო.

გოგონა კი ხაზვას მორჩა, თავისი წიგნები და რვეულები ჩანთაში ჩაალაგა, წამოდგა და საოჯახო საქმეს შეუდგა. ოთახი მიალაგ-მოალაგა, დაგავა, ზედმეტი ნივთები დერეფანში გაიტანა, შემდეგ უმცროს ძმასთან მივიდა, თავზე დაადგა და ჰკითხა:

— ეს რა ძერწვა დაიწყე? რა უნდა გამოძერწო?

ბიჭმა სერიოზულად ახედა დას.

— გამოვძერწავ და მაშინ ნახავ! — და კვლავ თავისი საქმე განაგრძო.

— ვახტანგს სურს მოქანდაკე გამოვიდეს, ჩაერია ლაპარაკში უფროსი ძმა. — არა უშავს, კარგი საქმეა.

— მართლა, ვახტანგ? — ღიმილით შეეკითხა და პატარას. — მოქანდაკე უნდა გამოხვიდე?

— კარგი ერთი, ნუ მაჯავრებ, — თავაუღებლივ თქვა ბიჭმა, — აბა რა ვიცი, რა უნდა გამოვიდე. ან მოქანდაკე გამოვალ, ან თვითმფრინავის მშენებელი. მე მირჩევნია თვითმფრინავის მშენებელი ვიყო. — თიხას ოთხფეხი ცხოველის ფორმა მისცა და თავყელის გამოყვანას შეუდგა.

—კარგი საქმეა, — მოუწონა უფროსმა ძმამ. — მაგრამ საჭიროა რაიმე ახალი სახე მისცე, ახალი კონსტრუქციით ააგო.

— ეს მეც ვიცი, — ძმისაკენ გაიხედა ვახტანგმა. — მე ისეთი თვითმფრინავი უნდა მოვიგონო, რომ სახლის აივანზე შეეძლოს შემოჯდომა... რა გაცინებთ? აი ნახავთ, თუ არ გავაკეთო! ექნება პატარა ფრთები...

— კი, მაგრამ, პატარა ფრთებით რომ ვერ იფრენს? — გაუმტყუნა დამ.

— დაიცა, დაიცა... პატარა ფრთებით რომ ვერ იფრენს, ეს მეც ვიცი, მაგრამ ისეთ ფრთებს გავუკეთებ, რომ აივანზე შემოფრენისას იკეცებოდეს... ასეთი ხომ შეიძლება?

— ასეთი, რასაკვირველია, შეიძლება, — დაცინვით უთხრა დამ. — ჩვენი კრუხივით, აფრენისას ფრთებს გაშლის, დაჯდომისას დაკეცავს.

— მართლაც ჩინებული გამოგონება იქნება, — დაუდასტურა უფროსმა ძმამ, ჩანთიდან სქელი წიგნი ამოიღო, გაშალა და კითხვას შეუდგა.

ოთახში ქალი შემოვიდა ორი-სამი წლის ბავშვით ხელში.

— ვაშა, ვინც მოვიდა გაუმარჯოს! — სწრაფად წამოხტა ვახტანგი, თავისი საქმე მიატოვა, ახალმოსულ ბიჭს მიაფრინდა, დედას გამოსტაცა და წინანდელი ადგილისაკენ წაიყვანა.

— დაიცა, ბიჭო, ბავშვი არ წააქციო, — გააფრთხილა დედამ, მაგრამ ვახტანგს ყურადღება არ მიუქცევია. პატარა ბიჭი თავის მაგიდასთან მიიყვანა და საკუთარი ხელით დამზადებული სათამაშოები უჩვენა.

— აი, ხედავ, — ქაღალდისაგან გაკეთებული ნავი აჩვენა. — დაიცა, დაიცა, ხელს ნუ ახლებ. აი ამას შეხედე, ეს ნამდვილი დირიჟაბლია... ხომ გეუბნები, ხელს ნუ ახლებ-მეთქი!.. გინდა კურდღელი გიჩვენო? ეს კურდღელია, ესეც მელა, თუ ცოტას მოითმენ, ირემსაც გამოვძერწავ.

— მომე, ბაჭია მომე! — და პატარა სათამაშოებს წაეპოტინა.

— ბაჭია გინდა? — ჩაფიქრდა ვახტანგი, — კარგი წაიღე, მოგცემ ბაჭიას.

— და კიდევ ნავი, — ახლა ნავისაკენ გაიშვირა ბიჭმა ხელი.

— არა, ნავი არ შეიძლება. გააფუჭებ.

— მე ნავი მინდა, — დაიჩემა პატარამ.

ვახტანგმა დანანებით შეხედა თავისი ხელით შექმნილ ნავს.

— აჰა, კარგი, წაიღე. იცოდე, არ გააფუჭო, თორემ მელას არ მოგცემ.

— მე მელა მინდა...

— ოჰო, შენ ყველაფერი გინდა, როგორც გატყობ... ჰა, ეს ნავი წაიღე და გეყოფა.

პატარამ ჭირვეულობა დაიწყო, მაგრამ ვახტანგმა იგი აქეთ გამოიყვანა, სურათებიანი წიგნები მოძებნა და წინ გაუშალა.

— აჰა, ნახე რა კარგია.

დედამ სადილი გააწყო და შვილები სუფრასთან მიიწვია.

ყველა შუა ოთახში დადგმულ მაგიდას შემოუსხდა.

წინანდელ ადგილზე მხოლოდ პატარა ბიჭი დარჩა. იგი სურათებიან წიგნს ფურცლავდა და თან რაღაცას თავისთვის ტიტინებდა.

ის იყო ჭამა უნდა დაეწყოთ, რომ კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— მობრძანდით! — გასძახა დიასახლისმა.

კაკუნი განმეორდა.

— მიდი, ვახტანგ, ნახე ვინ არის?

ვახტანგი კარებთან მიიჭრა, გააღო, მაგრამ სახეზე გაოცება გამოეხატა, შემდეგ სწრაფად მოტრიალდა, დედასთან მიირბინა და ყურში წასჩურჩულა — ვიღაც უცნობი ქალიაო.

დიასახლისი სწრაფად წამოდგა.

— აჰ, ჩემო ლენა! — შესძახა მან კარებთან მისვლისთანავე. — როგორ მოხდა, ფეხი რომ მოგიცდა. მობრძანდით, მობრძანდით. როგორ გამშვენიერებულხარ, გოგო?... ეს შენი ბიჭია? მოდი, ბიცოლა, სახლში.—ჯერ ელენე გადაკოცნა, შემდეგ ლუდვიკი.

ბავშვებიც წამოდგნენ, მიწ-მოიწიეს.

— ჩემი ბავშვებია, ელიკო... გაიცანით, შვილებო, მამათქვენის მამიდაშვილი... ესეც თქვენი ნათესავი და ამხანაგი, — ლუდვიკზე მიუთითა.

ბავშვებმა მორიდებით ხელი ჩამოართვეს სტუმრებს. ისინი აქამდეც იცნობდნენ შორიდან ლუდვიკს, რომელიც მახლობელ სკოლაში სწავლობდა. იცოდნენ, რომ მას ლუდვიკი ერქვა, გვარად კიპაძე იყო. მარტო ესენი კი არა, მთელი სკოლა იცნობდა ამ სოკოსავით სუსტსა და ცომივით აფუებულ ბავშვს, რომელსაც კაცის დანახვისაც კი ეშინოდა. ამიტომ იყო, რომ ყველას, ვისი გაბრაზებაც კი უნდოდათ, დაცინვით ლუდვიკს ეძახდნენ.

ელენეც დაუნახავთ ქუჩაში, ამაყად, თავმომწონედ მიმავალი. იცოდნენ, რომ იგი ლუდვიკის დედა იყო, მაგრამ თუ იმდენად თავმდაბალი იქნებოდა, რომ ასეთ უბრალო ოჯახში მისვლას იკადრებდა, ვერ წარმოედგინათ.

— დაბრძანდი, დაბრძანდი, ჩემო ელიკო. ჩემი ნიკიფორე მეტად კმაყოფილი იყო, დიდი პატივი მცა ელენემ, — ალაპარაკდა დიასახლისი.

— რა პატივისცემაა, ქალბატონო ნინო, ერთი უბრალო სადილი. ის კი არა და ჩვენსას ისეთები დადიან და სადილობენ, რომ ნათესაობის არაფერი სცხია.

ოთახში მიიხედ-მოიხედა.

— სულ ეგ არის თქვენი ბინა? — მეორე ოთახის ღია კარებში შეიხედა.

— ეს არის, ჩემო ელიკო.. თუ ჯანმრთელად ვიქენით, არაფერი გვიშავს, სივიწროვეს არ ვგრძნობთ. ეს ორი ოთახი, წინ დერეფანი. პატარა სამზარეულოცა მაქვს. ასე რომ, გვარიანად ვართ მოწყობილი.

ელენემ შენიშნა, რომ მასპინძელი თვალებგაბრწყინებული ლაპარაკობდა. ჩანდა, რომ იგი მართლაც კმაყოფილი იყო.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, — ნინომ მაგიდასთან მიუდგა სკამი სტუმარს.—მართალია, ნასადილევი იქნებით, მაგრამ ჩვენი ხათრით მაინც უნდა მიირთვა რამე. ნიკიფორე როცა შინ არ არის, ასე ადრე ვსადილობთ ხოლმე... ქეთო, თეფშები გამოიტანე, შვილო!—გოგონას გადახედა დიასახლისმა.

— ვიწროთ ყოფილხართ! ერთი მისაღები და ერთი სასტუმრო დარბაზი მაინც უნდა გქონდეთ.—სტუმარმა ისევ კედლებს შეავლო თვალი.

— ჯერჯერობით გვყოფნის, ჩემო ელიკო, ამაზე მეტი რა საჭიროა. შვილები რომ წამომეზრდება, ვნახოთ, მომავალი დაგვანახვებს.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — დაეთანხმა ელენე უნებურად. — აგერ ნიკიფორე დაწინაურდება, დიდი კაცი გახდება. მერე შეიძლება აღარც კი გვიკადროს და ისიც კი დაივიწყოს, რომ მისი მამიდაშვილი ვარ.

— არა, არა, ჩემს ნიკიფორეზე მასეთ რამეს კაცი ვერ იტყვის. მისთვის სულ ერთია დიდი კაცი იქნება, თუ პატარა. — გამოექომაგა ქმარს ნინო. — დაბრძანდი, გენაცვალე, დაბრძანდი. შენც დაჯექი, ბიჭიკო.—გადახედა ლუდვიკს, რომელიც განკარგულების მოლოდინში დედას მიჩერებოდა დაგეშილ მწევარივით.

— დაჯექი, ლუდვიკ! — როგორც იყო გაიმეტა ელენემ, შემდეგ სკამი მაგიდის მოშორებით დადგა და ჩამოჯდა.

სკამმა ჭრიალი დაიწყო. წვრილმა ფეხებმა ძლივს გაუძლეს შეუჩვეველ სიმძიმეს.

ლუდვიკი ვახტანგის გვერდით დაჯდა და თან მის წინ დადგმულ კერძს დაჰყურებდა, რომელსაც მეტად საამური სუნი ასდიოდა.

ნინომ ელენეს კერძი დაუდგა წინ.

— მოიწი, გოგო, ახლოს. ნახე, რა გემრიელი ჩახოხბილი გამომივიდა. ცოტა წიწაკა კი აქვს მეტი, მაგრამ არა უშავს... მოიწი, მოიწი! რამდენი ხანია ჩემი გაკეთებული არ გიჭამია.—ნინომ ერთი ბოთლი შავი ღვინო ჩამოდგა.— ჩემმა ძმამ ჩამომიტანა სოფლიდან, შესანიშნავი ღვინოა.

ელენემ გაპატიჟება ვერ ჰკადრა ხნოვანებით უფროს ქალს. მას ახლა ზოგიერთი რამ წარსულიდანაც მოაგონდა. სანამ კიპაძეს ცოლად გაჰყვებოდა, ამ ოჯახში ცხოვრობდა, ნინოს გაკეთებულ სადილს მიირთვევდა. გასასეირნებლად რომ გამოვიდოდა, ნინოს კაბას ჩაიცმევდა ხოლმე. მაშინ ნიკიფორე და ნინო ახალდაქორწინებული იყვნენ. ნიკიფორე რეგისტრატორად მსახურობდა, ნინო ბიბლიოთეკის გამგედ. ბინა ვიწრო ჰქონდათ, მაგრამ გული ფართო. მამიდაშვილს არ ამადლიდა ნიკიფორე ბინასა და საჭმელ-სასმელს. ხანდახან ტანსაცმელსაც უყიდდა ხოლმე.

მხოლოდ შემდეგ, როცა ელენე ესეს გაჰყვა, საკუთარი ოჯახი გაიჩინა, სიმდიდრე და დოვლათი დაუგროვდა, ნელ-ნელა ჩამოშორდა ნათესავს, ისე გამედიდურდა, რომ ხშირად ქუჩაში შეხვედრის დროსაც არ ესალმებოდა.

ნინო და ნიკიფორე ამას ყურადღებას არ აქცევდნენ.

— ის არ გვკადრულობს, არც ჩვენ გვინდა, — იტყოდა ხოლმე ნინო.

ნინოს კიდევაც უკვირდა, რომ დღეს ეს თავმომწონე და ამპარტავანი ნათესავი მასთან ოჯახში მივიდა. ვერაფერით ვერ აეხსნა ელენესა და მისი შვილის მოსვლის მიზეზი.

— ჭამე, შვილო, ჭამე, — უთხრა ნინომ ლუდვიკს, რომელსაც ხელში ჩანგალი ეჭირა და დედისაგან ნებართვის მიღების მოლოდინში კბილები უწაკწაკებდა. ეტყობოდა სურნელოვან კერძსა და იმის ყურებას, თუ როგორ ილუკმებოდნენ ბავშვები, მადაზე მოეყვანა.

— ჭამე ლუდვიკ! — მისცა თანხმობა ელენემ და, მასპინძლის პატიჟით შეწუხებულმა, თვითონაც მაგიდისაკენ მიიწია.

— მიირთვით, მიირთვით! — ნინომ ღვინო დაასხა და ელენეს სადღეგრძელო შესვა.

ელენემაც დალია. ცოტ-ცოტა ბავშვებსაც დაალევინეს.

ლუდვიკს მოეწონა გემრიელი კერძი, თეფში კარგად მოწმინდა და თავი ასწია.

— მომეცი, შვილო, თეფში, კიდევ ამოგიღებ! — უთხრა ნინომ.

ბავშვს არ გაუპატიჟნია. ცარიელი თეფში მიაწოდა და როცა სავსე დაუბრუნდა, კმაყოფილებით სახე გაუნათდა.

თავდაპირველად ელენე ძალიან პატიჟობდა, მაგრამ ორი ჭიქა ღვინის დალევამ მოაშინაურა, სუფრას დაუახლოვა. ნინოს გაკეთებული კერძი იმდენად მოეწონა, რომ თეფშის ხელახლა ავსებაზე არც მას უთქვამს უარი.

სადილის შემდეგ ელენე საგრძნობლად გამოცვლილი ჩანდა, უფრო გაუბრალოებული, მხიარული. აღარ ლაპარაკობდა ტუჩების გრეხითა და ცხვირის აწევით. მაგიდაზე დალაგებული წიგნები აიღო და გადაათვალიერა.

ლუდვიკი უფრო გამოცოცხლებულიყო. ძალიან გააკვირვა პატარა ვახტანგის მიერ გაკეთებული მოდელების, თიხიდან გამოძერწული ცხოველების ნახვამ.

— ხელი არ გესვრება ამას რომ აკეთებ? — შეეკითხა იგი ვახტანგს.

— მერე რა, განა არ დაიბანება? — მიუგო მან.

— ბაცილები რომ შეგყვეს ფრჩხილებში, იქიდან სისხლში გადავიდეს?.. ხომ შეიძლება მოიწამლოს ადამიანი!.. დედა ამბობს, ხელი მუდამ სუფთა უნდა გქონდეს, ჭუჭყი და მური არ უნდა გეცხოსო.

— ეს სწორია, მაგრამ ამიტომ მუშაობას კი არ უნდა დაანებო თავი. აი, ნახე, დღეს როგორი ირემი გამოვძერწე...

— როდის მოასწარი? — დაინტერესდა სტუმარი.

— სკოლიდან რომ მოვედი, გაკვეთილების დამზადების შემდეგ. სულ ერთი ლექსი მქონდა სასწავლი და ცოტა საწერი. მოვრჩი თუ არა, მაშინვე დავიწყე. თიხა მზად მქონდა... ხომ ჰგავს ირემს? რქას უნდა ცოტათი შელამაზება. შენ არ გიყვარს ასეთი სათამაშოების კეთება?

— მე თიხა არა მაქვს?

— თიხის შოვნას რა დიდი ამბავი უნდა... გინდა, გაგინაწილებ?

— არა, დაიცა, დედას ვკითხო! — ლუდვიკი ელენესთან მივიდა და რაღაც წასჩურჩულა.

— რა თიხა, რას ამბობ?! — გაკვირვებული თვალებით ჩახედა ელენემ შვილს.

— აი, ასეთი! — ბავშვმა იქეთკენ გაიშვირა ხელი, სადაც ვახტანგი იჯდა და თიხას ზელდა.

— ხომ არ გაგიჟდი, ლუდვიკ! ხომ გაგესვრება ხელები?

— მერე რა, დავიბან!

— ლუდვიკ! — თვალები გადაუბრიალა ელენემ შვილს.

— პარდონ! — წარმოთქვა ბავშვმა და გულდაწყვეტით გადაავლო თვალი ვახტანგის წინ დადგმულ მაგიდას, რომელიც სავსე იყო ამ პატარა ბიჭის მიერ გაკეთებული მოდელებითა და სათამაშოებით.

ელენე დიდხანს არ დარჩენილა. გამოთხოვებისას დიასახლისს უთხრა:

— ნათესავები ვართ, ქალბატონო ნინო, ნათესავები. ერთმანეთის ავსა და კარგს უნდა ვიცნობდეთ, ჭირ-ვარამს ვიზიარებდეთ. ვერ წარმოიდგენ რა კმაყოფილი დარჩა ჩემი ესე ნიკიფორეს სტუმრობით. მკვიდრი ბიძაშვილია ჩემი, ქალბატონო ნინო, ნიკიფორე. რატომ უფრო ხშირად არ უნდა დავდიოდეთ ერთმანეთისას? მომავალ კვირას შენ და ნიკიფორე უსათუოდ უნდა მესტუმროთ. გელოდებით! ესეს ვეტყვი და მანქანას გამოგიგზავნით.

წასვლისას უფრო გულთბილად გადაკოცნა ელენემ დიასახლისი და კვლავ გაუმეორა თხოვნა — კვირას უთუოდ გვეწვიეთო.

—მადლობელი ვარ, ჩემო ელიკო. თუ დრო ვიშოვეთ, უთუოდ მოვალთ,— უპასუხა ნინომ და დედა-შვილი ქუჩამდე მიაცილა.

ნიკოლოზ თალაკვაძე

მ ო ს კ ო ვ ი

ჩვენს გასახარად, მტრის დასაშიწად
დგას გმირთა გმირი მკერდშეჯავშნული,
ხალხთა ძმობას და სინათლეს იცავს,
რომ მშვიდობაში იყოს მამული.

მძვინვარე ომის სძლია გიზგიზი,
ბნელი ბუნაგი მოსპო მზაკვართა,
მშვიდობას იცავს იმგვარ სიმტკიცით,
ვერაგ მოსისხარს როგორც ლახვრავდა.

როდესაც მიწყდა ომის გიზგიზი,
ჩვენი დიადი ქვეყნის საშვენად,
შესაერთებლად ხუთი დიდი ზღვის
ხალხმა აღმართა თვისი მარჯვენა.

მშვიდობას იცავს — ილხენდეს ხალხი
მიზანმართალი და გზადიადი,
დუშმანი ვეღარ გვიღერდეს მახვილს;
არ დაეთალხოს ხალხს განთიადი.

სილაღე რეკდეს გამრჯელის ხმაში,
დოვლათი ჰქონდეს, ლითონი ჰქონდეს
ხალხის ყოვლისმძლე მარჯვენით გაშლილ
ხალხისთვის მებრძოლ მშვიდობის ფრონტებს.

მიღწევებს ვზრდიდეთ მხარდამხარ კიდევ
მილიონების გასახარებლად,
ამწყაზარებდეს ნასიცხარ მინდვრებს
მწვანე ჯეჯილის აღაღანება.

ჩვენს გასახარად, მტრის შესაჩვენად
დგას, როგორც გმირი მკერდდახატული,
ჩვენი მამულის მტკიცე მარჯვენა,
ხალხთა მშვიდობის კერა განთქმული.

საქართველოს

მონურ ქედმოხრას ვერ შეგაჩვიეს,
არა ტყდებოდი იავარქმნილიც,
თავგანწირული ბრძოლა არჩიე,
ვიდრე ღამეში მდუმარე ძილი.

ვალმოხდილ შვილთა ნათელ თვალებით
მარად გვიცქერის წარსული შენი,
დღეს განთიადი შუქელვარებით
შენს თავისუფალ ბაღნარებს შვენის.

ყველგან შენს ნათელს ეტრფიან ლხენით,
შენს მთებს და ველებს გასაოცარებს,
ყველგან ერთგული მოძმეა შენი,
სტალინის საქმეს სადაც ლოცავენ.

რომ ხვავიანი ბაღები ფართე
ხელსისხლიანმა მტრებმა ვერ თელონ —
ათი სიცოცხლე რომ ქონდეს ქართველს,
ათივეს დასთმობს შენს სადღერგძელოდ.

დედა

„მშვიდობიანი შრომისათვის
ვზრდიდით ჩვენს შვილებს“.
ლ. ტ. კოსმოდემიანსკაია

ზრდიდა შვილებს, ბარტყებივით ზრდიდა,
გაზაფხულის ვარდებივით შლილებს,
ქვეყნის ტრფობას ასწავლიდა შვილებს
და დღეები მიდიოდნენ მშვიდად.
როცა მტრები შემოიჭრნენ უცებ,
ათრთოლებით გადახედა ორ შვილს.
უნდა ორივ გაიგზავნოს ომში.
უცქერს ორ შვილს, ვერ იმაგრებს კურცხლებს.

მაგრამ დედა ახლა ხედავს ცხადლივ
შვილთა წადილს, მშვიდად იტყვის: „წადით!
ვით დავნებდეთ გასათელად მტერთა!“
საბრძოლველად გაემართნენ ხელად
და ორივემ ასახელა დედა.

...წვანან, მაგრამ ბრწყინვალებენ ისევ
და მშობელი შვილთა ძახილს ისმენს,
გზას უნათებს თავდადება მათი,
მათ ნააკვნარს, ნათელ ბაღნარს იცავს,
რომ სიმართლის ტრიბუნაზე ადის
და გმობს ნამდვილ მტაცებლების მიზანს.
სიკეთისთვის დღეს ვინც ილწვის წრფელად,
დედას შვილად მიაჩნია ყველა.

დედის სიტყვა ახალწვეულს

შენ დავაუკაცდი შრომაში, შვილო,
ახლა მიდიხარ მამულის მცველად;
ვინძლო ლეჩაქი არ შემირცხვინო,
ასახელებდე საყვარელ ბელადს.

სიმართლის ტრფობით თუ გული გიცემს,
უნდა მუსრავდე მტერს ბნელმიზნიანს,
არც სიყვარული იქნება მტკიცე,
თუ სიძულვილი არ შეგიძლია.

სინათლე მისი

ადგება დილით, მზეს ვერ ხედავს
ბინდგადაკრული.
წამით შედგება, შეთრთოლდება,
ვით დალახვრული.
მერე ფიქრები გაიტაცებს
შორი მხრისაკენ
და თითქოს ესმის საზარელი
ბრძოლის ხმა ისევ.

ბინდგადაკრული ახლა უკვე
ხედავს თვალნათლივ,
როგორ მოსცელა მისმა ტყვიამ
მტერი ჯალათი.
ის მღელვარებით გაიღიმებს
ფიქრში გართული.
ხმამრავალ „ვაშას“ უერთდება
მისი ქართულიც...

ბავშვთა ხმაური გამოარკვევს
თითქოს სიზმრიდან,
გარს ეხვევიან ნეტარებით
და კისკისითა,
ესმის ყვავილის და ბალახის
ნაზი ჩურჩული...
აშკარად ხედავს სამუდამოდ
თვალდახუჭულიც,
როგორ ირთვება ქარიშხლისგან
გადარჩენილი
მშობელი მიწა, ცხრა მაისით
მადლდაფენილი.

წარბგახსნილია, არ ეგურვის
სახეზე ნისლი:
იცის, სამშობლოს შეემატა
სინათლე მისი.

ზოთა კოპაძიძე

მშობლიურ პარტიას

შენს მზეში ვიშვი და მოგაშურე, —
მკერდში ჩაგეკარ უქრობ განთიადს,
შენი ფოლადის ქურაზე მაწრთობ,
დედა — პარტიავ!

ღელავს ზღვა ფერთა... წითელი ფერი
ელავს, ყველაზე უფრო მნათია,
მე, წითელ ბილეთს გულთან ვატარებ,
დედა — პარტიავ!

შენ არწივი ხარ.
ვფიქრობ, ამბობენ
ჩემზე — არწივის ერთი ბარტყია,
ამით ვამაყობ, ეს მაძლევს ძალას
დედა — პარტიავ!

მათბობ, მალაღებ, ვით შვილს მშობელი,
ჩემს გულში შენი დროშა ანთია,
ფრიალებს დროშა, ვდარაჯობ შვილი,
დედა — პარტიავ!

ს ო ფ ე ლ ი

სოფელს არტყია გზა მოშვილდული,
ვერ მოაცილებ თვალს ლამაზ სახლებს...
თქვენ აჭარელის ოჯახში შედით.
რა მასპინძელი დაგიხვდეთ, ნახეთ!

მართლაც მოსაწონ სუფრას გაშლიან,
წამოვა ღვინო ქართულ ხელადით,
იცოდეთ, უარს აქ ვერ გაბედავთ,
როგორც კახეთში ვერ გაბედავდით.

დროული კაცი, — წინათ ფუხარა —
შავი წარსულის გეტყვით ადათებს,
ამბებს, ვით მძივებს კრიალოსანის,
გულის სკივრიდან გადმოალაგებს...

წლებს გაჰყვა ბნელი, ავი წარსული,
და ცხადად იქცა ნატვრა, სურვილი,
ჰყვავის სოფელი; ტურფა ბაღია,
ბაღი მზის შუქში ოქროცურვილი.

ევკალიპტი

მის ტყეს ირგვლივ წყალი აკრავს,
როგორც ვერცხლის ქამარი
და ცას თეთრი აბრეშუმი —
თავსაფარი თამარის.

თითქოს უკვდავების წყაროს, —
წყალს ისრუტავს მიწიდან,
ჭაობს აშრობს და ზეციდან
მზის შადრევნებს იზიდავს.

ელიზბარ ზედგინიძე

სიყვარულის ძეგლი

შეხედეთ დარჯელანს, მაღალი მთებისა და დაბურული ტყეების შვილს. განა ის მუხას არა ჰგავს? მთაზე გადმომდგარი, შორიდან ისე ჩანს, თითქოს ზურგით ცას მიყრდნობია, მიწაში ფესვები აქვს ვადგმულიო.

რამდენი ხე წამოუქცევია დარჯელანს თავის სიცოცხლეში, რამდენი წიფელი, ფიჭვი და სოჭი, რამდენი მუხა? ის ტყისმჭრელია. როდესაც დარჯელანი ფესვმაგარ ხეებს ნაჯახს სცემს, მისი განიერი მკერდიდან მძლავრი სუნთქვა მოისმის.

ირგვლივ, საითაც გაიხედავ, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ზევით თუ ქვევით, მთელ გარემოს კარგად იცნობს დარჯელანი, ყოველი კუთხე ფეხით აქვს შემოვლილი. ყმაწვილობის წლებში ჯიხვივით აჭრილა იმ საჯიხვეებში, უღრანი ტყეების ზევით, მარადიულ მყინვართა თავზე რომ აღმართულა. ამ მყინვარებში სიკვდილის მეტი არაფერია, მაგრამ დარჯელანს სიკვდილისაც არ შინებია. წლობით უცხოვრია ოთეფურეს მთაზე, ირგვლივ ტყე რომ აკრავს, შუაგულში იალაღები რომ ბიბინებს მაღალტანიანი ყვავილებით. ოთეფურეს ზევითაც ასულა შგენაშის მთებში, წერქვა ბალახის მოსაკრეფად, რომ ქალამანში ჩაეფინა და რბილად ევლო. რამდენჯერ გაჰყოლია მდინარე ვედრულას, დროდადრო გიესა და მოურიდებელს, ამღვრეულ-ადიდებული ხეობას რომ მოარღვევს, ხეებს და ბუჩქებს რომ გლეჯს, დანდობა რომ არ იცის... მხნეობს ვედრულა, ვაჟკაცობს... აბა რა პირით შეხვდეს ხაიშურას, გზაში ძმასავით რომ ეგებება, ენგურისაკენ ერთად წასასვლელად?!

დაბურულია თიმბექის მიდამოები, სადაც ყველაზე განთქმული ტყისმჭრელი დარჯელანია!.. მართლაც ბევრი ხე წამოუქცევია დარჯელანს თავის სიცოცხლეში... მისი სიცოცხლე კი, დღეებით რომ დავთვალოთ, ოცი ათასს მიაღწევს... ამდენი დღე თმაში ჭაღარას გაუჩენს კაცს, სახეზე დარბაისლობის იერს გადააკრავს, თვალთა ნაპერწკლებს სინათლის ალად გადაუქცევს... მის ღონიერ მკლავებს, დიახ, ბევრი ხე დაუცია ძირს, მაგრამ როდესაც დარჯელანმა ერთ ვეებერთელა ტოტებგაშლილ მუხას შეხედა, ნაჯახი მიწაზე დააგდო და თავი ჩაღუნა...

შედგნენ მის გვერდში მყოფი ტყისმჭრელები და დარჯელანს განცვიფრებით შეხედეს. დარჯელანმა ხელი მაღლა ასწია, ანიშნა, ამ ხეზე ნაჯახი არ აღმართოთო...

— რატომ, დარჯელან? — შეეკითხნენ.

— განა თიმბექში ცოტა ხე არის, რომ ეს არ მოვჭრათ? — უპასუხა და მუხის ძირას, გაშლილ ტოტებქვეშ, ჩრდილში ჩამოჯდა, ჩაფიქრებული, დიდხანს მდუმარედ იჯდა...

მუხის გარშემო ქვიტკირის კედლების ნანგრევები ეყარა...

შუადღე იყო, მზე აცხუნებდა, მაგრამ მაღალი მთებისა და უღრანი ტყეების ნიავიც ქროდა. შრიალებდნენ მუხის ფოთლები. ყველა სულგანაბული იყო, თითქოს ყურს უგდებდნენ, ხომ არაფერს ამბობენო ეს ფოთლები ლაღი შრიალით?!

დუმილი კლდესაც კი მოსწყინდება, დროდადრო ისიც ახმიანდება თავისი ჩამონაშალი ქვებით, ადამიანი მით უმეტეს. წამოდგა დარჯელანი და დინჯად მიმართა ტყისმჭრელებს:

— წყურვილი მოვიკლათ და საქმეს მივუბრუნდეთ! — ცდილობდა მშვიდი ყოფილიყო, მხიარული და უდარდელი. ნელა მივიდა წყაროსთან, იქვე მუხასთან ახლოს რომ მოწანწკარებდა. წამოდგნენ ახალგაზრდა ტყისმჭრელებიც და ორ დანარჩენ წყაროსთან მივიდნენ, იქვე ერთმანეთის გვერდით რომ მოჩუხჩუხებდნენ.

ვის არ გაახარებს წყარო, ვის არ მოჰგვრის ღიმილს სახეზე? იღიმებოდა დარჯელანიც. მერე მოწყვიტა ბუერას ფოთოლი, ფართო, გაშლილი. დაახვია, ჯამივით დაამრგვალა, შეუშვირა ნაკადს და აავსო, ერთ მათგანს მიაწოდა.

— თქვენ მიირთვით, უფროსი ხართ! — თავაზიანი უარი უთხრა მან.

— წყალი უმცროსს ეკუთვნის პირველად. უფროსს ღვინოს უთმობენ! — მიუგო ღიმილით დარჯელანმა.

დაალევინა ჯერ ერთს, მერე მეორეს, ბოლოს თვითონ შესვა.

გული გაიგრილეს.

ეუცნაურათ ტყისმჭრელებს სამი წყარო ერთმანეთის გვერდით და ჰკითხეს დარჯელანს.

— რამ წარმოშვა ასე ერთად ეს სამი წყარო, დარჯელან?

— სიყვარულმა! — უპასუხა მან ფიქრში გართულმა.

ტყისმჭრელები ახალგაზრდები იყვნენ და სიყვარულზე საუბარი არასოდეს არ მოსწყინდებოდათ. ისე მიაცქერდნენ დარჯელანს, თითქოს ემუდარებოდნენ — გვიამბე ამ სიყვარულის ამბავიო.

— სიყვარული ხომ კაცთა უხილავი განძია! — წამოიწყო დარჯელანმა, — სიყვარული ხომ ყოველ ადამიანს უღვივის გულში, ვინც არ უნდა იყოს ის, მიწის მუშა თუ ჩვენებური ტყისმჭრელი, ხუროთ თუ კალატოზი, მეცნიერი, მეომარი თუ მენავე? სიყვარული ხომ არ იყიდება, რომ ღარიბმა ვერ. შეძლოს მისი შეძენა?.. სიყვარულის წართმევა ხომ არ შეიძლება, რა გინდ დიდი სპა მიასიო შეყვარებულს! სიყვარული ხომ ლაღი გრძნობაა, ყოველი ადამიანის გულში მოსალოდნელი? და აი, მდიდრებმა და დიდებულებმა ერთ დროს ადამიანს ყველაფერი წაართვეს—ცა და მიწა, მთა და ბარი, ზღვა და მდინარე, ტყე და ველი, მაგრამ ეს გრძნობა ვერ გამოსტაცეს, ვერ გაძარცვეს ადამიანის გული და სიყვარულით ანთებული ხალხი მუდმივ ბრძოლაში უძლეველი დარჩა...

ახალგაზრდები აღტაცებით უსმენდნენ, გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდხეხ, რადგან გული სწორედ სიყვარულით უთრთოდათ.

ახლა დარჯელანი?!

აქ, ამ მთებში, დაბურულ ტყეთა მახლობლად, ოცი ათასი ღამე რომ გაუთენებია, ოცი ათასჯერ მზეს რომ შეგებებია, მუხას რომ გავს გაშლილი მხარ-ბეჭით, მთლად შეცვლილიყო... ისიც უხილავი, შინაგანი ცეცხლით იწვოდა...

— ცხოვრობდა სოფლად ჭაბუკი მონადირე, აღნაგობით სწორუპოვარი, ვაჟკაცური მოხდენილობის, მარჯვე, ფეხმარდი, შეუდრეკელი და შეუმკრთალი... ჯიხვთა ნატერფლებს კვალში მისდევდა, ნაპრალებზე ფეხი არ აუცდებოდა, უჭრიდა თვალი, მისი ხასროლი ტყვია ფეხზე არ ტოვებდა ნადირს.

მთაში ხმა გავარდა: დარჯელანი (მასაც დარჯელანი ერქვა) დიდებულებზე დიდებულია!.. ნატრობდნენ მის ნახვას. იხიბლებოდნენ ქალწულები, თუ ერთხელ მაინც შეასწრებდნენ თვალს მის მზისფერ სახეს, ღამისფერ თმას და სვანეთის თეთრი კლდეების თოვლივით ქათქათა კბილებს... ცხოვრობდა დარჯელანი ლაღად და უშფოთველად. სიყვარული დიდხანს არ სტუმრებია მას, მაგრამ, როცა ესტუმრა, საამურ ბადეში გაახვია.

თუ კი დედამიწის ზურგზე წარმტაცი ქალწული მოიძებნებოდა, ეს აგუნა იყო, მთის ბატონის ასული. ათასჯერ დავიფიცებ, რომ სწორედ ასე ფიქრობდა დარჯელანი...

ბოროტი იყო მთის ბატონი, ავი, უგულო... თავის ყმებს ისე ჩაგრავდა, სისხლიდან წვეთ-წვეთადაც რომ დაცლილიყვნენ, ეს მისთვის მხოლოდ გართობა იქნებოდა. ბატონის სასახლეს მაღალი გალავანი ერტყა, კოშკებიდან პირქუშად იცქირებოდა სათოფურები, მძიმე ურდულები ჰქონდა გაყრილი მის ყველა ჭიშკარს.

„რა საბაბით მისულიყო სასახლეში, რომ ერთხელ მაინც ენახა მთის ბატონის წარმტაცი ასული?“ — დიდხანს ფიქრობდა დარჯელანი ამაზე და გადაწყვიტა ნანადირევი მიერთმია ბატონისათვის, რომ ეხილა ოცნებაში ნანატრი.

ღვინობისთვეში—ირმების ყვირილობის დროს, როდესაც ხარირმები ფურირმებს უხმობენ, სანადიროდ გავიდა დარჯელანი. დიდხანს იარა, დიდხანს ეძება. ყურს უგდებდა ფოთლების შრიალს, ტოტების ხმაურს, ჩანჩქერების ჩხრიალს, ბალახის თრთოლვას და ბოლოს შემოესმა ხარირმის ყვირილი, რომელსაც კლდეები გამოძახილს აძლევდნენ და ხეობა გუგუნით იმეორებდა.

ესროლა დარჯელანმა და მაშინვე დასცა ხარირემი თორმეტნაყარი რქიანი, ლამაზი, თვალის მომტაცი. როდესაც დარჯელანმა ირემთან მიირბინა, შენიშნა რომ ირემი ტიროდა, სდიოდა ცრემლი. ცხარე ცრემლი იქნებოდა უსათუოდ, გამოხედვაზე ეტყობოდა.

დარჯელანმა ზურგზე მოიგდო ნანადირევი და ხევ-ხევ წაიღო. მიადგა სასახლის კარს. ძღვენი მომაქვსო, გაუღეს გალავნის დიდი ჭიშკარი, მორიდებულად შედგა ფეხი ეზოში. ირემი ძირს დააგდო და წელში გაიმართა. გაიხედა

პირდაპირ, სადაც უსურვაზისა და სუროს ფოთლებით დაბურული კარავი იდგა. ფოთლებსა და ყვავილებში გამოჩნდა ბატონის ასული — აგუნა. დარჯელანი დაიბნა. აგუნას თვალებიც ყვავილები ეგონა, ცისფერი, ჟუჟუნა. მისი ორი ბაგე ვარდის ფურცლებს მიამსგავსა, ნაზსა და მთრთოლვარეს, ჩამოშლილი თმები მზის სხივებად მოეჩვენა — ოქროსფერი ბზინვარება გადაჰკროდა, ბრწყინავდა კიდეც. როდესაც ამ ვარდის ფურცლებმა ხმა გაიღეს, დარჯელანმა ისიც გაიფიქრა, რომ ამ ყვავილებში ბულბულის წკრიალა ხმა გაისმაო.

წაბარბაცდა დარჯელანი და უსათუოდ დაეცემოდა, რომ მოკლული ირმის რქებს არ ჩასჭიდებოდა. კარგა ხანს გაბრუებული იდგა. თვალთაგან ბინდი რომ მოსცილდა, თავის ახლოს, პირისპირ, აგუნა დაინახა. დარჯელანს ახლა სწორედ ის თვალები შესცქეროდნენ თანაგრძნობით, წელან ყვავილები რომ ეგონა, იმ ბაგეთა თრთოლვა იხილა, ვარდის ფურცლებად რომ მოეჩვენა.

სამდურავი ჩაესმა ყურში:

— რად მოჰკალი მთების მშვენება?

— რომ შენ მენახე! — უპასუხა.

დარჯელანი დაჭრილივით გრძნობდა თავს, ძლივს იდგა ფეხზე. რას იფიქრებდა, თუ აგუნაც ასევე დაიჭრებოდა?!

აი, გამოჩნდა ბოროტი ბატონი. ის ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა. „რომელმა წუნკალმა შემობედა ჩემს სასახლეში?“ — ფიქრობდა ბრაზით. ის მუდამ შუბლშეჭმუხვნილი იყო, მხიარულების დროსაც კი სახეზე ნაოჭები არ უქრებოდა.

ქალ-ვაჟმა ერთმანეთს თვალი აარიდა.

— უმშვენიერესი ნადირი მოგართვით, ბატონო! — შეჰბედა სიტყვა დარჯელანმა.

ახედ-დახედა ბოროტმა ბატონმა, უკმეხად დააცქერდა.

— ჩემი მთის განძი შენ გაგიძარცვავს. ჩემს ტყეებში ირემი შენ ამოგიწყვეტია! — უყვირა.

ოხვრა აღმოხდა აგუნას. დახედა ბატონმა თავისი ასულის სიყვარულით სავსე თვალებს. დარჯელანსაც ხელახლა შეხედა. აშკარად იგრძნო, რომ ორივეს ერთნაირი ცეცხლი წაჰკიდებოდა. განრისხდა, ჩემი ასულის სიყვარული როგორ გაბედაო. დარჯელანი კი ისეთი ნათელი სახით გამოიყურებოდა, როგორც ეს გულის ზეიმმა იცის. გაშმაგდა ბოროტი ბატონი, მაგრამ როგორ შესძლებდა სიყვარულის სინათლის ჩაქრობას დარჯელანის გულში?!

— აბა, ვინ არის მანდ, შეიპყარით ავაზაკი! — ბრძანა და მზერა მსახურებზე გადაიტანა.

შეიპყრეს. ხუნდები დაადეს.

დაბურულ ტყეში, მიუვალ ადგილას, სადაც მონადირე თუ გაივლიდა მხოლოდ, ბოროტმა ბატონმა კოშკი ააშენებინა და დარჯელანი შიგ ჩაამწყვდია.

მზის სხივები ვერ აღწევდნენ ამ კოშკის შიგნით, ადამიანის ხმა არ გადიოდა ქვითკირის სქელსა და დახშულ კედლებში... ყრავინ ხედავდა დარჯე-

ლანის ტანჯვას, არავის ესმოდა მისი გულის ხმა. მხოლოდ ჩუმად მიდიოდნენ კოშკთან დარჯელანის დედა, დარჯელანის და, ბატონის ასული აგუნა, სხდებოდნენ ისინი ამ კოშკის ირგვლივ და მდუღარე ცრემლით ტიროდნენ.

გადიოდა თვეები, გადიოდა წლები. შორეული ხევების წყალთა ყრუ დუდუნი ეხმაურებოდა ცრემლების უჩუმარ ხმას.

დედაშვილური სიყვარულით, დური სიყვარულით, ტრფობით ანთებული გულის სიყვარულით დაღვრილი ცრემლები კი ქვითკირის კედლებს ძირს უთხრიდნენ. კოშკის ქვები ვეღარ უძლებდნენ ცრემლის ძალას და ლღვებოდა ბოროტების ძეგლი. ამბობენ, ეს სამი წყარო დედის, დისა, და სატრფოს ცრემლების დაუშრეტელი ნაკადიაო, "სიყვარულისგან წარმოშობილი!..

და მერე, კოშკის შიგნით, იქ სადაც დარჯელანი დაიღუპა, მუხის ნერგი აღმოცენებულა. გაზრდილა ეს ნერგი, ღრმად გაუდგამს ფესვები მიწაში, გამართულა, დამსხვილებულა და მის შეუჩერებელ ძალას დაუნგრევია ბოროტების კოშკის ქვიტკირის კედლები.

აქ დარჯელანმა მუხას ახედა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— შეხედეთ, რა ამაყად აღმართულა ეს მუხა, ამ ქვიტკირის ნანგრევებსაც დახედეთ, როგორ ყრია ამ მუხის ძირას!.. იმაზეც ათასჯერ დავიფიცებ, რომ სიყვარულიც ისეთივე სიკეთით სავსე უშრეტი ნაკადულია, როგორც ეს წყაროები! — მერე ყმაწვილკაცურად, როგორც დარჯელანს თავისი ცხოვრების გარიჟრაჟზე სჩვეოდა, გადახედა ახალგაზრდა ტყისმჭრელებს და შეეკითხა:

— მოვჭრათ ეს მუხა?..

ახალგაზრდა ტყისმჭრელები დარჯელანს ახლა უკვე განცვიფრებით შესცქეროდნენ, უკვირდათ, ამას როგორღა გვეკითხებიო და დუმდნენ.

— განა თიმბექის მიდამოებში ცოტა ხე არის, რომ ეს არ მოვჭრათ? — თვითონვე დაუმატა დარჯელანმა, — დაე, იცოცხლოს ამ მუხამ, თქვენმა შვილიშვილებმაც გაიგონ, რომ ერთ დროს ადამიანებს სიყვარულისთვის სიკვდილით სჯიდნენ!..

ნანა გვარიშვილი

აჭარელო დიდო დედავ

აჭარელო დიდო დედავ,
ნისლში მანდილს ვხედავ,
შენ იხსენი ბულბულთ სტვენა —
ტკბილი დედა ენა.

სანუკვარი მოიპარე
და აკვანში მალე,
მე შენს ქართულ კაბა ჭათიბს,
დედავ, ვეთაყვანე.

იავნანა ჩაგეფინა
ჩვილთა არტახებში,
დარდმა თეთრი ჩაგისირმა
აბრეშუმის თმებში.

შენს დარწეულ აკვნებიდან
მოდის ჩემი ლექსი,
მთების იქით,
ნისლის იქით,
შენი ნანა მესმის.

ლორჯომის გზაზე

თავზე თეთრი ჩაბალახით,
ჩაფიქრებულ მზერით,
შუბლმაღალი მთა დამდგარა,
ჩაუშვია გზები.

მთების მწვერვალს ვაპყრობ თვალებს,
ღრუბლის კარავს ვხედავ,
ხევში ფოთლებს აშრიალებს
ტყე ჭადრების ხეთა.

ბილიკები გარბის წყებად,
გოგოს ველი გზაზე,
ყაყაჩოსაც შეშურდება
ლოყის სილამაზე.

გვირილები დამიკოცნოს
მისი თმების ქარმა,
დე ღიმილის კონა მტყორცნოს
თაფლისფერმა თვალმა.

მო, შემომხვდი, რარიგ მალხენ
და მახარებ, ქალავ!
სამასი წლის ნანატრ სახეს
არვის დაუმალავ.

სალამო ზღვაზე

ააჟღარუნებს ტალებს ეჟვნებად,
მსუბუქი, ცელქი, ნაზი ნიავი,
ზღვის ზედაპირზე ნელა ეშვება
ახანძრებული ღრუბლების ნავი.

ზღვას ბინდი ფარავს, დროა ოცნების,
ვამხელ სინანულს — ჩემთან არა ხარ,
მე ზაფხული ვარ მწვანე ფოთლებით,
თუმც შემოდგომად მაქცევ ხანდახან.

ქსენია მუავია

გ ზ ა შ ი

ამ გზაზე ბევრჯერ ვიყავი წინათ,
მივლია ყმაწვილს თუ პაწაწინას,
თვალი მრჩებოდა ამ მთების ზემოთ,
მიალერსებდა სიო ფრთანაზი,
მაგრამ არასდროს, აჭარავ ჩემო,
არ მჩვენებიხარ ასე ლამაზი.

აქ ყვავილების სუნთქვასაც ვისმენ,
ვეჩურჩულები მწვანე ჯეჯილებს,
ვხედავ, სართული სართულებს მისდევს,
ვხედავ შენობებს ცასმიბჯენილებს,
როგორც მრავალჯერ, ისე ამჯერაც
ვთქვი: — დაილოცა ხალხის მარჯვენა!

გავხედე კორდებს, მზე დაფენოდათ,
თითქოს სიკეთის თესლი ეთესოთ,
ყოველ ნაბიჯზე გული მღეროდა:
დიდებულია, საუკეთესო!
იგრძნეს ხეებმა, იგრძნო ბალახმაც,
სამშობლოვ, ტკბილო, კარგი რამა ხარ!

მე ამ ვარდების ეშხი დამფარავს,
მათ უსიმღეროდ გვერდს ვერ ჩავუვლი,
ნატვრის თვალივით ბაღში ჩამჯდარა
მწვანე კონცხი და მახინჯაური.
ნიავის სუნთქვა ურღვევს სიჩუმეს
ნაძვებს პალმებთან ძმადშეფიცულებს.

მაინც სხვა არის ზღვა მტრედისფერი
და მთები ნისლის ზღვაში მცურავი,
ზღვა წმინდა, ჩემი ფიქრივით ვრცელი,
ოცნებასავით დაუწურავი:

ზღვაო, ნუ მიწყენ ამ შედარებას,
ნუ აგაღელვებს შურისძიება,
ისე დამათრო შენმა ტალღებმა,
თავდავიწყებაც მეპატიება...
მაინც სხვა არის ზღვა დიდებული
და მთები ცასთან შეჭიდებული.

...თითქოს ხეებიც გრძნობით მიწვევენ,
ხმა მშობლიური მიხმობს ალერსით,
საცაა მღერად გადავიქცევი,
დამეხურება ცა უნაზესი,
ჩემი ურეკი, ჩემი წყალწმინდა,
ჩემი გურია მყავდეს მასპინძლად!..

ო, მეგობარო, ჩემთან არ იყავ,
მაგრამ დარდებმა როდი დამთოვეს.
მე მაინც ვგრძნობდი, ვერვინ გაგვრიყავს,
მე მაინც ვგრძნობდი ჩვენს სიახლოვეს.

როგორც სიმაგრე, როგორც ბორკილი,
წინ შენი სახე გადამეღობა, —
მე სიხარულად ესეც მეყოფა,
ვარ ბედნიერი და კმაყოფილი;
ქარს გავატანე ფიქრი პირქუში
და სიყვარული დავლოცე გულში...

მარად ცოცხალი

„დე, ჩემი შვილის სისხლმა სამსახური გაუწიოს ყველა ხალხის, მათ შორის ჩვენი ხალხის მშვიდობას და ბედნიერებას. იგი იბრძოდა და სიცოცხლე გასწირა მშვიდობისათვის“.
ნ. ბელოიანისის დედის წერილიდან

ცამ მწუხრის კალთა თავზე დამხურა,
გარს მევლებიან შავი ღრუბლები;
ტანჯვით შევყურებ საყვარელ სურათს,
შენს მაგიერად ვესაუბრები.

თითქოს თვალები მიცქერენ კრძალვით,
თითქოს ღიმილიც შეგრჩა უცვლელი,
ვიბრუნე პირი, წამერთო ძალი
და მოგონებებს ვერ გავუძელი.

ნუთუ დახარე ფრთები არწივმა,
შემოგიღამდა ცხოვრების გზაზე,
ნუთუ გამჩენმა ისე გამწირა,
შავი ხელების სამსხვერპლოდ გზარდე?

— დედი! — მომმართავს სურათი დინჯად,—
ბრძოლით მივლია ეს გზა ცხოვრების,
ქვეყნისთვის მოვკვდე მე არად მიჩანს,
თუ ხალხს, სამშობლოს ვემახსოვრები.

და თუმცა ჩვენში ცეცხლი გუგუნებს,
სისხლით უძღები ისევ ბატონობს,
არა ვარ მარტოდ და ნურც მიგულვებ
უჭირისუფლოდ და უპატრონოდ.

მე ამ ქვეყნიდან რაღა გამრიყავს!
ცა უკვდავების შხეფებს მასხურებს,
იმდენი ძმა და მეგობარი მყავს,
ვინ მომერევა და ჩამაჩუმებს?

მე ვიცი, დიდხანს ვემახსოვრები
ძმობის, მშვიდობის ჰანგზე მღერალთა.
დავეცი? არა ჩემი ცხოვრება
დღეს შეიფურცლა და აფერადდა!..

და თუმც მანძილი დიდი გვაცილებს,
მაინც ახლოა და მაინც გხედავ,
კრემლის ვარსკვლავებს რომ უცქერ დედავ,
ის მოგაგონებს ჩემს სიყმაწვილეს...

— შვილო, ვაჟკაცის სახელს რაღა ჯობს,
მტერთა შემტევის და პირდაპირის,
შენ ჩვენი ხალხის სინდისს დარაჯობ,
ჩემთან რა უნდა მოთქმას და ტირილს?

და თვალიც ცრემლმა აღარ დანამა,
გულში სიტკიცე ვიგრძენ უძლევი,
მსოფლიოს თვალწინ დგახარ თამამად,
მარად ცოცხალი და ფერუცვლელი.

გამოთხოვება

ლ. ტოლსტოის

— მშვიდობით! — თქვი და თითქოს იარა
მორჩა, გამრთელდა გული ჯვარცმული,—
მე გავჩენილვარ ადამიანად,
მიტომ ცხოვრებაც მინდა კაცური.

მე ტირანებთან არ მსურს დარჩენა,
სულ სხვა მხარეში მინდა ნავარდი,
სად სათნოებას აუდგამს ენა
და სიყვარული ღვიძის მარადი.

მოვკვდე, სიცოცხლე არ მეშურება,
მხოლოდ ქვეყანა ვნახო მზიანი,
სადაც წმინდაა თვითონ ბუნება
და უცოდველი — ადამიანი.

მეგონა სულ სხვა ხვედრი მელოდა,
ვხედავ, ლოდინში დრო ფუჭად მიდის...
ძმობას სიმტკიცეს და გულწრფელობას
ეძებდი, მაგრამ სად იპოვიდი?

ოცნებებს მიჰყევ ტკბილს და მშვენიერს,
თუმც გრიგალებმა მწარედ გარწიეს,
ყველა სიბნელე მოიგერიე
და თვით სიკვდილიც უკუაქცე...

დღეს, როგორც მუხა, დგახარ მხრებგაშლით,
მოძმეთა გულში გაგიდგამს ფესვი,
და სამშვიდობო მოწოდებაში
შენი მქუხარე გულისხმაც გვესმის.

გიორგი სალუქვაძე

წვიმა

დარის უეცრივ აჭდარით შეცვლა —
ბათუმელი ხარ — არ გაგაკვირვებს,
დაგიშენს წვიმას უღრუბლო ზეცა
და გიშრის თმაში ვარსკვლავს გაგირევს.

სანაპიროზე ერთად ჩავიართ,
ამ საღამოსაც წვიმას აპირებს;
ახლა შავი ზღვა მართლაც შავია
და როგორც მუდამ ებრძვის ნაპირებს.

მიტომ ვარ ასე განაყუჩები,
რომ აღარ ვიცი რას შეგადარო.
რა მოკლე არის ჩვენი ქუჩები!
მინდა დილამდე ასე გატარო.

წვიმამ მოაგნო ვარდის ლოყასაც.
ელვა მოუძღვის ღრუბლებს მომხვდურებს
და დიდოსტატის ყალმით მოხაზავს
შენი სახის და ხეთა კონტურებს.

დავშორდით, თუმც ეს არც ერთს არ გვსურდა,
მალე შეხვედრა დამრჩა იმედად,
მე წვიმის წვეთის ბედი შემშურდა,
შენს წამწამებზე რომ ციმციმებდა.

შენი სიმღერა

შენი სიმღერა სიამით მავსებს,
ყელს მოიღერებ, ხმანარნარი ხარ,
შენ რომ პირველად შემოგხვდა გზაზე
რატომ სხვა იყო და მე არ ვიყავ!..

მე მარად შენზე ვოცნებობ მხოლოდ,
ლექსებს წამწამთა ჩრდილი ანაზებს
და ჩემს სიცოცხლეს არა აქვს ბოლო,
რადგან შენ ცხოვრობ ამ ქვეყანაზე.

გულში შენს სახეს ვინ ამოშლიდა,
გული ხომ ისევ ოცი წლის არი.
ზოგჯერ, წარბებს რომ რისხვით მოშვილდავ,
კვლავ უკეთესი ხარ მოისარი.

შენი სიმღერა სიამით მავსებს,
ყელს მოიღერებ, ხმანარნარი ხარ...
შენ რომ პირველად შემოგხვდა გზაზე
რატომ სხვა იყო და მე არ ვიყავ!..

თ ო ვ ლ ი

თოვლი და თუმცა არა პირველი,
მაინც ლამაზი და მაინც წმინდა,
მოფარფატე და გასაკვირველი,
ყოველი ფიფქის დაკოცნა მინდა.

ამ თოვლს მაგონებ, ამ ფიფქს მაგონებ,
ახლა რომ ჩუმად გაცვივა თმაზე,
ხელს მიწვდი, როგორც ბავშვი გამგონე
და შენს ბავშვობას ვცნობილობ ხმაზე.

დრო გავა... თოვლში გამოვალთ გარეთ,
შავი წამწამი დაგეფიფქება
და მაინც თოვლის ფიფქს შეგადარებ,
თუმცა პირველი აღარ იქნება.

რად ხარ ავადა...

გულის ცახცახით შენს მოსვლას ველი,
მგონია თითქოს არ მოხვალ დროზე.
მომელანდება ნარნარა წელი
და წყვილი თვალი მოასპიროზე.

მზემ დაგამწიფა, დაგათავთუხა,
გულშიც ყოველდღე სხივი მატულობს,
შენით ვსულდგმულობ, გოგოვ შავტუხა,
წამოსაფრენად ფრთაშემართულო.

მოხვალ და მკითხავ, რად ხარ ავადო.
მარტო ამ სამი სიტყვით ვმძლავრდები.
შუბლზე რომ ერთხელ ხელი დამადო,
ათას სიკვდილსაც გავუმკლავდები.

არ დავიჯერებ

ამანთებს შენი ნახვის სურვილი,
თვალი შენს ხილვას რად შეეთვისა?
გახსოვს აპრილის თვე მიწურული
და მობრძანება ვარდობისთვისა?

მას შემდეგ შენთან შეხვედრას ველი,
ასე სანატრელს და ტკბილწუთიანს...
მგონია ხუთი გავიდა წელი,
თუმც ჯერ მაისის მხოლოდ ხუთია.

წელს სად მიარხევ ვაზის ლერწვით?
ხმას სად აღერებ ჯადოსნურ სიმად?
მოდი, მოგელის ლექსის ჯეჯილი,
როგორც მაისის ყუყუნა წვიმას.

რა საამური ვარდი სურნელობს!
ოქროსყვავილა ხარობს მიმოზა...
ვიდრე არ გნახავ, ტკბილსასურველო,
არ დავიჯერებ მაისის მოსვლას.

იყო საღამო

აქედანა და შენამდი
ზღვა არის ფაფარაყრილი.
მეც ამ ზღვასავით ვღელავდი,
იყო საღამო... აპრილი...

ეს მოგონება ფრთებია,
გულში აყღერებს მზის სიმებს,
ზღვა ლაჟვარდს შეერთებია,
შენი თვალივით ციმციმებს.

ამანთებს ყმაწვილკაცურად
შენი ღიმილის ნაშუქი, —
გავკრავ მხარულს და გავცურავ
თავფარავნელი ჭაბუკი.

განა რა გამიჭირდება,
მოვაღწევ ზღვის ნაპირამდე.
ვეღარ დამჯაბნოს ზვირთებმა,
სანამ ეგ სახე მინათებს.

ზღვა რაზომც უნდა ღელავდეს,
მაინც მოვაღწევ შენამდე,
ლურჯთვალა, თეთრო აპრილო,
ვარდი გასხია ყელამდე.

ვარსკვლავის სხივი

ს. შჩიპაჩევიდან

მწუხრის ვარსკვლავის ვუცქერი ციგლიგს.
წყნარი საღამო ეწვია სივრცეს.
ჩაფიქრებულან ბაღები ირგვლივ,
მეც უნებლიეთ მოწყენა ვიგრძენ.

შორი ვარსკვლავი მკრთალად ანათებს,
კამკამა სხივი ეწვია ოთახს, —
ეს ორმოც ათას წელს ისწრაფვოდა,
რომ მოეღწია ჩემს ფანჯარამდე.

შენ კი... სადა ხარ, აყოვნებ ამდენს!
არ მესმის შენი ფეხის ხმა ჩქარი!
განა შორი გზა არის ჩემამდე? —
ერთი საათის სავალი არის.

Ე. აბრამიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

1654 წელი დაუვიწყარი თარიღია უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში. ამ წელს, იანვარში, ქ. პერეიასლავის რადაზე საქვეყნოდ გამოცხადდა უკრაინის შეერთება რუსეთის სახელმწიფოსთან და ამით განხორციელდა უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მისწრაფება. რუსეთთან შეერთებით უკრაინელმა ხალხმა იხსნა თავი ლიტველი ფეოდალების, პოლონელი შლიახტებისა და სულთნის თურქეთის მიერ დამონების საფრთხისაგან და სავსებით უზრუნველყო თავისი ეროვნული განვითარების დიდი შესაძლებლობანი. ფიზიკური განადგურების საფრთხე უკვე აღარ იდგა მრავალტანჯული უკრაინელი ხალხის წინაშე.

ახლა, 300 წლის შემდეგ, რუს და უკრაინელ ხალხთან ერთად ამ დიდ თარიღს დღესასწაულობს სსრ კავშირის ყველა ხალხი, მათ შორის ქართველი ხალხიც.

ქართველი ხალხის ისტორია ძლიერ ენათესავება უკრაინელი ხალხის ისტორიას. მოძალადე მტრებისაგან შეწუხებული და აოხრებული საქართველო თავისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მიზნით ხელს მუდამ დიდი რუსეთისაკენ იწვდიდა. უკრაინელი ხალხის მაგალითმა ქართველი ხალხი კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ მის მიერ არჩეული გეზი სწორი იყო და 150-ზე მეტი წლის წინათ რუსეთს სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი.

ქართველი ხალხის გულწრფელი და ძლიერი სიყვარული დიდი რუსი ხალხისადმი შესანიშნავად გამოთქვა დიდმა ქართველმა მწერალმა აკაკი წერეთელმა:

„როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვენ, რუსები, მოგიპატიჟეთ, ჩვენ, შვილებს, ანდერძად დაგვიტოვეს: გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით!“ ხოლო როდესაც 1913 წელს რუსმა ხალხმა აკაკი წერეთელს გულთბილი შეხვედრა მოუწყო მოსკოვში, მხცოვანმა პოეტმა განაცხადა: „ასე მგონია ჩემს მშობელ საქართველოში ვიმყოფებოდე—ქუთაისში, ან საჩხერეში. ჩვენ გვიყვარს მოსკოვი, როგორც საკუთარი დედა, ყოველთვის ვისწრაფოდით მისკენ, ვცხოვრობდით მისი ინტერესებით, ვხარობდით მისი სიხარულით, ვწუხდით მისი მწუხარებით... ჩვენ გვიყვარს ახალგაზრდა რუსეთი!..“

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში რუსმა და უკრაინელმა ხალხებმა მშობლი-

ური სიყვარულით მიიღეს დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. ამ სიყვარულს ქართველმა პოეტმა უპასუხა იმით, რომ იარაღით ხელში თავგანწირვით იბრძოდა რუსეთის მტრების წინააღმდეგ, რუსი და უკრაინელი ხალხების ძლიერების განმტკიცებისათვის. ამავე დროს დ. გურამიშვილმა თავის პოეზიაში ასახა რუსეთისა და უკრაინის სინამდვილე.

უკრაინელებმა არა მარტო გულთბილი მასპინძლობა გაუწიეს ქართველ „ყარიბ" პოეტს, არამედ საბჭოთა უკრაინის მწერლებმა და მკვლევარებმა დიდი ღვაწლი დასდეს ქართულ ლიტერატურას იმით, რომ არაერთი ფრიადმნიშვნელოვანი, გურამიშვილის ბიოგრაფიის მანამდე უცნობი საკითხი გაარკვიეს.

1937 წელს თბილისში შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე, უკრაინელმა მწერლებმა ჩამოიტანეს პირველი უცნობი დოკუმენტები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა დაგვედგინა დ. გურამიშვილის საცხოვრებელი ადგილი უკრაინაში, მამის სახელი, ოჯახური გარემოება და ქონებრივი მდგომარეობა. ეს იყო ,ფასდაუდებელი საჩუქარი. ამავე სხდომაზე უკრაინელმა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა:

„ჩვენ ვიცით აგრეთვე სახელი საქართველოს მეორე პოეტისაც—ეს არის დავით გურამიშვილი, რომელიც ცხოვრობდა და გარდაიცვალა უკრაინის მიწაზე. უკრაინის საბჭოთა მწერლები შეუდგნენ გურამიშვილის უკრაინაში ცხოვრების შესახებ მასალების ძებნას. დავით გურამიშვილი მარტოკა აღარ არის—მისი სიმღერები უკვე ცნობილია, მის სიმღერებს თარგმნიან, მის სახელს ადიდებენ".

საქართველოდან დაბრუნების შემდეგ უკრაინელმა მწერლებმა კვლავ განაგრძეს დ. გურამიშვილის ბიოგრაფიის კვლევა. მათი გულმოდგინე მუშაობის შედეგად დადგენილ იქნა დავით გურამიშვილის გარდაცვალების წელი, თვე და რიცხვი, მათვე მიაკვლიეს ქართველი პოეტის საფლავს.

1948 წელს დ. გურამიშვილის საფლავზე მოეწყო დიდი მიტინგი. ამ დღეს უკრაინას ეწვია საქართველოს დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ შალვა დადიანი, ალექსანდრე ბარამიძე და ლევან ასათიანი. დელეგაციამთან ჩაიტანა დაფნის გვირგვინი და ოთხი მუჭა მიწა, რომელიც აიღეს ქართველი კლასიკოსების — ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან. დაუვიწყარი იყო ის წუთები, როცა მხცოვანმა მწერალმა შალვა დადიანმა მუხლი მოიდრიკა დ. გურამიშვილის საფლავზე, ხოლო საქართველოს დანარჩენი ორი დელეგატი მოწიწებით აყრიდა სამარეს მთაწმინდის მიწას.

იმავე წელს მირგოროდის ერთ-ერთ ქუჩას და შვიდწლიან სკოლას მიენიჭა დ. გურამიშვილის სახელი, ხოლო ზუბოვკის სრულ საშუალო სკოლაზე გააკეთეს მემორიალური დაფა.

1949 წლის პირველ აგვისტოს დ. გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ მიტინგზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები. ამჟამად ქართველი პოეტის საფლავს უკვე ამშვენებდა უკრაინელი მოქანდაკის რაჟბას მიერ თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი, უკ-

რაინული ლაბრადორის შავ ობელისკში ჩასმული დ. გურამიშვილის ძეგლი.

მიტინგზე გამოვიდნენ და ქართველი ხალხისადმი სიყვარულით გამთბარი ლექსები წაიკითხეს ცნობილმა უკრაინელმა პოეტებმა პავლო ტიჩინამ და მიკოლა ბაჟანმა.

ისევე, როგორც უკრაინასთან დ. გურამიშვილის სახელი, საქართველოსთან მჭიდროდ არის დაკავშირებული უკრაინელი კლასიკოსის ლესია უკრაინკას სახელი, რომელიც აგრეთვე უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

ქართველი ხალხი ამაყობს იმით, რომ გამოჩენილმა უკრაინელმა პოეტმა ლესია უკრაინკამ თავისი შინაარსიანი ცხოვრების ნაწილი საქართველოში გაატარა. საქართველოს შესახებ ლ. უკრაინკა ამბობდა:

„რა საინტერესო, რა საუცხოო მხარეა საქართველო! რა სიმამაცე და გმირობა უნდა ჰქონოდა ერთ მუჭა ხალხს, რომ გადარჩენოდა ამდენ საშინელ ქარტეხილსა და უბედურებას. მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი!“

ლესია უკრაინკას ჯერ კიდევ თავის სამშობლო მხარეში გარკვეული წარმოდგენა ჰქონია საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ. კიევში მყოფი ქართველი სტუდენტების საშუალებით იგი გასცნობია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელსაც პოეტ ქალზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ჯერ კიდევ კიევში ყოფნის დროს ლესია კარგად იცნობდა ქართველ სტუდენტს შიო ჩიტაძეს—შემდეგ გამოჩენილ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს.

ძვლის ჭლექით დაავადებულ პოეტ ქალს ხშირად უხდებოდა მოგზაურობა თბილ ქვეყნებში. 1903 წ. იგი სამკურნალოდ ეწვია თბილისს. ამ წლიდან მოკიდებული უკრაინკა სისტემატურად ჩამოდიოდა საქართველოში. იგი ცხოვრობდა თბილისში, თელავში, ხონში, ქუთაისში და სურამში.

საქართველოში მთელი თავისი სიძლიერით გაიშალა უკრაინელი პოეტი ქალის შემოქმედებითი ნიჭი. თბილისში დაწერა მან ცნობილი დრამა „შემოდგომის ზღაპარი“, ხოლო ხონსა და ქუთაისში ყოფნის დროს „ტყის სიმღერა“ და „ქვის ბატონი“. ამ ნაწარმოებებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლესია უკრაინკას მხატვრულ მემკვიდრეობაში.

1908 წელს ლესია უკრაინკა იყო თელავში, სადაც მისი მეუღლე კვ. ტკა მომრიგებელ მოსამართლედ გადაიყვანეს, შემდეგ კი ქუთაისში ცხოვრობდა. ამრიგად, უკრაინელი პოეტის ქართველ ნაცნობ-მეგობართა წრე თანდათან ფართოვდებოდა. აქ დაუხლოვდა იგი ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს და ლიტერატორს სილოვან ხუნდაძეს, რომელიც ლესია უკრაინკას ქართულ ენას ასწავლიდა.

ქუთაისში ყოფნის დროს უკრაინკას ავადმყოფობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო.

ლოგინად ჩავარდნილი ლესია უკრაინკა ქუთაისიდან ჩაიყვანეს სურამში, სადაც მალე გარდაიცვალა. ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ ღრმა მწუხარებითა და პატივისცემით მიაბარა ქართულ მიწას უკრაინელი ხალხის საყვარელი მგოსნის ცხედარი. ქართული გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ასე

აუწყებდა ქართველ საზოგადოებას ლესია უკრაინკას გარდაცვალებას: „უკრაინამ უკანასკნელ ხანებში ბევრი თვალსაჩინო მუშაკი დაჰკარგა. დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა უნიჭიერესი თანამედროვე უკრაინელი ბელეტრისტი მ. კოცუბინსკი. ეხლა კიდევ მოსტაცა სიკვდილმა უკრაინას ერთი საუკეთესო შვილთაგანი, უკრაინაში ცნობილი მგოსანი ქალი ლესია უკრაინკა (უკრაინელი), რომელიც 19 ივლისს დ. სურამში გარდაიცვალა. ასეთი ფსევდონიმით წერდა ლარისა კოსაჩევა, ასული ოლღა კოსაჩევისა, რომელიც აგრეთვე ცნობილი ქალი იყო „ოლენა პჩილნას“ სახელით“.

ლესია უკრაინკას ხსოვნას მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წმიდად ინახავს ქართველი ხალხიც. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მისი თითქმის ყველა თხზულება უკვე თარგმნეს ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა.

1952 წლის 3 აგვისტოს სურამში გაიხსნა გამოჩენილი უკრაინელი კლასიკოსის ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქვე გაიხსნა მისი ძეგლი და ბიბლიოთეკა.

ლესია უკრაინკას სახელობის ბიბლიოთეკაში სრულად არის წარმოდგენილი პოეტი ქალის ნაწერები უკრაინულ, რუსულ და ქართულ ენებზე.

ორი მოძმე ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ იქცა აგრეთვე დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოსა და ქართველი ხალხის სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის მეგობრობა.

ტარას შევჩენკოს საქართველოში ადრიდანვე იცნობდნენ. ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ლომოური, დავით კლდიაშვილი და სხვ. გატაცებით ეწაფებოდნენ ტარას შევჩენკოს პატრიოტულ თხზულებებს. აკაკი წერეთელი პირადად იცნობდა უკრაინის დიდ კობზარს და სიყვარულით იგონებდა მასთან შეხვედრას.

„ტარას შევჩენკო,—გადმოგვცემს აკაკი წერეთელი, — მე ვნახე მხოლოდ ერთხელ ჩემს სიცოცხლეში—რუსული ისტორიის პროფესორ ნ. ი. კოსტომაროვის ბინაზე... ჩვენი საუბარი გაგრძელდა ღამის 3 საათამდე. ჩვენ გავშორდით როგორც მეგობრები და პირობა დავდევით, რომ უფრო ხშირად შევხვედროდით ერთმანეთს. მაგრამ ვაი, რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღირსა განხორციელება. მას შემდეგ მე აღარ მომცემია შემთხვევა მასთან შეხვედრისა.

მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ვაღიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხი!“

აკაკი წერეთელთან საუბრის დროს ტ. შევჩენკოს გამოუთქვამს სურვილი—ღრმად შეესწავლა ქართული ლიტერატურა, დაახლოებოდა ქართველ ხალხს, რომლის ისტორია მას თავის საყვარელ სამშობლო უკრაინას აგონებდა. სამწუხაროდ, ტარას შევჩენკოს ამ სურვილის განხორციელება აღარ დასცალდა. აკაკი წერეთელთან შეხვედრის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა.

1911 წლის 15 აპრილს თბილისში, სახალხო სახლში გაიმართა შევჩენკოსადმი მიძღვნილი საღამო. ზეიმში აკაკი წერეთელიც მონაწილეობდა. უკრაი-

ნელი და ქართველი ხალხი დიდი ოვაციით შეხვდა მხცოვანი ქართველი მგოსნის გამოსვლას, რომელიც პირადად იცნობდა უკრაინელ მწერალს. აუდიტორია ფეხზე ამდგარი ისმენდა აკაკის სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით გამთბარ სიტყვას. აკაკიმ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

„გიყვარდეთ თქვენი სამშობლო და დედა ენა ისე, როგორც განსვენებულ შევჩენკოს უყვარდა, რადგან მისი ხსოვნისათვის ეს საუკეთესო ჯილდო და ხელთუქმნელი ძეგლი იქნებაო“.

სიტყვის დამთავრების შემდეგ, როგორც პოეტი იოსებ გრიშაშვილი გადმოგვცემს, მოხუცი აკაკი მიუახლოვდა სცენის შუაგულში დადგმულ შევჩენკოს ბიუსტს, მუხლი მოიყარა მის წინაშე და ჭაღარა თავი დახარა. ამ სურათმა ენით აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა. მჭუხარე ტაში აზანზარებდა მთელ დარბაზს.

თავის მხრივ უკრაინელი ხალხი დიდად აფასებდა აკაკი წერეთელს.

1895 წელს უკრაინელმა და ქართველმა სტუდენტებმა აკაკი წერეთელი მიიწვიეს ხარკოვში, სადაც ქართველ მგოსანს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, ხოლო 1908 წელს, როდესაც აკაკი წერეთელს ბაქოში მცხოვრებმა ქართველებმა საიუბილეო საღამო გაუმართეს, უკრაინის წარმომადგენლებმა აკაკის ტარას შევჩენკოს ძვირფასად მორთული სურათი უსახსოვრეს.

აკაკი წერეთლის გარდაცვალება ქართველ ხალხთან ერთად უკრაინელმა ხალხმაც მწვავედ განიცადა. უკრაინის მოსწავლე ახალგაზრდობამ საქართველოში ასეთი დეპეშა გამოგზავნა:

„ზარბაზნების გრიალი ვერ დაჰფარავს უკრაინელთა ღრმა მწუხარებას თქვენი ეროვნული დანაკლისის გამო. წერეთელი და შევჩენკო პირადად იყვნენ დაახლოებულნი. და ეს ორი ძვირფასი სახელი ცოცხალი სიმბოლოა ჩვენთა იმედთა, მოლოდინთა და სურვილთა“.

უკრაინელ ახალგაზრდათა ესოდენ მგრძნობიარე დეპეშა მთელი უკრაინელი ხალხის გულისთქმას გამოხატავდა.

ტარას შევჩენკოს ნაწარმოებები ფართოდ გავრცელდა საქართველოში. ცნობილმა ქართველმა მწერალმა ნიკო ლომოურმა საფუძველი ჩაუყარა დიდი კობზარის ლექსებისა და პოემების თარგმნას. ტარას შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით 1911 წელს შევჩენკოს ლექსები თარგმნეს ნ. ლომოურმა, მ. გურიელმა, ს. ხუნდაძემ, დ. თომაშვილმა, ს. შანშიაშვილმა, იასამანმა, გ. ქუჩიშვილმა, ს. ფაშალიშვილმა და სხვ. ამავე წელს გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის, იპ. ვართაგავას, ლ. ბოცვაძისა და სხვ. კრიტიკული წერილები. მათ შორის ყველაზე საყურადღებო იაკობ გოგებაშვილის წერილია, რომელშიც ცნობილი პედაგოგი თანამემამულეებს ურჩევდა გაემდიდრებინათ ქართული ლიტერატურა ტარას შევჩენკოს თხზულებათა თარგმანებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ტარას შევჩენკოს შემოქმედებისადმი. საბჭოთა ქართველი პოეტები დიდი სიყვარულითა და გატაცებით თარგმნიან ტარას შევჩენკოს უკვდავ თხზულებებს. ქართველმა საბჭოთა კომპოზიტორებმა დ. არაყიშვილმა და ი. გოკიელმა კი დაწერეს მუსიკალური პიესები შევჩენკოს ნაწარმოებთა ტექსტებზე.

უკრაინელ და ქართველ ხალხებს შორის ძველითგანვე დამყარებული დიადი მეგობრობა სულ უფრო მჭიდრო და ურღვევი ხდება. მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყანა დიდი რუსი ხალხის მეთაურობით მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

ზოთა ძურაძე

დიადი მეგობრობა

რუსეთთან უკრაინის შეერთება უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იყო არა მარტო უკრაინელი და რუსი ხალხების, არამედ მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორიაშიც. ამიტომ რუსეთთან უკრაინის შეერთების სამასი წლისთავი როგორც რუსი და უკრაინელი ხალხების, ისე სსრ კავშირის უკლებლივ ყველა ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულია.

ისევე როგორც უკრაინელმა ხალხმა, ქართველმა ხალხმაც თავისი ნებით და სურვილით გასული საუკუნის დამდეგს სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი და მომავალი დიდ რუს ხალხს, რომელშიც მან ჰპოვა ის ერთგული მეგობარი და საიმედო მოკავშირე, რომელსაც ამაოდ ეძებდა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

ქართველი ხალხის მოწინავე, საუკეთესო მოღვაწეები მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდეს დადებით მნიშვნელობას და რუსეთის ჭეშმარიტად ფასდაუდებელ პროგრესულ როლს საქართველოს განვითარებაში. მათგან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ცნობილი ქართველი მწერალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე საქართველოში ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძემ სპეციალური წერილი მიუძღვნა საქართველოში რუსეთის ჯარის პირველად შემოსვლის ასი წლისთავს, რომელიც 1899 წლის მიწურულს შესრულდა და რუსეთთან საქართველოს შეერთების მაუწყებელი იყო. ამ სტატიაში („ასი წლის წინათ") ილია ჭავჭავაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება ისტორიული აუცილებლობა იყო, რომ იგი თვით ცხოვრებამ, საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ვითარებამ განაპირობა. ხანგრძლივი და განუწყვეტელი ომების შედეგად, რომლებსაც ქართველ ხალხს თავს ახვევდნენ ირანელი და თურქი ფეოდალები, საქართველო ეკონომიურად დაუძლურდა და ცალკეულ სამთავროებად და სამეფოებად დაქუცმაცდა. ხალხი იტანჯებოდა, ერთი მხრივ, საშინელი ექსპლოატაციისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევისა და რბევისაგან. ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით გამოყოფს ამ უკანასკნელ მომენტს, იმ ფაქტს, რომ ცალკე ოსმალეთი (დღევანდელი თურქეთი) და ცალკე სპარსეთი (დღევანდელი ირანი) ცდილობდა ფეხი მოეკიდებინა საქართველოში და არ დაეშვა რუსეთის ბატონობა საქართველოზე. „ერთსაც და მეორესაც, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ჰსურდათ საქართველო, თუ ხმლით არა, მფარველობის სახით მაინც ხელთ ეგდოთ, თა-

ვისი საკუთარი ჯარები შიგ ჩაეყენებინათ და მით მაგრა მოეკიდნათ აქ ფეხი“ (ტ. V, გვ. 224, 1927 წ.).

ამრიგად, საქართველო აღმოჩნდა ისტორიული აუცილებლობის წინაშე. მას უთუოდ, გარდუვალად უნდა გაეკეთებინა არჩევანი: ან ოსმალეთი, ან სპარსეთი, ან რუსეთი. ქართველმა ხალხმა უყოყმანოდ გადაწყვიტა თავისი ბედი და მომავალი სამუდამოდ დაეკავშირებინა დაწინაურებული და ერთმორწმუნე რუსეთისათვის. სხვა სტატიაში ილია ჭავჭავაძე ამის გამო წერდა: „ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო და თავი შეაფარა დიდი რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაჰნებდა და მეგობართაკენ პირი ქნა და გული მიიბრუნა“ (თხზ., ტ. II, გვ. 479, 1941 წ.). ქართველი ხალხის ეს გადაწყვეტილება ილია ჭავჭავაძეს სავსებით სწორად და სამართლიანად მიაჩნდა. თუ ეს ნაბიჯი არა, ქართველ ხალხს გარდუვალად ემუქრებოდა არა მარტო სრული ეკონომიური კატასტროფა და კულტურული გადაგვარება, არამედ ფიზიკური განადგურებაც კი. საქართველო, წერდა ილია ჭავჭავაძე, „კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ... თავისის ვინაობის გადასარჩენად“ (თხზ., ტ. V, გვ. 235, 1927 წ.).

ამიტომ იყო, რომ იმ მრავალი სიკეთიდან, რომლებიც ქართველ ხალხს მოუტანა რუსეთთან საქართველოს შეერთებამ, ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით აღნიშნავდა მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრებას, გარეშე მტრების განუწყვეტელი შემოსევისა და რბევის შეწყვეტას. რუსის ჯარის შემოსვლის დღიდან, „ამ ღირსსახსოვარ დღიდამ, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება“... (იქვე, გვ. 234-235).

ეს იყო უდიდესი, ფასდაუდებელი სიკეთე, რადგან არაფერი ისე არ ესაჭიროებოდა მაშინ ქართველ ხალხს, როგორც მშვიდობიანობა. მშვიდობიანი ცხოვრება იყო ქვეყნის ეკონომიური მოღონიერების, კულტურული წინსვლის, ქართველი ხალხის განახლებული ცხოვრების აუცილებელი პირობა. რუსეთის საქართველოში დამკვიდრებამ კი სწორედ ეს პირობა შექმნა. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ რუსის ჯარის შემოსვლა თბილისში მიიჩნია ახალი ხანის დასაწყისად ქართველი ხალხის ისტორიაში, ახალი ხანისა, რომელსაც უწოდა „ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა“. იგი კმაყოფილებით წერდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთებით „დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში“... (იქვე, გვ. 235).

ქართველმა ხალხმა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ რუს ხალხს შეეძლო დაეცვა მისი პატიოსნება და ღირსება, მხოლოდ რუს ხალხთან მეგობრობა მისცემდა შესაძლებლობას ეცხოვრა მშვიდობიანი ცხოვრებით, გადაერჩინა

თავისი ვინაობა, განევითარებინა სულიერი ძალები და ქვეყნის ეკონომიკა. სავსებით სამართლიანად წერდა ამის გამო ილია ჭავჭავაძე, რომ ქართველი ხალხი რუსის ჯარს მიეგება „ვითარცა ქვეყნის მხსნელსა, მშვიდობიანობისა და მოსვენების მომავლინებელსა“ (იქვე, გვ. 233). უსაზღვრო ნდობა და ღრმა სიყვარული დიდი რუსი ხალხისადმი ქართველმა ხალხმა გამოხატა ნამდვილი სახალხო ზეიმით, რითაც იგი შეხვდა რუსის ჯარის შემოსვლას თბილისში 1799 წელს. ილია ჭავჭავაძე გადმოგვცემს: „ტფილისი დიდის ყოფით მოიკაზმა და მოირთო ჯარის დასახვედრად და მისაღებად. ჯარს მოელოდნენ ტფილისში 26 ნოემბერს. მთელი ქალაქი აიშალა და გარეთუბანს და ვერაზედ გავიდა და აქ ელოდებოდა ჯარის მოსვლას... ქალაქის ბანები მოიჭედა დიდითა და პატარითა, ქალითა და კაცითა, და მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯარსა... ბოლოს მოვიდა ჯარიცა. მეფე გიორგი თითონ წამოუძღვა წინ და შემოიყვანა ტფილისში. სიხარულის ყიჟინა ხალხისა, ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ერთს დიდს ყოფას და ამბავს წარმოადგენდა“. (იქვე, გვ. 232-233).

რუსის ჯარის დაბინავება თბილისში არსებითად მოასწავებდა რუსეთთან საქართველოს შეერთებას. მართალია, ეს ჯარი ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ საქართველოს მტრებმა უკვე იცოდნენ, რომ ამიერიდან მათ აღარ შეეძლოთ ურისკოდ, დაუსჯელად დასხმოდნენ თავს პატარა საქართველოს, რამდენადაც საქმე ექნებოდათ არა მარტო ქართველ ხალხთან, არამედ, რაც მთავარია, დიდ რუს ხალხთანაც. რომელმაც ნებაყოფლობით იკისრა მამაცი, მაგრამ მცირერიცხოვანი ქართველი ხალხის მფარველობა, მისი ღირსებისა და პატიოსნების დაცვა. ეს სიხარულითა და ნუგეშით, ქვეყნის განახლების იმედით აღავსებდა ყველა ქართველი პატრიოტის გულს და მთელი ერი დღესასწაულობდა რუსის ჯარის შემოსვლას საქართველოში. „მეფის კარიდამ დაწყებული, — გადმოგვცემს ილია ჭავჭავაძე, — უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თვისი სახატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე. გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივარად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას“ (იქვე. გვ. 234).

ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართველი ხალხის ეს დიდი ზეიმი, მისი გადაწყვეტილება რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ ნაკარნახევი იყო გულწრფელი გრძნობებით, რომ ქართველი ხალხი გულწრფელად მიენდო რუსეთს და სურდა რუს ხალხთან ერთად გაეყო ჭირი და ლხინი, მასთან ერთად ებრძოლა უკეთესი ცხოვრებისა და ხალხის ბედნიერებისათვის. ქართველი ხალხი, წერდა ილია ჭავჭავაძე, „გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთა შესხმული“ (იქვე, გვ. 235).

ილია ჭავჭავაძე დაუნდობლად ამხელდა ყველას, ვისაც სურდა შეღლი

ჩამოეგდო რუს და ქართველ ხალხებს შორის, აგრეთვე რუს და ყველა სხვა არარუს ხალხებს შორის. ილია ჭავჭავაძეს დიდი რუსეთისაგან განდგომის წადილი ყველაზე მძიმე დანაშაულად მიაჩნდა და განაცხადა, რომ ქართველ ხალხს არასოდეს არ უცდია და არც შეეცდება განუდგეს რუსეთს, ისევე როგორც ამას არ ცდილობს არცერთი სხვა არარუსი ხალხი. იგი სიამაყით აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ქართველი ხალხი მუდამ რუს ხალხთან ერთად იყო ბრძოლაშიც, ჭირშიც და ლხინშიც. „ქართული დროშა, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გადაუცია; გაჭირების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მისი წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არა-ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“ (ტ. IX, გვ. 9).

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ილია ჭავჭავაძის წერილები დედა საქართველოსთან აჭარისა და სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეების შემოერთებასთან დაკავშირებით. ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანებით წერდა, რომ 1878 წელი ჩვენთვის „ფრიად ღირსსახსოვარიაო“, რადგან მან „ერთი დიდი სიკეთე შეგვძინაო“, კერძოდ, ის, რომ „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო,— დღეს ჩვენ შემოგვიერთდა, და... ჩვენთან იქნება კიდეც სამუდამოდ“... (ტ. VI, გვ. 18-19, 1927 წ.). ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ილია ჭავჭავაძე გააოცა ხმებმა, რომელიც გაზეთმა „გოლოსმა“ დაბეჭდა, თითქოს აჭარლები აყრას ფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლებასო. ეს ხმები, რა თქმა უნდა, მართალი არ იყო. საქართველოს ახლად შემომტკიცებული კუთხეების ძირითად მოსახლეობას არასოდეს არ უფიქრია რუსეთსა და საქართველოს ჩამოშორებოდა. ამ ხმების მიზეზად ილია ჭავჭავაძემ მეფის მოხელეთა აღვირახსნილი თარეში მიიჩნია. მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო, იგი მაინც გაუმართლებლად სთვლიდა რუსეთის მფარველობისაგან გასვლას და ოსმალეთში გადასვლას. „თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, — წერდა გულისტკივილით ილია ჭავჭავაძე, — საკვირველი რამ იქნება“. „ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში?“ (იქვე, გვ. 37).

მაშასადამე, დიდი ქართველი მწერალი იმის მომხრე იყო და იმ აზრზე იდგა, რომ საქართველო არ უნდა გამოთიშოდა რუსეთს, რომ საქართველოს მარად რუსეთთან ერთად უნდა ევლო პროგრესის გზით. ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე მთელი ქართველი ხალხის გულისთქმასა და მტკიცე გადაწყვეტილებას გამოთქვამდა. ვერავინ, ვერავითარმა ძალამ წარსულში ვერ შეძლო შეერყია და ძირი გამოეთხარა ჩვენი ქვეყნის არარუსი ხალხების მეგობრობისათვის დიდ რუს ხალხთან და ვერავინ, ვერავითარი ძალა ამას ვერ შეძლებს ვერც მომავალში.

ილია ჭავჭავაძე მხურვალედ მიესალმებოდა რუსი და ქართველი ხალხე-

ბის შემდგომი დაახლოების, მათი მეგობრობის განმტკიცების. ყოველ ცდა და იღწვოდა ეროვნული საკითხის — რუსეთის ამ „ერთი უდიდესი საპოლიტიკო საგნის“ სწორი, გონივრული გადაწყვეტისათვის. „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, — წერდა იგი, — საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრებენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან“ (თხზ., ტ. VI, გვ. 105, 1927 წ.). ცალკეულ ეროვნებათა სპეციფიკური ინტერესებისადმი უპატივცემულობისა და ამ ინტერესების უგულებელყოფის პოლიტიკა, რასაც მეფის მთავრობა ახორციელებდა, ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა ისეთ პოლიტიკად, რომელიც ხელს კი არ უწყობდა სხვადასხვა ხალხების ურთიერთგაგებას, მათი მეგობრობის განმტკიცებას, არამედ, პირიქით, თიშავდა მათ. ამიტომ ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა გამორკვეულიყო „თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“ (იქვე, გვ. 106). ამ საკითხის გადაუწყვეტლადო, შენიშნავდა დიდი ქართველი მწერალი, რუსეთის წინსვლას შეფერხება ემუქრებაო. ამას მოითხოვსო „არამც თუ მარტო ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესიცა“ (იქვე, გვ. 106), რამდენადაც „სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატება“, ილია ჭავჭავაძის სწორი შენიშვნით, შეიძლება აიგოს სხვადასხვა ერების „საერთო სიყვარულზე“ (იქვე, გვ. 107).

ამ „საერთო სიყვარულის“ განმტკიცებისათვის, ქართველი და საერთოდ რუსეთის ყველა ხალხის სპეციფიკური ეროვნული ინტერესების დაცვისათვის თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში ილია ჭავჭავაძე საიმედო მოკავშირეს, ბოლომდე ერთგულ მეგობარსა და ხელმძღვანელს მუდამ ხედავდა დიდ რუს ხალხში მისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით. იგი დიდი კმაყოფილებით წერდა, რომ ცალკეული ერების უფლებათა პატივისცემის მოთხოვნა, ის აზრი, რომ თვითეული „ეროვნობის უფლებას სახელმწიფოში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, თავისი ცალკე მოედანი უნდა ეჭიროს“ „თანდათან ფეხს იდგამს და ფრთასა ჰშლის თითონ რუსეთშიაც, ამას გვიმტკიცებს თითონ რუსეთის ლიტერატურაცა“ (იქვე, გვ. 108). ილია ჭავჭავაძე კარგად ხედავდა, რომ ეს აზრი ლიტერატურაში თვითონ ცხოვრებიდან შევიდა, რუსი ხალხის გულიდან ამოდიოდა და სწრაფად ვრცელდებოდა. ამიტომ წერდა ილია ჭავჭავაძე: „არამც თუ მარტო ლიტერატურაში, არამედ ლიტერატურის გარეთაც, საზოგადოებაში ისმის ეგევე ხმა და ვრცელდება ეგევე აზრი რუსეთის უკეთესნი წარმომადგენელთა მეოხებით“ (იქვე, გვ. 108). რუსეთის ეს „უკეთესთა წარმომადგენელნი“, როგორც ილია ჭავჭავაძე მადლიერების გრძნობით აღნიშნავდა, აღარ სჯერდებოდნენ „ეროვნობის საქმის“ შესახებ მსჯელობას, ამ საგნის განხილვას და პირდაპირ აყენებდნენ მას გადასაწყვეტად მთავრობის წინაშე. „ამ სახით, ეროვნობის საქმე რუსეთში,— წერდა — იგი, — ეხლა იმ მორიგ საგნად გახდა, რომელსაც. რუსეთის დაწი-

ნაურებული საზოგადოება, თავისის მწერლების და მოღვაწეების შემწეობით, წინ უყენებს მთავრობასა განაჩენის დასადგენად ეროვნობის სასარგებლოდ“ (იქვე, გვ. 109).

საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულების მისაღებ საფუძვლად ილია ჭავჭავაძე სთვლიდა იმ მოსაზრებას, რომელიც ერთ-ერთმა რუსმა მწერალმა გამოთქვა 1881 წელს „რუსსკაია რეჩის“ ნოემბრის ნომერში. ამ სტატიაში, როგორც ილია ჭავჭავაძე წერს, ნათქვამი იყო: „ჩვენ, რუსებმა, არ უნდა დავივიწყოთ თავის-დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ... ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით მოპოვებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა — იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოველისფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში — რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაპოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ეროვნობა ერთნაირად ბუნებრივია და ერთნაირად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება“ (იქვე, გვ. 178-179). რუსი მწერლის ამ მოსაზრებას ილია ჭავჭავაძე მთლიანად იღებდა და მას „კაცობრივ აზრს“ უწოდებდა. მისი შენიშვნით, თუ ეს პროგრამა განხორციელდება, მაშინო საქართველო „წელში გაიმართება, ფეხს გაიმაგრებს და ფეხ-გამაგრებული თავისთვისაც გამოსადეგი იქნება და სხვისთვისაცა“. (იქვე, გვ. 179).

მაშასადამე, ილია ჭავჭავაძე რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორებას კი არ მოითხოვდა, არამედ გაბედულად ამხილებდა მეფის მთავრობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და თავდადებით იბრძოდა მის წინააღმდეგ, როგორც ისეთი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ხელს არ უწყობდა რუსი და არარუსი ხალხების დაახლოებას, მათი მეგობრობის განმტკიცებას. თავგამოდებით იცავდა რა ქართულ ენას, სკოლას, თეატრს და ა. შ., ილია ჭავჭავაძეს ამავე დროს აუცილებლად მიაჩნდა რუსული ცხოვრების, რუსული ლიტერატურისა და ენის ღრმა ცოდნა. „ჩვენ, — წერდა დიდი ქართველი მწერალი, — იმ აზრისანი ვართ, რომ რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორისავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს“... (ტ. IX, გვ. 82).

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით აღნიშნავდა

რუსული ლიტერატურის უაღრესად დიდ კეთილნაყოფიერ გავლენას ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. თერგდალეულთა თაობაო, წერდა იგი, „აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულ მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც, ისიც რუსულის შემწეობით“ (იქვე, გვ. 77). და არა მარტო თერგდალეულთა თაობა. „არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, ბუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ-მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“ (ტ. VIII, გვ. 285, 1928 წ.).

ილია ჭავჭავაძე ასევე აუცილებლად თვლიდა რუსული ენის ღრმად შესწავლას. მისი აზრით, საჭირო იყო სახალხო სკოლას ქართველი მოსწავლეებისათვის მიეცა რუსული ენის საჭირო ცოდნა და მოითხოვდა გაედიდებინათ საათების რაოდენობა რუსულ ენაში. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსული ენის შესწავლა „ჩვენცა გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონებაგახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან (ტ. VII, გვ. 229-230, 1928 წ.).

ასე დაუცხრომლად იბრძოდა ილია ჭავჭავაძე რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის. ეს მეგობრობა მას სამართლიანად მიაჩნდა ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების, მისი შეუნელებელი წინსვლის აუცილებელ პირობად.

მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ გაიგო, რომ ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრა შეეძლო მხოლოდ მუშათა კლასს, რომელიც სულ უფრო აძლიერებდა ბრძოლას რუსეთის ყველა ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. ამ ბრძოლას სათავეში ედგა სახელოვანი რუსი ხალხი, უპირველეს ყოვლისა, რუსი მუშათა კლასი, რომელმაც დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და შექმნა სსრ კავშირის ყველა ხალხის ერთიანი ძმური ოჯახი, გამოსჭედა ყველა ხალხის ლენინურ-სტალინური მეგობრობა.

ცხოვრებამ ცხადყო, რომ ქართველი ხალხის გადაწყვეტილება — საშუდამოდ დაეკავშირებინა თავისი ბედი და მომავალი დიდი რუსი ხალხისათვის იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს გადაქცევა ჩვენი დიადი სამშობლოს ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად. ახლა ქართველი ხალხი თანასწორუფლებიანი წევრია ხალხთა ძმური ოჯახისა, რომელსაც დიდი რუსი ხალხი მეთაურობს, და სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

ჯემალ ჯაყელი

გზა მშვიდობისა, ჩაის რიგებო!

აჭარის მთიან რაიონებში მკვიდრდება ქართული ჩაი

მტრედებმა უკვე შეკრეს კამარა,
გზა მშვიდობისა, ჩაის რიგებო!
შემოეხვიეთ ბექობს ქამარად,
რომ ჩემი მიწის მადლი იგემოთ.

და ეს სიტურფე ზეცამ არეკლოს,
მწვანე მწკრივები — ჩაის ლარებით.
რომ ამ მიდამოს ეშხი არ ეკლოს,
ამღერებულან თვალმაყვალები.

ამღერებულა მთა და ბუნება,
ქართული ჩაი მთებში მკვიდრდება,
მზე სხივწარმტაცი ესალმუნება
ახალ სიუხვეს, ახალ დიდებას.

ინასკვებიან ჯანსაღ ძარღვებად,
ფესვში ჩაყვება სითბო, ალერსი.
ომახიანი გადაძახება
ისმის რიგებში უმხურვალესი.

ჩაი მკვიდრდება სურნელით სავსე,
გამრჯე მარჯვენით მადლდანაპკური,
ლაღად შრიალებს ქართული ვაზიც, —
მიწის ჩუქურთმა მამაპაპური!

პაპას ძინავს

შუადღეა,
მზეა,
ცხელა.
პაპას ჩრდილში მშვიდად ძინავს,
შაბაში აქვთ და სადილად
ძმები სხედან კაკლის ძირას.

კამათობენ,
ამ კამათის
სითბო რარიგ წარმტაცია;
საუბრად აქვთ — მიღწევები
მოიპოვა ვინ როგორი,
ორივე რგოლს რომ მიუძღვის,
ორივ კარგი ვაჟკაცია,
და ერთმანეთს ეჯიბრება
ორი ძმა და ორი რგოლი.
— მეზობლებიც დინჯად გვთვლიან,
შენ კი...

ჩუმად, პაპას ძინავს,
გაიღვიძებს, სირცხვილია...
მოიგონე ამას წინათ
თესვაშიაც არ ჩამოგრჩი
ჩემი რგოლის წევრებითა,
გამისწარი ერთი გოჯი
და დამცინი, რაა ვითომ...

უმცროსი ხარ, წლოვანებით,
თუმც მკლავმარჯვე, გამძლე, ჰო და
უფროს ძმას არ ჩამორჩესო,
პაპამ მიტომ შეგიცოდა,
დაგეხმარა იგიც, სხვამაც
და გამისწარ სათოხნელში...
ششش... ძინავს,
მოისვენოს...
აბა ვნახოთ,
გამარჯვება ვნახოთ რთველში!

პურის კალო

ნოვატორ კომბაინერს ი. ტიტვინიძეს

პურის ყანაში შეაცურა ველის ხომალდი,
ზღაპრულ ნაკვალევს დაამგვანა სვრელის განივი,
მომკა, დააწყო, აამაღლა ძნები გორამდი
და კალოზე დგას გამარჯვების ჩირაღდანივით.

ეჯიბრებოდა ჭირნახულის ხვავის ფალავნებს,
გაფშვნა, გალეწა მოწეული ოქროს თავლები,
...და გზას ულოცავს პურით სავსე ავტოქარავნებს,
— კვლავ ახალ-ახალ მშვიდობაში — ამბობს ქარელი.

ხარატი ძმები

ცნობილ ნოვატორს ჩქაროსან
ხარატს პავლე ბიკოვს

როცა ცისკარი თვალებს გაახელს,
შენ ცისკარივით მღიმარი სახით
ბორბლებს დაჰყურებ, სწრაფვით განახელს,
ზოგჯერ მზრუნველად წამწამებს დახრი.

მიაყურადებ...
გინდა გაიგო,
თუ როგორ შეძლებს ბევრის მოცემას...
შეიბმებიან ურჩი აზრები
და იბადება ერთი ოცნება:
უფრო ძალუმად და გამძაფრებით
საჭრისებს მისცე გასწრაფოსნება.

თითქოს გაიგეს ეგ ხვაშიადი
და მოუმატეს ღვედებმა ბრუნვას,
ბრწყინავს მიღწევის ძალა დიადი,
დიდდება შენი მისდამი ზრუნვა.

და იმარჯვებენ შენი აზრები,
ხორციელდება შორი ოცნება,
იკარგებიან შუბლის ხაზები
და სახეს შვენის გასხივოსნება.

ბორბლებს შეუნთებ ღიმილის სახმილს,
ნერგავ ჩქაროსნულ მეთოდს და ტემპებს
და გულმოდგინედ დაზგასთან დახრილს
გსურს ცაზე მტრედი მარადის ფრენდეს.

და გაბედული აზრების ძებნით
სამშობლოს აძლევ ათმაგ ბარაქას.
გესალმებიან ხარატი ძმები,
შენ გიხსენებენ სოფლად, ქალაქად.

იაკობ მელია

მშობელი დედა, სამშობლო დედა

ეს ორი სიტყვა გულს არ მოწყდება,
რაც უნდა შორი გზა მედოს წინა.
მშობელი დედა,
სამშობლო-დედა
დილის მზესავით ელავს და ბრწყინავს.

ეს არის ჩემი გზა და იმედი
და გულში მუდამ რა გრძნობაც ჩნდება,
ამ ორ დიდ სიტყვას შუქივით ერთვის,
მის ხიყვარულში ერთიანდება.

როცა გრიგალი ცის ლაჟვარდს ხევდა
და ველად ქროდა სიკვდილის ცელი...
მშობელი დედა,
სამშობლო-დედა
ყოველთვის იყო იმედის მგვრელი.

ეს ორი სიტყვა გულს არ მოწყდება,
რაც უნდა შორი გზა მედოს წინა...
მშობელი დედა,
სამშობლო-დედა
დილის მზესავით ელავს და ბრწყინავს.

ზღვის სანაპირო

(სურათი)

ცას აწვდილი მხრებით შესდგომია
მთები აჭარის...
მთების უბეში: ზღვა ლივლივა,
შორი ნაპირი,
ქრის ნიავქარი, თუ ნეტავი
ტალღებს დახარის.
ეშვება ნისლი — თოლიების თავშესაფარი.

შემოდგომა აჭარაში

შემოდგომა შემოვიდა და ბაზრობაც ასე უნდა,
ხულოელმა თავმომწონედ დააწვინა დახლზე გუდა.
— ღვინო არის, ჰო რა ღვინო! დალევ, გული გაგეხსნება.
ქედელმა კი გაიღიმა—რას მიქვიან სიტყვით ქება,
ვნახოთ, ჩემო მეზობელო, მუშტარი ვის დაესევა.
შუახეველმა თეთრი ცხვარი ააატარა—ჩაატარა:
— ცხვრის სიმსუქნეს დამიხედეთ ამ გაფოფრილ
მატყლს კი არა.
აი, ხილი ათასგვარი, შეისრულეთ გულის ნდომა,
დაილოცა აჭარაში მადლიანი შემოდგომა!
ზღვის ნიავმა დაუბერა, კიდევ ჰქროდეს ასე მინდა,
ერთ აჭარელ ქალაშავას თავსაფარი გაუფრინდა,
შემომხედა, ელვას ჰგავდა შუქმფინარე დილის მზისას
და ვინატრე: თანამგზავრი გავმხდარიყავ მისი გზისა.
რას არ ნახავ ამ ბაზარში, შეისრულეთ გულის ნდომა,
დაილოცა აჭარაში მადლიანი შემოდგომა!

ზღვა და ასული

საღამოვდება...
ზღვა მშვიდია, თითქოს არ იძვრის
და მის ტალღებში გახვეული მზე თვალებს ლუღლავს...
ზღვის ნაპირზე კი ზის ასული, ტალღების ციმციმს
უერთებს ცქერას, თან სურათი ჩაუკრავს გულთან.

ყველა ნაპირი მოვუსინჯე ამ ზღვას ოცნებით,
გაძნელდა მაინც ო, რატომღაც სიტყვის დაწყება...
არა, არ მინდა მე დარღვევა ამ მყუდროების,
არა და რა ვქნა? ზღვა დამშვიდდა, გული არ ცხრება.

თავი ასწია, მომანათა თვალები ელვით.
— რამ ჩაგაფიქრათ, თქვენს ცქერაში წუხილი რად
ჩანს?
მის წინ ცოცხლდება ფრონტულ დღეთა სიმკაცრე
მთელი.

დახედავს სურათს, დაეცემა სურათზე ცრემლი...
შორს არის იგი, გულისსწორი ზღვის ფსკერზე დარჩა.

შალვა შუბლაძე

ახალ თბილისს

სად მთაწმინდის ნისლია,
მიწა — წმინდა ალაგი,
იქ ჩემი თბილისია,
ჩემი დედაქალაქი.
დგას ამაყად თბილისი:
ტყე ქარხნების მილების,
საქართველოს სინდისი,
ბუდე გმირთა გმირების.
მტკვრის და ხრამის მზის ფრქვევით
ღამეს ნათელს ასხურებ,
ძაღლა-ძაღლა იწევი,
სართულს ადგამ სართულებს.
გწყუროდა შენ,
ნატვრა წყლის
ოდიდან დაგყოლია,
მაგრამ „ზღვაზე“ თბილისის
ოცნებაც არ გქონია.
ამ ხრიოკებს გორიანს
ეს შვენება ვინ მისცა?
ნუთუ ეს იორია,
ნუთუ წყალი ივრისა!
ნაპირს ჩავალ,
როს ყველგან
ტალღებს ვხედავ ბრჭყვიალას,
ბათუმში ვარ
თუ შენთან
ვერა გამიგია რა.
ბაღში, მაღალ კვარცხლბეკზე,
ქალაქს თავს რომ დასცქერის,
დგას ბელადი ნათელ მზედ,
როგორც მისი საქმენი.
დგას უქრობი სანთელი,
ვით ლენინის გენია,
ვისი სიბრძნის ნათელი
შუბლზე გადაჰფენია.

ვის მზის ნათელ ზვირთებით
სულ კრიალებს შენი ცა.
მიხვალ, მედგრად მიჰყვები
მოსკოვის და კრემლის გზას.

სარკის წინ

გიყვარს შენი სახის ცქერა,
როცა სხვასთან არ ხარ,
როს სარკის წინ თმაგიშერა
ირემივით დგახარ.

შენზე ფიქრში მუდამ გართულს,
მსურს ვიცოდე ახლა —
ეგ ლიმილი ჩემია თუ
სხვისთვის შეგინახავს.

თვით ნუ სტკბები შენის ეშხით,
სარკის წინ ნუ დგახარ.
ჩემო კარგო, ჩემს თვალებში
უკეთესი ჩანხარ.

მაშ მომაპყარ კრძალვით, თრთოლვით
ეგ ნათელი თვალთა:
გულის სწორსაც იქ იპოვი
და საკუთარ თავსაც.

სვავი და მერცხალი

(იგავი)

ქამთა სრბოლაში მოხუცდა სვავი,
ძალა წაერთო, დაადნო ოხვრამ;
კლდის თავზე მჯდომი ჩაქინდრულ თავით
ახლა ცხოვრების სვე-ბედზე მოთქვამს:
— მოდი, მერცხალო, მომიჯექ გვერდსა,
ნუ შიშობ-მეთქი, მოდი, მერცხალო!
შენი ჭიკჭიკი ამ დილით მესმა,
მახლას, გქონია ხმა სანეტარო!

მაგრამ რად გინდა ეს დიდებული
ტკბილი ხმა შენი, ან სილამაზე,
როცა სიკვდილი, ყველასგან კრული,
გულს გვიღრღნის მარად და გვიზის ფრთაზე?
რის მაქნისია სიცოცხლე ნეტავ,
თუ შავმა მიწამ უნდა შეგვჭამოს?
რომ უიმედო მომავალს ვხედავ
დავსტირი ჩემს ბედს მე ამის გამო.
რა აჯობებდა, თქვი, მყუდროებას,
რომ მცირე ჩქამიც არ ისმის არსად?
გავსწიოთ იქით, ვიდრე ცხოვრება
თვითონ მოვა და აგვიკრავს ბარგსა.
— შენი ზრახვები — უთხრა მერცხალმა,
ბჯერა, სიკეთეს არ მიქადიან.
როცა ცხოვრება გამოგეცალა
ჩემი დაღუპვაც გულით გწადია.
შენი წარსული, თქვი, ვინ არ იცის,
ის შენს კლანჭებსაც კარგად ატყვია,
თუ რამდენ მსხვერპლის შეგისვამს სისხლი,
რამდენი ცოცხლად ჩაგიყლაპია.
ჩემი ჭიკჭიკი დილით თუ გვიან
წინათაც ეღერდა ცისკრის ზარებად,
მაგრამ როცა გულს სისხლი სწყურია,
ყურს კეთილი ხმა არ ეკარება.
უბედურების ქვეყნად მომტანი
არა ცხოვრება, არამედ შენ ხარ...
წამოკრა ფრთა და ბებრუხა სვავი
უფსკრულს ჩავარდა და ჩაიჩეხა.

* * *

ყოველ მომაკვდავს ასე სჭირს ხშირად,
უოლ-სტრიტს და მის კოლეგებს თუნდაც:
მისულთ ცხოვრების უფსკრულის პირად,
მთელი ქვეყანა დაღუპონ უნდათ.

ვალერიან კანდელაკი

ს ა რ ე ვ ე ლ ა

კომედია 3 მოქმედებად და 6 სურათად

* *

მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი

ევგრაფი — არტელ „ხეირიანი შრომის“ თავმჯდომარე
თაყა — საპნის საამქროს გამგე
კლიმენტი, კორნელი — არტელის თანამშრომლები, ევგრაფის მეგობრები
ანტიფო — წუნმდებელი
ელგუჯა სიდამონიძე — მხატვარი
ბაბულო — ანტიფოს ქალიშვილი
პელო — ანტიფოს ცოლი
რეხვიაშვილი, ჩობაძე — ანტიფოს ნათესავები
მუშა-შეგირდი
პროკურორი — იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი
პროკურორის პირადი მდივანი
მილიციის რწმუნებული

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

თავმჯდომარის კაბინეტი. ევგრაფი სამუშაო მაგიდასთან დგას და გატაცებით ბუტბუტებს — საანგარიშო მოხსენებას კითხულობს. ქაღალდები გადაშალა.

ევგრაფი — (ხმამაღლა) „ამხანაგებო! ჩემი საანგარიშო მოხსენება მოიცავს მიმდინარე პერიოდს დღევანდელ არჩევნებამდე. კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში არტელ „ხეირიან შრომას“ ერთი პატარა აგური მოაქვს. „ხეირიანი შრომის“ წლიური შემოსავალი შეადგენს ექვს მილიონს. ექვსი მილიონი — უზარმაზარი ციფრია. ამხანაგებო, ჩვენი არტელი შედგება ოთხი წამყვანი და ორი დამხმარე საამქროსაგან. „ხეირიანი შრომის“ რაზმი შეადგენს 199 კაცს და ქალს. ამაში არ შედის ხელმძღვანელი ბირთვი — არტელის გამგეობა და აპარატი... ჩვენ გვყავს ნოვატორი და სტახანოველი აფრასიონ ყრანტაველი. მას იცნობს რესპუბლიკა ჩვენი გაზეთებით და ჟურნალებით, მან მოიხვეჭა სახელი, მას მოვუხვეჭეთ დიდება, ჩვენ, გამგეობამ! „ხეირიანი შრომა“... (შემოდის კორნელი. ჩვეულებისამებრ ტაში დაუკრა). კორნელი!..

კორნელი — ბოდიში, კლუბში მეგონეთ.

ევგრაფი — აქ რად დაჩერჩეტობ?

კორნელი — რაიკომის წარმომადგენელი მოვიდაო, როგორი კაცია, მინდოდა გამეგო.

ევგრაფი — ჰოო... რომელი საათია?

კორნელი — ნახევარ საათში კრება იწყება.

ევგრაფი — დარიგება გახსოვს?

კორნელი — კრებაზე შენს მოწინააღმდეგებს შორის ჩავჯდები; დაიძახებენ— „არ არის მართალი", მე ვიყვირებ: — „მართალია!".. მოკამათეებს: „ტყუილია!.. „ფაქტები!".. შენ: „სწორი ხარ, მართალი ხარ!"

(შემოდის კლიმენტი)

ევგრაფი — შეკითხვები ხომ იცით როგორი?..

კორნელი — ვიცით.

კლიმენტი — კი.

ევგრაფი — თავი გაიკრიტიკე.

კორნელი — სიტყვა მზადა მაქვს. (ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო) თავმჯდომარის დარიგება ვერ შევისმინე-მეთქი — ვიტყვი.

ევგრაფი — (კლიმენტის) შენ?

კლიმენტი — (დაწერილ სიტყვას უჩვენებს) უნდა დამემზადებინა ექვსასი ურნა, დავამზადე ოთხას ორმოცდაათი. ქალაქს დავაკელი ას ორმოცდაათი საფურთხებელი, ჩემი უტვინობით.

ევგრაფი — სწორია! თვითკრიტიკით თუ გამოხვალთ, ყველაფერს გაპატიებენ.

კლიმენტი — კი, გაჯიქება არ ღირს.

ევგრაფი — სწორია, წადით!

კორნელი — თაყა თუ დაარიგე?

ევგრაფი — ნათესავები არ გამაკაროთ! მაგათი მიზეზით ხალხი გადავიკიდე. რამე ხეირი მაინც მქონდეს. წადით!.. შეჩერდით!.. ერთი კიდევ!.. კრების თავმჯდომარე როგორც კი მოხსენებისათვის სიტყვას მომცემს, ტაში დასცხეთ.

კლიმენტი — კი.

ევგრაფი — პირველი ტაში ჰაერს გამოცვლის, სიტუაციას შექმნის.

კორნელი — ტაში თოფივით გავარდება.

კლიმენტი — მეხივით დაგაყრით.

ევგრაფი — აბა თქვენ იცით. (კორნელი და კლიმენტი გადიან. ევგრაფი კვლავ საანგარიშო მოხსენების ტექსტს ჩაჰყურებს, პათოსით) ამხანაგებო!..

(შემოდის თაყა)

თაყა — მარტო ხარ?

ევგრაფი — თაყა, მოდი!

თაყა — თაყა თაყაევიჩ-თქვა, ისე, როგორც სხვები მეძახიან. ბოლოს და ბოლოს საამქროს გამგე ვარ.

ევგრაფი — ერთბაშად მოსკოვის საავტომობილო ქარხნის საამქროს უფროსი არ იყო. საპნის საამქროს გამგე!

თაყა — არც შენ მყავხარ „ზიმის" დირექტორი.

ევგრაფი — პარტია სწორად გვეუბნება — ნათესავებით ნუ დაანაგვიანებთ დაწესებულებასო.

თაყა — ნათესაობას უმადლე, თორემ კრიტიკის კორიანტელს დავაყენებდი.

ევგრაფი — ნათესაობა ყბაზე აკრული ღვლერჭი ნუ გგონია. ისარგებლე მომენტით — ნათესავს აკრიტიკებსო, ხალხს მოეწონება.

თაყა — მანამდე მოვკვდები... კრებას ცენტრალური აპარატის თავმჯდომარე ესწრებაო. რა მოხდა ასეთი?

ევგრაფი — გაზეთებს არ კითხულობ? მთავარია მასებთან კავშირი. ოპერატიული დახმარების მიზნით გვესწრება.

თაყა — ის მის საქმეს აკეთებს, ჩვენი არ გააფუჭოს.

ევგრაფი — მოკამათეები დამცხებენ, არტელი ნათესავებით აავსოვო.

თაყა — მოკამათეები ვინ ყოფილან, ზევიდან თუ მხარს გიჭერენ.

ევგრაფი — საკითხს კრება წყვეტს, ასე გამაფრთხილეს. ან მოვიგებ, ან წავაგებ.

თაყა — კრებაა თუ ნარდის თამაში?

ევგრაფი — დემოკრატია ხალხის ხელშია.

თაყა — რა დრო დადგა! ხალხის სიყვარული წყვეტს პიროვნების ბედიღბალს.

ევგრაფი — ასეა!.. შენ ჩემი ცოლისძმა ხარ. შენი და რომ ტკბილი ძილით განისვენებს საიმქვეყნოს, ეს მისი ბრალია.

თაყა — ვიცი!..

ევგრაფი — პირველ აბორტს გადააყოლა ლამაზი თვალები. განსვენებულის ნათესავების სიყვარულით მესამე წელია ცოლს არ ვირთავ.

თაყა — ვიცი, ჩემო ევგრაფი. შენს ამაგს როგორ გადაიხდის ჩვენი ნათესაობა, არ ვიცი სწორედ.

ევგრაფი — (სხვა ტონით) თაყა, დღეს შენ უნდა მიშველო.

თაყა — რა შემიძლია?

ევგრაფი — გამოსროლილ ტყვიაზე საფარად მჭირდები.

თაყა — საფარად?

ევგრაფი — ჩემს საანგარიშო მოხსენებაში დაგცხებ და გაგანადგურებ.

თაყა — (შეკრთება) გამანადგურებ?!.

ევგრაფი — სანამ მოკამათეები დამასწრებდნენ, მე მოგდგები ჩემებურად.

თაყა — (შეშინებული) დავიკარგები!

ევგრაფი — ორის დაკარგვას, ჯობს ერთი დაიკარგოს. ამაში ხელი შემიწყვე.

თაყა — მომსპობენ.

ევგრაფი — ნუ გეშინია, ცხოვრება რისკია.

თაყა — ომში ხომ არა ვარ?!

ევგრაფი — ხომ ხედავ, რომ მებრძვიან.

თაყა — რას დამაბრალებ?..

ევგრაფი — ყველაფერს.

თაყა — ჭკუაზე თუ ხარ?!.

ევგრაფი — (მკაცრად) აქედანვე გაფრთხილებ, კრიტიკა მიიღე. არ მიქარო, ტყუილისა და მართალის გარჩევა არ დაიწყო.

თაყა — დანაშაული რომ არ მიმიძღვის, რას დამაბრალებ?..

ევგრაფი — (ხმას უმაღლებს) კარგს არ იჯერებენ, ავი ჭეშმარიტ სიმართლედ მიაჩნიათ. ნაკლოვანების მხილება — ეს არის კრიტიკა, აბა!

თაყა — თავისი თავის გადასარჩენად ნუ მღუპავ!

ევგრაფი — მე წინსვლა მინდა!

თაყა — შენ წინსვლა და მე მოხსნა?!.

ევგრაფი — მოხერხებულად ძვალავ აქაურობას, ეს ღიპი ჩემით დაგედო.

თაყა — ღიპი რა შუაშია?!

(შემოდის ელგუჯა)

ელგუჯა — შეიძლება?

ევგრაფი — მობრძანდით!

ელგუჯა — არტელი „ხეირიანი შრომის" თავმჯდომარე ვინ ბრძანდება?

ევგრაფი — მე გახლავართ!

ელგუჯა — დიდად სასიამოვნო! მიცნობდეთ, ელგუჯა სიდამონიძე.

ევგრაფი — ევგრაფი ევგენის-ძე გენძეხაძე. (ხელს ართმევს). დაბრძანდით!

ელგუჯა — გმადლობთ! მე სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტი — დიპლომანტი ვარ. მომავლინეს თქვენთან. სადიპლომო თემად არჩეული მაქვს სურათი არტელის ცხოვრებიდან. (ქაღალდი გადასცა).

ევგრაფი — ძამიკო, სამრეწველო არტელი ჯერ არავას არ შეუქმია, მარტო ლანძღავენ.

ელგუჯა — მოგახსენებთ!..

ევგრაფი — ვერაფერსაც ვერ მეტყვი! ორი წელია აქ ვმუშაობ და უკვე კომბინატორს მეძახიან.

ელგუჯა — მე ხომ კორესპონდენტი არა ვარ.

ევგრაფი — უარესი ხარ!

ელგუჯა — უსაფუძვლო შეხედულებაა!.. მე მინდა გავფანტო დაუსაბუთებელი აზრები. არტელიც ამიტომ ავირჩიე. თქვენი არტელი ქარხნის ტიპის წარმოებაა, თქვენი თემატური გეგმა ყურადღების ღირსია. თუჯის მაღალი ბოძები, რომლებსაც თქვენ ამზადებთ ლამპიონებისათვის. ამშვენებს ჩვენს ქალაქს. თქვენი დამზადებული თუჯის ღობეები ალამაზებენ ჩვენს სკვერებს.

ევგრაფი — (თაყას) ა, კაცო, გესმის?.. (ელგუჯას) მერე, მერე...

ელგუჯა — თქვენი დამზადებული ურნები სისუფთავეს უწყობენ ხელს ქალაქში.

ევგრაფი — ა, კაცი!.. სხვებს რომ კითხოთ, წუნდებული პროდუქციაა.

ელგუჯა — წუნს, რა თქმა უნდა, უნდა ვებრძოლოთ. მე შევისწავლი თქვენი არტელის ცხოვრებას და შევქმნი ტიპიურ...

ევგრაფი — (აწყვეტინებს) ა, ხომ გითხარი, ტიპებად გამოგვიყვან.

ელგუჯა — კონკრეტულად განზრახული მაქვს მხატვრულ ტილოზე აღვბეჭდო ეპიზოდები თქვენი სახელმოხვეჭილი ზეინკლის ამხანაგ აფრასიონ ყრანტაველის ცხოვრებიდან.

ევგრაფი — თავიდან ასე ვიტყოდი. ეს ნამდვილად საქებარი საქმეა. სურათი კი არა, უფრო მეტიც! მე ბევრჯერ მიფიქრია — ჩვენს არტელს. ყრანტაველის სახელი უნდა მიენიჭოს-მეთქი.

თაყა — შვიდი ოსტატის აღმზრდელია!

ევგრაფი — ამხანაგმა ყრანტაველმა შვიდი წლით გაასწრო ცხოვრებას.

თაყა — მომავალი ხუთწლიანი გეგმა ყრანტაველს უკვე შესრულებული აქვს.

ელგუჯა — (აღტაცებული) როდის გავეცნობი მას?

ევგრაფი — დღესვე, არჩევნების შემდეგ!

ელგუჯა — შეიძლება თქვენს კრებას დავესწრო?

ევგრაფი — შეიძლება!

ელგუჯა — გმადლობთ! (ადგება). დროა არტელზე შეხედულება შეიცვალოს. ჩვენი არტელები ქარხნებს უახლოვდებიან. ტექნიკა ამის საშუალებას იძლევა. (გადის).

თაყა — თუ მიხვდი, რა თქვა იმ ყმაწვილმა? თქვენი არტელი ქარხნის ტიპისაა.

ევგრაფი — ჰო, გამოდის, ქარხნის დირექტორს მამსგავსა.

თაყა — მერე?..

ევგრაფი — მე ვიქნები დირექტორი, დიდი ქარხნის დირექტორი, უფრო მეტიც... იმ ყმაწვილის სიტყვებს თავიდან ბოლომდე შევიტანთ საანგარიშო მოხსენების შესავალში, არა, ბოლოში... (ქაღალდებს ხელი მოხვია). გესმის? მე არავინ მყავს ისეთი კაცი, რომ მხარი დამიჭიროს, ყველაფერი ჩემს მოხერხებაზეა... დაგცხებ, არ გეწყინოს! (გასასვლელად ემზადება).

(შემოდის ანტიფო)

(ანტიფოს) მსუნაგი!..

ანტიფო — მეე?..

ევგრაფი — დიახ, შენ!.. შენი ნათაღლითარი ხარისხის ინსპექტორმა აქტში ჩაწერა.

ანტიფო — თავიდან ფეხებამდე წმინდა ვარ.

ევგრაფი — თავმჯდომარის მითითებით ითაღლითე? ასეა?..

ანტიფო — (თვალთმაქცურად), ევგრაფი ევგენიჩ...

ევგრაფი — შენი ქალიშვილის ხათრი, რომ ციხეში არ გაგზავნი. ის მეცოდება... ყველაფერი გავიგე! სადაც კი ოდესმე გიმსახურია, ყველგან ინტრიგებისათვის მოგხსნეს. (გადის).

ანტიფო — რა ისმის, ხსნიან თუ ტოვებენ?

თაყა — ნეტავ სასწაული მოხდებოდეს და კრების დაწყებამდე მოხსნიდნენ.

ანტიფო — რატომ ასე?..

თაყა — ღირსია, ღირსი!

ანტიფო — გამაგებინეთ, ხსნიან თუ ტოვებენ?

თაყა — ისეა არეული, რომ მგონი მოხსნილია.

ანტიფო — (ენერგიულად) კი?.. (ქაღალდის გორგალი შარვლის ჯიბეში ჩაიდო, გულის ჯიბიდან სხვა ქაღალდები ამოიღო) ხომ არ ცდებით?..

თაყა — ყოველ შემთხვევაში განთავისუფლების პირზეა მიყვანილი,

ანტიფო — ათავისუფლებენ?.. (ქალალდები ჯიბეში ჩაიდო და ნაცვლად სხვა ამოიღო). თითონ რას ამბობს?..

თაყა — ჭკუა აღარ ეკითხება, უცოლშვილო კაცი ასე რამ გააფუჭა?! რისკი აკლია, რისკი.

ანტიფო — გული მითქვამს, მოხსნიან. შენ?

თაყა — გუშინდამ სიზმარი ვნახე, ჩემს სავარცხელს კბილი მოტყდა. ალბათ ეს არის, აძრობენ.

ანტიფო — აბა დავცხებ.

თაყა — დასცხე, ისე დასცხე, რომ მისი საანგარიშო მოხსენება არავინ დაიჯეროს.

ანტიფო — აწი მე მკითხეთ! (ქალალდები შარვლის ჯიბეში ჩაიდო, კვლავ სხვა ქალალდები ამოიღო).

თაყა — რა ქალალდებია, ჯიბეები რომ გაგიტენია?

ანტიფო — კამათში გამოვდივარ.

თაყა — (ქალალდებზე ანიშნა) ამდენს ვინ გათქმევინებს, რეგლამენტი არ გეყოფა.

ანტიფო — მესამედს ვიტყვი.

თაყა — მესამედს?..

ანტიფო — ეს... (ქალალდებზე ანიშნა), თუ ტოვებენ იმ შემთხვევაში, ქებაა. ეს... (სხვა ქალალდებზე ანიშნა). გათავისუფლების შემთხვევაში, შენიშვნებია, ისეთი რბილი, რომ უსათუოდ დაავიწყდება. თუ ხსნიან, ა, ეს! თავს მოვჭრი, კრიტიკის ნიაღვარს დავაყენებ, ყოფას ვუტირებ!

თაყა — უტირე ყოფა, უტირე, ხსნიან მაგ მამაძაღლს, ხსნიან. ჩემს წინააღმდეგ რაც რომ თქვას, ისიც გაუნიავე. მიდი, მისცხე!

ანტიფო — დამსწრე საზოგადოებას დავარწმუნებ, რომ ფხიზლად ვარ.

(სინათლე ქრება)

სურათი მეორე

სცენის იგივე განლაგება. სცენაზე არიან კორნელი და კლიმენტი. კორნელი ნახევრად წამოწოლილია, კლიმენტი ხანგამოშვებით მაგიდაზე ჯდება.

კლიმენტი — აირჩევენ?

კორნელი — ახირებული გიფიქრია.

კლიმენტი — ისე გაანიორწყალეს, რომ მგონი ხმას არავინ მისცემს.

კორნელი — სასეიროდ დაასახელეს. (იცინიან).

კლიმენტი — (ფრთხილად) წაშალე?..

კორნელი — შე კაცო, ხმის მიცემის წესი საიდუმლოა.

კლიმენტი — ვაუკაცურად მენდე.

კორნელი — დამახრჩო, დამახრჩო, შემჭამა...

კლიმენტი — ხომ წაშალე?

კორნელი — შენ?

კლიმენტი — კი... შენ?

კორნელი — შუა წელზე დავარტყი ფანქარი. (იცინიან).

კლიმენტი — ერთხმად თუ გააშავეს, მაშინ ვართ ცოდვა. გამომკლავდეს

კორნელი — გააშავონ, საყვედურს გავუძლებ.

კლიმენტი — ძმებს გვეძახდა...

კორნელი — სულ მუდამ მე ვიყო მისი ძმა? თვითონ ერთხელ მაინც გაეცინა ძმობა.

კლიმენტი — „ევგრაფი ევგენიჩის“ ძახილმა ენა მომამტვრია.

კორნელი — არტელის თავმჯდომარეობა ეთაკილებოდა, — ინატრებს.

კლიმენტი — უხეში!.. ჩემსას არც ულვაშს სცემდა პატივს და არც ჭაღარას.

კორნელი — მუტრუკს მეძახდა, ხან ვირს. აბა როგორ ეგონა, არ წამეშალა? მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადე.

კლიმენტი — ნამდვილი ტუტუცია, მისი საქმე ვერ მოუგვარებია და ვინ რა თანამდებობაზეა მოსკოვიდან ქუთაისამდე ყველა ზეპირად იცის.

კორნელი — ჰო, ჰო, გაშავებული რა სანახავი იქნება!

კლიმენტი — ნამეტანი ახალგაზრდაა... მასეთი გამოუცდელი კაცი იქ უნდა დაენიშნათ, სადაც ოთხი-ხუთი განყოფილების გამგე მაინც ზის.

კორნელი — როგორო?

კლიმენტი — დიდ აპარატში გვიან ტყობილობენ უფროსის უხეირობას, არტელში იმწამსვე შეგატყობენ, ვინ ხარ და რას წარმოადგენ. ორასი კაცი ბუზებივით ცხვირში ვეჩრებით თავმჯდომარეს, დღეში ორასი ჭკვიანური პასუხი ერთმა უნდა გასცეს. გასცემდა?

კორნელი — ვერა, ვერა!

კლიმენტი — ჰოდა, ა! სწორად წავშალეთ.

კორნელი — ბიჭო, არჩევნები დამთავრდა. (კარებში გაიხედავს).

კლიმენტი — აქედან გავიდეთ, ქუდის გამოსატანად შემოვა.

კორნელი — გაშავებულ კაცთან შეხვედრა მტრისას.

კლიმენტი — ჩემსავით საწყალი გულის პატრონი ყოფილხარ. ქათამს რომ დავკლავ, მერე მისი ცოდვით აღარა ვარ.

კორნელი — ქათამი იყოს რა გიჭირს, დათვია, დათვი.

კლიმენტი — არა უშავს, უცოლშვილო კაცია, ადვილად გადაიტანს.

(ევგრაფი შემოდის გამარჯვებულის ნაბიჯით, იღლიაში „საქმე“ გაუჩრია)

ევგრაფი — საქმე ისეა, როგორც თქვენ გინდოდათ.

კლიმენტი — როგორო?..

ევგრაფი — ამირჩიეს!

კორნელი — აბა სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა.

კლიმენტი — ჰო, შენი ჭირიმე!..

ევგრაფი — (კორნელის) რა გაღრიალებს?!.

კორნელი — გამეხარდა, გინდ მე ავერჩიეთ.

კლიმენტი — შვილებს გეფიცები, კი.

კორნელი — ჩემი წამოძახილები ხომ გესმოდა. არც სიტყვა იყო ურიგო.

კლიმენტი — ევგრაფი ევგენიჩ, გასულ ზამთარში უფროსები რომ შეშით მოამარაგე უფასოდ, იმან გიშველა!

კორნელი — შეშა რა შუაშია, ნიჭს აფასებენ.

კლიმენტი — კრიტიკა რომ მიიღე, იმან გიშველა, ხომ გეუბნებოდი, წაუწექი-მეთქი.

კორნელი — კი, გაჯიუტებას წაწოლა ჯობს, ხალხი ასეთია—დაუწვები, წამოგიგორდება.

კლიმენტი — თაყას რომ დასცხე, იმან გამახარა: ნათესავს არ ინდობსო, კრებამ გული იბრუნა.

კორნელი — ნიჭი ბოლოს გამოჩნდა. ყველა უკანონო საქმეში, რასაც მოკამათეები ჩვენ გვაბრალებდნენ, არტელის წევრები დარჩა გაბმული.

კლიმენტი — აბა! ყველა უკანონობა დადგენილებებით გაუფორმებია, „მე თქვენს დადგენილებას ვასრულებდიო", დემოკრატია ჩიხში მოამწყვდია.

კორნელი — ჭკუაა, ჭკუა!

კლიმენტი — ტვინია, ტვინი!

კორნელი — კი, შენ ოლქის აღვირი უნდა გეჭიროს ხელში.

კლიმენტი — ქალაქის მაინც.

კორნელი — რაიონის უსათუოდ. (ევგრაფიმ შეიფერა).

კლიმენტი — ამხანაგი ევგრაფი რესპუბლიკის სარეწაო კავშირს საათიანით მომართავდაო.

ევგრაფი — (ინტერესით) ვინ თქვა?

კლიმენტი — (კორნელის) შენ არ მითხარი?

კორნელი — მე კი არა, შენ მითხარი.

ევგრაფი — თქვენ ორთავეს ვინ გითხრათ?

კლიმენტი — აღარ მახსოვს, ხალხში ასე დაარხიეს...

კორნელი — (ევგრაფის) შენი ნიჭის პატრონი მთავარ პროკურორად ივარგებდა, რეხვიაშვილის მაგიერ.

კლიმენტი — კორნელი, რა სიგლახეც არ უნდა ჩაგედინა, დაჭერის შიში აღარ გექნებოდა.

კორნელი — (ევგრაფის) კაცი გინდა, კაცი! რომ გამოგიჩნდებოდეს, ჰო, რა სიმაღლეზე გაგიქნევდნენ? (იცინიან).

(შემოდის თაყა)

თაყა — ხალხნო, ეს რა მიყავით?.. (თაყას შემოსვლა ახლა შეამჩნიეს). სინდისს რა პასუხს აძლევთ?

კორნელი — შე კაცო, ვინმე უცხო დაასახელე, სინდისი ცოლივით გამიმინაურდა.

თაყა — (ევგრაფის) შენ, ყმაწვილო, ალბათ იტყვი ცოლივით მომიკვდაო.

ევგრაფი — თაყა, დამშვიდდი.

თაყა — გამაგებინეთ, რისთვის?..

კლიმენტი — მთავრობის კაცებს ხსნიან და ნიშნავენ, ქვეყანა წინ მიდის. რა მოხდა ასეთი—საამქროდან მოგხსნეს.

თაყა — რისთვის მომხსნეს, მიზეზი?

ევგრაფი — თაყაევიჩ, მსხვერპლი ხარ, მაგრამ საქმე გაკეთდა.

თაყა — შენ აგირჩიეს, ამას საქმეს ეძახი? მოხსნას რად მემართლებოდი?

ევგრაფი — კრებამ დაადგინა.

თაყა — ჩემი გინებით კრება როგორ მოხიბლე, ის უცხო კაცი როგორ დაა-ჯერე?

ევგრაფი — ასე მოხდა.

თაყა — უსინდისობაა!

კორნელი — სიმართლე თუ გითხარი, გეწყინება, არა და... ე, უსინდისობა შა-ვი ჭირი ხომ არ გგონია, ასე რო გვაშინებ.

თაყა — (კორნელის) შენ ხმა ჩაიწყვიტე!

ევგრაფი — (თაყას) წადი სახლში, დამშვიდდი, უკეთეს თანამდებობაზე მო-გაწყობ.

თაყა — (ევგრაფის) კარგი დაგმართა ანტიფომ, საკადრისად დაგამუშავა.

ევგრაფი — (მკაცრად, კორნელის და კლიმენტის) ანტიფოს დამიძახეთ, აქ მომგვარეთ ის ხლუსტი, ის!..

(კორნელი და კლიმენტი გადიან)

ევგრაფი — შენ ისე ხარ გაცეცხლებული, რომ მგონი ჩემს წინააღმდეგ ხმის მიმცემთა უმცირესობაში შენი ფანქარიც ურევია.

თაყა — ღირსეულად მოვიქეცი, ამოგჩეხე!

ევგრაფი — ბარი ბარსა ვართ. გამგეობის წევრად ყველაზე ნაკლები ხმით გავედი, მაგრამ თავმჯდომარე მაინც მე ვარ.

თაყა — ამ გზით ფონს ვერ გახვალ, საპნის ბუშტივით გასკდები.

ევგრაფი — ხმა-მეთქი!..

(შემოდის ანტიფო, შეცბუნებულია)

ანტიფო — (თაყას) ამის მეტი სინდისი თუ არ გქონდა, რაღას მეჩურჩულე-ბოდი.

ევგრაფი — (ანტიფოს მიმართ) ამ უსინდისოს დამიხედეთ!

ანტიფო — (თაყას მიათითა) ამის ბრალია. ასარჩევი კაცის წინააღმდეგ მო-სახსენი სიტყვა მათქმევინა.

ევგრაფი — (თაყას) შეთქმულებას მიწყობდი?

ანტიფო — გიწყობდა, გიწყობდა!

ევგრაფი — (ანტიფოს) ამიტომ დაეცი ქადაგად? რეგლამენტში ვერ ჩაეტია, დამატებით ხუთი წუთი მოსთხოვა კრებას.

ანტიფო — შევცდი.

თაყა — (ანტიფოს) შევარცხვინე შენი კაცობა!

ევგრაფი — (თაყას) კაცობით არც შენ ყოფილხარ დაყურსული.

თაყა — ეს მეკადრება შენგან?..

ევგრაფი — წინასწარ ხომ გაგაფრთხილე. ჩემი სიყვარულით სამსახური ვერ დათმე, ფუი!

თაყა — თურმე არ გიცნობდი, ფუი, შენს კაცობას!

(თაყა გადის)

ევგრაფი — განსვენებული ცოლის სიყვარულით, თორემ მე,

ი!

ანტიფო — (არ იცის საიდან დაიწყოს) კარგი ბიჭი ყოფილხარ...

ევგრაფი — შენ რატომ ხარ თახსირი?

ანტიფო — (სხვა ვერაფერი მოახერხა, შეუტია) მოთმინებიდან თუ გამოვედი, რაიკომის მდივანთან გიჩივლებ.

ევგრაფი — რაიკომის წინანდელი მდივანი რატომ მოხსნეს თუ ઇცი? ઇცი? სხვის საქმეში ერევიდა, ადმინისტრატორობდა. ახალმა მდივანმა ઇცის წინანდელის გაკვეთილი, აღარ ერევა! ჩემი საკითხი ამიტომ მიანდეს კრებას. დღეიდან არტელი მე ვარ!

ანტიფო — ჩემისთანა რბილი კაცი მეორე არა გყავს შტატში, როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი.

ევგრაფი — იშკილბაზი ხარ...

ანტიფო — მეე?!.

ევგრაფი — კომბინატორი!.. პროკურორს გადაგცემ. (ანტიფოს უნებურად გაეცინება).

ევგრაფი — ઇცინი კიდეც? პროკურორის ხსენება სიცილს გგვრის, არა? უტიფარო!

ანტიფო — ჩემი კომბინაცია ვინ თქვა. ეს შარვალი რეხვიაშვილმა ჩამაცვა.

ევგრაფი — (განსაკუთრებული ინტერესით) ვინ ჩამაცვაო?..

ანტიფო — რეხვიაშვილმა... ეს ფეხსაცმელი ჩობაძემ. ვიწრო დაურჩა, მე დამითმო.

ევგრაფი — (გაკვირვებული) ჩობაძის ფეხსაცმელი?!

ანტიფო — ჰო!

ევგრაფი — მაგათი წმინდა ტანსაცმელი შენს უწმინდურ ტანზე, როგორ?..

ანტიფო — რეხვიაშვილი ჩემი ცოლის მკვიდრი ძმაა, ჩობაძე — მონათლული. თქვენ ઇცნობთ?

ევგრაფი — მაგათ ვინ არ ઇცნობს!.. ალბათ მაგ ხალხით გაქვს დიდი გული.

ანტიფო — (ანტიფო ვერ გარკვეულა, მაგრამ გაოცებას მალავს, რადგან გრძნობს, რომ ეს გაუგებრობა მისთვის სასარგებლოა). დაუდეგარი ყოველთვის ვიყავი... ბავშვობას კოდმედან პირდაპირ მორევში ვხტებოდი.

ევგრაფი — ძვირფასო ანტიფო, თქვენი ხნის კაცს კულტურული მოპყრობა ეკუთვნის, მაგრამ არტელის პირობებში ერთ წამს ვერ მოიცლი ადამიანი. (ანტიფოს აკვირვებს მისი ალერსიანი კილო).

ანტიფო — აბა! მეც ავჩქარდი და კრებაზე დაგარტყი. წამაქეზეს, ახალმოსული კაცი ვარ. ვერ გავჩუმდი?

ევგრაფი — (ჩაფიქრდება, მცირე პაუზა) რა არის არტელი ჩემთვის, მე დიდი საქმეებისათვის ვარ მოწოდებული!

ანტიფო — გემჩნევა, — შენს ტყავში არა ხარ.

ევგრაფი — რატომ არ უნდა ვიყო აღმასკომის თავმჯდომარე, ან მინისტრის მოადგილე.

ანტიფო — უფრო მეტიც გეკუთვნის. შეხედულება არ გაკლია, სწავლა და სიტყვა-პასუხი.

ევგრაფი — ძვირფასო ანტიფო, ერთი გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ ვერ ვამხელ.

ანტიფო — საიდუმლოს შენახვა შემიძლია. შენი ხნის არც კი ვიქნებოდი, მაღაზიიდან პირდაპირ მოსამართლედ რომ დამსვეს.

ევგრაფი — თუმცა, სანამდე ვინახო ეს საიდუმლო?

ანტიფო — მითხარი, ვაჟკაცები არა ვართ?!

ევგრაფი — გადავწყვიტე თქვენ ჩემი მამა იყოთ.

ანტიფო — მამა?..

ევგრაფი — მეორე მამა.

ანტიფო — მეორე მამა?!

ევგრაფი — დიახ... მამა!

ანტიფო — როგორ, რა წესით?

ევგრაფი — მე თქვენი ქალიშვილის ხელს გთხოვთ.

ანტიფო — ჩემი ქალიშვილის?!

ევგრაფი — ჰო...

ანტიფო — ჩემს ქალიშვილს თქვენ იცნობთ?

ევგრაფი — არა.

ანტიფო — გინახავთ?

ევგრაფი — არა.

ანტიფო — მაშ, საიდან იცით?..

ევგრაფი — კადრების საალრიცხვო ანკეტებით ყველა ჩემი თანამშრომლის ოჯახის შემადგენლობას ვიცნობ. ერთხელ მოგაკითხა კიდეც, მითხრეს, რომ თქვენი ქალიშვილია.

ანტიფო — უხერხული საკითხია.

ევგრაფი — თუ იმით არ დამიწუნებთ თქვენ და თქვენი ნათესაობა, რომ ქვრივი ვარ...

ანტიფო — არა, მაგ მიზეზით არ დაიწუნებ, ბავშვი არ დაგრჩენია, ახალგაზრდა ხართ, მაგრამ ჩემი ქალიშვილი ჯერ მხოლოდ ცხრამეტი წლისაა, არაფერი გაეგება.

ევგრაფი — ჩვენს დედებს ამ ასაკში ბავშვები ყავდათ.

ანტიფო — სწორია, ორი და სამი ყავდათ, მაგრამ მაინც არ გამოდის...

ევგრაფი — რაო?..

ანტიფო — ვინ იცის რას იტყვიან...

ევგრაფი — თქვენი ქალიშვილი სწორედ იმ ასაკშია, როცა შვილები ძმობლებს უჯერებენ.

ანტიფო — წლოვანება რას მიქვია! ჩემი გავლენა ჩემს ოჯახში ისევე ძლიერია, როგორც თქვენი გავლენა ჩვენს არტელში, მაგრამ მაინც არ ეწყობა.

ევგრაფი — რა არ ეწყობა?

ანტიფო — სიძე-სიმამრი ერთ წარმოებაში, უხერხული საქმეა.

ევგრაფი — მე დროებით ვარ არტელში. ჩვენი გაერთიანების პრეზიდიუმის თავმჯდომარე მასთან — ცენტრალურ აპარატში მპირდება, რაიკომის მდივანი კიდევ უკეთეს საქმეზე მამიზნებს.

ანტიფო — ყველაფერი კარგი დაგემართოს, ახალგაზრდა კაცი ხარ, სულ წინ და წინ.

ევგრაფი — აქ შენ დაგტოვებ თავმჯდომარედ.

ანტიფო — (თავს იკატუნებს) ნერვიული ვარ, ხალხი ნაწყენი დამრჩება.

ევგრაფი — არა უშავს, საქმეს წყენაც ახლავს.

ანტიფო — (ეშმაკური ღიმილით) საქმეს კი არა, ხანდისხან, ეს ოხერი, ქეიფსაც ახლავს.

ევგრაფი — მე ყოველთვის დაგეხმარები ზევიდან.

ანტიფო — ცხადია, ევგრაფი ევგენიჩ.

ევგრაფი — მამის სახელით ნუ, როგორც საკუთარ შვილს, ისე...

ანტიფო — ეს შემდეგ, ევგრაფი. მგონი აჯობებდა, თქვენ რომ მოხვიდოდეთ ჩვენთან, ოჯახში.

ევგრაფი — მოსვლით, ცხადია, მოვალ, მაგრამ მანამდე ქალიშვილს ცოტრამ ჩემს შესახებ ჩააწვეთეთ.

(შემოდის ელგუჯა)

ელგუჯა — შეიძლება?

ევგრაფი — მობრძანდით!

ელგუჯა — სალამი, ბიძია ანტიფო!

ანტიფო — გაგიმარჯოს!

ელგუჯა — აქ მუშაობთ?

ანტიფო — წუნმდებელი ვარ.

ელგუჯა — ნათესავები ხართ?

ანტიფო — არა!.. სად გაგიცანი, ბიჭო, აღარც კი მახსოვს.

ელგუჯა — თქვენსას.

ანტიფო — ჰო, კი...

ელგუჯა — ამხანაგო ევგრაფი, ამ კვირაში თითქმის ყოველდღე მომიწევს თქვენი არტელის ტერიტორიაზე შემოსვლა, გთხოვთ მუდმივი საშვები მომცეთ.

ევგრაფი — სიამოვნებით. (საშვების ფორმას ავსებს).

ელგუჯა — აფრასიონ ყრანტაველი გავიცანი, მისი საამქროს გაცნობას ხვალ შევუდგები.

ევგრაფი — ყრანტაველი ხვალ საქალაქო შეკრებაზეა მიწვეული.

ელგუჯა — არა უშავს, მის შეგირდებს გავიცნობ, ზეგ კი მასთან ვისაუბრებ.

ევგრაფი — ზეგ პიონერებთან აქვს შეხვედრა... ცოლიანი ხართ?

ელგუჯა — არა, ვაპირებ.

ევგრაფი — კარგია, (გამზადებული საშვები გაუწოდა) ინებეთ!

ელგუჯა — გმადლობთ, ნახვამდის!.. ბიძია ანტიფო, ოჯახის წევრებს მოკითხვა გადაეცით. (გადის).

ანტიფო — კი, ვეტყვი... გზასაცდენილი კაცია.

ევგრაფი — რას შვრება?

ანტიფო — ხატვით აპირებს ცხოვრებას. (იცინიან).

(შემოდის თაყა)

თაყა — (შეშფოთებული) ეს რა დაგიდგენიათ, მოხსნა არ მაკმარეთ, პასუხისგებაში მაძლევთ?

ევგრაფი — რადგან ვიცი მართალი ხარ, წინააღმდეგობა აღარ გავწიე.

თაყა — ტყავს უფრთხილდები?

ევგრაფი — ჩემი საანგარიშო მოხსენების წინააღმდეგ ხომ არ დავადგენდი?

თაყა — წუნდებული მასალის დამუშავებაზე პრეზიდიუმის დადგენილება არსებობს. ვნახოთ როგორ უნდა თავის დაზღვევა, რეხვიაშვილთან გიჩივლებ.

(გადის)

ევგრაფი — ძალიან არ შეგვაშინა? რეხვიაშვილთან გვიჩივის. (იცინის, ანტიფოც იცინის ევგრაფის მიბაძვით). ბატონო ანტიფო, ერთად ვივახშმოთ.

ანტიფო — კი, შენი მომავალი ვაკურთხოთ.

(ფარდა)

მოქმედება მეორე

სურათი მესამე

ანტიფოს ბინა. კედელზე — ფერებით შესრულებული რამდენიმე სურათი. ოთახის ერთ კუთხეში დადგმულ პიანინოს ბაბულო მიჯდომია, უკრავს და მღერის. შემოდის ელგუჯა, ქაღალდის გორგალით ხელში. რაკი დარწმუნდა, რომ ოთახში მათ გარდა არავინ არის, ბაბულოს მოძახილს ეუბნება.

ბაბულო — ელგუჯა!..

ელგუჯა — განაგრძე, განაგრძე... (მღერიან, დამთავრებისას ელგუჯა ხელს ჰხვევს ბაბულოს, უნდა აკოცოს).

(შემოდის პელო)

პელო — მშვენიერია... (ელგუჯა შეკრთება, პელომ პირი იბრუნა).

ელგუჯა — რა არის მშვენიერი, დეიდა პელო?

პელო — ხმაშეწყობილი მღეროდით. ფანჯარა გააღეთ, შვილებო, დაიხუთებით.

ელგუჯა — სწორია, ადრე დაცხა. (ფანჯარა გააღო).

პელო — თქვენი ცოდვით ვიწვი... ნეტავ სხვაც იწვოდეს აგრე კეთილად.

ბაბულო — მამაჩემმა, გინდა თუ არა, ჯერ უმაღლესი დაამთავრეო, თითქოს არ შეიძლებოდეს, გათხოვდე და თან ისწავლო.

პელო — ახირებული კაცია, შვილო, მამაშენი.

ელგუჯა — ბაბულო, მამაშენი დღეს არტელში ვნახე.

ბაბულო — არტელში იყავი?

ელგუჯა — ჩემი სადიპლომო არტელის ცხოვრებას ასახავს, განა არ იცი?

ბაბულო — (ახლა მოაგონდა) ჰო, მართლა!

ელგუჯა — არტელის თავმჯდომარედ სირაქლემა დაუსვამთ.

ბაბულო — სირაქლემა?

ელგუჯა — ნამდვილი სირაქლემა: წვრილი ფეხები, ყანჩის კისერი, ვიწრო თავი.

ბაბულო — ასეთი კაცი სად გინახავს?!.

ელგუჯა — უნდა შეეჩვიოთ მხატვრულ აზროვნებას. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ თავმჯდომარის ფორმას, რომელიც ჭკუით სირაქლემაა. შინაარსი ქმნის ფორმას და რადგან შინაარსით სირაქლემაა, ცხადია, გარეგნულად, მხატვრულ ენაზე, იგი სირაქლემაა. ახლა თქვენ მისი კუჭი უნდა გასინჯოთ. რამდენი ყალბი ქვითრები და ანგარიშები ექნება გადასანსლული.

ბაბულო — ელგუჯა, ნამდვილი სატირიკოსი ხარ. შენი მოწოდება კარიკატურის ხატვაა.

ელგუჯა — კარიკატურაზე მე დიდი ხანია ვფიქრობ და მგონი მამაშენის არტელით დავიწყებ მოღვაწეობას.

ბაბულო — როგორ?

ელგუჯა — თავმჯდომარე სირაქლემაა, მაგრამ აფრასიონ ყრანტაველი, ეს სახელმოხვეჭილი ავტორიტეტიც, მაეჭვებს. წარმოებაში იშვიათად ვხედავ, მიტინგებზე ორატორობას უნდება, აგიტაციას სტახანოვური შრომის შესახებ პიონერებში ეწევა. გეგმას მისი შეგირდები ასრულებენ, ცხოვრებას მათ გაუსწრეს, ყრანტაველი კი დაბმულ ხბოსავით ერთ ადგილას ტკეპნის, მხოლოდ ყრანტალებს ნოვატორობის შესახებ.

ბაბულო — კრიტიკულად განწყობილი მხატვარი ბრძანდებით. ვშიშობ დანიშნულება არ დაგავიწყდეთ. მხატვრობა, უპირველესად, ხელოვნებაა სილამაზის შესახებ.

ელგუჯა — მეგობარო, ცდებით! ხელოვანი, უპირველესად, სინამდვილის კრიტიკოსია, რადგან ჭეშმარიტად სინამდვილეს კრიტიკა არკვევს. ყოველი არსებული როდია გონიერი... მე ასე მწამს! ამის გარეშე მხატვრობას თავს დავანებებდი და სარემონტო კანტორაში მოვეწყობოდი მღებავად. უკეთეს შემთხვევაში დიასახლისებს სამზარეულოს მოვუხატავდი, მათი ჭრელ-ჭრელი ხალათების სახეებს გადავიღებდი საძინებელი ოთახების მოსახატავად... მანამ არ დაიძინოს იმ კოპწია დიასახლისმა, სანამ ელგუჯა სიდამონიძემ კედლების მოხატვა არ დაიწყოს. გესმით, დეიდა პელო, როგორი ტრაბახი შესძლებია მომავალ მხატვარს, რომელსაც ჯერ სადიპლომო თემაც ვერ გადაუწყვეტია.

ბაბულო — შენ უსათუოდ გადაწყვეტ, უსათუოდ შეძლებ, ჩემო ელგუჯა, ხომ ხარ ჩემი?

ელგუჯა — მაშ როგორ... დეიდა პელო, თუ გახსოვთ რამდენი წლის იყო მეფე ერეკლე, როცა ცოლი შერთეს?

პელო — არ მახსოვს, შვილო.

ბაბულო — მგონი თექვსმეტისა იყო.

ელგუჯა — სწორია. მე ოცდაერთი წლისა ვარ, ცოლი არა მყავს.

ბაბულო — სტყუი, ოცისა ხარ.

ელგუჯა — იყოს ოცი, განა ცოტაა. ერეკლეს არ უყვარდა, შერთეს, მე მიყვარს და არ მრთავენ.

ბაბულო — სანამ სადიპლომო შრომას არ დაიცავ, მანამ არა!

ელგუჯა — ესე იგი შენ დიპლომს მიყვები.

ბაბულო — დიპლომიანი რომ იქნები, მამას ადვილად გავუმხელთ. ხატვა მას ვერაფერ საქმედ მიაჩნია. მე თუ მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობ, იმით ითმენს, რომ ნაქეიფარს როიალის ხმაზე ტკბილად მეძინებაო.

ელგუჯა — შენი საქმე უკეთ ყოფილა, ძილის წამლად მაინც არგიხარ. ჩემი ხატვით თავი როგორ მოვაწონო.

ბაბულო — არ ვიცი, ვშიშობ.

ელგუჯა — დეიდა პელო, ანტიფოს ვერ გაუმხელთ, რომ მისი ქალიშვილი შეყვარებულია?

პელო — ვერა, შვილო.

ელგუჯა — მაშ, მე ვეტყვი.

ბაბულო — არა, არა! სანამ ჩვენი ქორწილის დღე არ მომზადდება, იქამდე ნუ გავუმხელთ.

პელო — ასე სჯობს, თორემ თუ ადრე გავაგებინეთ, ათასჯერ შეიცვლის აზრს.

ელგუჯა — ერთხელ ნათქვამს ვაუკაცი კაცი როგორ გადათქვამს.

პელო — ათიათასჯერ გადათქვამს.

ბაბულო — ვუთხრათ, ერთხელ დავითანხმოთ და ქორწილიც მოვასწროთ.

პელო — ჩემი ქალიშვილი თანამდებობის კაცს უნდა მივცეო, მინისტრსო, თავმჯდომარესო...

ბაბულო — კარგი, პელო, გაჩუმდი.

ელგუჯა — ერიჰა! ჩემი ოცნება ამ სფეროებს არასოდეს არ შეხებია. მე ვოცნებობ ხელოვნებაზე, იმ ხელოვნებაზე, რომელსაც ხალხი მადლიანი ღიმილით ხვდება. მე ვფიქრობ ჩვენი საუკუნის ადამიანზე — კომუნიზმის მშენებელ ადამიანზე, იმ ადამიანზე, რომლისათვის უცხოა ფილისტერობა, დაუმსახურებელი კარიერა...

ბაბულო — რა კარგი ხარ, ჩემო ელგუჯა! (აღტაცებული ელგუჯას აკოცებს).

ელგუჯა — მშვიდად, უფროს ადამიანს მოერიდე.

ბაბულო — პელო დედაც არის ჩემი და მეგობარიც... შვიდი წლის ვიყავი, როცა დედა მომიკვდა, საშინელ ობლობას ვგრძნობდი, პელომ გამზარდა, უდედობის გრძნობა გამიქარვა. ვინც იტყვის პელო დედინაცვალიაო, იმისი ენა გახმეს. (პელოს მოეხვევა).

პელო — (ბაბულოს) კარგი, დამშვიდდი...

ელგუჯა — ნუ ამატირებთ.

ბაბულო — მაპატიეთ... თქვენ ყველანი მიყვარხართ, მაგრამ დედა რომ მომაგონდება, საშინელ სევდასა ვგრძნობ.

ელგუჯა — კარგი, ძვირფასო, ნუ...

ბაბულო — არა, არა! (პიანინოსთან მიიჭრება, მხიარულ მელოდიას უკრავს, ელგუჯა მღერის, ბაბულო და პელო აჰყვებიან).

ელგუჯა — აღმოვაჩინე!.. „ცრუ ავტორიტეტი“, აი, სადიპლომო თემა!.. წავედი!.. ჩვენს პროფესორს მივუსწრებ; თემა იგივე, ოღონდ ჟანრი შემიცვალოს. გადავწყვეტ ისე, როგორც მე ვგრძნობ. ნახვამდის, არ მოიწყინოთ! (ქაღალდებს ხელს დაატანს, გარბის).

ბაბულო — ასეთია ხელოვანი.

პელო — საყვარელი ბიჭია. მხატვრები თუ ასეთი ღრმა მეოცნებენი იყვნენ, არ მეგონა, იგი ცხადად ხედავს მომავალს.

ბაბულო — ამიტომ მიყვარს. (მაღალი აკორდით უკრავს რომელიღაც მელოდიას)

(შემოდის ანტიფო)

ანტიფო — ოო, თქვენ გენაცვალეთ, ცოლო და შვილო... დაუკარი, დაუკა... მიდი, მისცხე.

პელო — ანტიფო!.. (ბაბულომ დაკვრა შეწყვიტა).

ანტიფო — პელო!..

ბაბულო — მამა!..

ანტიფო — ბაბულო!.. გადაწყდა, კი, გადაწყდა!..

პელო — უი, დაულევია!

ანტიფო — ცეცხლი ვარ, ცეცხლი! გადაწყდა, გადაწყდა-მეთქი.

პელო — რაო, ანტიფო, რა გადაწყდა?

ანტიფო — ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. საზღვრიდან საზღვრამდე, უსაზღვრობაში ვითარდება ყოველი საგანი. წერტილი დაისმის საზღვრიდან საზღვრამდე. მე ერთ საზღვარზე დავსვი წერტილი. გადაწყდა.

ბაბულო — რა, მამა?

ანტიფო — ჩემი ქალიშვილი უნდა გათხოვდეს.

ბაბულო — ო, რა კარგია!

ანტიფო — კარგია, ხომ? ვიცი გაგახარებდი და გადავწყვიტე. ვითარებას ჩავწვდი. ბიჭი კარგია და ქალიშვილი უკეთესი. სასიძოს სამი თვის მანძილზე ვამოწმებდი, ვზვერავდი და გადაწყდა მის სასარგებლოდ, გამოცდას გაუძლო.

ბაბულო — მამიკო! (მოეხვევა).

ანტიფო — ამ ბოლო დროს აზრი ამეკვიატა — ჩემი სიძე მინისტრის მოადგილე თუ არა გაზეთის რედაქტორი მაინც უნდა იყოს-მეთქი. გაზეთის ინტრიგებიდან დაზღვეული მაინც ვიქნები-მეთქი: სისულელეა! ნიჭიერი კაცისათვის რა არის გაზეთი. ნიჭი რედაქტორსაც მოხატავს, მოალამაზებს.

ბაბულო — კი მოხატავს, მამიკო, კი მოალამაზებს, მერე როგორ მოხატავს!.. (ანტიფოს მიუალერსებს).

ანტიფო — თუ გინდა დღესვე გათხოვდი, ა, ახლა, დღეს, ხვალ, ზეგ, შენი ნებაა, ამ კვირაში...

ბაბულო — მადლობთ, მამიკო!

ანტიფო — ნიძლავი მოვიგე. ქალიშვილი, თუ მას სიყვარული არ განუცდია, ტიკჭორას გავს, რომელიც იმ ღვინის ფქრს ღებულობს, რომელსაც პირველად შიგ ჩაასხამ. სწორი ყოფილა, ვაშა ევგრაფი!..

პელო — ჩვენ როგორ გვიჭირდა გამხელა...

ანტიფო — რისი გამხელა?..

პელო — რომ ბაბულოს გათხოვება ჭკვიანური საქმეა.

ანტიფო — დედაკაცო, ჭკვიანი მეგონე... გათხოვებას რა ჯობს. ნეტა მე ვიყო სასიძო!.. შვილები, ბევრი შვილები! მე ერთი ვიყოლიე. სისულელეა!... რა ჯობია მრავალშვილიან მამას, კუბოში...

ბაბულო — ეს რა თქვი?..

ანტიფო — ქალიშვილები ჰკივიან, ვაჟები ფლიკვინებენ. მათი ამხანაგები ბეზებივით ირევიან. მკვდარს მეტი ფასი აქვს, მრავალშვილიან მამას ლაზათიანად ასაფლავებენ. მამა როგორიც არ უნდა იყოს, შვილების ხათრით მაინც აქებენ, მიცვალებულს.

ბაბულო — რას ამბობ მამა?!.

ანტიფო — დასაფლავებას თავისი ეშხი აქვს. ლაზათიანი დასაფლავება გაჯახირებულ ქორწილს ჯობია... შვილიშვილები გამიმრავლე, ბიჭები.

პელო — ხომ იცი, გულის ფრიალი გაქვს, ღვინო გწყინს.

ანტიფო — რას ვსვამ, დედაკაცო, ამდენს, ერთი ჩაის ჭიქა მყოფნის! (ბაბულოს) დაუკარი, დაუკა, ე, ჩემით ნასწავლი მუსიკა, მიდი!

ბაბულო — ახლავე მამა... (ბაბულო უკრავს, ანტიფო ტელეფონის ნომრებს აკრეფს).

ანტიფო — (ტელეფონის მილში) რომელი ხარ? ევგრაფი? მოდი, მოდი!.. საქმე აწყობილი მაქვს. ჩემი ქალიშვილი იმიტომ არის ჩემი ქალიშვილი, რომ მამის ჭკვიანი თვალებით უყურებს ქვეყანას... ვინც გინდა მოიყვანე... ცხოვრება ჩარირამაა, დაუკრავ — გიმღერებს, დადუმდები — ყოფას გიტირებს. (მილი დადო).

პელო — (ანტიფოს) ვის ესაუბრე?

ანტიფო — ქალო, ამდენი ვილაპარაკე და ვერ მიხვდი? თითონ ევგრაფის, ცენტრალურ აპარატში გადაყავთ, მოადგილედ. აქეთ რაიკომი ეწიწება პარტიულ საქმეზე. მის მაგიერ მე მტოვებს. პელო, ქმარი ხვალ თუ არა ზეგ თავმჯდომარე გეყოლება. პელო, გესმის? თავმჯდომარე ქმარი!

პელო — არტელის თავმჯდომარე კი არა, სასამართლოს თავმჯდომარე იყავი, რა ხეირი დაგვაყარე.

ანტიფო — აბა, ოჯახში კრიტიკა არ იყოს! პატარა არტელი ხომ არ გგონია. ილგუჯამ კარგად შენიშნა: თქვენი არტელი ქარხნის ტიპის წარმოებაა. პელო, ქარხნის დირექტორი ვიქნები... ხელახლა ავეწყობი, ა, ნახავ!

ბაბულო — მამა, ცოტა დაისვენე.

ანტიფო — ბორჯომი არა გაქვთ, ბორჯომი? (ტახტზე მიწვება).

ბაბულო — ახლავე! (ბოთლიდან წყალი დაუსხა).

ანტიფო — ჰო, როგორ გამოაცოცხლა გათხოვების წყურვილმა?!.

ბაბულო — კარგი, მამა! (ჭიქა მიაწოდა).

ანტიფო — ფუი ეშმაკს, ყველა ქალს ერთნაირად როგორ უნდა გათხოვება.

პელო — წყალი დალიე.

ანტიფო — (პელოს) შენ არ გინდოდა, თუ? აბა რატომ წამომყევი, რა მოგეწონა ჩემში? შეხედულება თუ სპეციალობა? გათხოვება გინდოდა. კი, გინდოდა. (ჭიქა დაცალა, ისმის კაკუნი). ღვინო გვაქვს?

პელო — კი. (კარებთან) მობრძანდით! ო, თქვენ ხართ, მოდით, მოდით...

(შემოდიან რეხვიაშვილი და ჩობაძე)

რეხვიაშვილი — (პელოს) გამარჯობა, დაო.

ჩობაძე — (ანტიფოს) გამარჯობა ბუდუა.

ანტიფო — (ირიბად გახედავს) გაგიმარჯოს, ამფილოქვე.

ჩობაძე — ბუდუა, სხვა თუ არაფერი, სახელი მქვია სააკაძის.

ანტიფო — ვაი შენს ნათლიას! თითის სიმსხოს გიორგი დაგარქვი, ბამბუკის სიგრძე რო შეიქენი, გოგიას გეძახიან, რა შეიტყვეთ.

რეხვიაშვილი — ახალი არაფერი... (ქალებს გადახედავს).

ანტიფო — ქალებო, ხაჭაპური გამოაცხვეთ. (პელო და ბაბულო გადიან) მერე?..

რეხვიაშვილი — ანტიფო, თქვენს არტელში საპნის საამქროს გამგის ადგილი გათავისუფლებულა.

ანტიფო — ჩემს არტელში მოგაწყო?.. ამნისტირებულ კაცს მე თავდებად ვერ დავუდგები.

რეხვიაშვილი — ანტიფო!..

ანტიფო — იმ არტელში თავმჯდომარეობას მიპირებენ, სიძე-ცოლისძმა ერთად უხერხულია.

ჩობაძე — ბუდუა, თავმჯდომარე თუ იქნები, ამას რა ჯობს, ისე მოგვმსახურებით, როგორც ბუდუას ეკადრება.

ანტიფო — (ჩობაძეს) შენ რაღა გინდა?

ჩობაძე — თქვენს არტელში დარაჯის თანამდებობა გათავისუფლებულა, ცამეტი წელიწადი მცველად ვმუშაობდი, გამოცდილება არ მაკლია.

ანტიფო — რატომ ის დღე არ დაიქცა, რა დღესაც შენ მოგნათლე.

ჩობაძე — რატომ, ბუდუა?

ანტიფო — რატომ მაინცადამაინც მცველად გინდა მუშაობა?

ჩობაძე — ეს ჩემი პროფესიაა.

ანტიფო — პროფესია! ვითომ ქიმიის პროფესორი იყოს, ისე მაგრად ამბობს ქურდობაზე ფიქრობ! (რეხვიაშვილზე მიუთითა). ეს საპონს დაამზადებს, შენ გაიტან. კი, სულ ეს არის!.. ჰო, რა ნათესავები მყავს! ერთი საპნის მოხელე, მეორე საპნის დარაჯი. ცხოვრებას საპნით ფიქრობენ, ორივე დაუბანელია... კი, ნამდვილად!

რეხვიაშვილი — ჩვენს პატივისცემას ასე იმახსოვრებ? ანტიფო, ნამეტანს ნუ გადიდკაცდები, არ ვარგა.

ანტიფო — პროფესიით წუნმდებელი ვარ, ნუ გეწყინებათ (შეფიქრდება). რა გაეწყობა, მოგაწყობთ.

ჩობაძე — მადლობთ, ბუდუა.

ანტიფო — მოგაწყობთ, მაგრამ ქალიშვილის ქორწილი მაქვს და ხელი შემიწყვეთ.

რეხვიაშვილი — ვის მიყვება?

ანტიფო — ჩვენი არტელის თავმჯდომარეს.

ჩობაძე — სიძესთან ვიმუშავებთ, ბუდუა?

ანტიფო — ჯერჯერობით კი. მერე მე ვიქნები თავმჯდომარე.

ჩობაძე — მთლად უკეთესი, ბუდუა.

ანტიფო — სიძე ცენტრში მიყავთ, მოადგილედ, რაიკომი პარტიულ სამუშაოზე უმიზნებს. არჩევს, ვნახოთ რომელი გადაწონის.

რეხვიაშვილი — მომილოცავს, ანტიფო, ბუნების ძალამ ბედნიერყოს ჩვენი ბაბულო.

ანტიფო — მადლობთ. (დაცინვით) თქვენისთანა ნათესავები ერთი ორი წყვილი რომ კიდევ მყავდეს, საპნით უზრუნველყოფილი ვიქნებოდი, კი.

რეხვიაშვილი — ჩვენს დროში ყოველგვარი სამსახური საპატიოა.

ანტიფო — კი! გეტყობა გაზეთებს კითხულობ ბლომად. ახლა მოუსვიო აქედან.

ჩობაძე — კარგად იყავი, ბუდუა!

რეხვიაშვილი — ნახვამდის!..

ანტიფო — დაიმახსოვრეთ, ამ კვირას ქორწილი მაქვს, შვებულებაში სპეციალურად გამიშვეს, ხელი შემიწყვეთ.

ჩობაძე — კი, გვახსოვს. (რეხვიაშვილი და ჩობაძე გადიან).

(შემოდის პელო, შემდეგ ბაბულო).

პელო — ანტიფო, როგორ არა გრცხვენია, არ მუშაობენ და საქორწილოდ დაავალდებულე.

ანტიფო — მაგ მამაძაღლებმა დაპატიმრებამდე ათი წლის საყოფი იქურდეს, ექვს თვეში ამნისტიამ მოუსწრო და გარეულ გამოჰყარეს. ცხრა წლის სარჩო სახლში აქვთ. ძალით იგლეხებენ თავს, საჰსახური სხვების თვალის ასახვევად უნდათ... (ისმის კაკუნი). ისინი არიან, მოემზადენით!

ბაბულო — ვინ არიან?

ანტიფო — გამოტვინდი?.. (კარებთან მიდის) მობრძანდით!

ბაბულო — (პელოს) წავალ, ელგუჯას მოვიყვან.

ანტიფო — (ბაბულოს) სად მიდიხარ?

ბაბულო — ელგუჯას მოვძებნი.

ანტიფო — ქერქეტავ, რა დროს ელგუჯაა!

პელო — აბა, როდის?

ანტიფო — გაჩუმდით!.. გაუმარჯოს, ვინც მოსულა გაუმარჯოს! (შემოდიან ევგრაფი, საგანგებოდ გამოპრანჭული, უკან კორნელი და კლიმენტი. ამ უკანასკნელთ თაიგულები უჭირავთ).

ევგრაფი — მშვიდობა ოჯახს!..

კორნელი — მშვიდობა ყოველთა თქვენთა!

ანტიფო — (ევგრაფის) იცნობდეთ, ჩემი დედაკაცია (ევგრაფი პელოს ხელს ართმევს). ეს გახლავთ ჩემი ქალიშვილი... (კლიმენტიმ დააპირა თაიგული პელოს გადასცეს).

კორნელი — (კლიმენტის) აქეთ!.. (კლიმენტი შეჩერდა თაიგულით ხელში).

ევგრაფი — (ბაბულოს) ევგრაფი ევგენის-ძე გენძეხაძე. (ხელს ართმევს)..

ბაბულო — ბაბულო! (ბაბულო სიცილს ძლივს იკავებს).

კორნელი — (პელოს) კორნელი კვინტრაძე! (ხელს ართმევს).

კლიმენტი — კლიმენტი ბურძგლა! (ბაბულო ხმამაღლა იცინის).

ანტიფო — (ბაბულოს) რა ჯანაბა გაკისკისებს... (სხვებს) დაბრძანდით, აქ დაბრძანდით, იქ დაბრძანდით!

ბაბულო — (იცინის) ევგრაფი გენძეხაძე, ეს თქვენი სახელი და გვარია?

ევგრაფი — (დაჯდება) დიახ! მამაჩემს ქვიოდა ევგენი, დედაჩემს აგრაფინა. ევგენი და აგრაფინა შეაერთეს და დამარქვეს ევ-გრაფი. ჩემი შვილი „გრაფია", „გრაფიო" იძახოდა მამაჩემი. „გრაფი" მოწონდა.

ბაბულო — (სიცილს იკავებს) გენძეხაძე ხომ?..

ევგრაფი — დიახ, გენძეხაძე. (ამფსონებს გადახედავს) ე, თაიგულები არტახებიდან ამოყვანილ ბღარტებივით ნუ გიჭირავთ, მიაწოდეთ ქალიშვილს! (კორნელი და კლიმენტი სასწრაფოდ ხელებს ითავისუფლებენ, თაიგულებს გადასცემენ).

ბაბულო — მადლობთ! (თაიგულები თავისუფალ ადგილას დააწყო).

ევგრაფი — (ბაბულოს) როგორ არის ბიძათქვენი?

ბაბულო — ძალიან კარგად!

ევგრაფი — (ანტიფოს) თქვენი ნათლული?

ანტიფო — (დაკნინებით) რა საკითხავია.

ევგრაფი — მართალია... საკითხავი ჩვენა ვართ, საშუალო კატეგორიის ადამიანები... (ბაბულოს) თქვენ მუსიკალურს ამთავრებთ?

ბაბულო — დიახ, ვამთავრებ!

ანტიფო — აბა რას ამთავრებ, დაუკარი!

ბაბულო — რა საჭიროა?!

ანტიფო — ამაზე უკეთეს დროს ვისთვის გინდა, დაუკარი!

ბაბულო — (პიანინოს მიუჯდება) რას ინებებთ?

ევგრაფი — რაც თქვენ გსურთ.

ბაბულო — არა, თქვენ რა გსურთ?

ევგრაფი — (კორნელის) რესტორანში რომ უკრავდნენ, რა ქვია იმ სიმღერას?

კორნელი — რომელს? (პელო სუფრას აწყობს, ანტიფო ეხმარება).

ევგრაფი — შენ რომ თუმნიანი მიეცი, ორჯერ დააკრეკინე, დაგავიწყდა?

კორნელი — ჰო... (დაფიქრდება).

ბაბულო — ფალიაშვილი?

კორნელი — არა! (ფიქრობს).

ბაბულო — ბეთჰოვენი?

ევგრაფი — (კორნელის) ჰე, შე კაცო!..

კლიმენტი — (კორნელის) თავი გაანძრიე!

ბაბულო — ჩაიკოვსკი?..

კორნელი — არა, არა, იწყება ასე... (მღერის) „კორნელია კინტრაძემ დავი უთხრა ბურძგლას, ოვ დელია, დელია...".

ბაბულო — გასაგებია! (ბაბულო უკრავს იმ მოტივზე).

ევგრაფი — (კორნელის) ააყოლე, ააყოლე!.. (კორნელი მღერის, ანტიფო გზად ჩაივლის — წაუმღერებს), დიდებულია, ვაშა!

კორნელი — კი. (ევგრაფის დაეთანხმება).

ანტიფო — სტუმრებო, გთხოვთ სუფრასთან! (სტუმრები წამოდგებიან).

ევგრაფი — (თითქოს ახლა შეამჩნია სუფრა) ოჰ, რატომ შეწუხდით!.. ამ საღამოს რაიკომში მეძახიან, მერე პრეზიდიუმში.

ანტიფო — ვიცი. სასიძო კაცს დაულოცავად როგორ გაგიშვებ.

პელო — (ანტიფოს) ცოლს ირთავს?

ანტიფო — ქალო, თუ გესმის რა იკითხე?

პელო — სასიძოო, მაშასადამე, ირთავს.

ანტიფო — (მწყრალად) ახლა გაიგე?

პელო — (გაკვირვებული) როდის უნდა გამეგო?

ანტიფო — (სხვების გასაგონად) გამოქერქეტდა ე, ჩემი დედაკაცი, რაც დრო გადის, ხელიდან მიდის, ქათმის მეხსიერება აქვს. (სხვებს) მობრძანდით სუფრასთან. (სტუმრები სუფრას შემოუსხდებიან).

ევგრაფი — ამ პატარა ჭიქით ეს ოჯახი დავლოცოთ. გაუმარჯოს!

კორნელი — გაუმარჯოს!

კლიმენტი — კი! (ჭიქები დაცალეს).

პელო — მადლობთ!

ანტიფო — სტუმრებო, თქვენი ფეხი ბედნიერი იყოს ამ ოჯახში. (ჭიქა დაცალა).

ევგრაფი — ნება მომეცით ჩვენი ძვირფასი დიასახლისი ვადღეგრძელოთ. (პელოს) თქვენი ძვირფასი ქალიშვილის მრავალ ბედნიერებას შესწრებოდეთ, სულ წინ და წინ, შარავანდედით მოსილ, ყვავილებით მოფენილ გზაზე. წალკოტი და ედემი იყოს თქვენი გარემოცვა, ნათესავები, ვაშა!

კლიმენტი — ვაშა!

კორნელი — ვაშა!

(ბაბულო პიანინოსთან ზის).

ანტიფო — დაუკარი! (ბაბულო უკრავს, მალე შეწყვეტს).

კორნელი — (ყველას) თქვენი ნებართვით ჩემი წინადადებაა კვირას ვიქორწილოთ.

ბაბულო — (მკვირცხლად) რა კარგია! ჩვენც (პელოზე ანიშნა) ასე ვფიქრობდით.

ანტიფო — თანახმა ვარ. შაბათს ჩემსას, კვირას თქვენსას.

კლიმენტი — კურთხეულ იყოს ნება ქალ-ვაჟის...

ევგრაფი — ქალბატონო პელო, ძვირფასო ბაბულო, ყველანი, ვინც აქ ვართ, ერთად წავიდეთ კინოში.

კორნელი — საზღვარგარეთული კინო ვნახოთ.

კლიმენტი — ცირკი ჯობია, ცირკი! დათვები ყავთ ჩამოყვანილი, კანაფზე გადიან და გამოდიან.

კორნელი — (მღერის)... „გადიან და გამოდიან წიწილები ხეზე, მოდი გოგო გამახარე, მომიჯექი გვერდზე“... ძვირფასო ქალიშვილო, გთხოვთ დაუკრათ. (ბაბულო უკრავს იმ მოტივზე, რომელიც კორნელიმ იმღერა).

ევგრაფი — მეგობრებო, ცირკში თუ კინოში?

ანტიფო — ადექით, სულერთია! (სუფრიდან აიშლებიან).

ევგრაფი — (ბაბულოს თავისებური მოწიწებით) წავიდეთ, ძვირფასო!

ბაბულო — (ევგრაფის) თქვენ ხომ ჯერ რაიკომში უნდა მიხვიდეთ. შემდეგ პრეზიდიუმში,

კორნელი — ვითომ...

ევგრაფი — (ახლა მოაგონდა ადრე ნათქვამი) ჰო, მდივანი მელოდება, პრეზიდიუმში — თავმჯდომარე.

კორნელი — (ეშმაკური ღიმილით ევგრაფის) გადადევი ე საქმეები.

ბაბულო — რატომ გადადოს? ცირკში ხვალ წავიდეთ, ელგუჯა მოვა და ყველანი ერთად წავალთ.

კორნელი — ო, შენ გენაცვალე, ასეთი ქალი აგაშენებს, აბა რა იქნება!

ევგრაფი — ქალიშვილის ნებას ვემორჩილები.

ანტიფო — (ევგრაფის) ქალის ჭკუაზე სიარული ხეირს არ მოგცემს.

პელო — (ანტიფოს) მაგათთან რა ესაქმება ბაბულოს... (ხმაღებს) სტუმრებო, ევგრაფის არა სცალია.

ევგრაფი — დიახ! ნახვამდის, ძვირფასო ბაბულო. ქალბატონო პელო.

კორნელი — ანტიფო, ამას იქით დღეიდან ხშირად გესტუმრებით.

კლიმენტი — კი, ჯვარს ჩვენ შევცვლით.

(ევგრაფი, კლიმენტი და კორნელი გადიან)

ბაბულო — (იცინის) გენძეხაძე...

ანტიფო — რას კირკიცობ, გოგო?

ბაბულო — გენძეხაძე, ევგრაფი!.. საინტერესოა, საცოლე ისეთივე სასაცილოა, როგორც თვითონ?

ანტიფო — (გაკვირვებით) რაო?!

პელო — (ბაბულოს სიცილით გამხიარულებული) ანტიფო, ვის ირთავს შენი თავმჯდომარე?

ანტიფო — ა!.. თუ გესმის, ქალო, რა იკითხე?! ბაბულო, შენი დედობილი ურევს. (ქალები იცინიან). აიწყვიტეთ ქალებო, აიწყვიტეთ?..

ბაბულო — ჰო, რა კვანწი სასიძოა!

პელო — შენ მეჯვარეებს დამიხედე, პირდაპირ დახატული არიან. ბატონო, დახატული. სად იყო ჩვენი ელგუჯა! აი. მაგათ კარიკატურებს ის დახატავდა!

ბაბულო — (იცინის) მზა კარიკატურაა, რაღა უნდა.

ანტიფო — (მკაცრად) ელგუჯა აქ არ დავინახო!

ბაბულო — (იცინის) კვირას ხომ ქორწილია.

ანტიფო — მერე? ელგუჯა თუ ქორწილში არ დამისკუპდა. უმისოდ არ იქნება? აქ არ დავინახო!

პელო — მაშ ქორწილს როგორღა ფიქრობ?

ანტიფო — ქალო, რა გემართება შენ? წეღან როგორ ჰკითხე? ვის ირთავო.

პელო — ახლაც ვკითხულობ. ვის ირთავს? მე ხომ შენი გენძეხაძის საცოლეს არ ვიცნობ.

ანტიფო — ვის არ იცნობ, ქალო, ჩემს ქალიშვილს, შენს ბაბულოს არ იცნობ?

პელო — რაო?!

ბაბულო — როგორ?.. მამა, გაიმეორე, როგორ თქვი?

ანტიფო — კი, ცოლ-შვილი გამიგიჟდა, ან მე არა ვარ მე.

ბაბულო — როგორო?..

ანტიფო — ჩვენ არ გადავწყვიტეთ? ევგრაფის მიყვები ცოლად. (ქალები შეიკივლებენ). რა გაკივლებთ, თქვე გასაწყვეტლებო?!.

პელო — გენძეხაძეს, ბაბულო?!. (ქალები იცინიან).

ანტიფო — რა გჭირთ, ქალებო?!

პელო — გენძეხაძეს?.. (ქალები იცინიან).

ანტიფო — აბა, ვის მიყვები, ქალო?!

ბაბულო — ვის უნდა მივყვებოდე, როგორ ფიქრობ?

ანტიფო — ვის, ქალო, ვის?!

ბაბულო }
პელო } — ელგუჯას!

ანტიფო — ა? არ შემშალოთ!

პელო — ჩვენ ელგუჯაზე ვფიქრობდით.

ბაბულო — სხვას როგორ წარმოვიდგენდით.

ანტიფო — ვაი დედასა, თურმე ვინ მოსწონს.

ბაბულო — მომწონს კი არა, მიყვარს.

ანტიფო — მიყვარსო?! როდის მოასწარი?

ბაბულო — დიდი ხანია...

ანტიფო — როდის გახდი დიდი ხნის?.. მე იმას ყოფას ვუტირებ, კიბიდან გადავუშვებ... დაგხოცავთ!

პელო — ელგუჯას ცუდი არაფერი გააგონო.

ანტიფო — (პელოს) შენი ბრალია, დედაკაცო, შენ მტერი ხარ, ჩემი ქალიშვილის მტერი!

პელო — რატომ?..

ანტიფო — დედინაცვალი ხარ და იმიტომ.

პელო — შენთან ყოფნა იმით ავიტანე, რომ ქალიშვილი გყავს წმინდანი..

ანტიფო — დედინაცვალი ხარ... თავს სასწორზე დებ.

პელო — რატომ სასწორზე?

ანტიფო — ან მე, ან ეს საქმე. ეს საქმე ჩაიშლება, მორჩა, შენ გაქრები ჩემი ოჯახიდან.

ბაბულო — პელო არაფერ შუაშია. მე მიყვარს...

ანტიფო — ქალო, ამხელა მომავალის კაცს მიწუნებ და მხატვარს მისდევ?

ბაბულო — რომელ მომავალზე ამბობ?

ანტიფო — ევგრაფი გენძეხაძე ხვალ დიდი კაცი იქნება.

ბაბულო — რაც უნდა ის გახდეს მაგი სირაქლემა.

ანტიფო — სირაქლემაო!.. სამ წელიწადს მოსამართლედ ვმუშაობდი, ათასი კაცი გამისამართლებია უჭკუობისათვის, ათასი უწესო ქცევისათვის და მე ჩემს ოჯახში წესრიგი ვერ დავამყარე? ვინ დამიჯერებს!

პელო — შემთხვევით ყავი მოსამართლე, მოგხსნეს.

ანტიფო — ხმა ჩაიწყვიტე!

ბაბულო — პარტიიდანაც ხომ...

ანტიფო — ხმა-მეთქი... (შეფიქრდება) ამიტომ მჭირდება ძლიერი კაცი, მოხერხებული სიძე... (მუდარით) ადამიანებო, სინდისი ნუ დაკარგეთ!

ბაბულო — მე რომ გენძეხაძეს მივთხოვდე, ამით შენ გაიზრდები?

ანტიფო — მე „ხვირიანი შრომის“ თავმჯდომარე ვიქნები, პარტიაში ახალი სტაჟით მიღებას მოვახერხებ.

ბაბულო — მამაჩემო, ნუ იტყვი სისულელეს.

ანტიფო — დამიჯერე, შენ რომ სიყვარული გგონია, ის ზენა ქარია, ქარი ჩადგება და მერე მოხვალ ჭკუაზე, მაგრამ გვიანი იქნება, შეგრჩება მხატვარი.

ბაბულო — მე იგი მიყვარს.

ანტიფო — ბაბულია!.. (მუდარით) შენ ის უნდა გიყვარდეს, რაც გონიერია, რაც გამოცდილ ადამიანებს მოსწონთ, რას იტყვი პელო?

პელო — ვერ დაგეთანხმები.

ანტიფო — შევიშლები, გადავირევი, დავამტვრევ აქაურობას! (სკამს ფეხი ჰკრა, რალაც გადააგდო) დაგხოცავთ, მე თქვენთვის ვიბრძვი, თქვენ ჩემი წინააღმდეგი ხართ?! (პიანინოს კლავიშებს მუშტი დაჰკრა) გული, გული! (დაჯდება).

ბაბულო — მამა, დამშვიდდი!

ანტიფო — თავს მოვიკლავ და წერილს დავტოვებ: ქალიშვილმა მომიწყო, მაიძულა-მეთქი. დაგიჭერენ, ვიღას წაყვები.

პელო — (ანტიფოს) წამოდი, დაისვენე, დაღლილი ხარ. (პელო მხარში ამოუდგება ანტიფოს, გაჰყავს).

ანტიფო — ოჯახის უფროსი მე ვარ, სიტყვას არ გავტეხ.

პელო — კარგია, კარგი. (გადიან. ბაბულო პიანინოსთან ზის, რამდენიმე აკორდი აიღო, შეწყვიტა).

(პელო ისევ შემოდის)

ბაბულო — სადღაც წამიკითხავს, დიდებულიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯიაო. თუ მეტყვი სასაცილოსა და საზიზღარს შორის ზღვარი სად არის?

პელო — მაგაზე ფიქრი სად შემიძლია. როგორ მოვიქცეთ?

ბაბულო — რაც აქ მოხდა, ამის შესახებ ელგუჯას არც ერთი სიტყვა!..

პელო — რატომ?..

ბაბულო — სანამ აღებულ თემას არ დაასრულებს, არც ერთი სიტყვა, ხელი შეეშლება!

(ფარდა).

სურათი მეოთხე

არტელის თავმჯდომარის კაბინეტი. კორნელის და კლიმენტის დიდი ვაივაგლახით შემოაქვთ კათედრა. მათ თავზე ელგუჯა ადგას.

ელგუჯა — აქედან ამოსდე ხელები... იქეთ დადგი.

კორნელი — საით, ბიძიკო?

ელგუჯა — აქეთ, სინათლეში! ნახატს სხივი უყვარს, ყოველი ხაზი გამოკვეთილად უნდა ჩანდეს... ცოტა ჩემსკენ მოაბრუნე.

კლიმენტი — აჰ!.. (ხელი მოჰყვა ქვემოთ).

ელგუჯა — დაშავდი?

კლიმენტი — კი.

ელგუჯა — გაგივლის. (შემოდის ევგრაფი).

ევგრაფი — ეს კათედრა საიდან გამოათრიეთ?
ელგუჯა — კლუბიდან.
ევგრაფი — ყრანტაველი დაზგასთან უნდა დაგეხატათ.
ელგუჯა — დიახ! ჭეშმარიტი სტახანოველი დაზგასთან უნდა დაიხატოს; მაგრამ ვინ წარმოშვა ყრანტაველი? ცხადია, თქვენ და თქვენმა ადმინისტრაციულმა ნიჭმა. ამიტომაც განვიზრახე თქვენ დაგხატოთ.
ევგრაფი — (კმაყოფილებით) რა დავიმსახურე ასეთი?
კორნელი — (მლიქვნელურად) შენი ჭირიმე!
ელგუჯა — ჩემი სადიპლომო თემის კომპოზიციაში თქვენ დაიჭერთ ცენტრალურ ადგილს. ამ ეპიზოდს დაერქმევა: ევგრაფი ტრიბუნაზე, ევგრაფი ეწევა ყრანტაველის პოპულარიზაციას ფართო მასებში.
კორნელი — ჭირიმე შენი!
კლიმენტი — ა, ბიჭო! აქამდე მარტო ცხენს ხატავდნენ, ის კი არავის უფიქრია, ვინ გახედნა ცხენი. (ელგუჯას) ყოჩაღ, ყმაწვილო! მთავარია გამხედნი.
ელგუჯა — დიახ, ეს ჩემი აღმოჩენაა! (ევგრაფის) გთხოვთ დადგეთ ტრიბუნასთან.
ევგრაფი — სად?
ელგუჯა — აი აქ, კათედრასთან. (ევგრაფი კათედრასთან ადგილს იკავებს, ელგუჯა სამხატვრო ხელსაწყოებს ამზადებს), თქვენ კი, ამხანაგო კვინტრაძე და ამხანაგო ბურძგლა, ევგრაფის წინ დაჯდებით, ასე, სკამებზე და სახეში შეატყდებით...
კორნელი — ვის შევატყდებით?
ელგუჯა — ცხადია, თქვენს თავმჯდომარეს. მიიღებთ კმაყოფილ სახეს. ხელებს გაშლით, ასე...
კორნელი — ხელებს რატომ ვშლით?
ელგუჯა — ამით თქვენ წინასწარ გრძნობთ ამხანაგ ევგრაფის სიტყვის ძალას, ყოველ წუთს მზადა ხართ ტაში დაუკრათ.
კლიმენტი — კი, ნამდვილად...
კორნელი — ფრთებგაშლილი გვიხარია...
ელგუჯა — კარგია... (ჭვრეტს) ასე!
კლიმენტი — თვალები სულ მუდამ ერთ წერტილში დამეღლება.
ელგუჯა — აჰა, გაზეთი, შეგიძლია ჩახედოთ. (სახატავ ქაღალდებიდან გაზეთი გამოაძრო, კლიმენტის წინ დაუდო).
ევგრაფი — მე რა ვქნა?
ელგუჯა — (ევგრაფის) მარჯვენა მუშტი წინ წამოიღე, ზარმაცებისა და გაიძვერების შესაშინებლად. (ევგრაფი პოზას იკავებს).
ევგრაფი — კარგია?
ელგუჯა — მარცხენა ხელი ასე დაიკავე, მაღლა. ეს ხოტბა-დიდებას გამოხატავს, გასაგებია?
ყველანი — გასაგებია!
ელგუჯა — ვიწყებ ხატვას... (ელგუჯა ხატავს).
ევგრაფი — თუ შეიძლება ვილაპარაკოთ?
ელგუჯა — შეიძლება, ოღონდ კომპოზიცია არ დამირღვიოთ.

ევგრაფი — თუ არ ვილაპარაკეთ, არ გვეწყობა, საქმე გველოდება.
ელგუჯა — ილაპარაკეთ, შეიძლება.
ევგრაფი — ამხანაგო მხატვარო, ამ სურათის დახატვას და გამოქვეყნებას ახლა კვირამდე ვერ მოასწრებთ?
ელგუჯა — (ხატავს) შევეცდები.
ევგრაფი — რამენაირად ეცადეთ.
კორნელი — შაბათს ან კვირას, ქორწილისათვის რომ დაამზადებდეთ, ერთ საქმედ ღირს.
კლიმენტი — მაყრებში მაგარი სახელი გაგვივარდება.
ელგუჯა — ვისი ქორწილია? (ევგრაფის გაელიმება).
კორნელი — ჩვენი თავმჯდომარე ცოლს ირთავს.
ელგუჯა — მომილოცავს, ამხანაგო ევგრაფი.
ევგრაფი — გმადლობთ!
ელგუჯა — ცოლის შერთვას რა ჯობს... (ხატავს) ქორწილი სიყვარულის ზეიმია.
(შემოდის ახალგაზრდა მუშა-ზეინკალი)
მუშა — შეიძლება? (ევგრაფი, კორნელი და კლიმენტი არ ინძრევიან; პოზას იცავენ).
ევგრაფი — რომელი ხარ, ბიჭო?
მუშა — ყრანტაველის შეგირდი ვარ.
ევგრაფი — თვითონ ყრანტაველი სად არის?
მუშა — ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის სხდომაზე მიიწვიეს.
ევგრაფი — რა გნებავს?
მუშა — ალუმინი და თუთია გაგვითავდა, საჭიროა მასალას საწყობი არ იძლევა.
ევგრაფი — რატომ არ ვიძლევიო?
მუშა — ბუხჰალტერმა ანგარიში გამოწეროსო...
კორნელი — (გაჯავრდება) ანგარიშს როგორ გამოვწერ, ხომ ხედავ, რამხელა საქმეზე ვარ მიბმული.
ევგრაფი — (მუშას) საწყობის გამგეს უთხარი: თავს ნუ იგდებ, თავმჯდომარემ შემოგითვალა-თქო.
მუშა — ამ უბრალო საქმის გამო თხუთმეტი წუთი მოვცდით, დღევანდელი გეგმა საფრთხეშია. (მუშა გადის).
კორნელი — (ოვალთმაქცურად) ხედავ კაცო?.. საწყობის გამგე უნდა მოიხსნას.
ევგრაფი — წყნარად!.. (კლიმენტის და კორნელის) თქვენ მოგეხსენებათ, ოჯახში ისეთი არავინ მყავს, რომ ქორწილს უთავოს, ამიტომ ქალობა და კაცობაც თქვენ უნდა გამიწიოთ.
კორნელი — აბა როგორ! მე და კლიმენტი ძმებივით და დებივით აშოგიდგებით მხარში.
კლიმენტი — კი!
კორნელი — ვის პატიჟებ?
ევგრაფი — მილიციის უფროსს, ქალაქის პროკურორს, მოსამართლეს...
კორნელი — კიდევ?..
ევგრაფი — აღმასკომის თავმჯდომარეს, საბინაო სამმართველოს უფროსს, მრეწველობის განყოფილების გამგეს, კომბინატის დირექტორს, სადგურის უფროსს, ბილეთებზე ზაფხულობით გაჭირვებაა, საჭიროა.

კლიმენტი — კი, საჭიროა.

ევგრაფი — იქნებ რაიკომის მდივანიც დავპატიჟო...

კლიმენტი — ვინც ჩამოთვალე ყველას იცნობ?

ევგრაფი — ვისაც არ ვიცნობ, ამხანაგ რეხვიაშვილის და გენერალ ჩობაძის სახელით დავპატიჟებ.

კლიმენტი — ჰო, ჰო, შენი ჭირიმე!..

ევგრაფი — ...და ჩვენი ცენტრალური აპარატის თავმჯდომარე... (კლიმენტის) მოადგილეს შენ გააფრთხილებ, ჩემი სახელით.

კლიმენტი — კი.

კორნელი — არტელიდან ვის პატიჟებ?

ევგრაფი — ყრანტაველი საკმარისია.

კლიმენტი — კი.

კორნელი — ყრანტაველს ე, დიდკაცობა იცნობს, არც პატარა კაცია.

კლიმენტი — ჰო, კი!

ევგრაფი — მხატვარო, შენც გპატიჟებ, ღვინის სმა შეგიძლია?...

ელგუჯა — გმადლობთ, როგორ არ შემიძლია.

(შემოდის მუშა)

მუშა — საწყობის გამგემ შემოთვალა: აქ კერძო დუქანი არ გახლავს, მასალას ანგარიში ჭირდებაო.

ევგრაფი — ყრანტაველი თუ მოვიდა?

მუშა — მოვიდა, მაგრამ საამქროში არ შემოსულა, ნოვატორების შეკრებისათვის სიტყვას ამზადებს.

კორნელი — ე, კაცი სულ გადაეჩვია წარმოებას.

ევგრაფი — წყნარად! ყრანტაველით გავითქვით სახელი, (მკაცრად) ხატვის ისტორიაში შევდივართ. (კორნელის) ანგარიშები გამოუწერე.

კორნელი — (ელგუჯას) შეიძლება ავდგე?

ელგუჯა — მიბრძანდით (კორნელი და მუშა გადიან. ტელეფონის ხმა. ევგრაფი ტელეფონთან მიდის).

ევგრაფი — (მილში) არტელი „ხეირიანი შრომა" გისმენთ... ვინ?... ქალაქმშენი?... დიახ... წუნდებული საქონელი?.. ვერაფერს გეტყვი, ამხანაგო, ჩვენი წუნმდებელი შვებულებაშია... არ ვიცი... თქვენი პრეტენზიები ცნობად მივიღეთ, მაგრამ არ გეთანხმებით, ჩვენ წუნს არ ვამზადებთ... ამხანაგო, ამხანაგო, მომითმინეთ!.. თქვენს პრეტენზიებს არ ვცნობთ... გვიჩივლე, ბატონო, გვიჩივლეთ, თუ აბით რამეს მოიგებთ... თითონ რეხვიაშვილთან გვიჩივლე, არ გვეშინია...

(მილი დადო)

კლიმენტი — ვიჩივლებთო?

ევგრაფი — (დაიმედებული) ძალიან არ შეგვაშინა?!. (ევგრაფიმ ელგუჯას ნახატში ჩაუხედა) ეს როგორ დაგიხატავს, კისერი მოღრეცილია.

ელგუჯა — მე ნატურალისტი ვარ.

ევგრაფი — შე კაცო, კისერი მაინც კი მაქვს სწორი.

ელგუჯა — ფორმას რა მნიშვნელობა აქვს.

ევგრაფი — ფორმა მაინც ფორმაა, შეხედულება არ მაკლია.

ელგუჯა — ცოტა მაცალეთ, პირობას გაძლევთ, საკუთარ თავს იცნობთ, დადექით, (ევგრაფი კათედრასთან დადგება) მე ესკიზებს ვაკეთებ, დეტალებზე სახლში ვიმუშავებ.

(შემოდის თაყა)

ევგრაფი — (თაყას) გამარჯობა მაინც გეთქვა...

თაყა — (ელგუჯას ნახატში ჩაუხედა, ევგრაფის გახედავს) გამარჯობას კაცს ეუბნებიან.

ევგრაფი — კმარა, ყველაფერს საზღვარი აქვს! (კათედრას მუშტი დაჰკრა).

ელგუჯა — (ევგრაფის) ფრთხილად, კომპოზიცია არ დამირღვიოთ.

თაყა — (ევგრაფის) რას იქიმები? ვის უნდა შენი სურათი.

ევგრაფი — (გამარჯვებულის პოზით) იქნებ ბგონია, ჩემი სურვილით ვიქიმები. მხატვარი სახელმწიფო დავალებას ასრულებს.

კლიმენტი — (ევგრაფის საამებლად, თაყას) აბა, გასკდი გულზე!

თაყა — უწყება მივიღე, პროკურატურაში მიბარებენ. (ქაღალდი ამოიღო).

ევგრაფი — მე რა შემიძლია, კრებამ მიგცა სამართალში.

თაყა — კრება შენ შეაცდინე.

ევგრაფი — ხალხი ბრძენიაო რომ იძახი, ა, ბრძენმა მიგცა სამართალში.

თაყა — საფუძველი?

ევგრაფი — ხალხს საფუძველი არ ჭირდება, თვითონ საფუძველია.

კლიმენტი — ასე წერია ეფუთში.

თაყა — (სხვა ტონით) ცოლს ირთავ?

ევგრაფი — სახამ ვიყო უცოლო? შენ და შენს ნათესაობას ერთხელაც არ წამოგცდენიათ მაგიერი ცოლი შეირთეო.

თაყა — ვის ირთავ?

ევგრაფი — თქვენთვისაც აჯობებს, თაყაევიჩ, დაგეხმარები. ა, ცოტა მაცალე. საამქრო კი არა, იქნებ არტელი ჩაგაბარო.

თაყა — ანტიფო გაღლეტილს უსიძდები?

ევგრაფი — ანტიფო ფრთხილად ახსენე. (ელგუჯა ხატვას შეწყვეტს).

თაყა — (ირონიით) მისი გოგო იქნებ გიყვარს?

ევგრაფი — მაგი შენ არ გეკითხება.

თაყა — არა, იქნებ გიყვარს?

ევგრაფი — შემიყვარდება. სიყვარული საკითხს არ წყვეტს.

თაყა — იქნებ რეხვიაშვილი და ჩობაძე ანტიფოს ნათესავები ბგონია? ცდები, შე რეგვენო, ცდები. ანტიფოს ისინი ჯერ თვალითაც არ უნახავს.

ევგრაფი — აა—ტ! ვერ შემაცდენ. შენს მოხსნას და პასუხისგებაში მიცემას მე მაბრალებ? სამაგიეროს მიხდი? ვერ შემაცდენ, თაყაევიჩ, ვერა! გამოცდილების გოდორი ვარ, ამდენ ოროომტრიალში მეც ჭკუა ვისწავლე.

თაყა — ბიჭო, მომისმინე! შენ ირთავ ჩობაძის და რეხვიაშვილის ხათრით, მაგრამ, შვილებს გეფიცები, შეირთავ და შეგრჩება გაშვლეპილი ანტიფო და მისი ქალიშვილი.

ელგუჯა — (თაყას) რაო? შეურაცხყოფას ვის აყენებთ?!

ევგრაფი — (ელგუჯას) დიახ, ასე ვუთმენ, ვუთმენ. (ტელეფონის ზარის ხმა. ელგუჯას) დაელაპარაკეთ!

ელგუჯა — (გონებადაბნეული, მილს აღებს) გისმენთ, რომელი ხართ? ანტიფო? ანტიფო (თავს იკავებს) გისმენთ... რეხვიაშვილი და ჩობაძე გამოგზავნეთ? მოვუსმინო?!

ევგრაფი — (თაყას) გესმის? რეხვიაშვილი და ჩობაძე თავიანთი ფეხით მოდიან სასიძოსთან.

ელგუჯა — (ევგრაფის) გაჩუმდით, ეშმაკმა წაგიღოთ! (მილში) გისმენთ... საქორწილოდ ღვინო იყიდე?! ვისი ქორწილი გაქვს? ქალიშვილის?! რამდენი გყავს ქალიშვილი?.. ვინ ვარ? ელგუჯა ვარ, ელგუჯა! რად მლანძღავ, ანტიფო! (მილი საჩქაროდ დადო) ვაი, დედასა!.. (თავის ხელსაწყოებსა და ქაღალდებს ხელი მოუსვა, გარბის).

ევგრაფი — (ელგუჯას) მოითმინეთ... (თაყას) შენი უხამსობა ვერ აიტანა მხატვარმა.

კლიმენტი — (ჩაჰკირკიტებს გაზეთს, რომელიც ელგუჯამ მისცა) ხედავთ, გაზეთში რა დაუწერიათ?!

ევგრაფი — რა დროს გაზეთია, გაფრინდი, მხატვარი დააბრუნე.

კლიმენტი — ევგრაფი ევგენიჩ, გაზეთში გაქიაქებენ.

ევგრაფი — მაჩვენეთ. (კითხულობს) „ამ უმსგავსოებას ხელს უწყობს არტელ „ხეირიანი შრომის“ თავმჯდომარე...“ (კლიმენტის) ჩერჩეტო, ეს ხომ შარშანდელი გაზეთია...

კლიმენტი — (გაზეთი გამოართვა) აუ!.. შარშან ამ დროს რომ გაგწერეს... (გაზეთს დახედავს).

თაყა — დიახ, შარშანდელია. აქამდე უყურადღებოდ არის მიტოვებული... (ევგრაფის) პროკურატურაში მეძახიან, მაგრამ არც შენ დაგეყრება ხეირი. კაცის პასუხისგებაში მიცემა შენი ნალაყბევით თუ შეიძლება, ამასაც გავიგებ, ვნახოთ.

ევგრაფი — ნერვები ნუ ამიშალე, მომეშვი ადამიანო!

თაყა — ვნახოთ! (გადის).

ევგრაფი — შენისთანა კაცს რომ ვნათესაობდი, ყველაფერი მეკადრება. მეკუთვნის!

(შემოდის კორნელი)

კორნელი — (მოწიწებით) ევგრაფი ევგენიჩ, ჩობაძე და რეხვიაშვილი მოვიდნენ.

ევგრაფი — გენერლის ფორმაში არიან?

კორნელი — არა, გადაცმული არიან.

(შემოდიან რეხვიაშვილი და ჩობაძე)

რეხვიაშვილი — შეიძლება?

ევგრაფი — მობრძანდით!.. ასე მოულოდნელად და ისიც არტელში არ გელოდით. დაბრძანდით!

რეხვიაშვილი — თქვენთან გამოგვგზავნა ანტიფო ბაბუხადიამ, ინებეთ წერილი.

ევგრაფი — კეთილი, დაბრძანდით! (ევგრაფი წერილს კითხულობს).

რეხვიაშვილი — (ჩობაძეს) დაჯექი.

ევგრაფი — (წერილს იმოწმებს) რაო, რაო, თქვენ სამსახურს ეძებთ?!

რეხვიაშვილი — დიახ, საპნის მოხელე ვარ.

ჩობაძე — მე, დარაჯი. ცამეტი წელიწადი მცველად ვმუშაობდი.
ევგრაფი — თქვენი გვარი?
რეხვიაშვილი — რეხვიაშვილი.
ჩობაძე — ჩობაძე.
ევგრაფი — ანტიფო რა არის თქვენი?
რეხვიაშვილი — დის ქმარი.
ჩობაძე — ჩემი ბუდუაა.
ევგრაფი — იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი, პროკურორი
რეხვიაშვილი რა არის თქვენი?
რეხვიაშვილი — არაფერი, გვარის კაცია.
ევგრაფი — იცნობთ?
რეხვიაშვილი — არა.
ევგრაფი — (ჩობაძეს) გენერალი ჩობაძე რა არის შენი?
ჩობაძე — ამბობენ გენერალ ჩობაძის ბაბუას ჩვენს სოფელში უცხოვრიაო.
ევგრაფი — მეტი არაფერი?
ჩობაძე — არა.
ევგრაფი — (ყვირის) დაგიჭირავთ ორივეს!
რეხვიაშვილი — რა დავაშავეთ?
ევგრაფი — თქვენ არა ხართ ანტიფოს ნათესავები.
რეხვიაშვილი — ცოლ-შვილს გეფიცებით, კი.
ჩობაძე — ამის დამალვა როგორ მოხერხდება. ეს ჩვენ, ეს ანტიფოს წერილი. ანტიფომ საკუთარი ხელით დაწერა.
რეხვიაშვილი — თუ არ გჯერათ, ანტიფო გამოიძახეთ.
ჩობაძე — ჩვენ (რეხვიაშვილზე ანიშნა) ერთად ვმუშაობდით. რა დასამალია, ერთად მოგვისაჯეს და ერთად გაგვათავისუფლეს ამნისტიის ძალით.
რეხვიაშვილი — დაპატიმრების წინ ჩემი ახალი შარვალი ანტიფოს მივეცი. ძმებივით ვართ..
ჩობაძე — ახალ ფეხსაცმელს ციხეში ხომ არ გავაფუჭებდი, ანტიფოს ჩავაცვი.
ევგრაფი — (გაღიმება. სახეგაბადრული) ა, მიგიხვდით! თაყა თაყაევიჩი ხუმრობს. „ვნახოთო“! გონია გამბამაშებს. ნურას უკაცრავად! ევგრაფი ასე ადვილად როდი ცდება. ეს საკენკი თავისიანებს დაუყაროს. (რეხვიაშვილი და ჩობაძე გაკვირვებული შეცქერიან, ვერ გარკვეულან. ისმის ზარის ხმა, ევგრაფიმ ტელეფონის ყმილი აიღო). გისმენთ... ვის ველაპარაკო?.. იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველს? თვითონ რეხვიაშვილს?! სიამოვნებით! (სმენაზე მყოფი) თუ გესმით ვინ მელაპარაკება, თქვენ მასხრებო... (მილში) გისმენთ, თვითონ რეხვიაშვილი ბრძანდებით?.. დიახ, მე ვარ.
კორნელი — (მთელი არსებით უსმენს) ჭირიმე შენი!..
ევგრაფი — (კორნელის) გაჩუმდით! (მილში) გისმენთ, პატივცემულო იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველო. სალამი, სად მოვიდე? თქვენთან, ამ თვის შვიდს? უსათუოდ მოვალ, დიახ! როგორ ბრძანდებით! ალო! ალო! (მილი დადო). გესმით? სასიძოს თვითონ ურეკავს. (გაიბღინძება) თქვენ კი, ცრუ რეხვიაშვილო და ცრუ ჩობაძევ, აქედან დაშე-

კარგეთ. თაყას უთხარით, ასეთი ხუმრობა მეორედ არ გაბედოს, თორემ ა, ხომ ხედავთ (ტელეფონზე), ყოფას გიტირებთ. (ეკგრაფი ნასიამოვნები სახით ბოლთას ცემს. მთხოვნელებს მოუბრუნდება) ამ ხნის კაცებმა სინდისი სად დაკარგეთ? (ეკგრაფი გადის).

რეხვიაშვილი — ვინ არის თაყა?

კლიმენტი — (კორნელის) გესმის, რა იკითხა? თაყას ნაცნობობაზე. ტარს ამბობს.

კორნელი — ნაციხარებო, როგორ არ გრცხვენიათ ასეთი პამპულობისათვის!

კლიმენტი — (ვითომ ნევრები აეშალა) პამპულა! პამპულა!

რეხვიაშვილი — რატომ ძმაო, რა დავაშავეთ?

კორნელი — (უჯავრდება) სამსახური თუ გინდოდათ, მოვიდოდით პატიოსანი გზით. მასხრებს ვინ მიგიღებთ.

რეხვიაშვილი — (უკმაყოფილოდ) ანტიფო ბაბუხადიას წერილით რომ კაცი გამოჩნდები, სწორედ შასხრობაა.

კლიმენტი — ანტიფოს ნათესავები სულ პროკურორები და გენერლებია!

ჩობაძე — თქვენი თავმჯდომარე ანტიფოს ქალიშვილს ირთავს, თუ მის ნათესავებს?

კლიმენტი — მოწიფულებო, ნათესაობა მზითვის მაგიერია.

ჩობაძე — როგორო?

კლიმენტი — ამ წერილს ანტიფოს მაგიერ გენერლის და დიდი პროკურორის ხელმოწერა რომ აჯდეს, როგორ ფიქრობთ, ერთნაირი ფასი ექნებოდა?

კორნელი — (ირონიით) მარტო წერილის მოტანა გცოდნიათ.

კლიმენტი — წერილზე ხელს ვინ უნდა აწერდეს, არ გცოდნიათ.

კორნელი — (რეხვიაშვილს) ამ ჭკუით შენ საპნის საამქროს ვერ განაგებ.

კლიმენტი — (ჩობაძეს) ვერც შენ უდარაჯებ საპონს.

ჩობაძე — (კლიმენტის) თქვენ რა თანამდებობაზე ხართ არტელში?

კლიმენტი — მაგ არაა შენი საქმე.

კორნელი — წადით, წადით! (რეხვიაშვილი და ჩობაძე გადიან. კლიმენტი და კორნელი იცინიან).

(ფარდა)

მოქმედება მესამე

სურათი მეხუთე

იუსტიციის მესამე კლასის საზელმწიფო მრჩევლის პროკურორ რეხვიაშვილის პირადი მდივნის ოთახი. დგას პატარა მაგიდა და სკამები მთხოვნელებისათვის. პირადი მდივანი ჟურნალ „ნიანგს" ათვალიერებს. შემოდის თაყა.

თაყა — ქალიშვილო, ამხანაგ რეხვიაშვილს ჩემი განცხადება გადაეცით?

პირ. მდივ. — დიახ. განიხილა კიდეც.

თაყა — რაო. (პირადი მდივანი ჟურნალ „ნიანგს" დაცქერის).

პირ. მდივ. — აბა რა ვიცი, შებრძანდით და გეტყვის.

თაყა — მადლობთ. (შესვლა დააპირა).

პირ. მდივ. — მოითმინეთ. ხუთი წუთი აკლია.

თაყა — რას აკლია ხუთი წუთი?

პირ. მდივ. — მილების საათს. (თაყა დაჯდება. მცირე პაუზა. პირადი მდივანი „ნიანგს“ დაცქერის, იცინის. თაყა ვერ გარკვეულა რა აცინებს).

თაყა — რაშია საქმე?

პირ. მდივ. — არაფერი!

თაყა — ბოდიში (თავის ადგილზე ჯდება. პირადი მდივანი კვლავ იცინის. თაყამ ჟურნალი ახლა შეამჩნია) ა, თურმე!..

პირ. მდივ. — არტელი „ხეირიანი შრომა“... ცრუ ავტორიტეტი....

თაყა — (ენერგიულად) „ნიანგში?!“ (პირად მდივანთან მიიჭრება).

პირ. მდივ. — რა სასაცილოა თავმჯდომარე, დახედეთ! ნოვატორი ყრანტაველი!.. დიდებული სათაურია — „ცრუ ავტორიტეტი“... (ჟურნალს უჩვენებს).

თაყა — ვენაცვალე სულში ამის დამხატავს!.. (ამოიკითხა) „ელგუჯა სიდამონიძე“, შენი ჭირიმე, ბიჭო! (პირად მდივანს) ქალიშვილო, სულ ასეთია ჩვენი არტელი. (ჟურნალს იმოწმებს), არც მეტი, არც ნაკლები... აი, ეს კორნელი კვინტრაძეა, ეს კლიმენტი ბურძგლა.

პირ. მდივ. — როგორ იცანით დამახინჯებული სახეები?

თაყა — სულ ასეთები არიან, რასაც ფიქრობენ, სახეზე აწერიათ.

პირ. მდივ. — (ჟურნალი დახურა) ელგუჯა სიდამონიძე!.. ასეთი მხატვარი არ გამიგონია.

თაყა — (გახარებული) სად გაიგონებდი, პირტიტველა ბიჭია, ულვაში მაყვალის პოწკივით უბზიალებს.

(შემოდის ევგრაფი)

ევგრაფი — (თაყას) შენ აქ რა გინდა? რეხვიაშვილთან მიჩივი?

თაყა — (წარბი შეკრა)... ის გაარკვევს.

ევგრაფი — რაიონის პროკურორთან გეჩივლა, ამხელა კაცს რატომ აწუხებ.

თაყა — მე ჩემი ჭკუა მაქვს.

ევგრაფი — რასაც გამოიტან, დაიტრაბახე. (ისმის ზარის ხმა).

პირ. მდივ. — (თაყას) შებრძანდით!

ევგრაფი — (პირად მდივანს)... ჯერ მე უნდა შევიდე.

პირ. მდივ. — რიგი ამხანაგისაა. (თაყას) შებრძანდით! (თაყა შედის).

ევგრაფი — (პირად მდივანს) ამხანაგო, თქვენ უნდა იცოდეთ ამხანაგების გარჩევა.

პირ. მდივ. — ხომ გავარჩიე, რიგის მიხედვით გავუშვი.

ევგრაფი — მე მთხოვნელი არა ვარ. მე ამხანაგმა რეხვიაშვილმა პირადად გამომიძახა, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველმა...

პირ. მდივ. — ჩემთვის არაფერი უთქვამს.

ევგრაფი — რატომ გეტყოდათ, როცა მე...

პირ. მდივ. — ამხანაგო, მოითმინეთ, დაბრძანდით!

ევგრაფი — ამხანაგმა რეხვიაშვილმა რომ შეიტყოს, თქვენ მე საერთო მოსაცდელ ოთახში მაცდევინებთ, წააგებთ.

პირ. მდივ. — მოქალაქევ, ვინ ბრძანდებით?

ევგრაფი — მე გახლავართ ევგრაფი ევგენის-ძე გენძეხაძე!

პირ. მდივ. — (გაეღიმება)... არტელ „ხეირიანი შრომის“ თავმჯდომარე?

ევგრაფი — დიახ.

პირ. მდივ. — აა, თურმე ვინ ყოფილხართ! (იცინის).

ევგრაფი — (თავმომწონედ) დიახ, მე ვარ! (იცინის პირადი მდივანი, იცინის ევგრაფიც) თქვენ, ალბათ, არ მიცნობდით...

პირ. მდივ. — თქვენ ვინ არ გიცნობთ. (ჟურნალი სახეზე მიიქროლა).

ევგრაფი — ალბათ ყველამ იცით?.. (თავმომწონედ იგრიხება).

პირ. მდივ. — დიახ, პროკურატურის ყველა მუშაკმა... (სინათლე ქრება, სცენა შემობრუნდება).

იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველის კაბინეტი. ყურადღებას იქცევს სადა კომფორტი, მაღალჭერიანი, გემოვნებით მოხატული კედლები, საწერ მაგიდასთან ზის რეხვიაშვილი და თაყას უსმენს. თაყა მოკრძალებული ტონით ელაპარაკება. კარებში თავს შემოყოფს ევგრაფი.

ევგრაფი — შეიძლება?

პროკურორი — მოითმინეთ! (ევგრაფი გაუჩინარდება).

თაყა — აი, ეს გახლავთ გენძეხაძე.

პროკურორი — განაგრძეთ!

თაყა — ...და ბოლოს, ხელშესახები რომ აღარაფერი შერჩა, ბრალდებად ისიც წამომიყენა — ღიპი რატომ გაგეზარდაო... რა ვქნა რომ იზრდება? ასეთი ჯიშის ვარ. მამაჩემი საპნის საამქროს გამგე არ ყოფილა, ღარიბი გლეხი იყო, ყანის მუშა, მაგრამ დათვის სიმსხოს იწონიდა. (რეხვიაშვილს გაეღიმება, ქაღალდებს ათვალიერებს).

პროკურორი — ღიპის უებარი წამალია სპორტი, ფიზკულტურა. პროკურატურა ღიპს არ მკურნალობს... ამხანაგო თაყა, წუნდებული მასალა ვისი განკარგულებით ჩაუშვით წარმოებაში?

თაყა — გამგეობის დადგენილებით.

პროკურორი — გამგეობას არ უნდა მიეღო ასეთი დადგენილება.

თაყა — ვიცი, მანკიერი დადგენილებაა, მაგრამ რა უნდა გვექნა. არტელი მე ვარო, გაიძახის. გამგეობის წევრებად ისეთი პირები შეარჩია, რომ ყველაფერზე ეთანხმებიან... ყველას აშინებს.

პროკურორი — ზემდგომ ორგანოებს რატომ არ აცნობეთ?

თაყა — ვერ გავბედე... რა შემეძლო.

პროკურორი — ცუდად გიფიქრიათ.

თაყა — ჩემი გარდაცვლილი დის ქმარი იყო, ნათესაობამ შემბოჭა.

პროკურორი — ნათესაობა... აი, ხომ ხედავთ, როგორი მავნე შედეგები მოაქვს ნათესაობას წარმოებაში.

თაყა — მაგრამ მან სწორედ ნათესაობით მომხსნა და საქმე პროკურატურაში გამოგზავნა.

პროკურორი — როგორ?

თაყა — ერთი ნათესავი უნდა შეეწიროს ჩემი დაწინაურების საქმესო. „ნათესავს არ ინდობს, მაშასადამე ობიექტური კაციაო“, აი, ამით შეაცდინა საერთო კრება.

პროკურორი — თვალთმაქცობაა... მიბრძანდით, ამხანაგო. შეკრებილი მასალებით თქვენი სამართალში მიცემა რომ არ შეიძლება, ეს ცხადია... ხოლო თქვენი თავმჯდომარე თუ რა კაცია, „ნიანგიდანაც“ ჩანს. (ჟურნალი დაიმოწმა, ღილს თითი დააჭირა).

თაყა — დიახ, ნამდვილი სურათია! (თაყა ადგება).

(შემოდის პირადი მდივანი)

პროკურორი — გენძეხაძეს თხოვეთ.

პირ. მდივ. — მესმის! (გაეცინება, გადის).

(შემოდის ევგრაფი)

ევგრაფი — (პროკურორს) გამარჯობა, ბიძაჩემო! (ხელს ართმევს) როგორ ბრძანდებით? (დაჯდება).

პროკურორი — (გაკვირვებული) ამხანაგო, ვინა ხართ თქვენ?!

ევგრაფი — ევგრაფი ევგენის-ძე გენძეხაძე. კვირას, ღამის თორმეტ საათზე თქვენ დაპატიჟებული ხართ ქორწილში.

პროკურორი — ამხანაგო!..

ევგრაფი — (თაყას მიათითა) ეს ჩემით განაწყენებული ჩემი ყოფილი ნათესავია. რა შემეძლო?! სახელმწიფო ინტერესები მიკარნახებდა და მოვხსენი! ახლა ისიც კი წყინს, რომ თქვენს დისშვილს ცოლად ვირთავ.

პროკურორი — (გაოცებული) ჩემს დისშვილს?!

ევგრაფი — ანტიფო ბაბუხადიას ქალიშვილს, ბაბულოს.

პროკურორი — ანტიფო ბაბუხადია... ბაბულო... (თაყას) თავისუფალი ბრძანდებით.

თაყა — თუ შეიძლება მოქალაქე, გენძეხაძეს პირში წავუდგე ზოგიერთი საკითხის გამო.

პროკურორი — საკითხი გარკვეულია, შიბრძანდით.

თაყა — მადლობთ, პატივცემულო. (თაყა გადის).

ევგრაფი — (პროკურორს) მართალი გითხრათ, ცოლის შერთვას ჯერჯეროობით არ ვფიქრობდი, დაუსწრებელზე ვსწავლობ, დამთავრებას სამი წელი მიკლია, მაგრამ რომ გავიგე თქვენი დისშვილია... ოჯახის მამის სურვილისამებრ ახლა კვირას ქორწილი დავნიშნეთ.

პროკურორი — არტელის თავმჯდომარედ რამდენი ხანია მუშაობთ?

ევგრაფი — ორი წელია, მაგრამ პროკურატურა და რევოლუციური კანონიერება უფრო მიზიდავს.

პროკურორი — თქვენ რევოლუციური კანონიერება უსათუოდ მიგიზიდავთ...

ევგრაფი — ამაზე ვოცნებობ. კადრების განაწილების საქმეში, თქვენ წარმოიდგინეთ, შეცდომებს უშვებენ.

პროკურორი — უსათუოდ შეცდომაა. თქვენ არტელის თავმჯდომარედ არ უნდა მუშაობდეთ.

ევგრაფი — (გახარებული) დიახ, მე არტელისათვის არა ვარ დაბადებული.

პროკურორი — „ნიანგს“ თუ კითხულობთ?

ევგრაფი — (თავმომწონედ) იშვიათად, მე სასაცილო ჟურნალებს არ ვეტანები... მე პოლიტიკურ წიგნებს ვკითხულობ მხოლოდ.

პროკურორი — თუ იცით რატომ გამოგიძახეთ?

ევგრაფი — ვიცი, მაგრამ თქმა მერიდება.

პროკურორი — ნუ გერიდებათ, თქვით.

ევგრაფი — თქვენ ჩემი ნახვა გაინტერესებდათ...

პროკურორი — რატომ?

ევგრაფი — რატომ და... გინდოდათ გაგეგოთ, როგორია თქვენი დისშვილის საქმრო... (ევგრაფი იცინის, პროკურორი მკაცრ სახეს იღებს).

(შემოდის პირადი მდივანი)

პირ. მდივ. — ამხანაგო პროკურორო, მილიციის რწმუნებული გთხოვთ მიიღოთ.

პროკურორი — შემოვიდეს. (პირადი მდივანი გადის). მოქალაქე გენძეხაძე, აი რა, ქალაქმშენი გიჩივით წუნდებული პროდუქციის მიწოდების გამო, ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ. გადაუხადეთ, თორემ პასუხისგებაში მიგცემენ.

ევგრაფი — წუნდებულ საქონელს ჩვენი არტელი არ უშვებს. თქვენი სიძე, ჩემი სასიმამრო ანტიფო, წუნმდებელია.

პროკურორი — შემდეგ... მომისმინეთ!.. ასეთი დადგენილების გამოტანა განა შეიძლება? (ქაღალდი დაიმოწმა). საპნის საამქროს გამგე უსაფუძვლოდ მოგიხსნიათ თანამდებობიდან.

ევგრაფი — საერთო კრებამ...

პროკურორი — (მკაცრად) ჩანს საერთო კრების ნდობას ბოროტად იყენებთ. (ტელეფონის ზარის ხმა, პროკურორმა მილი აიღო) გისმენთ, დიახ... (ტელეფონით ისმენს).

(შემოდიან მილიციის რწმუნებული და ანტიფო)

ანტიფო — (ევგრაფი შეამჩნევს მილიციის რწმუნებულს) ამხანაგო უფროსო, ისე მოაწყვე ეს საქმე, რომ აი იმ მოქალაქემ არ გაიგოს ჩემი უბედურება, თორემ ცოცხალი თავი მომეჭრება.

რწმუნებული — ვინ არის იგი?

ანტიფო — სასიძოა.

რწმუნებული — გასაგებია...

ევგრაფი — (ანტიფო ახლა შეამჩნია) ანტიფო, რა საქმეზე მოსულხარ?

ანტიფო — (დაბნეული) რა საქმეზე და... ქორწილის საკითხებზე.

ევგრაფი — (პროკურორის მისამართით, ანტიფოს) დღეს უგუნებოდაა, ან მცდის.

ანტიფო — გაგწურა?

ევგრაფი — კი, მაგრამ ღიმილს მაინც ვერ მალავს. (კმაყოფილებით იღრიჭება).

პროკურორი — (ტელეფონის მილი დადო, ევგრაფის) მესამე: უსათუოდ წაიკითხე „ნიანგი", სანამ სხვები წაგიკითხავდნენ. მეოთხე: მამაჩემს და დედაჩემს ერთად ცხოვრების მანძილზე ექვსი შვილი შეეძინა, ექვსივე ვაჟები. არავითარი და ან დობილი არა მყავს, დისშვილი მით უმეტეს, გასაგებია? (ევგრაფი გამოყეყეჩებული სიჩუმე დგას).

რწმუნებული — ამხანაგო პროკურორო!..

პროკურორი — (რწმუნებულს) გისმენთ, ამხანაგო... (ევგრაფის) გესმით?..

(ევგრაფი მოძრაობით გამოხატავს: „ვიცი რომ ხუმრობ, თორემ ანტიფოს აქ რა ენდომებოდაო") ეხლა კი მიბრძანდით!

(ევგრაფი თავს დააქნევს, სახეზე ღიმილი უკრთის, გადის).

რწმუნებული — ამხანაგო პროკურორო! დღეს, ნაშუადღევის სამ საათზე, ქალაქში ჩადენილ იქნა მძიმე კატეგორიის დანაშაული — მოიტაცეს მუსიკალური სასწავლებლის უკანასკნელი კურსის სტუდენტი ქალი ბაბულო ანტიფოს ასული ბაბუხადია.

პროკურორი — ეს მოქალაქე ვინ არის?

რწმუნებული — დაზარალებული ქალიშვილის მამა — ანტიფო ბაბუხადია.

პროკურორი — (ანტიფოს) ვინ მოგტაცათ ქალიშვილი?

ანტიფო — გარეწარმა და შარლატანმა ელგუჯა სიდამონიძემ.

პროკურორი — (შეფიქრდება) ელგუჯა სიდამონიძე!.. სადღაც გამიგონია. („ნიანგს" დახედა). მხატვარი?..

ანტიფო — ამბობდა მხატვარი ვარო, აბა სხვა წესიერი კაცი ვინ ჩაიდენდა ამ სისაძაგლეს.

პროკურორი —სამწუხაროა. (რწმუნებულს) რა ზომები მიიღეთ?

რწმუნებული — გამოცხადებულია ძებნა. სამი მილიციელი ქალაქში დავგზავნე. ყოველ გზაჯვარედინზე ავტოინსპექტორები გავაფრთხილეთ. ერთი ბრიგადა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში გაიგზავნა... ამხანაგო პროკურორო, გთხოვთ მოგვცეთ სანქცია.

პროკურორი — დაპატიმრების ორდერი?

ანტიფო — დიახ, დიახ!

პროკურორი — (ანტიფოს) თქვენ მოსაცდელ ოთახში დაგვიცადეთ... (ანტიფო გავიდა) რომელი წყაროებით მტკიცდება, რომ ქალი ნამდვილად მოტაცებულია.

რწმუნებული — ქალის გატაცებას ადასტურებს ჩვენს მიერ წინასწარ მონაკვლევი მასალა — აქტი. აქტზე ხელს აწერს ქალიშვილის მამა ანტიფო... (ქაღალდი ამოიღო).

პროკურორი — იქნებ მამა ქორწინების წინააღმდეგია?

რწმუნებული — არაფერი არ ვიცოდიო, მომტაცა და მერე გავიგეო.

პროკურორი — მით უმეტეს, ჯერ ქალი დაჰკითხეთ.

რწმუნებული — მამის გადმოცემით, მომტაცებელი შარლატანია.

პროკურორი — ეს მამის გადმოცემით, თქვენ ქალიშვილს ჰკითხეთ. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ („ნიანგი" დაიმოწმა), ელგუჯა სიდამონიძე წესიერი და ნიჭიერი ახალგაზრდა ჩანს.

რწმუნებული — რა მოსახმარია ნიჭი, თუ კაცი მძიმე დანაშაულს ჩაიდენს.

პროკურორი — მართალია, მაგრამ თუ არც მძიმე და არც მსუბუქი დანაშაული არ ჩაუდენია?

რწმუნებული — აქტი?.. (ქაღალდი დაიმოწმა).

პროკურორი — შენ აქტი შეადგინე, არტელმა კიდევ ოქმი გამოგზავნა, ვინმე გენძეხაძე საპნის საამქროს გამგის დაპატიმრებას თხოულობს. რა აზრი აქვს? (ადგება) შენ და გენძეხაძე რომ პროკურორად მუშაობდეთ,

ჰო, რამდენს დაიჭერდით?!

რწმუნებული — რატომ ამბ...

პროკურორი — (მკაცრად) ჯერ დააპატიმრებდით და შემდეგ იჩალიჩებდით... უდანაშაულო მოქალაქის უფლების აღმკვეთი ყველა დამნაშავეზე საშინში დამნაშავეა.

რწმუნებული — ამხანაგო პროკურორო, რატომ მიჯავრდებით? ჯერ არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის მოქალაქე ელგუჯა სიდამონიძე ნამდვილად მართალია, თუ დამნაშავე.

პროკურორი — არ იცით, დაპატიმრების სანქციას კი მთხოვთ! (მკაცრად) წადით, თქვენი აქტი უკანვე წაიღეთ (რწმუნებული გასვლას აპირებს).

რწმუნებული — ამხანაგო პროკურორო, ერთი სიტყვაც...

პროკურორი — ბრძანეთ.

რწმუნებული — გადაწყვეტილი იყო, რომ ანტიფო ბაბუხადიას ქალიშვილს მოქალაქე ევგრაფი გენძეხაძე ირთავდა. რაკი გენძეხაძე ირთავდა, მაშასადამე, ქალს გენძეხაძე სურს და არა სიდამონიძე.

პროკურორი — რომელი გენძეხაძე?

რწმუნებული — აი, ის მოქალაქე, თქვენთან რომ იყო.

პროკურორი — არა მგონია.

რწმუნებული — ამის შესახებ არსებობს ჩვენებები. ორი მოქალაქე ადასტურებს. (ქაღალდები მაგიდაზე დადო).

პროკურორი — სად არიან ისინი?

რწმუნებული — მოსაცდელში.

პროკურორი — შემოიყვანეთ.

რწმუნებული — (კარებში გასძახებს) შემოდით!

(შემოდიან კორნელი, კლიმენტი და ანტიფო)

პროკურორი — (კორნელის) თქვენი თანამდებობა?

კორნელი — არტელ „ხეირიანი შრომის" მოანგარიშე.

პროკურორი — (კლიმენტის) თქვენი?

კლიმენტი — სათამაშოების საამქროს გამგე.

პროკურორი — მერე, თქვენ საიდან იცით ქალ-ვაჟის დამოკიდებულების ამბავი?

კორნელი — ოჯახის შვილები ვართ... ანტიფოს ქალიშვილს გენძეხაძე უნდოდა, (ანტიფოს) ხომ უნდოდა?

ანტიფო — აბა არ უნდოდა?!

კორნელი — ქალმა ვაჟს პირობა მისცა.

კლიმენტი — კი, იმ სუფრაზე ჩვენც გახლდით.

კორნელი — შაბათ საღამოს რომ ქალისას დაინიშნა ქორწილი, კვირა ვაჟისას უნდა გაგვთენებოდა...

კლიმენტი — ასე დავთქვით. ქალმა გაიხარა, გაიცინა და პიანინოზე დაუკრა.

კორნელი — რა დასამალია, ვიმღერეთ.

პროკურორი — თვითონ გენძეხაძე რატომ არაფერს ამბობს?

კორნელი — ევგრაფის ამას როგორ გავუმხელთ.

კლიმენტი — სისხლი დაიღვრება.

პროკურორი — სანამდე ფიქრობთ დაუმალოთ?

ანტიფო — (პროკურორს) ეს თქვენზეა... თუ რამენაირად იმ შარლატანს შაბათამდე დაგვიპატიმრებთ, ქორწილი მშვიდობიანად ჩაივლის.

კორნელი — დიახ, ევგრაფი გენძეხაძემ ეს ამბავი რომ შეიტყოს, მონატაცებ ქალს აღარ შეირთავს. თავმოყვარეა.

ანტიფო — ქალის სინდისი...

პროკურორი — (მკაცრად) წადით... ამ საქმეს მე თითონ გამოვიძიებ. (ღილს თითი დააჭირა).

ანტიფო — მადლობთ! რამენაირად გვიშველე. ოჯახის ნამუსი შეიბღალა. (კორნელი, კლიმენტი და ანტიფო გადიან).

(შემოდის პირადი მდივანი)

პირ. მდივ. — გისმენთ.

პროკურორი — შემიერთეთ სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის კაბინეტი.

პირ. მდივ. — ახლავე. (გადის).

რწმუნებული — მასალები დაგიტოვოთ, თუ...

პროკურორი — განა ეს მასალებია?

პირ. მდივ. — (კარი შემოაღო) ელაპარაკეთ. (კარი მიხურა).

პროკურორი — (ტელეფონის მილში) გისმენთ, სალამი!.. რეხვიაშვილი ვარ, პროკურატურიდან. „ხეირიანი შრომა" თქვენს სისტემაშია?.. ამხანაგო შალვა, იმ არტელს ან სახელი გამოუცვალეთ, ან უხეირო ადამიანებისაგან გაწმინდეთ. რითაც იმ არტელს თავი მოწონდა, „ნიანგის" საკბილო გახდა... დადასტურდა? ცხადია, ნუ აგვიანებთ. საკითხს შაბათს მოისმენთ? კარგია! დიახ, გენძეხაძე... სულელი კი არა, საშიში პიროვნებაა, უნდა მოაცილოთ იქაურობას... ნახვამდის! (მილი დადო).

რწმუნებული — მასალები...

პროკურორი — ეს თუ მასალებია, გქონდეთ. მაგრამ დაიხსომეთ, თუ კიდევ მსგავსი მასალებით ვისმეზე სანქციას მომთხოვთ, ერთ ორდერს შენს სახელზე გამოვწერ.

რწმუნებული — მესმის, ამხანაგო პროკურორო.

(ტელეფონის ხმა).

პროკურორი — (მილი აიღო) გისმენთ... გიშველოთ?! ვის ვუშველო? ვინ მელაპარაკებით, ამხანაგო?.. ელგუჯა სიდამონიძე?.. ქალის მოტაცებას გაბრალებენ?.. თქვენი საცოლე სად არის? თქვენთან?.. სიყვარულმა აიძულა მამის ოჯახი მიეტოვებინა? თქვენი რჩევით? კარგია. მომწონს!.. რაღა გიშველოთ? თქვენ ერთად ხართ მილიციის სამორიგეოში? დაგაკავეს? ამხანაგო ელგუჯა, ახლავე ჩემთან მოდით, საცოლეც თან მოიყვანეთ... არ გიშვებენ?.. აბა, მილი მორიგეს გადაეცი... (მილიციის რწმუნებულს) უბრძანე გამოუშვან, მხოლოდ მილიციის მუშაკთაგანი არავინ გამოყვეს (მილი გადასცა).

რწმუნებული — (მილში) სერჟანტო, ჰო მე ვარ... გამოუშვიდ! პროკურორთან მოვიდნენ... არა, არავინ გამოყვეს, თავისით მოვლენ... (ვითომ გაჯავრდა) თუ კარგი ხალხია, რაღად იჭერდი? გამოუშვი! ნიჭიერი ახალგაზრდებია, ქვეყანა მაგათია და შენ იჭერ? ნუ მეკამათები, რეხვიაშვილთან ვარ, მაშ!..

პროკურორი — უთხარი, უფროსის მანქანით გამოგზავნონ.

რწმუნებული — ჰო... (მილში) სერჟანტო, პროკურორმა ბრძანა შეყვარებულები უფროსის მანქანით გამოგზავნეთო... „ზიმით", მაშა, „ზიმით". (მილი დადო).

პროკურორი — გესმის?

რწმუნებული — მესმის, ამხანაგო პროკურორო. (მილიციის რწმუნებული გადის).

(ფარდა).

სურათი მეექვსე

ანტიფოს ბინა. ხანგამოშვებით ისმის ტელეფონის ზარის ხმა. მეორე ოთახიდან პელო შემოდის.

პელო — (მილი აიღო) გისმენთ... ელგუჯა ძვირფასო! თქვენ გენაცვალეთ, სად ხართ, შვილებო?.. გილოცავთ გაბედნიერებას, დღეგრძელი იყოს თქვენი სიყვარული. წინ სულ პატიოსნება გიძღოდეთ.

(შემოდის ანტიფო. პელოს უსმენს)

ბაბულო დამალაპარაკე... ბაბულო, შვილი! გილოცავთ შვილებო! როდის გნახავთ? გკოცნით უთვალავს...

ანტიფო — (შეშფოთებული) დედაკაცო!.. (პელომ მილი დადო) მოღალატეო!

პელო — (მშვიდად) ანტიფო, რა მოგდის?

ანტიფო — ვის ელაპარაკებოდი, ვის-მეთქი? ბაბულოს ჰკოცნიდი? კი. შენ დააქციე ჩემი ოჯახი. შენ მოაწყვე ეს კომედია.

პელო — მე კი არა, შენ მოაწყვე.

ანტიფო — დედაკაცო, მე როგორ?! მთელი დღეა დასაჭერად ვეძებ. როგორ მოაწყვე მათი გაპარება, თქვი!

პელო — რა თქმა მაგას უნდა, უყვარდათ და გაფრინდნენ.

ანტიფო — როგორ მიბედავ! წინ გამიძეხი, წინ-მეთქი!

პელო — სად, კაცო?

ანტიფო — გაქცეულებთან. ჩქარა, სანამ გვიანი არ არის!

პელო — დაგაგვიანდა, მათ ხელი მოაწერეს.

ანტიფო — მოგკლავ... დაგხოცავთ! (კუთხეში მიმალული სანადირო თოფი გამოიღო) შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობია... (ანტიფოს უნებლიედ თოფი გაუვარდება) მოგკალი ხომ, მოგკალი?

პელო — ნუ გეშინია, ცოცხალი ვარ. (პელოს სრულებით არ შეშინებია)

(შემოდიან რეხვიაშვილი და ჩობაძე)

რეხვიაშვილი — რა ჰქენი, შე მურდალო, მოჰკალი?

ანტიფო — განზე ვისროლე, განზე.

ჩობაძე — ბუდუა, მოჰკალი?..

პელო — კიდევაც გაბედავდა.

ანტიფო — ახლა მართლა მოვკლავ.

რეხვიაშვილი — შე კაცო, გასწი ე, თოფი. ასე რამ გაგამხეცა.

(თოფი დივანის უკან მიაგდო)

ანტიფო — (პელოს მიუთითა) ჩემს ოჯახს ეს ანგრევს. დაანგრია ოჯახი, მოსპო.

რეხვიაშვილი — რა ჩაიდინა ასეთი?

ანტიფო — ჩემი იმედი — ჩემი ბაბულო ვიღაც შარლატანს გაატანა.

ჩობაძე — ვის, ბუდუა?

ანტიფო — ელგუჯა სიდამონიძეს, მხატვარს. სიძე და ისიც მხატვარი!

პელო — პატიოსანი ქალის უპატიოსნო მამა... (სხვებს) ადამიანებო! აი, ეს კაცი ვიღაც უტვინო და უსინდისო გენძეხაძეს აძლევს ქალს.

რეხვიაშვილი — აუ, გადასაგდები ქალი გყავს?!

პელო — მერე და იცით რისთვის ირჯება ასე? საკუთარი კარიერისათვის.

ანტიფო — დედაკაცო, ჩაშავდი!

პელო — რასაც, ვამბობ, შენი პირით მსმენია ასეც არის! თვალთმაქცო, პროკურორთან როგორ მიბედე. ხომ კარგად იცი, რომ შენს ქალიშვილს სხვა უყვარს და გაჰყვა კიდეც იმ სპეტაკ ვაჟს.

ანტიფო — დედაკაცო, სანამ ჩემს ოჯახში ხარ, ენას კბილი დააჭირე...

პელო — შენი ქალიშვილის ბედნიერებისათვის სულ სარეკელად გადავიქცევი.

ანტიფო — საქორწილოდ ღვინო ვიყიდე, ხალხი დავპატიჟე... ეს რა მიყვეს! სწორედ სასაცილო საქმე მჭირს. ხალხში თავი არ გამომეყოფა. სიძეს რა ვუთხრა, სიძეს!

რეხვიაშვილი — (ანტიფოს) სიძე არ ვიცი და შენ რომ სასიძოს ამბობ, დიდი ტუტუცი და გაუთლელი ვინმეა.

ანტიფო — ჩემი წერილი მიიტანეთ?

რეხვიაშვილი — მივიტანეთ...

ანტიფო — მერე?

ჩობაძე — გამოგვაპანღურა, ბუდუა.

ანტიფო — (ჩობაძეს) ხეპრევ!

რეხვიაშვილი — (ანტიფოს) ხეპრე ის არის და არც შენ ყოფილხარ ნაკლები.

ანტიფო — (მუქარით) ჩემს ოჯახში ხართ.

რეხვიაშვილი — ხომ იცოდი ვისთან მგზავნიდი?

ანტიფო — რაღაც დიდგულზე ხარ. რა შეიტყვე ისეთი?

რეხვიაშვილი — საპნის ქარხანაში გამგზავნეს, თქვენი არტელის ოდენა საამქრო ჩამაბარეს.

ჩობაძე — მეც მოვეწყვე, ბუდუა.
ანტიფო — ვინ შოგაწყო?
რეხვიაშვილი — მთავრობამ.
ანტიფო — მთავრობასთან თქვენ რა საერთო გაქვთ?
რეხვიაშვილი — ყველა ამნისტირებული თავისი სპეციალობის შიხედვით გაგზავნეთო, დაადგინა მთავრობამ. ვერც ერთი სათნო დედაკაცი ვერ უერთგულებს თავის ოჯახს ისე, როგორც მე ჩვენს ქვეყანას.
ჩობაძე — გვენდვენ, ბუდუა, გვენდვენ.
რეხვიაშვილი — შენი და გენძეხაძის მსგავსი ადამიანების ხელში სისხლი კანაღამ თავში ამივარდა.
ანტიფო — მე კარგი ხანია სისხლი თავში მაქვს ავარდნილი, მიფრთხილდით.
(შემოდის ევგრაფი)
ევგრაფი — (გამძვინვარებული) ანტიფო!.. ანტიფო!..
ანტიფო — (შეშინებული) გაიგე?.. ნუ გეშინია, ქალს დავიბრუნებ.
ევგრაფი — რას მიედ-მოედები.
ანტიფო — ხელმოწერილი არ არიან.
ევგრაფი — რისი ხელის მოწერა, თავს ისულელებ?! (ანტიფო უკან იხევს)
ანტიფო — რას მეკითხები ვერ მიგიხვდი, არეული ჩანხარ.
ევგრაფი — გაიძვერა ხარ. (ევგრაფი წინ მიიწევს).
ანტიფო — რატომ ევგრაფი?
ევგრაფი — ესენი არიან შენი ნათესავები? ეს არის რეხვიაშვილი?.. ჩობაძე ეს არის?
ანტიფო — კი, ესენია... ევგრაფი დაბრძანდი, ცოლ-შვილს გეფიცები, ესენია.
ევგრაფი — ნამდვილად?..
ანტიფო — ბაბულოს გეფიცები, კი.
ევგრაფი — სად არიან ჩობაძე და რეხვიაშვილი?
ანტიფო — ა, კაცო, ესენი არიან!
ევგრაფი — მატყუარავ, მე გენერალზე და პროკურორზე გეუბნები.
ჩობაძე — ჩემს მაგიერ გენერალს ელოდა, არტელშიც ასე მითხრა.
ანტიფო — (ევგრაფის მოუბრუნდება) რაო, რაო? ქალის ბედი გწვავდა მეგონა, ამათ მაგიერ (რეხვიაშვილს და ჩობაძეს მიათითა) გენერალს და პროკურორს ელოდი?!
ევგრაფი — თავიდან ასე არ თქვი, იმათი ტანსაცმელი მაცვიაო.
ანტიფო — იმათი კი არა, ამათი-მეთქი.
ევგრაფი — განგებ დამაბნიე.
ანტიფო — გენერლის და პროკურორის ნათესავი რომ ვიყო, შენს იმედს დავიკავებდი?
ევგრაფი — ჩემს დასიძებას ვერაგული გზით ფიქრობდი?..
ანტიფო — ქალს ეძებ თუ ნათესავებს?
ევგრაფი — მატყუარა სიმამრი არ მინდა — მე შენს ქალიშვილს არ შევირთავ.
ანტიფო — ...საქორწილოდ მზად ვარ.
ევგრაფი — გიჩქარია. არ შევირთავ.

ანტიფო — ჩემს შერცხვენას არ გაპატიებ.

ევგრაფი — რას იზამ?

ანტიფო — შერცხვენილ ყოფას სიკვდილი მირჩევნია. სიგლახე არ იფიქრო... რით მიწუნებ, იმით რომ სანათესაოში გენერლები და პროკურორები არა მყავს? სირცხვილი შენს ვაჟკაცობას, ეს ტუტუცობა როგორ გაამხილე.

ევგრაფი — მოტყუებული ვარ.

რეხვიაშვილი — დედა ნუ წამიწყდება, გავხეთქავ ამ გაიძვერას. (ევგრაფისაკენ მიიწევს).

ჩობაძე — (რეხვიაშვილს) გაჩუმდი, ახალი თანამდებობის რადი დაიკავე. (ამშვიდებს).

პელო — (დაცინვით) ევგრაფი ევგენიჩ, თავს ნუ იწუხებთ, ბაბულო გაფრინდა.

ევგრაფი — რაო?

ანტიფო — დედაკაცო, ხმა ჩაიწყვიტე. (პელო გადის).

(შემოდის კორნელი და კლიმენტი)

კორნელი — (აჩქარებული) ანტიფო, ქალიშვილი არ დაღუპო, ევგრაფი მოხსნეს.

კლიმენტი — პრეზიდიუმის სხდომაზე გენახა, ანკესზე წამოგებულ ღორჯოსავით ფართხალებდა.

ანტიფო — რაო?!

ევგრაფი — (ახალმოსულებს) თურმე არ გიცნობდით — ორგულებო!

კორნელი — (ევგრაფი შეამჩნია) სწორედ აქ არ გელოდით.

ანტიფო — (ევგრაფის) მოგხსნეს კიი?!

ევგრაფი — რა მნიშვნელობა აქვს, მე მოგწონვარ თუ ჩემი თანამდებობა?.. (კორნელის და კლიმენტის) ამ ორომტრიალში თქვენ ხომ გაგიცანით.

კორნელი — დავიღალეთ, შენგან მეტის ატანა აღარ მოხერხდა.

ევგრაფი — ძმობას რომ მეფიცებოდით?

კლიმენტი — წესით, არჩევნებში უნდა გაშავებულიყავი, მაგრამ ხალხმა შეგიწყალა.

კორნელი — კლიმენტიმ კი ამოგჩეხა საარჩევნო სიიდან, მაგრამ არ გაუმართლა.

კლიმენტი — (კორნელის) შენც კაი ხანს ხეხე მაგის კანდიდატურა.

კორნელი — (კლიმენტის უკმაყოფილოდ) შე კაცო, ნუ გაამხილე არჩევნების საიდუმლო.

ევგრაფი — როგორ მიბედავთ?!

კორნელი — როგორ არ გაგიბედოთ. შენს შემდეგ იმავე პრეზიდიუმის სხდომაზე შენი მიზეზით ჩვენ ორივე (კლიმენტიზე ანიშნა) მოგვხსნეს.

კლიმენტი — ასე დამთავრდა.

კორნელი — (გაფიცხდება) მოხსნა რა არის, დასაჭერი ხარ.

ევგრაფი — მაინც მიფრთხილდით.

კორნელი — მოფრთხილებამ მიყო, მომხსნეს.

რეხვიაშვილი — (კორნელის) გახსოვთ, რომ აქებდით?

კორნელი — აბა რა მექნა?

კლიმენტი — თხილის წკნელივით ვიღუნებოდი, მაგრამ მაინც მომხსნეს

კორნელი — სამაგიეროდ შვიდი თავმჯდომარე გამოვიცვალე.

ევგრაფი — (ანტიფოს) გესმით, ვისთან მქონია საქმე?! დამაბრმავეს, დამაყრუეს, ამათმა ხოტბამ გამომათაყვანა... ანტიფო, მე თანახმა ვარ, შენს ქალიშვილს ვირთავ. მე ახლა მჭირდება მეგობარი.

ანტიფო — ნურას უკაცრავად!..

ევგრაფი — როგორო?..

ანტიფო — ამას კითხვა აღარ უშველის. მე მეგონა არტელის თავმჯდომარედ დროებით იყავი.

კლიმენტი — კი, დროებით იყო, მოხსნეს.

ანტიფო — დროებით მოხსნამდე კი არა დაწინაურებამდე. მაგის გულისათვის რაიკომი და ცენტრალური აპარატი ერთმანეთს ებრძვის, არა მე და არა შენო, ასე ვიცოდი.

კლიმენტი — კი, იბრძოლეს, არა მე და არა შენ მოხსენიო.

კორნელი — და ბოლოს ორივეს თანხმობით მოხსნეს.

ანტიფო — (ევგრაფის) ფუტურო ყოფილხარ... არა, ეჭვი კი მქონდა, ამ კაცმა ასე უცაბედად გული როგორ მოიბრუნა-მეთქი. ფურმე გენერლების სიძე-ნათლია ვგონებივარ.

ევგრაფი — ანტიფო, ხალხს ანგარიში გაუწიე, დაწყებული საქმე დავაგვირგვინოთ.

ანტიფო — გვირგვინის დასადგმელი თავი შენ არა გაქვს და ჩემმა ქალიშვილმა დროზე უშველა თავს. უყვარდა და გაჰყვა...

(შემოდის პელო)

პელო — ანტიფო, ჩვენს ეზოში პროკურორი შემოვიდა. გენერლის ფორმა აცვია, ჩვენსკენ მოდის.

ანტიფო — რას ამბობ, ქალო? (ფანჯარაში გაიხედავს). რეხვიაშვილი! (ევგრაფის და მის მეგობრებს) მოუსვით აქედან.

კორნელი — საით?

ანტიფო — მიწა გაითხარეთ და ჩაძვერით.

(ისმის კაკუნი)

ევგრაფი — აკაკუნებს.

პელო — მობრძანდით.

(შემოდის პროკურორი)

პროკურორი — თქვენის ნებართვით, ქალბატონო, თუ ოჯახის სიმშვიდეს არ დავარღვევ... რეხვიაშვილი.

პელო — პელო ბაბუხადია. (ხელს ართმევს).

პროკურორი — თქვენ და თქვენი ქალიშვილი თქვენს ოჯახში მაგონებთ მინდვრის იმ ძვირფას ყვავილებს, რომლებსაც ირგვლივ სარეველა შემოხვევია...

პელო — არ ვიცი რა გიპასუხოთ.

პროკურორი — აქტიურად, ენერგიულად ვებრძოლოთ სარეველას... აი, მაგალითად, ეს (ევგრაფის მიათითა) საშიში სარეველაა. ნაყოფიერ მინდორზე თუ ამას დროზე არ მივუსწარით, შეიძლება სათუთი და კეთილშობილი ნაყოფი დაჩაგროს. სარეველა მრავალნაირია, მეტნაკლებად საშიში ჯიშისა, მაგრამ ერთნაირად მავნე ჩვენი საზოგადოებისათვის...

პელო — სწორი ბრძანებაა.

ანტიფო — (უტიფრად) ესენიც არიან. (კორნელის და კლიმენტის მიათითა).

პროკურორი — (ანტიფოს) მგონი თქვენც... მაგრამ თქვენ, როგორც ოჯახის წევრი, აქ დარჩებით. თქვენ კი მიბრძანდით! (პელოს) მგონი შეიძლება ასე მივმართო.

პელო — ცხადია. (ევგრაფი, კორნელი და კლიმენტი გასვლას დააპირებენ).

პროკურორი — აქედან არა, უკანა კარებიდან.

ანტიფო — უკანა კარებიდან?

პროკურორი — დიახ! წინა კარებში გველოდებიან.

ანტიფო — (ევგრაფის, კლიმენტის და კორნელის) აქედან გადით. (რეხვიაშვილს და ჩობაძეს) გაჰყევით, ჩააცილეთ.

პროკურორი — (ევგრაფის) ნუ გეწყინებათ, რომ თვალთმაქცებსა და კარიერისტებს უკანა კარებიდან მიაბრძანებენ ხოლმე. ასეთია წესი. სამაგიეროდ ნუ გაიკვირებთ, თუ პროკურატურის წინა კარებში მოხვდეთ. (ევგრაფი და მისი ამფსონები გადიან, ჩობაძე და რეხვიაშვილი მიაცილებენ)... თქვენ ამ ოჯახის მამა ხართ?

ანტიფო — დიახ.

პროკურორი — კარგი ბინა გქონიათ... თუ შეიძლება გთხოვოთ ერთი ოთახი, ვიდრემდის ახალდაქორწილებულნი ცალკე ბინას იშოვნიდნენ.

ანტიფო — სიამოვნებით, მაგრამ თუ ბინა არ ჰქონდათ, რა ეჩქარებოდათ...

პროკურორი — ესეც თქვენი ბრალია. ქალ-ვაჟი დააჩქარა საქმეში თქვენმა ჩარევამ (პელოს) სთხოვეთ... (პელო გადის) კურდღელივით დაფრთხნენ, მაგრამ სწორად მოიქცნენ... ელგუჯა სიდამონიძემ უკვე დაამთავრა სამხატვრო სასწავლებელი. აქამდე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ვიდრემდის შესაფერ ბინას აღმოვუჩენდეთ, გთხოვთ, თქვენთან მოაწყოთ.

ანტიფო — თუ იკადრებენ, სულ აქ იყვნენ.

(შემოდიან ბაბულო, ელგუჯა ჩემოდნებით ხელში, შემდეგ პელო)

ბაბულო — მამა, ძვირფასო, მგონი გაწყენინე. (ჰკოცნის)

ანტიფო — პირიქით, მიხარია ეს საქმე ასე რომ დამთავრდა.

ელგუჯა — სალამი, ამხანაგო ანტიფო.

ანტიფო — იცოცხლე, სიძევ!

პროკურორი — ნახვამდის, მეგობრებო!

ბაბულო — ნახვამდის. ვეცდებით გავამართლოთ თქვენი ყურადღება.

პროკურორი — ეჭვი არ მეპარება!.. განსაცდელში შეძენილი მეგობარი ყველა მეგობარზე ძვირფასია. ხომ ასეა, ამხანაგებო?.. თავისუფალ დროს შემოიარეთ, ქალაქგარეთაც გავიდეთ, თქვენთვის ეს მუდამ სასარგებლო იქნება, მხატვარო.

ელგუჯა—უსათუოდ.

პროკურორი — ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შემოქმედებითს მუშაკებს ხელი შეგიწყოთ. კარგად იყავით, ნახვამდის! (პროკურორი გასვლას აპირებს, ანტიფო ადგება, პროკურორი ანტიფოს) დაბრძანდით, ნუ წუხდებით!.. შეიღირსეთ პატიოსან ადამიანთა საზოგადოებაში ცხოვრება.

(გადის)

პელო — (ანტიფოს) იფიქრე, კარგად იფიქრე!..

ანტიფო — ოღონდ ხალხში ნუ გამამხელთ, სასაცილოდ გამხდიან, ყბად ამიღებენ.

(ფ ა რ დ ა).

მამია ვარშანიძე

კ ო რ ე ა ს

სახალხო-დემოკრატიულ კორეას და მის გმირებს

ვინ არ გსახავს გოლიათად,
თუმც რუკაზე პატარა ხარ,
მტერს უნდოდა გაეხადე
ფერფლად, მტვრად და ნატამალად.

შენი ხალხი უშიშარი
აღსდგა მტკიცედ დარაზმული,
რომ მტერს ვერაგს ვერ შეეხსნა
შენი კარი დარაზული.

ჰე, კორეავ მშვენიერო,
მტრების ცეცხლით ნატიალო.
ჯავრის დიდი ნაოჭები
შენს შუბლს ჯერაც ატყვიაო,

განა მტერმა დაგამარცხა,
განა მტერმა გაიხარა?!
შენი დროშა აღმართული
დაბლა როდი დაიხარა.

შვილებს მედგრად შეუძახე,
ხმლები რომ არ გამრუდოდათ.
ოკეანესგაღმელ ურჩხულს
შენთან აბა რა უნდოდა?!

შენ გმირულად შეებრძოლე
შავბნელ ღამეს — ჩრდილებიანს,
ჭირში, ლხინში განუყრელი
მხარში გედგა ჩინელი ძმა.

მადლიანო, მშვენიერო,
ულამაზეს მთაგორებით,
ცხრა მთის აქეთ, ცხრა ზღვის აქეთ
სიყვარულით მაგონდები.

ვინ არ გსახავს გოლიათად,
თუმც რუკაზე პატარა ხარ,
მაგრამ მტერმა ვერ გაგხადა
ფერფლად, მტვრად და ნატამალად.

დროშას ლაღად აშრიალებ,
ოქროსფერად სხივებს რომ ცრის,
გამარჯვებას მოგილოცავ,
მკერდს შვილივით დაგიკოცნი.

დ ა ი გ ვ ი ა ნ ა

როცა გრიგალმა გადიგრიალა —
დარდი გაგვიჩნდა ქალებს, ვაჟკაცებს:
თბილისში მოსვლა დაიგვიანა,
დაიგვიანა ნატო ვაჩნაძემ...
ავდარმა ცხრა მთა გადაიარა,
ცის ლაჟვარდს ისევ მზე აკაშკაშებს.

მისი ამბავი მოდის თბილისში
და საუბრობენ ყველგან ნატოზე,
თვალებაუჟუჟუნა ნაზი ქალები
დღეს მისი ფერფლის ნახვას ნატრობენ.
მერე რაა, რომ დაიგვიანა,
მზეს და სოცოცხლეს არ მიატოვებს.

მისი სახელი ვიმღეროთ მუდამ
და ამოვქარგოთ ოქროს ფარჩაზე,
თბილისში მოსვლა მას გულით სურდა,
ნუ დაიჯერებთ ამბავს ამაზრზენს.
მოგენატრებათ? დახედეთ სურათს
და გაცოცხლდება ნატო ვაჩნაძე.

შენ გიმღერი, დამაზო!

მომისმინე, შენზე ფიქრით,
სიყვარულით ანათრთოლს,
შენ გიმღერი საგალობელს
ჩემი სულის თანატოლს,
შენი ერთი შემოხედვა
სხივებივით გამათბობს.

სიყვარული ტანჯვაც არის,
მე მას ვხვდები უშიშრად,
გული ისევ შენკენ მიწევს,
თუმც კი განახე გუშინაც,
მსურს გაგანდო, გაგიმხილო
რაც ფიქრები გულში მაქვს.

მაცოცხლებელ სურნელს აკმევს
შენი თმები დაწნული,
გაიგონე, მოისმინე
ჩემი სიტყვა კაცური,
ალალი ვარ, გულმართალი,
არ გეგონო მაცდური.

ამ სიმღერას მერცხალს ვატან,
კარები არ ჩარაზო,
სიყვარულით სავსე გული
მინდა შემოგთავაზო,
მარად შენი ერთგული ვარ,
შენ გიმღერი, ლამაზო!

ინეზა გერიძე

შენი ბარათი

მე გუშინ დამხვდა მაგიდაზე
შენი ბარათი,
მთრთოლვარე ხელით დაწერილი
ოცამდე სიტყვა.
საოცარია! რატომ არა ვთრთი?
აკი მწერ „დედა, მე ავად ვიყავ“...

მიყვარხარ, როგორც ყველა დედას
ნანატრი შვილი,
ახლა ამ გრძნობას სულ სხვაგვარი
დაერთო სითბო —
შორიდან ხვდები ჩემს გულისტკივილს
და მანუგეშებ ვით დედა თვითონ.

ასეთი გულით სნეულებას
დაიმორჩილებ:
გაქვს საბჭოური ახალგაზრდის
ფოლადის ნება,
არც მსაყვედურობ, არც შემომჩივლებ
და სტრიქონს ცრემლი არ ედინება.

შენი ბარათი გუშინს აქეთ
გაშლილი მიდევს,
ავადა ვარო... გულს კი არ ფლობს
ნაცნობი სევდა:
ყოველ სტრიქონში თვით მაძლევ იმედს,
ყოველ სიტყვაში შენს ძალას ვხედავ!

ჩემო პატარავ

სად გითევია,
უთენია
სმენას რომ მიტკბობ?!
კარგი ამბავი ჩამომძახე,
პატარა ჩიტო!

თოვლი გაცვივა.
არა გცივა
პაწია ფრთებზე?
ფრთხილად დაფრინავ შტოდან შტოზე
და სარჩოს ეძებ.

დაგიყრი საკენკს,
არას გატკენ,
ჩემო პატარა,
ვიცი ამ ფრთებმა სივრცე ლაღად
შემოგატარა.

სიდან მოფრინდი?
ღამის ბინდი
თუ გადმოლახე,
ჩემს სამშობლოში შენ არავინ
დაგიდგამს მახეს.

იფრინე ლაღად
მთა და ბარად,
პატარა ჩიტო,
დაგიყრი საკენკს, არ მოგაკლებ
ზრუნვას და სითბოს.

სად გითევია,
უთენია
რომ დამჭიკჭიკობ?
თოვლი გაცვივა.
არა გცივა
პაწია ჩიტო?
ცაზე დარი ჩანს,
ცამ ხალიჩა
ღრუბლის ასწია.
ჩვენი დიდი მზე შენც გაგათბობს,
ჩემო პაწია!

მზეო, მინათე!

ღამე დაიწვის და კამკამა დილის ცისამებრ
მე შენს ამოსვლას ველოდები ყოველ ცისმარე.
უკვდავებისა და სიცოცხლის სხივთა ნაკადო,
მინდა ამ გულშიც მოგიზგიზე ცეცხლად აგანთო
და იქ გადავწვა პოეტური გრძნობა მხურვალი,
ჟამთა სრბოლვაში უცვეთი და გაუხუნარი,
რომ წრფელმა სიტყვამ სამყოფელი იპოვოს სადმე.
იხაროს ლექსმა უკუნითი უკუნისამდე!
მზეო, შენს ნათელს წმიდა მსხვერპლად ამ გულს
მივართმევ, ოღონდ მინათე!

გიზო ჯელიძე

მშობლიურ სოფელში

1. ჩაის მიმღებ პუნქტზე

დღეს ჩაის პუნქტში ვიყავი.
გული ხალისით ამევსო,
ბევრი ნაცნობი ვიხილე,
ბევრი ახალიც გამეცნო.

ვდგავარ, ყურს ვუგდებ ჟრიამულს,
გულით ვამაყობ, ვიზრდები,
მოდის გოდრებით ფოთოლი,
როგორც მდინარის ზვირთები.

2. ბრიგადირი

მთელს რაიონში პირველი არის,
გარდამავალი მიიღო დროშა,
კმაყოფილია, მისმა ბრიგადამ
თითქმის ხუთწლედით გაუსწრო დროსა.

სახემღიმარი და გულგაშლილი,
ესაუბრება ბრიგადის წევრებს,
დღეს მის სიხარულს არ აქვს საზღვარი,
ცნობა მოვიდა—კრემლში იწვევენ.

3. ეძიმი ქალი ჩვენს სოფელში

ჩვენს სოფელში შენი მოსვლა,
გავდა დილის მზის ამოსვლას,
მზრუნველობის სხივებს აფრქვევ
პატარას თუ ჭაღაროსანს.

სიხარულით გიჩქეფს გული,
გაწვდი სოფელს კიდით-კიდე,
სადაც მიხვალ—სნეულება
გუდა-ნაბადს აიკიდებს!

4. შეხვედრა მამასთან

მე ძლიერ მიყვარს მასთან ბაასი,
ამბებს მოჰყვება ხან მთის, ხან ბარის,
მეტყვის: „დღეს, შვილო, ჩვენი ცხოვრება
ხორცშესხმა არის ძველი ზღაპარის.
ფერი ვიცვალეთ, წინ მივქრით მედგრად,
დროშა მიიღო ჩვენმა ბრიგადამ,
აქ არხი გაგვყავს, იქ ტუნგოს ხეს ვრგავთ,
ის ტყე გავჭერით, ნაბადს რომ გავდა.
სად ლაფი იდგა, ბაღი გაჩნდება,
ბილიკი იყო—გაგვყავს შარაგზა,
გესმის? მდინარე ველარ ხმაურობს,
დღეს ჯებირებმა ისე ჩარაზა.
ამ კლუბს რომ ხედავ, შენს მერე გაჩნდა,
აქ, შეხე, ჩაის ფაბრიკას ვაგებთ,
ჩვენ—მოხუცებიც ჯეელ ბიჭებთან
მაგრად ვიშრომებთ და ვიჭარმაგებთ!
მგონი შენ კიდევ დიდხანს ვერ გვნახავ,
დაბრუნდები და ვერ იცნობ სოფელს,
არ შეგცდეს, ბიჭო, და სხვის ჭიშკართან,
„აქ გაჩერდიო“ არ უთხრა შოფერს!

5. ასოცდაათი წლის კაცი

ასოცდაათი წლის არის,
ორ საუკუნის კაცია,
თავს ყაბალახი წაუკრავს,
ახალი ჩოხა აცვია,
მკერდზე ორდენი უბრწყინავს,
მშრომელი ბერიკაცია.
ხარები გამოუცვლია
მას ორმოცდაცხრა ულელი,
უვლის ორმოცდამეათეს,
მკლავი აქვს კვლავ მოუღლელი,
ექიმს არ იცნობს, წამალი
კი ერთხელ დაულევია,
ამბობს „მან შემქნა ჭაბუკად,
მან გამიკაჟა ძვლებია“.
და ეს პირველი წამალი
ცხოვრება არის ახალი.

რევაზ ჩხარტიშვილი

სიმღერა სამშობლოზე

ოცნება ბევრი გაფრინდა,
მთავარი მაინც გულშია.
ყველა ძვირფასი და წმინდა
შენს უკვდავ სიყვარულშია.

რაც მიცხოვრია ამ ქვეყნად,
ბიჭიც არა მაქვს გავლილი,
ისე, რომ შენი სახელით
არ იყოს შემომტკავლილი.

ბევრი გყოლია წარსულშიც
თავზე მზეგადანაყარი.
მათი უმცროსი შვილი ვარ
მათ ფესვზე ამონაყარი.

ჩემი ოცნების კოკორი,
ჩემი სულთქმა და ფიქრები,
შენ იყავ, ჩემო სამშობლოვ,
შენ ხარ და შენვე იქნები.

რა ბედნიერი, რა ლაღი,
რა მოხარული ვიქნები,
თუ ჩემს ლექსებშიც ჩავასხი
დიდი ცხოვრების ზვირთები,
ღირსი შენებრი, მშობლისა
მე მხოლოდ მაშინ ვიქნები!

სამგორში ჩამოსახლებულ ხევსურებს

თქვენი სიმღერა ჩამესმის,
თუ ვაქას ნაბდის შრიალი,
ფაფარაყრილი მთებიდან
რომ გადმოიჭრა გრიალით?

ახალ ცხოვრების მლოცველად
თუ მოგყვათ მისი ჩანგური!
მან თქვენი კერაც დალოცოს,
მთებიდან ბარში ჩარგული.

გამოეთხოვეთ მთა-ღრეებს
და შუბლდაღარულ ჭიუხებს.
მობრძანდით! აქა მშვიდობა,
არ დაგიკარგავთ სიუხვეს!

კლდეზე თავჩარგული თქვენ ქოხებს
ქარი და სეტყვა არ აღგვის.
მდუღარ ცხოვრებას შეეტკბეთ
როგორც წვეთები არაგვის.

დრო გავა... მემატიანე
ალბათ იქნება გამგონი
სტალინურ დროში რომ იშვა
თქვენი მამული—სამგორი.

ზ ღ ვ ა

ზღვა აღარ შფოთავს, აღარ ბობოქრობს,
თითქოს შეუკრავს ვინმეს ხუნდებით.
მე მის სიდინჯეს ველარ ავიტან,
მასთან მანამდე არ დავბრუნდები,

სანამ ძველებურ არ აზვირთდება
ლურჯი ტალღებით გულდაისრული;
მე როდი მიყვარს ზღვის დამშვიდება,
მისი დუმილი დარბაისლური.

ზღვაც რომ დამშვიდდეს, რას დაემყაროს,
რას გაუტოლდეს პოეტის გული?!
მაშ გაუმარჯოს ზღვის ვრცელ სამყაროს,
ნაპირს რომ ებრძვის გაგიჟებული!

ვინ თქვა უსიყვარულოდ

ვინ თქვა უსიყვარულოდ
სიჭაბუკე მცინარი,
სიცოცხლის და სიამის
წლები მოუწყინარი?

ვინ თქვა, თითქოს ჭაღარა,
სიხარულის მპარავი,
მესტუმრა და მის შემდეგ
აღარ მიყვარს არავინ?!

ეს ჭაღარა არ არის
მოხუცების ნიშანი,
მის ვერცხლისფერ ღიმილში
სიყვარული იცანი.

წავიდა ის, ვინც გულში
დადგა ტრფობის კარავი,
მაგრამ გული კვლავ დამრჩა, —
გული გაუბზარავი.

მაშ ისევ შენ, ისევ შენ,
სხვა არ მინდა არავინ.
შენ აიგე ამ გულში
დაუშლელი კარავი.

ეს ჭაღარა არ არის
მოხუცების ნიშანი:
მის ვერცხლისფერ ღიმილში
სიყვარული იცანი!

ნუგზარ აფხაზავა

სოფლის სურათი

მზე ჩავიდა. არემარე
ჩრდილს იხვევს და იბინდება.
სძინავს ჩაის პლანტაციას,
მიიძინეს სიმინდებმაც.

ვიღაც სოფლის ორღობეში
ერეკება წყნარად ნახირს,
ისმის მწყემსის შეძახილი
და ზუზუნი იფნის სახრის.

აციმციმდნენ ვარსკვლავები
მიძინებულ სოფლის ცაზე
და რძისფერი ნისლის ფრთებმა
მთებს კარიბჭე ჩაურაზეს.

მთვარე ტყიდან ამოსვლისას
ვერცხლის შუქად დაიწურა.
სოფლის ქუჩა-ორღობეში
აკაშკაშდა ელნათურა.

ძინავს სოფელს... სახვალიოდ
მოიკრიბოს უნდა ძალა,
რომ ნაბიჯი ერთიც მტკიცე
კომუნისკენ წარსდგას ხვალაც.

მთის ყვავილი

მთის ხრიოკ ფერდობს ამშვენებ, ნიავი გარხევს ნაზად,
მაინც ვერ გაგეგები,
ეკალუცო, ფიანდაზად.

ბაშინ განაცვლებ ჩემს თავს, შენზე დამრჩება თვალი,
თუ დაიმშვენებს გულმკერდს
შენით ლამაზი ქალი.

ვით არ გიმღერო

ვარდი დამჭკნარა... ბულბულის
გულში კი სევდა ალობს.
ვარდი დამჭკნარა... ფრთოსანი
მაინც გალობს და გალობს.

...დაუჭკნობელ ვარდს, მითხარი,
ვით არ გიმღერო, ქალო!..

ანდრო სალარიძე

ორი ფელეტონი

1. კრიტიკის „მოყვარული"

იგი თითქმის ყოველ კრებას,
სხდომებსა და თათბირებს
აძლევს ურიცხვ დაპირებას,
მაოს პირნათლად შესრულებას
გულწრფელადვე აპირებს.

ერთხელ, როცა განაცხადეს:
დახმარება გვჭირდება,
უფროსი კი მხოლოდ სიტყვით
დახმარებას გვპირდება,

მას მცირედი საყვედურიც
არავისთვის არ უთქვამს,
აღიარა შეცდომა და
გასწორებაც აღუთქვა.

მერე, როცა უსაშველო
დაპირების იმედით
არ შესრულდა საწარმოო
გეგმა, ასორტიმენტი,

დრო ითხოვა, თქვა, რომ სიტყვას
საქმეს არ დააშორებს,
ამას მოსპობს, იმას აღკვეთს,
ამას გამოასწორებს.

მერე, როცა მრავალთაგან
ერთი-ორი პირობა
მართლაც დროზე შეასრულა,
ჩაიდინა „გმირობა",

მთლად აიკლო ყველაფერი
მათზე ლაპარაკითა,
მიღწევებზე ხმაურითა,
ტრაბახით და ბაქითა,

იძახოდა: „ნაკლი გვქონდა
უთვალავი, ულევი,
შესვენების, სულის მოთქმის
დრო არ იყო სრულებით,
მაგრამ მაინც სიტყვა ჩემი
საქმეს არ დავაშორე,
ეს მოვსპე და ის აღვკვეთე,
ესეც გამოვასწორე“.

მერე, როცა ამ ხმაურში
ვარდიც დაჭკნა, იაცა,
ჩაის კრეფაც ჩაიშალა,
თესვის კამპანიაცა.

ენატკბილი „საქმოსანი“
ლაყბობაში ამხილეს,
თითქმის მთელი ყურადღება
მასზე გაამახვილეს,

ეწყინაო ეს კრიტიკა,
ვინ თქვა, განა სწორია?
არ ირწმუნოთ, არ იწამოთ,
ტყუილია, ჭორია.

მას ოდნავი საყვედური
ამჯერადაც არ უთქვამს.
ეს შენიშვნაც მიიღო და
გასწორებაც აღუთქვა.

მერე, როცა იმ ძველ ცოდვებს
სხვა, ახალიც დაერთო
და მთელი წლის შედეგებზე
კრება ჰქონდათ საერთო,
განაცხადეს: თავს გვაბეზრებს
ამდენ დაპირებითა,
თვალს გვიხვევსო არ არსებულ
მიღწევებზე ქებითა,
ჰატივს არ სცემს სიგნალებსო
მომდინარეს ქვევიდან.

ასეც კი თქვეს: არ აფასებს
ამ სიყვარულს, ამ ნდობას,
ამხანაგი კოლექტივის —
შლისო საქმიანობას.

გაუკვირდა: საყვედური
არასოდეს არ უთქვამს,
არაერთი დაპირებაც
არაერთხელ აღუთქვამს,

თუმცა ყველას შესრულებას
თავი თუ არ მოება,
ხელს ხომ უწყობს თვითკრიტიკის
გაშლას, გაფართოებას?

ამბობენ, რომ ახლაც უკვირს,
ზის და განსჯას უნდება—
კიდევ ერთი დაპირების
რად არ მისცეს უფლება?!

2. „მშენებელი"

ერთი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
მშენებელის ნიჭს და უნარს იჩემებდა.
კაცი ვეღარ ისვენებდა,
ეტაცებდა მუშაობის ტემპი ცხარე.

და სულ მალე
ახდა მისი საწადელი.
იმ სოფელში ხიდი იყო გასავლელი,
დიდი შრომით, დიდი ჯაფით აგებული,
არახალი, არც თუ ძველი,
მაგარი და ჩინებული.

არ დაუჯდა თვალში თურმე უსაზომოდ,
გაიფიქრა: „რომ შეხედო ამ ხიდს კარგად,
უფორმოა, უანსამბლო, უფასონო,
მოაჯირიც არ უვარგა".

იმ დღესავე მოახსენა თათბირს რიხით:
—„რათა გზები მოვაწყოთ და გავამშვენოთ,
საჭიროა ხიდი იგი
დავანგრიოთ და ახალი ავაშენოთ,

ჩვენ ძველი გზით სიარული რით გვარგია?
გავაჩაღოთ მშენებლობა, რომლის ბოლოს,
როცა დიდი თავმჯდომარე მოვა, მხოლოდ
გვითხრას: „ყოჩაღ, გივარგიათ!".

ერთმა უთხრა:
— იმთავითვე ასე ხდება—
ხიდს სხვადასხვა დროს უცვდება ნაწილები,
ზოგი ცოტა, ზოგი კიდევ გაცილებით
მეტ ხანს გასძლებს, არ სჭირდება შეკეთება.
ამ ჩვენს ხიდსაც
მოაჯირის გარდა დიდად
არრა აქვსო დასაწუნი.
სხვაც არ იყოს, საამისოდ განზრახული
არც მასალა გაგვაჩნია, არცა ფული.

მეორემ თქვა:
— უნაყოფოდ დღისით, მზისით
რად ვიშრომოთ,
რად ვიხარჯოთ,
რად ვიწვალოთ?
ავწიოთ და უვარგისი
მოაჯირი გამოვცვალოთ.

მტრისას, მაშინ თავმჯდომარემ დაიქუხა:
— არ ძალმიძსო არაფერში თქვენი ხდობა,
ჩვენი სოფლის ღირსებისთვის არა სწუხხართ,
არა გაქვთო ახლის გრძნობა.
მე კი უნდა გითხრათ სწორედ,
არა მსურსო. ყურად ვიღო აქ ნაყბედი.
ნუ მასწავლით,
ნუ მისწორებთ,
მე ვიცი თქვენზე მეტი.

ამნაირი, არც თუ ამოდ მოსასმენი
სიტყვით, მისი დაიყინა,
და ის ორნი „მოჯანყენი“
ბოლოს დარჩნენ თავისწინა.

და დაშალეს ხიდი დიდხანს ნაკეთები.
მშენებლობა ვერ იტევდა ხალხს და ურმებს
(თავმჯდომარის დიდ უნარზე გაზეთებიც
წერდნენ თურმე).
აღარ იყო დრო მოცლის და მოსვენების...
მთელ წელიწადს იმ ხიდიდან ასიოდე
მეტრის ქვემოთ სოფლელები
წყალში ფეხით გადიოდნენ.

ალექსანდრე ჩხაიძე

თვალახვეული

1.

რკინიგზის სადგურში ჩვეულებრივი მოძრაობაა. ჩამოსული და წამსვლელი მგზავრები ხმაურით ერთმანეთში ირევიან. საგარეუბნო ელმავლები ზედიზედ ორივე მხრიდან ადგებიან ბაქანს.

წვიმა წვრილად ცრის. შუაღამე გადასულია.

მიწისქვეშა გვირაბიდან ბაქანზე მგზავრების ახალი ნაკადი ამოდის. ესენი საკონსერვო ქარხნის მუშები არიან. მათი ცვლა დამთავრდა და ჩქარობენ, რომ სახლებში ადრე მივიდნენ და დაღლილი კუნთები მოასვენონ.

ამდენ მოფუსფუსე ხალხს ერთი წყვილი განრიდებია და ისეთი ადგილი მოუნახავს, სადაც მეტი სიმშრალეა და ელექტრონის შუქიც ნაკლებად ადგება.

ერთ მათგანს, მაღალი ტანის გამხდარ მამაკაცს, ამერიკის არმიის ფორმის გაცვეთილი ფრენჩი აცვია. მკერდზე მოუჩანს ელნათურის შუქზე მოკიაფე ორდენი და მედალი. იგი გაშეშებული დგას. ხელი მხარზე ჩამოუდვია თერთმეტი-თორმეტი წლის ბიჭისათვის. ბიჭი სიცივისაგან ისე მობუზულა, რომ გამხდარი მხრები ყურებამდე აუკრეფია. ჭრელი სვიტერი, რომელიც მამის ნაქონი უნდა იყოს, ეტყობა სრულიად ვერ იფარავს მის ტანს ნოემბრის სუსხისაგან.

ბიჭის მიმქრალ, ჭორფდაყრილ სახეზე მხოლოდ თვალები მოძრაობს ცოცხლად და სწრაფად. იგი დაჟინებით აკვირდება ყოველ ახალ ჩამომდგარ ელმავალს, მაგრამ, ეტყობა, ყოველთვის იმედგაცრუებული რჩება. ხანდახან ცალ თვალს საწვიმარმოსხმულ ზორბა პოლისმენისკენ აპარებს. წვიმას კანონიერების დამცველიც შეუწუხებია, და პატარა ბარის წინ ფარდულისათვის შეუფარებია თავი. ყოველთვის, როცა სადგურში შემოსრიალებული ელმავლის პროჟექტორის შუქი მოუახლოვდება, ბიჭი მაშინვე უკან იხევს და კედელს ეკვრის. ეტყობა ეშინია, პოლისმენმა თვალი არ ჰკიდოს.

მგზავრების ფუსფუსმა თანდათან იკლო, წვიმამ კი იმატა.

როცა კიდევ ერთმა ელმავალმა ჩაიარა, მამაკაცმა ყრუ ხმით წარმოთქვა:

— ტომ. — ბიჭმა ელმავალი თვალებით გააცილა და თანამგზავრს უფრო მიეკრა. — ტომ, ალბათ ხეგმა უკვე გაიარა. იქნებ სჯობს ბილეთები ვიყიდოთ.

— არა მგონია. ჩვენ საათზე მეტია ვიცდით. ცოტაც მოვითმინოთ. — სიცივისაგან დაბოხებული ხმით მიუგო ტომმა.

უფროსს მეტი არაფერი უთქვამს, თავაწეული და უცნაურად თვალებგაშტერებული, ისევ ერთ წერტილს მიაჩერდა.

შორიდან საყვირის ხმა გაისმა. ტომმა ბაქანზე შემოსრიალებული მატარებელი შეათვალიერა და სიხარულით თვალები გაუბრწყინდა, როცა ელმავლის წინაფარზე ნაცნობი ციფრი ამოიკითხა.

— ჩვენია! — მოკლედ წარმოთქვა მან.

მამაკაცი შეიშმუშნა, კედელზე მიყუდებული ჯოხი მარჯვენა ხელში მოიმარჯვა, მარცხენა კი ბიჭს ჩასჭიდა. ტომმა პოლისმენისკენ მიიხედა. იგი სიცივეს და წვიმას კიდევ უფრო შეეწუხებინა, ბარში შესულიყო და ბუფეტთან მიმდგარი, ვისკს წრუპავდა.

ტომმა და მისმა თანამგზავრმა უკანასკნელ ვაგონს მიაშურეს. მამაკაცი ტომს მიჰყვებოდა სწრაფი, მაგრამ მისი ახოვანი ტანისათვის შეუფერებელი მოკლე ნაბიჯებით. ჩქარობდნენ, რადგან მატარებელი აქ მხოლოდ რამდენიმე წუთით ჩერდებოდა.

ბოლო ვაგონის კარებში ზანგი გამყოლის გიშრისფრად მოლაპლაპე სახე გამოჩნდა.

— ალო, ტომ... მარტინ!..

ეტყობოდა იგი ელოდა დამხვდურებს, რადგან ღიმილით გაიბადრა, მის სახეზე თეთრად აელვარდა კბილების ორი მწკრივი. ხეგმა ვაგონის კარი ფართოდ გამოაღო, თვითონ ბაქანზე ჩამოვიდა და მათ იმ მხრიდან ჩამოეფარა, საიდანაც პოლისმენს ან კიდევ უფროს გამყოლს შეეძლო თვალი მოეკრა.

ტომი და მარტინი ვაგონში შევიდნენ და ჩაბნელებულ კუთხეში მიიყუჟნენ.

ხეგი ისევ კარში ჩადგა. ელმავალმა შეჰკივლა და სწრაფად გაშორდა დაცარიელებულ ბაქანს.

— ალბათ, დიდი ხანია მელოდებით. — დაიწყო ხეგიმ. — ჩვენი ხაზი მისტერ ნორმანის ექსპრესმა დაიკავა და იმიტომ შეაგვიანდა. (მისტერ ნორმანი კონსერვის მეფე იყო).

ხეგმა პაპიროსის კოლოფი ამოიღო, მარტინს სიგარეტი მიაწოდა, ცეცხლი მოუკიდა და ტომს შეწითლებული ყურები შეუსრისა.

— როგორ არის საქმეები, ტომ? ამაღამ ედიტი დაპირებულ სანდვიჩს მიიღებს?

— ცუდად, ძია ხეგ. უამინდობა ხელს გვიშლის. — ტომმა ჯიბეში ხურდა ფული შეაჩხრიალა.

ხეგმა მინის ტიხარს იქით გაიხედა, სადაც მგზავრები ისხდნენ.

— ერთი აქაც სცადეთ, ვინ იცის, იქნებ მათ შორის ვინმე გულმოწყალე აღმოჩნდეს.

ტომმა მამას ახედა. მარტინი ისევ უხმოდ იდგა. იგი ისე გახევებულიყო, რომ სიგარეტზე წაგრძელებული თამბაქოს ფერფლი ძირს არ ეცემოდა.

ტომმა უხმოდ აგრძნობინა მამას, რას იტყვიო. მარტინი მიუხვდა, სიგარეტის ნამწვავი ჯოხის თავზე დაასრისა და მარცხენა ხელი შვილს უხმოდ ჩაჰკიდა.

კარი შეაღეს. სინათლის მძლავრმა შუქმა ტომს თვალი მოსჭრა და მან უნებურად ხელი შუბლზე მიიფარა. მარტინი კი ისევ თავაღმართული იდგა. ახლა უკვე გარკვევით მოჩანდა მისი სახე. იგი ბრმა იყო. ლიბრგადაკრულმა

თვალებმა და სახემ მხოლოდ სითბო შეიგრძნო და მას ყბებთან კუნთები შეუცახცახდა.

ხეგმა უცნობივით უხმოდ აუარა გვერდი მამა-შვილს და მოპირდაპირე კარში ჩადგა. ეს მათი ნაცადი ხერხი იყო. იქიდან მას ნიშანი უნდა მიეცა ტომისათვის, თუ უფროსი გამყოლი ან პოლისმენი გამოჩნდებოდა.

ტომმა შეათვალიერა ვაგონი, რომელშიც რამდენიმე ნაგვიანევი მგზავრი იჯდა. შემდეგ ხელი ჩაჰკიდა მამას და სკამების რიგებშორის ნელა გაატარა. მან გვერდი აუარა ღარიბულად ჩაცმულ გამხდარ დედაკაცს, რომელსაც ერთი — ტომზე ოდნავ მოზრდილი ბიჭი, გვერდით ეჯდა, ხოლო მეორე, უმცროსი, — კალათში. „შეწუხებად არ ღირს, უიმედოა“, უკარნახა გამოცდილებამ.

მოპირდაპირე სკამზე კეთილი სახის ხნიერი ქალი იჯდა.

— მისის! — მიმართა ტომიმ მას. — შეიძლება რითიმე დაეხმაროთ მსოფლიო ომის ვეტერანს, მაოტინ ტომსონს!

მოხუცმა ქალმა ჯერ ტომს შეხედა, შემდეგ მზერა მის თანამგზავრზე გადაიტანა და როცა უსინათლოს გამოღამებულ თვალებს წააწყდა, სახე კიდევ უფრო კეთილი გაუხდა.

— შეიძლება, რატომ არა!.. შეიძლება! — აჩიფჩიფდა იგი, — ახლავე. — მძივებისაგან აკინძული ქისა გახსნა. შიგ ჩხრეკა დაიწყო. ათცენტიანი ამოიღო და ტომს გამოწვდილ ხელში ჩაუდო. შემდეგ თვალებზე ხელსახოცი მიიფარა. ეტყობოდა მარტინის სახის დანახვამ ცრემლები მოგვარა. კორეაში დაღუპული შვილი ხომ არ მოაგონდა? ვინ იცის!

— გმადლობთ, მისის! — უთხრა ტომიმ.

ელმავალმა სვლას უკლო და ჩიგაკოდან მეხუთე კილომეტრზე შეჩერდა. ვაგონს რამდენიმე დაგვიანებული მგზავრი შეემატა.

ერთი მათგანი, შუა ხნის მამაკაცი, რომელსაც სიმსუქნე ყელში მობჯინებოდა და სუნთქვას უშლიდა, ძლივს შემოეტია კარებში. დაჯდა თუ არა, შლიაპა მოიხადა, გაოფლიანებული მელოტი თავი ხელსახოცით შეიმშრალა და ცხვირი ჩარგო „ჩიგაკო ტრიბიუნის“ საკვირაო ნომერში, რომელიც ბირჟის ციფრებით იყო აჭრელებული.

ამასობაში ტომი და მარტინი მიადგნენ მას.

— მისტერ!.. — მოკრძალებით მიმართა ბიჭმა.

მსუქან მგზავრს, ვერ გაეგონა, თუ წაიყურა, თავიც არ აუწევია გაზეთიდან.

— მისტერ! — ახლა უფრო ხმამაღლა გაიმეორა ტომმა, — დაეხმარეთ შეძლებისამებრ ომის ვეტერანს!.. უსინათლოს!..

შავულვაშიანმა თავი ასწია და წვრილი, ლობიოს მარცვლისოდენა თვალები თავზე წამომდგართ უაზროდ მიაპყრო. როცა მარტინის მკერდზე ორდენი შენიშნა, თვალები ააცეცა, მაგრამ მალე დაკუსა და შიგ ბოროტი ცეცხლი აუთამაშდა.

— მომწყდით თავიდან!.. — დაიღრინა მან და ეშვივით მოელვარე კბილები გამოაჩინა, თან ულვაშებიც აუთამაშდა უეცარი აღელვებისაგან.

ტომი და მარტინი სასწრაფოდ გაეცალნენ.

შავულვაშიანმა მათ ბრაზიანი თვალი გააყოლა და ისევ მოიწმინდა ხელსახოცით დაოფლილი მელოტი თავი.

ვაგონში შუქმა იმატა. ფანჯრებიდან მოჩანდა გაჩირაღდნებული დიდი ქალაქი.

— ჩიკაგო! — დაიძახა ხეგმა.

მგზავრები ჩასასვლელად მოემზადნენ.

2.

ქალაქის განაპირა უბანში, ორმოცდამეხუთე ქუჩის ბოლოს, რვასართულიან სახლში თითქმის ყველას ძინავს. მხოლოდ მეექვსე სართულის ერთ-ერთი ფანჯრიდან გამოკრთის სინათლის შუქი. ფარდით ორად გატეხრულ ოთახში მერი ფხიზლობს. ფარდის იქით ედიტს ძინავს. მისი ოქროსფერი დალალები ბალიშზე აბრეშუმის ძაფებივით გაბნეულა. ოდნავ გაღებული ტუჩები და ლოყები ისე აწითლებია, როგორც მის დედოფალს, რომელიც სასოებით ჩაუკრავს მკერდში.

მყუდროებას მარტო ედიტის მშვიდი სუნთქვა და საათის მონოტონური კაკუნი არღვევს.

მერი თეთრეულს აუთავებს. აირის ღუმელის ერთ თვალზე უთო ხურდება, მეორეზე — საყავე შიშინებს. უთოს გახურების მოლოდინში მერი მამა-შვილის წინდებს ნემსავს, თან მალ-მალე საათს შეცქერის. კარგახანია შუაღამე გადავიდა, ტომი და მარტინი კი არ ჩანან.

შემოსასვლელიდან ხანდახან ლიფტის გუგუნი ისმის. მაშინ მერი საქმეს თავს ანებებს და აყურადებს. მაგრამ ლიფტი მათ სართულზე არ ჩერდება. „ნეტავ, ასე რად დაიგვიანეს?.“ — წუხს მერი და ფიქრებსა და საათის კაკუნს აყოლებს უთოს მოძრაობას. მართალია, ხშირად უხდებოდა საღამოობით მარტო ყოფნა, მაგრამ ასე არასოდეს დაუგვიანებია მამა-შვილს. ედიტის დაძინებამდე ოთახი სიცოცხლით იყო სავსე. შემდეგ კი მერი მარტო რჩებოდა და ფიქრებით ამოკლებდა ლოდინის საათებს. ერთხელ ნაფიქრალს რამდენი მეჯერ უბრუნდებოდა, განვლილ ცხოვრებას იგონებდა და უკეთეს მომავალზე ოცნებობდა.

ახლაც თვალები უთოს და დანამულ პირსახოცს ხედავს, ფიქრებით კი სხვაგანაა. მისი მზერა შეჩერდა პირსახოცის ერთ კუთხეში წითელი ძაფით ამოქარგულ ორ ასოზე — „მ“ „მ“. ეს პირსახოცი ახალდაქორწინებულებმა იყიდეს. მაშინ მარტინი მექანიკოსად მუშაობდა ავტოსარემონტო სახელოსნოში. ყოველ კვირაში ოცდახუთი დოლარი მოჰქონდა სახლში და ახალგაზრდა ცოლქმარს ასე თუ ისე თავი გაჰქონდა.

ძალე მათ ტომი შეეძინათ. ქორწინების ხუთი წლისთავზე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. მარტინი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და სატანკო პოლკში ჩარიცხეს.

ევროპიდან გამოგზავნილი მცირე დოლარებითა და მომავლის იმედით ცხოვრობდნენ მერი და პატარა ტომი.

ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე მარტინი ფრონტიდან დაბრუნდა; კი არ დაბრუნდა, ჩამოიყვანეს, რადგან ბრმა კაცი ოკეანის გაღმიდან კი არა, ქუჩის ერთი კუთხიდან მეორემდე ვერ გაიგნებს გზას.

...ლიფტი მეექვსე სართულზე შეჩერდა და მერი ფიქრებიდან გამოერკვა. დერეფნის კარები გაიღო და სწრაფი, მოკლე ნაბიჯების ხმა გაისმა.

— „ეს ევაა". — იცნო მერიმ მეზობლის ქალიშვილი, რომელიც მუზიკ-ჰოლში მსახურობდა სტატისტად.

მერი ისევ ფიქრებს დაუბრუნდა.

...მაშინ ამერიკის გაზეთები მარტინის მსგავს ვეტერანებს გმირებად ნათლავდნენ და „ევროპის გადამრჩენლებს" უწოდებდნენ. მაგრამ რომის დამთავრებისთანავე გაზეთებს სხვა საქმე გაუჩნდათ და „ევროპის გადამრჩენლებიც" დაივიწყეს.

სწრაფად გავიდა ცრემლიანი სიხარულის პირველი დღეები. საჭირო იყო არსებობაზე ფიქრი, რადგან სამხედრო სამინისტროდან სამოწყალოდ გაცემული რამდენიმე დოლარი პურის ფულადაც არ ჰყოფნიდა ოჯახს. მერი არ მუშაობდა, რადგან უსინათლოს და პატარა ტომს მთელი დღით ვერ მიატოვებდა. თეთრეულის რეცხვით ნაშოვნ რამეს თუ მოიტანდა ზოგჯერ სახლში.

მალე ოჯახს კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატა — ქერათმიანი ედიტი. ცხოვრება კიდევ უფრო გაჭირდა. ოჯახს სიმშილის საშიშროება მაჯლაჯუნასავით დააწვა.

მარტინი, რომელიც ფრონტიდან საოცრად გამოცვლილი და გულჩათხრობილი დაბრუნდა, თანდათან უფრო კუშტი გახდა. ხშირად მთელი დღე ისე გავიდოდა, რომ ორ სიტყვას არ იტყოდა. მხოლოდ ედიტის ტიკტიკი თუ მოგვრიდა ოდნავ შესამჩნევ ღიმილს მის გაშეშებულ სახეს. ქალიშვილთან თამაშის დროს უსინათლო მას უნებურად სახეს არიდებდა. არ უნდოდა ბავშვს დაენახა მისი თეთრი თვალები, თოფის წამლით დაწინწკლული და შერუჯული სახე.

ამასობაში ტომი იმდენად წამოიზარდა, რომ უფროსების უკითხავად შეეძლო ბევრი რამის გაგება. ყველაზე ადრე იმას მიხვდა, რომ ბრმა მამის განკურნება მხოლოდ ბევრი ფულით შეიძლებოდა, ფული კი არსად იყო.

ოჯახის გაჭირვებას მხოლოდ ედიტი არ აგდებდა არაფრად, ხშირად წამოიძახებდა ხოლმე — „დედა, მშიაო". მაშინ მარტინს ლუკმა ყელში ეჩრებოდა. თანდათან ხვდებოდა, რომ დედა და შვილი ბევრ რამეს უმალავდა, რომ თვითონ იკლებდნენ და უკანასკნელ ლუკმას უსინათლოს სთავაზობდნენ.

ერთი ღამე მარტინმა მაგიდასთან გაათენა. ადრე დილით ტომი გაიღვიძა და სადღაც წაიყვანა. ისინი გვიან ღამით დაბრუნდნენ. ტომმა დოლარი და ხუთი ცენტი უხმოდ ჩაუდო დედას ხელში.

მარტინი კი არაბუნებრივად იღიმებოდა, ხუთი მეტრის სიგრძის ოთახში ნერვიულად ბოლთას სცემდა და თან ჯარისკაცულ სიმღერას ღიღინებდა.

მერი მიხვდა რაშიც იყო საქმე და როცა ყველამ დაიძინა, უხმოდ იტირა.

იმ დღიდან ოჯახს სარჩო შეემატა, სამაგიეროდ მარტინმა კიდევ უფრო უკლო ლაპარაკს.

...საათმა ორჯერ დარეკა და ლიფტიც მეექვსე სართულზე შეჩერდა. დერეფნის კარები ხმაურით გაიღო და ფეხების ნაცნობი ბაკუნი გაისმა.

მერიმ თავისუფლად ამოისუნთქა, მამა-შვილს კარებში შეეგება, ყავის გასაცხელებლად აირს მოუმატა და სუფრის გაწყობას შეუდგა.

მარტინი ფარდასთან მივიდა, ცოტა ხანს ყურს უგდებდა ედიტის სუნთქვას, შემდეგ მაგიდას მიუჯდა.

მერიმ აშიშინებული ჩაიდანი ღუმელიდან გადმოიდგა და ყავა ჩამოარიგა.

— აცივდა. საჭიროა ტომმა პალტო იყიდოს, — თქვა მარტინმა და ყავა მოსვა.

— კარგი, მარტინ! — მიუგო მერიმ. ქმრის გაცვეთილ ფრენჩს თვალი შეავლო, მაგრამ ის კი აღარ უთხრა, რომ მასაც სჭირდებოდა ზამთრისათვის პალტო.

ტომმა ყავა დალია და საწოლს მიაშურა.

მერიმ სუფრა აალაგა და „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ახალი ნომერი გაშალა. მარტინს ჩვეულებად ჰქონდა ძილის წინ ახალი ამბები მოესმინა.

თუ პირველ ხანებში იგი უხმოდ უგდებდა ყურს მეუღლეს, ამ ბოლო დროს გაზეთები ისეთ ამბებს ბეჭდავდნენ, რომ უსინათლო ნერვიულობდა. ხშირად წამოიჭრებოდა და ოთახში წინ და უკან მოყვებოდა სიარულს. ამიტომაც მერი ცდილობდა ისეთი რამ წაეკითხა, რაც ქმარს არ გააღიზიანებდა. მაგრამ მარტინი მეუღლის ეშმაკობას ხვდებოდა და ჯიუტად მოითხოვდა საგარეო პოლიტიკის ამბების წაკითხვას.

— „რუსებს ომი სურთ“... — ამოიკითხა მერიმ და შეშფოთებით ქმარს შეხედა. მარტინი ერთხანს ელოდა, მაგრამ ცოლს შეყოყმანება შეატყო და უთხრა:

— წაიკითხე!

მერიმ ბოლომდე ჩაიკითხა წერილი.

— ვერაფერი გამიგია, — თქვა მარტინმა, როცა მერიმ კითხვა დაამთავრა, — არაფერი მესმის! ნუთუ ამ მცირე ხანში ასე შეიცვალა მდგომარეობა... არა, შეუძლებელია! — უცებ აღელდა იგი, — მე ვნახე რუსები... მე ველაპარაკე მათ. შეუძლებელია მათ ომი სურდეთ!

მარტინმა ტომის საწოლისკენ მიაბრუნა თავი და იკითხა:

— ძინავს?

ტომმა თავი მოიმძინარა.

— ძინავს! — თქვა მერიმ.

— მერი!.. — მარტინი ცოლს მიუახლოვდა და ხელები მხრებზე დააწყო, — მერი!.. რას ამბობენ, ომი ისევ იქნება?

— ვინ იცის, მარტინ.

მარტინი ერთხანს ჩაფიქრებული დუმდა.

— მე კი ვიცი! — თქვა ბოლოს მტკიცედ და უფრო ხმადაბლა დაუმატა — თუმცა, მართლაც ვინ იცის... ახლა თვალხილულსაც უჭირს სიმართლის გაგება. — შემდეგ მწარედ ჩაიცინა და თითქოს ხუმრობით დასძინა: — ეჰ, საკმარისია ერთი დღით ამეხილოს თვალები!.. მაშინ მე გეტყოდი, იქნება ომი, თუ არა....

ეტყობოდა, უნებურად ნათქვამმა თვითონვე ააღელვა, რადგან წამოდგა და ისევ სიარულს მოყვა.

ტომის საწოლი აკრაჭუნდა.

მერიმ მიიხედა.

ტომი საწოლზე წამომჯდარიყო და ხან მამას შეცქეროდა, ხან დედას. მისი თვალები რაღაცას ეკითხებოდა დედას.

მერი მიუხვდა შვილს, მაგრამ ანიშნა, ხმა არ ამოიღო.

ტომი ისევ ჩაწვა.

მარტინს მეტი აღარაფერი უთქვამს, გაიხადა და დაწვა.

* * *

დილით ყველაზე ადრე ედიტმა გაიღვიძა.

— დედა! — გაისმა ოთახში მისი ხმა.

მერი წამოდგა და ბავშვს პირში საწოვრიანი რძის ბოთლი ჩაუდო. პატარა ხარბად დაეწაფა რძეს, თან დიდრონ ცისფერ თვალებს ეშმაკურად აქეთ-იქით აცეცებდა.

სანამ მარტინი წვეროს იპარსავდა (იგი ჩვეულებისამებრ მაინც სარკის წინ იდგა) მერი საუზმის თადარიგს შეუდგა. აღელვება ეტყობოდა.

ტომი დერეფანში მამის და თავის ფეხსაცმელებს წმენდდა.

— ვიჩქაროთ, ტომ, ხეგი რვა საათისათვის გველოდება, — თქვა მარტინმა, როცა მერიმ ყავა ჩამოარიგა და ყველანი სუფრას მიუსხდნენ.

ტომმა დედას შეხედა.

მერის ხელი ოდნავ უკანკალებდა. ყავის რამდენიმე მიხაკისფერი წვეთი ჩაიდნიდან თეთრ სუფრაზე დაიღვენთა.

— მარტინ!.. —მერის ხმა რაღაც უცნაურად გაისმა — მარტინ, დღეს ნულარ წახვალთ...

— რატომ, მერი? — მარტინმა ფინჯანი დადო.

— საქმე იმაშია, მარტინ, რომ... ექიმმა ბრაუნმა... — მერის ლაპარაკი უძნელდებოდა, — ხომ იცი, ლინკოლნის მოედანზე რომ ცხოვრობს... მისტერ ბრაუნთან ვიყავით მე და ტომი... მან თქვა, რომ ისეთნაირად დაბრმავებული ადამიანი, როგორც შენა ხარ, შეიძლება ადვილად განიკურნოსო... მივიდეთ მარტინ... ვინ იცის!.. — მერიმ სათქმელი ველარ დაამთავრა, მუდარით შეცქეროდა ქმარს.

უსინათლო ისე აღელდა, რომ ყავა დაღვარა. მან ხელით მოსრისა შესველებული სუფრა და თქვა:

— მაგრამ რითი?.. ფული?..

მერი ელოდა ამ კითხვას. მან ტომს გადახედა, რომელიც თავჩაღუნული იჯდა და უსიტყვოდ ხვრეპდა ყავას.

— მარტინ!.. მისტერ ბრაუნი თანახმაა რამდენიმე ხნით გვადროვოს გასამრჯელოს გადახდა. მისი ძმა ხომ ომში დაიღუპა... ალბათ ამიტომ... ერთი სიტყვით, იგი ფულს მიიღებს, როცა შენ მოგარჩენს და მუშაობას დაიწყებ.

— წავიდეთ! — გადაჭრით თქვა მარტინმა, ყავის სმა მიატოვა, წამოდგა და აკანკალებული ხელებით ფრენჩის ღილების შეკვრას შეუდგა.

მერიმ ედიტს მიაშურა, ტანზე ჩააცვა და მეზობელთან გაიყვანა.

ტომი სწრაფად წამოიჭრა და ოთახიდან გავარდა; დერეფანში ქარიგით ჩაუქროლა მოხუც ფრანცისკას, ლიფტს აღარ დალოდებია, სულმოუთქმე-

ლად ჩაირბინა ექვსი სართული, ეზო გადაჭრა და ქუჩაში გაჩნდა.

სტვენით მოიხმო მოსახვევში ობლად გაჩერებული დანჯღრეული ტაქსმოტორი.

— აქ მოიცადე, — უთხრა შოფერს და მეტი დამაჯერებლობისათვის დაუმატა: — ახლავე დედა და მამა ჩამოვლენ.

შემდეგ უკან გაიქცა.

მალე მერი და მარტინიც გამოჩნდნენ.

3.

ექიმ ბრაუნის კლინიკის მისაღებ ოთახში რამდენიმე პაციენტი ელოდა რიგს.

მარტინი და მერი ექიმის კაბინეტის პირდაპირ ვეებერთელა ტყავის სავარძლებში ჩასხდნენ.

იქვე მესამე სავარძელიც იდგა. ტომმა იგი მხოლოდ თვალით გაზომა და რადგან თავის ტანსა და სავარძლის მოცულობას შორის დიდი განსხვავება დაინახა, დედის გვერდით ფეხზე დგომა არჩია. ირგვლივ მიმოიხედა. ავადმყოფთა უმეტესობას სათვალე ეკეთა. ტომს გაუკვირდა, როცა მათ შორის მისი ტოლი ბიჭიც შენიშნა. იგი მარტო არ იყო. თან კარგად ჩაცმული შუახნის მამაკაცი ახლდა. ისინი ძლიერ გავდნენ ერთმანეთს.

„ალბათ მამა-შვილია", — გაიფიქრა ტომმა. ძალიან უნდოდა დაენახა, რა მდგომარეობაში ჰქონდა ბიჭს თვალები, მაგრამ სათვალის შავ მინებს იქით არაფერი ჩანდა.

ექიმის კაბინეტიდან თეთრხალათიანი ახალგაზრდა ქალი გამოვიდა და შავსათვალიანი ბიჭი და მისი მხლებელი მამაკაცი ექიმთან მიიწვია.

ტომმა ძვირფასი სავარძლებით, ხალიჩებითა და სარკეებით მორთული მოსაცდელი ოთახი შეათვალიერა. ასეთ სახლში იგი არასოდეს არ ყოფილა. ჭერამდე აღმართულ სარკეში ჩაიხედა და მაშინ შეამჩნია, თუ რამდენად საცოდავად გამოიყურებოდა მისი ქუსლმოქცეული ფეხსაცმელები და გაცვეთილი სვიტერი ამ მდიდრულ ოთახში.

ძალიან აინტერესებდა, როგორი სანახავი იყო მერეკე სართულიდან ლინკოლნის მოედანი. დედას მოცილდა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ფანჯრისკენ. ფეხი უხმაუროდ ეფლობოდა იატაკზე მოგებულ რბილ ხალიჩაში. ნაკვალევს მოუხედა, შეშინდა, ხომ არ დავსვარეო.

ტომი ფანჯარას მიადგა და გადაიხედა. ჭის ფსკერს გავდა ცათამბჯენებს შორის მომწყვდეული ლინკოლნის მოედანი. ჭიანჭველებივით მოჩანდნენ ადამიანები. მუხლუხასავით მოძრაობდა მანქანების დაუსრულებელი მწკრივი.

ტომს თავბრუ დაეხა და ფანჯარას მოცილდა.

ავადმყოფები უხმაუროდ, რიგრიგობით შედიოდნენ ექიმთან. ტომმა შეამჩნია, რომ რამდენიმე მათგანი უკან არ გამოსულა, კაბინეტში დარჩა.

როცა ოთახი თითქმის დაცარიელდა, თეთრხალათიანი ქალი ისევ გამოვიდა და მათ მიუახლოვდა.

— მისტერ ტომსონ, არა? — თქვა მან.

— დიახ, მისის! — მიუგო მერიმ.

ქალმა მარტინს მხარზე ხელი დადო და უთხრა:

— წავიდეთ!

უსინათლო წამოდგა. მერიმ ხელი ჩაავლო ტომს, უნდოდა ქმარს გაყოლოდა, მაგრამ თეთრხალათიანმა ანიშნა, დარჩენილიყვნენ.

მარტინი მარტო შეიყვანეს ექიმთან.

ტომი მამის სავარძელში ჩაეშვა და თვალი კაბინეტის კარს მიაბჯინა. ალბათ ახლა ექიმი სინჯავს მამას! ნეტავ რას ეტყვის? მორჩება?.. აუცილებლად მორჩება! ამდენი და ასეთი მდიდარი ხალხი ტყუილუბრალოდ ხომ არ დადის მასთან სამკურნალოდ! ექიმ ბრაუნის სახელი ცნობილია მთელს ჩიკაგოში.

დედას მიუხედა. გაფითრებული მერი აკანკალებული ხელებით წეწდა ცხვირსახოცს და თვალს არ აშორებდა კაბინეტის კარს.

ტომს დედა შეეცოდა, მასთან მიიჭრა და მოეხვია.

— ტომ... ტომ... ღმერთო, ყველაფერი კეთილად დაამთავრე!.. — ჩურჩულებდა მერი და შვილს მკერდში იკრავდა.

ტომს ცრემლები მოაწვა თვალებზე, ატირდებოდა კიდევაც, რომ ამ დროს კარი არ გაღებულიყო.

მერი წამოდგა და ექიმის თანაშემწეს მიაჩერდა.

მან დედა-შვილს უხმოდ ანიშნა, შემოდითო.

ტომს ყველაზე უფრო ის გაუკვირდა, რომ საქვეყნოდ ცნობილი ექიმის კაბინეტი ასეთი პატარა იყო, მისაღებ ოთახზე უფრო პატარა. კაბინეტის ერთ კუთხეში მინის კარადა იდგა, უცნაური მოყვანილობის რკინის კრიალა იარაღებით სავსე, ფანჯარასთან კიდევ პატარა საწოლი, რომელზეც მარტინი იჯდა.

საწერ მაგიდას ახოვანი, სახელაყღაჟა კაცი უჯდა და რაღაცას წერდა. თავზე თხლად შერჩენილი ჭაღარა თმა ოსტატურად ჰქონდა დალაგებული და კეფისკენ გადავარცხნილი.

„ნუ. თუ ეს არის მისტერ ბრაუნი“?! — გაუკვირდა ტომს. მასი წარმოდგენით, თვალის ექიმი მორჩილი ტანის, გამხდარი და აუცილებლად სათვალებიანი უნდა ყოფილიყო.

მერი ექიმის მაგიდას მიუახლოვდა. ტომი მამის გვერდით ჩამოჯდა.

მარტინს ალელვება ეტყობოდა. შვილს ხელი მხარზე მოხვია.

ტომმა იგრძნო, თუ როგორ უთრთოდა მამას მთელი ტანი.

ექიმი ბრაუნი წამოდგა. იგი ახლა კიდევ უფრო დიდი გამოჩნდა.

— მისის ტომსონ! — მან მერის ხელი ჩამოართვა. — დანამდვილებით ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ყოველნაირად ვეცდებით განვკურნოთ თქვენი მეუღლე. იგი ჩემს კლინიკაში დარჩება რამდენიმე დღით. — ბრაუნი ახლა მარტინს მიუბრუნდა: — რას იტყვი, ვეტერანო? შეიძლება კიდევ მოგვიწიოს ევროპაში საომრად გამგზავრება?

მარტინმა არაფერი უპასუხა.

— მაშ ასე! — ბრაუნმა ელექტროზარის ღილს ხელი დააჭირა.

მხარმარცხნივ კარი გაიღო და ოთახში მაღალი ტანის გამხდარი ახალგაზრდა შემოვიდა.

— ექიმი ფაინი გააცილებს მისტერ ტომსონს პალატაში. თქვენ კი, მისის, ოპერაციის დღეს შეგატყობინებთ. ნახვამდის! — ბრაუნმა თავის დახრით აგრძნობინა, რომ მიღება დამთავრებული იყო.

ექიმი ფაინი მარტინთან მივიდა და მკლავზე ხელი მოკიდა. უსინათლო წამოდგა. მერიმ მიაშურა, ხელი მოხვია და კარებამდე მიაცილა. ტომმა, თითქოს ფეხები დაებორკაო, ნაბიჯიც ვერ დაძრა.

უსინათლო კარებში მიიმალა.

სახლში მერი და ტომი ფეხით დაბრუნდნენ.

4.

— დალაბვროს ეშმაკმა! ამ ქალალდის ნაგავში სამუშაოს გარდა ყველაფერს იპოვის ადამიანი! — მარტინმა გაბრაზებით მოიქნია გაზეთები, ძოქანცული სახით დივანზე გადაწვა და თვალები ჭერს მიაპყრო.

მერიმ ქმარს შეხედა, ერთი ამოიოხრა და გაზეთების აკრეფას შეუდგა.

უკვე მესამე თვეა მარტინი განკურნებული დაბრუნდა ექიმ ბრაუნის კლინიკიდან.

სიხარულმა ყველა მწუხარება დაავიწყა ოჯახს. მარტინი გატაცებით შეცქეროდა მერის, რომელიც შესამჩნევად გამოცვლილიყო, ვაჟიშვილს (ახლა იგი მას უკვე მეგობრად მიაჩნდა) და პატარა ედიტს, რომელიც სხვებზე ნაკლებად გრძნობდა ოჯახის გაჭირვებასა და სიხარულს, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე უფრო დაუახლოვდა მამას.

მარტინმა აღარ დაუცადა ექიმის მიერ დადგენილ ვადას. გული გარეთ მიუწევდა. უნდოდა საკუთარი თვალით ენახა რა ხდებოდა ქვეყანაზე, გაეგო, რას ნიშნავდა ყურმოკრული ამბები. თანაც ოჯახს უნდა ეფიქრა ნორმალურ ცხოვრებაზე. საჭირო იყო სამუშაოს გამოძებნა.

და აი, უკვე სამი თვეა მარტინ ტომსონი დადის ერთი საწარმოდან მეორეში, კომპანიიდან — კომპანიაში. პასუხი კი ყველგან ერთი და იგივეა, მოკლე და პირდაპირი: „სამუშაო არ არის!“

პირველ რიგში მან თავის ყოფილ ადგილს მიაშურა „პეტერსონ მოტორსის“ კომპანიაში. ძველმა ნაცნობმა, სამუშაოზე დამჭირავებელმა მისტერ კლარკმა იგი თავაზიანად მიიღო, მოუსმინა და თხოვნაზე ხელების გაშლით უპასუხა:

— არც ერთი ადგილი! მოცდა მოგიწევს...

მარტინს მოაგონდა, რომ ფრონტიდან ჩამოსვლის პირველ დღეებში კლარკმა პირადად დაურეკა ტელეფონით და დააიმედა, რომ გამოჯანმრთელებისთანავე მისთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა მექანიკოსის ადგილი.

— მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, — თქვა კლარკმა მშვიდად, როცა ეს ამბავი მოაგონეს.

მარტინიც ხედავდა, რომ ომის შემდეგ ბევრი რამ მართლაც შეცვლილიყო. ყველაზე უფრო ერთი რამ უკვირდა. ომზე ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ომი არც კი დამთავრებულიყო.

მარტინი გათენებამდე გადიოდა სახლიდან და უერთდებოდა დილის რიჟ-

რაკში ფაბრიკა-ქარხნების, მუშახელის დამქირავებელი პუნქტების წინ სიცივისაგან მობუზულ ადამიანთა ჯგუფებს. ბევრ მათგანს დაჭმუჭვნილ კოსტიუმზე ეტყობოდა, რომ ღამე სადღაც პარკის სკამზე თუ ხიდის ქვეშ გაეთენებინა. მათი დანახვა გულს უკლავდა მარტინს. ვერ წარმოედგინა, რა უნდა ექნა, როდესაც ბოლოს და ბოლოს ხახლის პატრონი მოთმინებას დაკარგავდა და ოჯახს ქუჩაში გაყრიდა. რა ეშველებოდა მაშინ მერის, ტომს, პატარა ედიტს?!

მარტინი მთელი დღეობით ეძებდა სამუშაოს. ტრამვაისა და ავტობუსისათვის ფულს ვერ იმეტებდა, ფეხით სერავდა ქალაქის უგრძეს ქუჩებს.

ხანდახან ერთ-ორდღიან სამუშაოს თუ წააწყდებოდა სადმე, მაშინ ცდილობდა ცოტახნით მაინც შეეტანა მხიარულება ოჯახში, ხუმრობდა, მთელი საღამო ედიტს ეთამაშებოდა, თუმცა ხვალინდელი დღის თვითონ არ ჯეროდა. მართლაც შემთხვევით ნაშოვნი რამდენიმე დოლარი მალე ილეოდა და ისევ იწყებოდა სამუშაოს გაუთავებელი ძებნა, უღიმღამო და გაუხარელი დღეები.

მერედა როგორ იმედიანად დაბრუნდა მარტინ ტომსონი ექიმ ბრაუნის კლინიკიდან! ჯერ კიდევ თვალებახვეული ადგენდა მომავალი ცხოვრების გეგმებს: კარგი სპეციალისტია, სამუშაოს მოძებნა არ გაუძნელდება. პირველ რიგში ექიმის ვალს გადაიხდის, (მან აქამდე არ იცოდა, რომ დედა-შვილმა მთელი ორი წლის განმავლობაში შეგროვებული სამასი დოლარი ექიმ ბრაუნს მალულად გადაუხადა), შემდეგ ოჯახს მიხედავს. კმარა, რაც მისი გულისთვის გაიჭირვეს მერიმ, ბავშვებმა!

ჯანსაღი თვალებით დანახულმა ქვეყანამ არ გაუმართლა იმედები, მაგრამ მარტინი გულს არ იტეხდა. „შეუძლებელია, რომ ჩიკაგოში ჩემთვის არ აღმოჩნდეს სამუშაო! მე მოვითმენ რამდენიმე კვირას, ბოლოს და ბოლოს ორ-სამ თვეს. შემდეგ ხომ მაინც დაიწყება ნორმალური ცხოვრება. მთავარია, რომ იმედი არ დავკარგო“. — ფიქრობდა იგი.

მაგრამ მარტინი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ასეთივე უიმედო ფიქრებით ცხოვრობდა მის ბედქვეშ მყოფი ათასობით უმუშევარი ამერიკელი, რომლებითაც სავსე იყო ჩიკაგოს ქუჩები.

პირველ ხანებში მარტინს ომის ვეტერანის სახელისა და საბრძოლო ორდენის დიდი იმედი ჰქონდა. ამიტომ არასოდეს არ იცილებდა ორდენსა და საკმაოდ შელანძღულ სამხედრო ფორმის ტანსაცმელს. პირველად გაუკვირდა, შემდეგ კი მწარედ ეღიმებოდა, როცა მის ორდენს ზედაც არ უყურებდნენ.

— სამი წელი განა იმისათვის ვიბრძოდი, რომ ჩემს ქვეყანაში, რომელმაც ფაშიზმთან საბრძოლველად გამგზავნა ევროპაში, დაბრუნების შემდეგ სამუშაო ვერ შეპოვნა?! — თქვა ერთხელ მოთმინებადაკარგულმა მარტინმა. საპასუხოდ კანტორის კარი ცხვირწინ მოუხურეს.

ერთგან კი მუშახელის დამქირავებელმა აგენტმა დაცინვით უთხრა:

— გირჩევ ცოტა კიდევ მოითმინო, მეგობარო! სულ მალე ახალი ომი დაიწყება და ვეტერანებს ისევ გაგიჩნდებათ სამუშაო.

მარტინმა თავს ძალა დაატანა, რომ კბილები არ ჩაემტვრია აგენტისათვის, რომელსაც ომი, ალბათ, მხოლოდ კინოსურათებში თუ ენახა.

„ამერიკა ღირსეულად აღნიშნავს თქვენს გმირობას, მამულიშვილნო!“ — ახლა მარტინს დაცინვად ესმოდა ორდენის გადაცემის დროს პოლკის უფროსის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები. „დაგვაფასეს!“ — მწარედ იღიმებოდა იგი, მაგრამ საბრძოლო ორდენს მაინც ვერ ელეოდა.

ერთ საღამოს, სახლისკენ პირქუშად მიმავალს, მუდამ წვერგაუპარსავმა ბენ რეჯერსმა, რომელსაც ამქვეყნად არავინ და არაფერი გააჩნდა, პირდაპირ უთხრა:

— მარტინ! შეიძლება ვინმემ იყიდოს შენი ორდენი? არ ვიცი ვის უნახავ, ან რაში გამოგადგება?!

მაშინ მარტინს გული მოუვიდა, მაგრამ სახლში დაბრუნებული ჩაუფიქრდა ბენ რეჯერსის სიტყვებს და დარწმუნდა, რომ იგი მართალი იყო. ორდენი მოიხსნა და მაგიდის უჯრაში ჩაკეტა. გახუნებულ ფრენჩზე მხოლოდ პატარა მუქი ადგილი დარჩა.

გათენებამდე სახლიდან გასული მარტინი გვიან ღამით ბრუნდებოდა, დამნაშავესავით შეაღებდა კარს და დილამდი ხშირად ერთ სიტყვასაც არ იტყოდა.

ტომი ახლა მეტ დროს სახლში ატარებდა. ყოველ საღამოს ელოდა, რომ მამა მხიარული დაბრუნდებოდა, შვილებს მიუალერსებდა და მეორე დღეს სამუშაოზე წავიდოდა. მაგრამ დღე-დღეს მისდევდა, კვირა-კვირას, სამუშაო კი არსად ჩანდა. ორი დღის უკან მერიმ კოლოფიდან გამოფხეკილი ყავის ნამცეცებით გაამზადა საუზმე.

სახლის პატრონმა მოთმინება დაკარგა და სამი თვის ბინის ქირა ერთად მოითხოვა.

ტომმა დიდხანს იფიქრა და ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო. ერთ დღეს დილაადრიან გავიდა სახლიდან, ბიძია ხეგის ელმავალს ქალაქგარეთ გაჰყვა და ბედი მოსინჯა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ერთი ცენტიც ვერ იშოვა. მგზავრების გულის მოსაგებად მარტო თხოვნა არ კმაროდა. ამისთვის მარტინის ლიბრგადაკრული თვალები და ომის ვეტერანის ავტორიტეტი აღმოჩნდა საჭირო. დედის შეკითხვაზე, სად იყავიო, რაღაც მოიგონა და მაშინვე დაწვა.

ცოტა ხნის შემდეგ მარტინიც დაბრუნდა. იგი უჩვეულოდ აღტკინებული ჩანდა.

„ნუთუ ნასვამია!“ — გაიფიქრა მერიმ, მაგრამ არაფერი უკითხავს, მოთმინებით ელოდა, როდის ამოიღებდა ქმარი ხმას.

მარტინი კი დუმდა და აღელვებული დადიოდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე.

— მარტინ, რა მოხდა? — შეეკითხა შეშფოთებული მერი.

— არაფერი! — იყო პასუხი.

— მერი! — დაარღვია ბოლოს სიჩუმე მარტინმა. — რას იტყოდი, სამუშაო რომ მეშოვა?

მერის გულში სიხარულის ნაპერწკალმა იელვა, მაგრამ რატომღაც შეშფოთება დაეტყო. ქმარს მაინც დამშვიდებით შეეკითხა:

— ნუთუ დაგპირდნენ, მარტინ?..

— დამპირდნენ!

— მერე, რას ფიქრობ, ძნელია?..

— გააჩნია ვისთვის.

—ისეთი რაა?.. — ისე შეეკითხა მერი, რომ ქმრისათვის არ შეუხედნია. არ შეეძლო მისი უცნაურად მოელვარე თვალების დანახვა.

— ადამიანების ჟლეტა!.. — შემდეგ უფრო ხმადაბლა დაუმატა: — ამისათვის კვირაში ორმოცდაათ დოლარს იძლევიან. რას იტყვი? მე მგონია ცუდი გასამრჯელო არაა კვალიფიციური მექანიკოსისათვის? — და მწარედ ჩაიცინა.

— მარტინ!.. — ძლივს ამოილაპარაკა მერიმ. ვერ მიმხვდარიყო, ხუმრობდა მარტინი, თუ მართალს ამბობდა.

— ჰო, ადამიანების ჟლეტა! არ გჯერა? ვერც მე დავიჯერე პირველად, მაგრამ, ეტყობა, ჩვენს ქვეყანაში ასეთი პროფესიაც არსებობს. დღეს ოლივერ სმიტი შემხვდა. ხომ გახსოვს, ჩემთან ერთად მსახურობდა პოლკში? მან მითხრა, რომ სამხედრო სამინისტრო მოხალისეებს აგროვებს აზიაში გასაგზავნად.

მერის შეაჟრჟოლა.

— ისევ ომი!

მარტინი ცოლთან მივიდა, მხრებზე ხელი მოხვია და სახე მის თმებში ჩამალა.

— გესმის, მერი?.. გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანაში სხვა გზა არ არის არსებობისათვის.—შემდეგ ტომის საწოლისაკენ მიიხედა და ხმას დაუდაბლა: — მერი! შეიძლება მე მოვალე ვარ დავთანხმდე? ა, რას იტყვი შენ?..

მერი შეცქეროდა ქმრის დამსკდარ ბაგეებს, რომლებიც უცნაურ სიტყვებს ჩურჩულებდნენ:

— შენ უკეთესის ღირსი ხარ, მერი... ეს, მე ვარ დამნაშავე, რომ შენ და ბავშვები ასეთ ყოფაში ხართ.

— მარტინ!.. — მერი მთელი ტანით მიეკრა ქმარს. იგი შეციებულივით ცახცახებდა.

— ეშმაკმა დალახვროს!—ჩაილაპარაკა მან. ცოლის ხელები ჩამოიშორა და სახე კედლისაკენ მიაბრუნა. — არა. ყველაფერი მორჩენილია. კმარა რაც სიბრმავეში გავატარე, ახლა მე თვალახელილი ვარ, სხვა გზა, სხვაგვარი ბრძოლის გზა უნდა ავირჩიო.—მარტინი ცოლს მიუბრუნდა. — მერი რას მირჩევ? შეგიძლია გაუძლო ოჯახის სიმძიმეს, იკისრო მებრძოლი მეუღლის მეგობრობა და ამხანაგობა? გაამხნეო და გაამაგრო იგი?

ცოლმა თანაგრძნობით ახედა ქმარს.

— შენ უკეთ იცი, მარტინ! თუ აუცილებელია ბრძოლაში მოკვდე, ბარემ ადამიანური ცხოვრებისთვის ბრძოლაში მოკვდი. შენი ცოლი იყო და მუდამ ერთგული დარჩება შენი და შენი დაწყებული საქმის.

მარტინმა სიყვარულით შეხედა ცოლს, იმედიანად გაუღიმა და უთხრა:

— მადლობელი ვარ, მერი, წავალ, მეც იმ გზით წავალ, რომლითაც ჩემი ბედის მოზიარენი მიდიან.

თავი ასწია და გაბრწყინებული თვალები ოჯახს მოავლო.

ალბერტ მალცი

ასეთია ცხოვრება

☆ ☆ ☆

ალბერტ მალცი თანამედროვე ამერიკის პროგრესული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ოცდაათიან წლებში. მისმა ნაწარმოებებმა თავიდანვე ყურადღება მიიქციეს ამერიკის სინამდვილის ღრმა რეალისტური ასახვით. თავის ნოველებში, რომანებსა და პიესებში მწერალი გვიხატავს ღატაკთა და უუფლებოთა ამერიკას, გადმოგვცემს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ბოროტმოქმედებებს, ფაშიზმის გზაზე მათს დაშვებას. ამასთან ერთად მწერალი მოგვითხრობს ამერიკის მუშათა კლასის და უპირველესად მისი მოწინავე რაზმის — კომუნისტური პარტიის გმირულ ბრძოლაზე.

ღრმად შეითვისა რა თავისი ქვეყნის დემოკრატიული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები, მალცმა ბევრი რამ ისწავლა საბჭოთა მწერლებისაგან და პირველ რიგში მაქსიმ გორკისაგან. საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილება დაეხმარა მალცს, რომ ამერიკის იმპერიალიზმის კრიტიკა მის ნაწარმოებებში უფრო მახვილი ყოფილიყო და ამასთან დაეხატა იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანთა გმირული სახეები.

ორი ბანაკის დღევანდელი გააფთრებული ბრძოლის პირობებში ალბერტ მალცმა თავი გამოიჩინა, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ერთგულმა მეგობარმა. ჰოვარდ ფასტთან, პოლ რობსონთან, უილიამ დიუბუასთან და ამერიკის ლიტერატურისა და კულტურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად იგი იმყოფება მეწინავე საზზე, გაბედულად იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდი იყო, რომ კორეის ავანტურის დაწყების წინ ალბერტ მალცი, სხვა პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად, ციხეში დაამწყვდიეს.

ალბერტ მალცის მოთხრობაში „ასეთია ცხოვრება", რომლის თარგმანიც ქვემოთ იბეჭდება, გადმოცემულია ამერიკელ რასისტთა აღვირახსნილობა, ზანგებისადმი მათი ცხოველური სიძულვილი, ლინჩის კანონის სიველურე.

1.

ზაფხულის მზე ლუიზიანას ნისლიან ცას წითელ ლაქად აჩნდა. ღია მანქანით მიმავალი სამი კაცისათვის იგი წარმოადგენდა მათ თავს ზემოთ ერთი ფუტის სიმაღლეზე დაკიდულ ჩირაღდანს. ორი მათგანი მანქანის უკანა საჯდომზე გაშხლართულიყო. მათ პიჯაკი გაეხადათ, ყელზე სველი ცხვირსახოცი შემოეხვიათ და პირი რიყეზე გამოგდებული თევზებივით დაეღოთ. მესამე კი, წელში მოხრილი, მანქანის საჭეს ჩასჭიდებოდა, მარილიანი ოფლისაგან თვალების დასაფარავად შუბლზე ჭრელი მანდილი წაეკრა. ესენი იყვნენ შერიფი და მისი ორი მოადგილე, რომლებიც პატიმრის წამოსაყვანად მიდიოდნენ. ყოველ შემთხვევაში ასე ვარაუდობდნენ. ოცდაექვსი მილი ხრეშმოყრილი

გზა მხოლოდ იმიტომ გაიარეს, რომ ევერი სმოლვუდმა ტელეფონით დაიძახა: „მისტერ ტაკაჰუ, წამოიყვანეთ ორი თანაშემწე“. და ამიტომაც მისტერ ტაკაჰუს ორი თანაშემწე მიჰყვებოდა. ეს იყო და ეს. ამის მეტი არაფერი იცოდნენ.

როცა თვალუწვდენელ, მუხლამდე ბამბით დაფარულ ფართო მინდორს ჩაუარეს და უკან მოიტოვეს კროპერთა[1]) ნახევრადდანგრეული ქოხები, უცბად მიადგნენ ლამაზად გაშენებულ ბაღს, რომელიც გარს შემორტყმოდა სმოლვუდის სახლს. მზისაგან გახურებულ გზაზე დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ სახლი, მწვანე ბალახი და გზას ჩაყოლებული მაღალი, ჩრდილოვანი ხეები — კვიპاროსები, ჭადრები და ხშირი, ალგასმაგვარ ფოთლებიანი უზარმაზარი ძეწნები ღია მანქანაში მყოფ, სიცხისაგან არაქათგამოლეულ ადამიანებს სულშემხუთავ უდაბნოში უეცრად აღმოჩენილ ოაზისად მოეჩვენათ. გამხდარმა, ჭორფლიანმა დინჯმა ახალგაზრდა შოფერმა, რომელსაც თვალებზე რკინის სათვალეები გაეკეთებინა, ხოლო შუბლი ჭრელი მანდილით წაეკრა, ღრმად ჩაისუნთქა ნესტიანი ჰაერი, რომელიც მეტად სუფთა და სასიამოვნო ეჩვენა. ახალგაზრდა მოადგილე, რომელსაც კისერი ხარის ქედს მიუგავდა, მანქანის უკანა საჯდომიდან ბუზღუნით წამოდგა და, როგორც ახლადგაღვიძებულმა პატარა ბავშვმა, თავისი ლამაზი კუპრივით შავი თვალები აახამხამა. მის ბავშვურ, მრგვალ, ბრიყვულ სახეზე გაოცება აღბეჭდილიყო, თითქოს არასოდეს მანამდე ასეთი სასიამოვნო ადგილი არ ენახა. მესამე კაცმა—შერიფმა ტაკაჰუმ თავისი უზარმაზარი, მოუქნელი ტანი გამართა, მკერდიდან თავი მძიმედ ასწია, და როგორც წყლიდან თავამოყოფილმა უცნაურმა ზღვის ცხოველმა, ცნობისმოყვარეობით მიიხედ-მოიხედა.

სმოლვუდის სახლისაკენ მიმავალი ბეტონირებული გზიდან მანქანა რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული, როცა შერიფი ტაკაჰუ წინ გადაიწია და ახალგაზრდა შოფერს ბეჭებში თავისი ძვლიანი თითები ატაკა.

— ჩარლი, გაჩერდი, — ბრძანა მან.

მანქანა ერთ-ერთ ძეწნასთან შეჩერდა.

— დავიცადოთ აქ ცოტა ხანს, — თქვა შერიფმა. მას ვისკისაგან ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა და ლაპარაკის დროს თავის თხელ ტუჩებს ერთმანეთს არ აშორებდა, სიტყვებს თითქოს ბაგეების კუთხეებიდან ისროდა. გეგონებოდათ ლაპარაკისათვის ენერგიის დახარჯვა ენანებაო.

ჰარისონ ტაუნი, იცდარვა წლის ზორბა ტანის მოადგილე, რომელსაც კისერი ხარის ქედს მიუგავდა, ნაადრევად გამამლაყინწებულ ფეხბურთელ ბიჭს მოგაგონებდათ. მან თავისი მსუქანი ოფლიანი სახე გულმოდგინედ შეიმშრალა, ხმადაბლა შეიგინა და სახე ისე დამანჭა, როგორც ეს ჩვეულებრივ ბავშვებს, როცა ისინი თამბაქოს მწეველთა ჯგუფს შეუერთდებიან, თამბაქოს აბოლებენ, აფურთხებენ და თავიანთი უხეშობით ერთმანეთს თავს აწონებენ.

---

[1]) კროპერები (სიტყვა-სიტყვით — „მემოსავლენი“) — წვრილი მოიჯარე-მოზიარენი სამხრეთის ყოფილ მონათმფლობელურ შტატებში, რომელთაც საკუთარი არც სახლი აქვთ, არც მიწაყობილობა და არც საბრუნავი საშუალებანი. ისინი ემემულის მიწაზე და მისივე იარაღებით მუშაობენ და არსებითად დაქირავებულ მუშათა მდგომარეობაში იმყოფებიან. ხელფასს ღებულობენ არა ფულად, არამედ მოსავლის წილის სახით.

— ღმერთმა დალახვროს, — წამოიძახა მან და შერიფს მიუბრუნდა, — თითქოს ცეცხლზე შევეწვეთ, სემ! კვერცხი შეიწვება ჩემს ზურგზე, მოხარშული თევზივითა ვარ... შენ როგორა ხარ, ჩარლი? — იგი ახლა შოფერს ჩარლი რენტლს მიუბრუნდა და მხრებზე თავისი მსუქანი თათი დაარტყა.

— თავი დამანებე! — საცოდავად აღმოხდა რენტლს,—ისედაც ცხელა.

— ჩარლის სცხელა, — თქვა ჰარისონმა. იგი თავისი მოკლე თითებით რენტლს თხელ ქერა ქოჩორში წვდა და აუწეწა.

— დამეხსენი! — თქვა გაბრაზებულმა რენტლმა და თავი გააქნია.

ტაუნმა გადაიხარხარა.

— უფასოდ გიკეთებ მასაჟს, ჩარლი, ხომ არ გინდა, რომ გამელოტდე? — უთხრა და გადამეტებული მხიარულებით განაგრძო სიცილი. იგი თავაშვებულად ხითხითებდა, თითქოს ის, რაზედაც იგი იცინოდა, რაღაც უხეშსა და საიდუმლოს შეიცავდა. ტაუნმა შერიფს გახედა, სურდა გაეგო, მოსწონდა თუ არა უფროსს მისი სიცილი. მაგრამ შერიფ ტაკაჰუს არ ეცალა. იგი ვისკის ბოთლს ხსნიდა, რომ დილის ულუფა მიეღო.

ათი წელია, რაც სემ ტაკაჰუ კლარაბელის საგრაფოს შერიფია. მან თავი დაანება ბამბის მოყვანას, რადგან სახელმწიფო სამსახური უფრო მეტ შემოსავალს აძლევდა. თვიური ხელფასის ნახევარს დას უხდიდა სასმელ-საჭმელისა და ბინისათვის, მეორე ნახევარი კი ვისკისათვის რჩებოდა. დღემდე ის არც მთვრალი და არც ფხიზელი არავის უნახავს, თითქოს ყოველთვის ერთნაირად იყო გაჟღენთილი ალკოჰოლით.

ახლა, მისთვის ჩვეული ენის მოძრაობით, შერიფმა ყბებიდან საღეჭი თამბაქო გამოიღო და ზუსტად თხრილში ჩააფურთხა. როცა მეოთხედი ბოთლი ვისკი შუშხუნა სასმელივით ხახაში ჩაისხა, ბოთლი ტუჩებიდან მოიძრო და სიამოვნებით წამოიძახა: „ჰაა!“ მისი ზედა ბაგე ისე ცახცახებდა, როგორც მხიარულად მოჭიხვინე ცხენის ტუჩი. ერთხანს ყვითელი, მეჩხერი კბილები უჩანდა, ბოლოს გაჩერდა და პირი დამუწა.

შერიფი მაღალი ტანის კაცი იყო, ექვს ფუტზე გრძელი. მკლავები და ბარძაყები მარგილს მიუგავდა. ორმოცდახუთი წლისა იყო, მაგრამ უფრო ხნიერის შეხედულება ჰქონდა. მისი ბრტყელი ტანი პატარა ლუდის კასრის მაგვარი მრგვალი მუცლით იყო დაუშნოვებული, რაც უცნაურად მოჩანდა მის გამხდარ ტანზე, მაგრამ როცა ტაკაჰუ მუცლის შესახებ ლაპარაკობდა, მისი ცხენისებური სახე სიამოვნებისაგან ნაოჭდებოდა და აღტაცებული აცყობინებდა მსმენელებს, რომ აქ მოთავსებული ვისკი ისე ღირდა ექვსი ათასი დოლარი, როგორც ერთი კაპიკი, თან თითებს მუცელზე ათამაშებდა.

როცა ბოთლს საცობი დაუცო, შერიფმა საღეჭი თამბაქო მოკბიჩა და მანქანის საჭესთან მჯდომს მიუბრუნდა.

— ჩარლი, — წყნარად და ალერსიანად გამოსწურა მოკუმული ტუჩებიდან, — ჩარლი, დიდი საძაგელი შოფერი ხარ! როცა მანქანა მიგყავს, იგი მუცლის გვრემა ატეხილ ჯორივით ხტის.

— განა თქვენ თვითონ არ მითხარით ჩქარა იარეო? — ხმადაბლა შენიშნა ჩარლიმ. როცა ტაკაჰუ ამგვარ ლაპარაკს დაიწყებდა, ჩარლიმ იცოდა, თუ რით დამთავრდებოდა იგი.

— კი, მაგრამ მე ხომ არ მითქვამს ყველა ორმოს ფსკერი გაუსინჯე-მეთქი, — უპასუხა ოდნავ გაბრაზებულმა შერიფმა. — ეშმაკმა წაგიღოს, ერთიც იქნება ვინმეს კისერს მოატეხინებ.

— დამნაშავე ვარ, ძია სემ. — ბოდიშის მოხდით უპასუხა ჩარლიმ. ახალდაწყებული ჰქონდა მასთან მუშაობა და აყალ-მაყალს ერიდებოდა.

— ძია? ეშმაკსაც წაუღიხარ! ძია? — ტაკაჰუ შეჩერდა და გაოცებულმა ღრმად ამოისუნთქა. — რამდენჯერ გითხარი, ძიას ნუ მეძახი-მეთქი? რა, ფიქრობ გამაბრაზო, ისიც ჩემი უფროსის მოადგილის თანდასწრებით? მისტერ რენტლ! — განაგრძო მან ცივი თავაზიანობით, — იცით რა დიდი ქალაჩუნა ვინმე ხართ? ჩემმა კეთილმა დამ, — მოადგილე ტაუნმა ჩაიხითხითა. — ჩემმა კეთილმა დამ, ალბათ, ქმრის დაუხმარებლად გაგაკეთა, თორემ, ღმერთმანი, შეუძლებელია ასეთი გამოსულიყავი. — ტაკაჰუმ ხელი მანქანის საჯდომს დაარტყა. — ნამდვილად ასეა, ღმერთმანი.

— მე ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, — განაგრძო მსჯელობა შერიფმა, — ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ასეთი ქალაჩუნა მოადგილე მეყოლებოდა. ნათესავის სიყვარული და ხათრი რომ არა... — იგი შეჩერდა და ხელი ტრაგიკულად ჩაიქნია, თითქოს თავისი უბედურების დასტურად.

— უმჯობესია მისტერ სმოლვუდთან წახვიდეთ, — დაღლილი ხმით თქვა რენტლმა, — თორემ გაჯავრდება, თუ დავაგვიანეთ.

შერიფს სახეზე გაბრაზება დაეტყო.

— გაჯავრდეს მერე, — თქვა შერიფმა, მისი ზედა ტუჩი შეირხა, — მისტერ სმოლვუდი, მისტერ ევერი ჯონ სმოლვუდი. ყველაზე საძაგელი კარგად ცნობილ სმოლვუდებს შორის, — მან ზიზღით თხრილში გადააფურთხა.

— ჯანაბას! აქ მოვიცადოთ, — თქვა ჰარისონ ტაუნმა, — თუგინდ ზამთრამდე! ეშმაკმა დასწყევლოს, რა სიცხეა!

— მართლაც რომ ცხელა, — წაიბუზღუნა რენტლმა, — თუ არ გაწვიმდა, ყველაფერი გადაიბუგება, ჭირნახული სულ დაიღუპება.

— გცხელა? განა გცხელა? — უთხრა შერიფმა. — ერთი ამას დამიხედეთ! — და ხმამაღლა ჩაიცინა. — მას ცხელა! მისტერ რენტლ, ვატყობ თქვენი გაგდება მომიხდება. რომ გაგაგდებთ და მთელ დღეს ზანგების გვერდით ბამბის კრეფაში გაატარებთ, მაშინ გაიგებთ რა არის სიცხე, მისტერ რენტლ!

რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. რენტლის გამხდარი სახე სიბრაზისაგან გაოფლიანდა. უცბად, თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, წელში გასწორდა და რკინის სათვალეები მოიხსნა.

— ძია სემ, თქვენმა ლაპარაკმა თავი მომაბეზრა, — მტკიცედ თქვა მან. — გაგდებით კი ვერ გამაგდებთ! — თან ღრმად ამოიოხრა. მისი ფერმკრთალი ქუთუთოები მზის კაშკაშა სინათლეზე ხამხამებდნენ. — ვითომ ნათესავს ეხმარებით! სისულელეა ყოველივე ეს! ვკითხე დედას... — მისი ხმა უკვე ზიზღით იყო სავსე. — მას შემდეგ, რაც მე ამიყვანეთ, თქვენ ყოველდღე უფასოდ საღილობთ დედაჩემთან. აი, ამისთვის ამიყვანეთ! თქვენთვის დიდი რამ არის ერთი ზედმეტი კასრი არაყი თვეში... მეც მიყვარხართ თქვენ, ძია სემ, — დაუმატა უცებ მდგომარეობის გამოსასწორებლად. — როგორც კი ვიშოვი სამუშაოს, მაშინვე თავს დაგანებებთ, მაშინ ძია სემი მუხლმოდრეკილი შე-

მეხვეწება დავრჩე, რათა ზედმეტი ბოთლი ვისკი არ დაეკარგოს, მაგრამ არ დავრჩები.—რენტლის თხელ ტუჩებზე ღიმილი აღიბეჭდა. — დიახ, მე გადაწყვეტილი მაქვს, გზა ჯოჯოხეთისაკენაც გქონია! ასე, რომ ლაყბობას თავი დაანებეთ, ძია სემ, სულერთია მაინც არაფერი გამოგივათ.

შერიფი ტაკაჰუ ახალგაზრდას მიაშტერდა. რამდენიმე წუთს მის უხეშ, ცხენისმაგვარ სახეს უაზრო გამომეტყველება არ მოსცილებია, შემდეგ კი თანდათანობით სიამოვნების გამომხატველი ნაოჭებით დაიფარა. მისი პატარა, ბუდეში ღრმად ჩამჯდარი მწვანე ფერის, მახვილი თვალები ბრჭყვიალა ქვებივით აციმციმდნენ. ზედა ტუჩი ასწია და ყვითელი კბილები გამოუჩნდა.

— სწორია, ჩარლი! — უცნაური კმაყოფილებით დაეთანხმა ტაკაჰუ, — მაინც არაფერი გამომივა. — მისი თვალები ანათებდნენ, — კიდევ მეტი, დადგება დრო, ჩარლი, როცა მე შენს წინაშე მუხლებს მოვიდრეკ. დიახ, მისტერ! და იცით რატომ? — მის ღიმილში სიბრაზეც გამოკრთოდა და კმაყოფილებაც. — იმიტომ, რომ მე ჭკვიანი კაცი ვარ! რაც მსურს, იმას ყოველთვის გავაკეთებ, თუგინდ ამისათვის მიწაზე ხოხვა დამჭირდეს. დიახ, სერ! — მისი ხმა უკვე ჰქქდა. — ფულის ბრალია ყველაფერი, ჩარლი, ფულის! ჭკვიანი კაცი ფეხქვეშ გაეგება ფულის პატრონს. — შერიფი ვისკის ბოთლს დასწვდა და რამდენჯერმე ხარბად მოსვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბაგეები მოკუმა და ბოროტად გაიღიმა. — მე ჩემს ადგილზე იმითა ვარ, რომ ვუხდი იმათ, ვისაც ეკუთვნის, ვისგანაც ხეირი მაქვს. დიახ სერ! და ვღებულობ იმათგან, ვინც ვალდებულია მომცეს. დიახ, სერ! მე ფეხსაცმელებს ვულოკავ მას, ვინც მესაჭიროება, ხოლო მე მილოკავენ ისინი, ვისაც ვესაჭიროები. ხომ მართალია, მისტერ ტაუნ?

— რასაკვირველია! — ზიზღილით მიუგო ტაუნმა.

— თქვენ ლოკავთ ჩემს ფეხსაცმელებს, როცა თითს დაგიქნევთ, არა, მისტერ ტაუნ?

— რასაკვირველია! — ღიმებოდა მოადგილე.

— ასეც უნდა იყოს, — დაამთავრა ამაყად შერიფმა. — ასეთია ცხოვრების წესი, მაგრამ ამას მხოლოდ ჭკვიანი კაცი გაიგებს, მაგალითად ისეთი, როგორიც მე ვარ. — იქვე მდგომთ მედიდურად გადახედა, თითქოს ამბობდა, დიახ, ეს მე ვიცი, და კიდევ გადაკრა რამდენიმე ყლუპი ვისკი. — შეხედეთ! — თქვა მან და თითი გაიშვირა სმოლვუდის სახლის წინ გაშლილ კორდისაკენ, სადაც ჩრდილში ექვსი მსუქანი ცხვარი ძოვდა. — აი, რისი გაკეთება შეუძლიათ სმოლვუდებს. სმოლვუდები ცხვარს იმიტომ ინახავენ, რომ თავიანთ მინდვრებში აძოვონ, მაგრამ ჩვენ არა გვქავს ამის უფლება! — მან ვისკის ბოთლი აიღო და კვლავ დაიწყო სმა ისე, რომ ლაპარაკი არ შეუწყვეტია. — „მომიყვანე ორი მოადგილე, მისტერ ტაკაჰუ“, მითხრა სმოლვუდმა, ხოლო როცა შევეკითხე „რა მოხდა-მეთქი“, მიპასუხა, „მოდით დაახლოებით თორმეტ საათზე“. — ტაკაჰუ თავის ორ მოადგილეს მიაჩერდა. — განა ეს პასუხია?

მოადგილეებმა არაფერი უპასუხეს.

— აი, მე მოვედი კვირა დღეს, გესმით, კვირა დღეს! მთელი გზა სასწრაფოდ გამოვიარე, ჩემი დისშვილი საჭესთან დავსვი, ხოლო მისტერ სმოლვუდი

მეუბნება „მისტერ ტაკაჰუ, ზურგი მექავება“. როგორ ფიქრობთ, რა უნდა ვქნა? — შერიფი შეჩერდა, მისი პატარა თვალები ბრჭყვიალა ქვებივით ბრწყინავდა, — რატომაც არა, მე მოვფხან ზურგს. — მწარედ თქვა მან და ამაყად, საზეიმო ხმით დასძინა, — სადაც უნდა იქ მოვფხან, რადგან ის არის მისტერ ევერი ჯონ სმოლვუდი, მას აქვს ათიათასი აკრი მიწა და ჰყავს ათასი ზანგი. მე ყველაფერს შევუსრულებ, თითქოს მისი ზანგი ვიყო, რადგან ჩემი ბედი მასზეა დამოკიდებული. დიახ, მისტერ! — ტაკაჰუმ ხელის გული გამხდარ მუხლებზე დაირტყა. — მე მივალ მისტერ სმოლვუდთან, ქედს მოვიხრი და მუცელზე ვიხოხებ, ხოლო მისტერ სმოლვუდი იტყვის: „ეი კარგი კაცი, მან ჩინებულად იცის თავისი მოვალეობა. მართლაც მესაჭიროება ასეთი შერიფი!“ — ტაკაჰუმ მხიარულად ჩაიფრუტუნა და ხელი მანქანის საჯდომს დაჰკრა. — ღმერთმა შემარცხვინოს, თუ კროპერივით მუცელზე არ ვიხოხო.

შერიფი ფეხზე წამოიჭრა და თავისი გრძელი, შავი ანაფორის მსგავსი სურთუკი ჩაიცვა.

— წავიდეთ, ჩარლი, — წამოიძახა მან, — წავიდეთ ჩქარა. მე ისე მინდა მუცელზე ხოხვა!

2.

თანამედროვე სტილზე აგებული სმოლვუდის სახლი მწვანე ბუჩქებსა, ხშირფოთლოვან ხეებსა და ყვავილებს შორის ძლიერ ლამაზად გამოიყურებოდა. იგი ერთადერთი ლამაზი სახლი იყო ამ საგრაფოში, სადაც პლანტატორების უმეტესობას ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ოთავიანთი ძველი სახლის შეღებვაც კი ვერ მოეხერხებიათ, არამც თუ ახლის აგება. ასე რომ, ეს ხალხი შურსაც იწვევდა, გარდა იმისა, რომ ლამაზი სანახავი იყო. ევერი სმოლვუდი ახერხებდა წარმატებისათვის მიეღწია მაშინაც კი, როცა ბაზარზე ბამბის ფასი ეცემოდა, რითაც აქაურ შემამულეებს შორის ყოველთვის გამონაკლისს წარმოადგენდა. მოწინააღმდეგეებს ეგონათ, რომ მას ბედი წყალობდა, მაგრამ მისი გამარჯვებების უკან იმალებოდა დიდი მოხერხებულობა. ჯერ ერთი, მისი პლანტაციები ძლიერ ვრცელი იყო, მეორე ის, რომ იგი ბამბას საკუთარ ქარხანაში ასუფთავებდა და, რაც მთავარია, განაგებდა ბატონ-რუჟის საქსოვი ფაბრიკის საქმეებს, რომელიც ბამბას მისგან ყიდულობდა. ყველაფერი ეს მას საშუალებას აძლევდა ამოტივტივებულიყო იქ, სადაც სხვები იძირებოდნენ.

სახლი და კარგად მოვლილი შამული, რამდენიმე მილზე გადაჭიმული ხეხილის ბაღები; ახალი ქვის გარაჟი, რომლის ზემოთ მოსამსახურეთა საცხოვრებელი იყო მოთავსებული, საქონლის საძოვარი მინდვრები, ყვავილები, ხეები, — ყველაფერი ეს თვალსაჩინოდ გამოირჩეოდა ნახევრადდანგრეულ ქოხებსა და გაშიშვლებულ ბამბის მინდვრებს შორის.

ახლა, ამ ცხელ კვირა დილით, როცა მანქანამ სმოლვუდის სახლისაკენ გაუხვია, ევერი სმოლვუდმა სამუშაოს თავი მიანება და აივნიდან გადმოიხედა, რომ უკეთ დაენახა, თუ ვინ მოდიოდა. იგი დილის ცხრა საათიდან გულმოდგინედ ხატავდა. როცა მან თვალი მოჰკრა მანქანის უკანა საჯდომზე მოხტუნავე ტაკაჰუს შავ, გამხდარ ფიგურას, მის სახეზე ზიზღი აღიბეჭდა და

ისევ მოლბერტს მიუბრუნდა. სმოლვუდს არ უყვარდა ტაკაჰუ. არც. არასოდეს ყვარებია. დიდი სიფრთხილით ტილოზე ფერადი ზოლი გაავლო და უკან დაიხია. შეიჭმუხნა. არ ვარგა, არაფრად არ ვარგა! მოუთმენლად ამოიოხრა. ამ დილით ვერაფერი გააკეთა იმდენი, რამდენიც დრო დაკარგა. აჯობებდა ბავშვებთან თამაში. მაგრამ ახლა ტაკაჰუ მოდის. სმოლვუდმა კვლავ ამოიოხრა. იგი ჩია ტანის. კაცი იყო, დაახლოებით ხუთი ფუტი სიმაღლისა, ლამაზ სახეზე მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი. ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ ტანად პატარა იყო, იგი ვერ შერიგებოდა ამას ისევე, როგორც თავისი ცხოვრების სხვა ნაკლოვანებებს. ასეა, ფიქრობდა სმოლვუდი, ცხოვრებაში თავს ვერასოდეს ვერ იგრძნობ ბედნიერად, წარმატება არასოდეს არ მოდის თავისთავად. მას ყოველთვის რაიმე უბედურება მოსდევს. ბავშვობისას აწუხებდა ის, რომ ჩია ტანის იყო, ახლა კიდევ — სამუშაო და სხვა მრავალი.

სამუშაო! მერედა რა არის მისი სამუშაო? სმოლვუდი ამ შეკითხვას თავს პირველად როდი უსვამდა. რომელია მისი საქმე, ბამბის მოყვანა თუ ხატვა? კოლეჯის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელს ევროპაში ხატვას სწავლობდა, სახლში მამის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა და პლანტაციის საქმეს მოჰკიდა ხელი. საქმე კარგად მიდიოდა. ბამბის საწმენდი მანქანები მოიტანა და მეურნეობა გაუმჯობესა. საქსოვი ქარხნის მთავარი აქციონერი გახდა. იგი ყველაფერში, ყველგან იმარჯვებდა. მას ჰყავს ლამაზი ცოლი, რომელიც უყვარს, ჰყავს ლამაზი, ჭკვიანი ბავშვები. მაგრამ ბედნიერია? არა. ან ყოფილა ოდესმე მართლაც ბედნიერი, თავისი ცხოვრებით მართლაც კმაყოფილი? არა, არასოდეს. მერედა რატომ? არ იცის, პასუხი აქამდე ვერ უპოვნია. ოცდათვრამეტი წლის ასაკში, როცა მას ამდენი საქმე აქვს და ყველაფერში იმარჯვებს, გული კვლავ მხატვრობისაკენ მიუწევს.

ახლა კი კვირაში სამ დღეს იგი შინ მოიჩქარის ბატონ-რუჟიდან, რომ ეს დღეები გრილ აივანზე გაატაროს ხელში ფუნჯითა და საღებავებით. მერედა რა არის ამაში ცუდი? როცა იგი ხატავს, მას შესაძლებლობა აქვს დაივიწყოს ის, რასაც ზოგი კომერციას უწოდებს და რაც, მისი აზრით, ბინძური საქმეა, რამდენადაც მისი მთავარი მიზანია „ხელში ჩაიგდე ყველაფერი, რაც შეგიძლია“. ყოველ შემთხვევაში, შესაძლებლობა გაქვს დაისვენო, რომ შემდეგ ამ ბინძურ საქმეს კვლავ დაუბრუნდე.

ახლა, ისევე როგორც არაერთხელ მანამდე, ეკითხება თავისთავს: რატომ არ დაანებებს თავს ამ ბინძურ საქმეს? პასუხის გაცემის ნაცვლად ეღიმება. მან იცის რატომ! ეშინია. ვინაა თავდები, რომ მხატვრობაც ისე არ მოსწყინდება, როგორც ვაჭრობა?

ახლა კიდევ ბეილის საქმე გამოტყვრა. სმოლვუდმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი. როცა მას სურდა მარტო ყოფილიყო, უნდა ეფიქრა ისეთ სულელურ რამეზე, რაც საერთოდ არც კი უნდა მომხდარიყო, მაგრამ თავგატეხილი ედ ბეილი ლოგინში კვნესოდა, ზანგის ბიჭი ბიჩერი კი სარდაფში იჯდა. სხვა გზა არ იყო. ამ საქმეს მოაგვარებს ყოველგვარი უხეშობის გარეშე. იგი ნებას არ მისცემს სცემონ ან ლინჩის კანონით გაუსწორდნენ მის ზანგს.

ღია მანქანა შიგ მსხდომი სამი ადამიანით სახლს მიადგა. სმოლვუდმა ხურგი შეაქცია მათ თითქოს ხატვით იყო გატაცებული. მან უცებ წარმოიდ-

ენა, თუ როგორ წარდგებოდა მის წინაშე ტაკაჰუ — დიდი, კბილებდამტვრეული ჭორფლიანი მაიმუნი, რომელიც ენით ილოკავს ბაგეებს და თავისი პატარა, წვრილი თვალებით ვისკის ეძებს. კეთილი, შეუძლია ეძებოს. სტუმარს უფლება აქვს ჰქონდეს გამასპინძლების იმედი, მაგრამ ტაკაჰუ დიდი ლოთია. ერთი თუ გემო ვაუსინჯა სასმელს, შემდეგ აღარ მოგეშვება, სანამ მთლად არ შესრუტავს. სმოლვუდს მუშაობის გაგრძელება მოუნდა. წყეულ ბეილის რომ არ დაეგრძელებინა ხელები ან ბიჩერი რომ ყოფილიყო სადმე კარტის სათამაშოდ... ახლა კი ყველა ცუდ ხასიათზე იქნება, მუშაობა უხალისოდ წავა, მაშინ როცა ბამბას მუშახელი ესაჭიროება. ზანგები ყოველთვის ასე არიან, გაბრაზდებიან რაიმეზე და ვერაფერს გააკეთებინებ, როგორც ბავშვებს. სმოლვუდმა ტაკაჰუს მძიმე ნაბიჯები გაიგონა; შერიფი კიბეზე ამოდიოდა. სმოლვუდს არ ესიამოვნა მისი ასე ადრე მოსვლა. მაგრამ საჭიროა ამ საქმეს ბოლო მოეღოს. არ შეიძლება აპატიო ზანგს, როცა იგი თეთრკანიანს ეხება.

3.

შერიფმა თავისი ორი მოადგილე მანქანაში დატოვა და თვითონ მარტო წავიდა. სმოლვუდი კვლავ ზურგშექცეული იდგა. შერიფმა ზიზღით გაიცინა, როცა დაინახა, თუ როგორ ფრთხილად ეხებოდა სმოლვუდი ფუნჯით ტილოს. რა ჩურჩუტია ეს სმოლვუდი! აი, პატარა ვირი თავისი მაღალქუსლიანი ჩექმებითა და სურათით...

— დილა მშვიდობისა, მისტერ სმოლვუდ, — თქვა ტაკაჰუმ მისთვის ჩვეული მეგობრული ტონით, — ძლიერ სასიამოვნოა თქვენი ნახვა.

— რა? —სმოლვუდი შემობრუნდა და გაოცებული სახე მიიღო,—ოჰ, დილა მშვიდობისა! ბოდიში, ვერ გავიგე თქვენი მანქანის მოსვლა. როგორა ხართ? — მან შერიფის ბალნიან, გაოფლიანებულ თათს თავისი პატარა ხელი ფრთხილად მოუჭირა და მსწრაფლ უკან წაიღო.

—საუცხოოდ,—უპასუხა შერიფმა და ღიმილით დასძინა.—თქვენ კვლავ ხატავთ.

— დიახ, კვლავ! — სმოლვუდმა ტაკაჰუს შეხედა და მის ბაგეებზე კვლავ გაიელვა მკრთალმა გესლიანმა ღიმილმა, — როგორ მოგწონთ?

შერიფმა თვალები აახამხამა, მას კარგად ეხერხებოდა თამაში. თუ უკან არ დაიხევდა, პატარა ნაბუშარი მას შავ დღეს დააყენებდა.

— მე ძლიერ მინდა ვიცოდე თქვენი აზრი, — რბილად უთხრა სმოლვუდმა. მისი ხმა ნაზი იყო, მუსიკალური. მის ზრდილობიან ტონში არსად არ გამოკრთოდა ირონია. ტაკაჰუ სურათს დააშტერდა. ეს იყო მეტად იმპრესიონისტური გამოხატულება ძროხისა, რომელსაც ხბო ძუძუს სწოვდა. შერიფმა თვალები მოხუჭა. მან ვერაფერი გაუგო ამ წყეულ სურათს. ბოლოს იგი სმოლვუდს გაღიმებული მიუბრუნდა, თითქოს ამით ემუდარებოდა მდგომარეობიდან გამოეყვანა.

—დიახ, მისტერ სმოლვუდ, მე მომწონს იგი, მაგრამ მე ხომ არაფერი გამეგება ამგვარი რამეების...

„ესეც შენ", გაიფიქრა მან.

—როგორ მოგწოის ძროხის ფერი, მისტერ ტაკაჰუ?

— ძროხის? — ტაკაჰუს ენა დაება.

სმოლვუდმა თავი დაუქნია.

ტაკაჰუ კვლავ სურათს დააშტერდა. ლურჯ ფონზე ლიმონისფერი ძროხა იყო დახატული. მან ჩუმად შეიგინა.

— ლამაზია, მისტერ სმოლვუდ, ჩემის აზრით ძლიერ ლამაზია.

— გინახავს ოდესმე ასეთი ძროხა? — შეეკითხა სმოლვუდი დაბალი, ტკბილი ხმით. შერიფმა რამდენჯერმე ჩაახველა, სანამ დაილაპარაკებდა. მას თითქო სახა გაუშრა...

— მგონი არ მინახავს, მისტერ სმოლვუდ, მაგრამ აკი გითხარით, მე არაფერი მესმის სურათების-მეთქი. — ნაჩქარევად დაუმატა მან, თავისთვის კი ჩურჩულებდა—„ნაბუშარი, პატარა ნაბუშარი“.

— მე კი მგონია, რომ ფერი არარეალურია, — თქვა სმოლვუდმა ისეთი ტონით, თითქოს ეს აზრი თავში პირველად მოუვიდაო, — როგორ გგონია, აჯობებს რომ გადავაკეთო?

— რატომ, მისტერ სმოლვუდ... ღმერთმანი, მე მაგისი არაფერი გამეგება.

სმოლვუდმა შეხედა ტაკაჰუს დაბნეულ უშნო სახეს და ბაგეებზე ღიმილი აუთამაშდა... უეცრად მას მოსწყინდა ყოველივე ეს. სულერთია, წყლის ნაყვა იყო და მეტი არაფერი.

— დაბრძანდი, მისტერ ტაკაჰუ,—თქვა მან,—სჯობია საქმეს მივხედოთ.

შერიფს მისდაუნებურად შემსუბუქების გამომხატველი სუნთქვა აღმოხდა. მაშინვე დაჯდა და თავისი დიდი ბანჯგვლიანი ხელები მუხლებზე დაიწყო. მას სწყურდა. იგი ფიქრობდა, რომ სმოლვუდი გაუმასპინძლდებოდა.

სმოლვუდმა კი ისევ თავისი პალიტრა აიღო და მის კიდეზე საღებავები წასცხო. შემდეგ პატარა ფუნჯით ისინი ერთმანეთში აურია და ალაპარაკდა:

— წუხელ ერთი სამწუხარო ამბავი შეგვემთხვა... ზანგის ბიჭმა დაარტყა მისტერ ბეილის, ყბა გაუტეხა.

— რას ამბობთ? — წამოიძახა ტაკაჰუმ, მაშინვე ბაგეები მოკუმა და სკამზე გასწორდა.

— ცუდად არის მისტერ ბეილი, — განაგრძობდა სმოლვუდი თავისი რბილი, მშვიდი, თავაზიანი ხმით, — მე გამოვუძახე ექიმს. სამი თვის განმავლობაში რძით უნდა იკვებოსო.

— რას ამბობთ? — წამოიძახა შერიფმა, — აი საზიზღარი ზანგი. არც ისე ადვილი იყო ედ ბეილის ყბის გატეხა. ალბათ ქვა თუ დაარტყა?

სმოლვუდმა თავი გააქნია.

— არა ზანგი სრულებითაც არ არის საზიზღარი. მას ხელში არაფერი ჰქონია, მე თვით ვნახე. ის ჯორჯ ბიჩერია.

— არ ვიცნობ, — წაილუღლუღა შერიფმა.

— ერთი სიტყვით... სმოლვუდი შეჩერდა. რამდენიმე წუთს თავისი ლამაზი თავი პალიტრაზე ჰქონდა დახრილი. — მე დარწმუნებული ვარ ზანგს ჰქონდა სათანადო მიზეზი.—მან მძიმედ ამოისუნთქა.—მისტერ ბეილი მთვრალი იყო წუხელ... ბაღში დაეჭირა ზანგის პატარა გოგონა... აი, ეს იყო მიზეზი...

ტაკაჰუ სკამის ზურგს მიაწვა. ბაგეების კუთხეებში ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა. იგი იცნობდა ასმან ედ ბეილის. მას კიდევაც ეხარბებოდა ბეილის თანამდებობა, ეგერი სმოლვუდის მთავარი მოურავი იყო, საუკეთესო

ადგილი ეჭირა ამ ოთხ საგრაფოში. ასეთი ამბების შემდეგ შესაძლებელი იყო ბეილის დაეკარგა სამსახური.

— რამდენადაც ვიცი, ეს არ არის პირველი შემთხვევა. — ნელა, სიამოვნებით თქვა ტაკაჰუმ, — თოთხმეტ წელზე უხნესი გოგო არ აინტერესებს.— მისი ბაგეების კუთხეებში ეშმაკური, შემპარავი ღიმილი ათამაშდა. პატარა მოელვარე თვალები ციმციმებდნენ. მან ცერი პიჯაკის საღილეში გაუყარა და სმოლვუდს მიაცქერდა. უნდოდა გაეგო, რა შედეგს გამოიღებდა მისი სიტყვები და შემდეგ თითქოს სხვათაშორის დაუმატა — მე მგონია ეს არ იქნება უკანასკნელი. ედ ბეილი ძლიერ დაეჩვია მცირეწლოვანებს.

სმოლვუდმა უნებურად თავი გასწია. მას ტაკაჰუ შეეზიზღა. სმოლვუდმა უცბად იგრძნო, რომ ტაკაჰუს თვითონ უნდოდა სამუშაო. „კეთილი", ჩაიცინა მან თავისთვის. „უმჯობესია თავი ანებო ბამბის მოყვანას, ვიდრე ასეთი ლოთი დააყენო მოურავად".

სმოლვუდი მობრუნდა, შერიფს მეგობრულად შეხედა. და შემპარავი ხმით დაუწყო ლაპარაკი.

— ჩემი აზრით, ეს ძლიერ ცუდია ბეილისათვის, მაგრამ იგი საუკეთესო მოურავია იმათ შორის, ვინც მე ოდესმე მყოლია... კარგად ადევნებს თვალყურს ზედამხედველს, ზანგებს არ აძლევს ზარმაცობის საშუალებას, ყველაფერს ასწრებს, მე კი ხშირად აქ არა ვარ.

ტაკაჰუმ ენის წვერით ბაგეები მოილოკა და წინ წამოიწია.

— მე გეუბნები როგორც შეგობარი, მისტერ სმოლვუდ, რომ ედ ბეილის საქმე მორჩა. იგი ახლა დაგპირდება, რომ გამოსწორდება, მაგრამ მალე კვლავ ჩაიდენს ასეთ რამეს. — ტაკაჰუ შეჩერდა.

— მაშინ იძულებული ვიქნები გავათავისუფლო, — გულდაწყვეტით თქვა სმოლვუდმა, — მაგრამ იგი ძლიერ კარგი მოურავია.

ტაკაჰუმ კვლავ მოილოკა ბაგეები ენის წვერით და შემდეგ უეცრად უთხრა:

— მისტერ სმოლვუდ, მე, რასაკვირველია, მინდა ბეილის ადგილი. თქვენთან მუშაობა ძლიერ სასიამოვნო იქნება ჩემთვის.

— კეთილი, — სმოლვუდმა მეგობრულად გაიღიმა. — ძლიერ სასიამოვნოა, მისტერ ტაკაჰუ, დავფიქრდები ამის შესახებ.

— ძალიან კარგი, მისტერ სმოლვუდ, ძალიან კარგი, — ტაკაჰუმ პატარა თვალები ააციმციმა. „ეშმაკმა დალახვროს — იმეორებდა გუნებაში, — ეშმაკმა დალახვროს!"

— რასაკვირველია, — განაგრძო სმოლვუდმა, — თქვენ იმუშავებთ იმ შემთხვევაში, თუ მე ავიყვან აგრეთვე თქვენს დისშვილს, ჩარლი რენტლს... ორივეს აყვანა კი გამიჭირდებოდა, — დაამთავრა მან თავაზიანი ტონით.

ტაკაჰუ სიბრაზისაგან გაწითლდა.

— სრულიადაც არა, მისტერ სმოლვუდ, ვინ გითხრათ, — გაწიწმატდა იგი.

სმოლვუდმა მხრები აიჩეჩა.

— სრულიადაც არა, განაგრძო ტაკაჰუმ, — მე იმიტომ მყავს ეს ბიჭი, რომ იგი საუკეთესო მოადგილეა და მეტი არაფერი, მისტერ სმოლვუდ.

სმოლვუდს გაეღიმა.

— არა, უმჯობესია ისევ ბეილი დავტოვო. სხვას რომ თავი დავანებოთ, ბამბის მოყვანაშიც მეხმარება. თქვენ რომ ჩემი მოურავი იყოთ, სიმინდის არაყის მეტს ვერაფერს მივიღებდი.

სმოლვუდმა გადაიხარხარა. მან თავი ველარ შეიკავა. შერიფს სახე სიმინდის ტაროსავით დაუგრძელდა. ნამდვილი ვირი, — ფიქრობდა სმოლვუდი. — აბა წარმოიდგინეთ იგი ბეილის ადგილას. გონია მასაც შეუძლია შეასრულოს ეს საქმე.

სმოლვუდს მობეზრდა გართობა.

— ახლა იმის შესახებ, თუ რა უნდა ვუყოთ ზანგის ბიჭს? — დაიწყო მან.

ტაკაჰუ უსმენდა. მან გვერდზე მიაბრუნა თავისი გრძელი ცხენისმაგვარი თავი. სული ეხუთებოდა. ხელები ექავებოდა. სურდა ერთი წუთით მაინც ყელში სწვდომოდა სმოლვუდს, რომ მეორე წუთში მისთვის ბოლო მოეღო.

— საჭიროა ბიჩერი დაისაჯოს, — თქვა სმოლვუდმა, — თორემ მას ეგონება, რომ ზანგს შეუძლია ხელი ამართოს თეთრკანიანის წინააღმდეგ და პასუხი არ აგოს. ბიჩერს ჭკუა უნდა ვასწავლო მისი პირადი კეთილდღეობისათვის.

— ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მე ზანგს ჭკუას ვასწავლი რევოლვერის კონდახით, — გაბრაზებული თქვა შერიფმა. — მე ხვალ მას ისე გავხდი...

— არა! — მკვახედ მიუგო სმოლვუდმა. — მე არ მინდა ეს, არავითარ შემთხვევაში!

— მაშინ თქვით რაც გინდათ. — გაბრაზებით ჩაიბურტყუნა მან. — ხომ არ დამესიზმრება რა ჯანაბა გინდა... გსურთ დროებით გზის სამუშაოზე გაუშვათ? — შეეკითხა იგი ისე, რომ თავს ძლივს იმაგრებდა.

— არა! — ბაგეების ღიმეთ თქვა სმოლვუდმა, — მე ეს არ მინდა. ბიჩერი კარგი მუშაა. ჩემს ბამბას ახლა ბევრი მუშა ესაჭიროება. მზე საშინლად აცხუნებს. მე ვფიქრობ, საჭირო იქნება ცოტათი შევაშინოთ. ამიტომ არ მინდოდა თქვენ მარტო მოსულიყავით. მას კანონების უფრო შეეშინდება, როცა მოადგილეებს დაინახავს.

ხედავთ! შერიფი და ორი მოადგილე ასეთ შორ მანძილზე არბენინა იმისათვის, რომ ერთი ზანგი ბიჭი შეეშინებია. ასე მოესურვა სმოლვუდს. ტაკაჰუ გაბრაზდა. აივნის მოაჯირზე თამბაქოს ნაჭერი გადააფურთხა.

— ფრთხილად! იქ ყვავილებია, მისტერ ტაკაჰუ, — აღმოხდა სმოლვუდს, — ჩემი ცოლი შავ დღეს დაგაყენებთ. კი. რა უნდა გააკეთოთ თქვენ, — ზანაგრძო მან, — წაიყვანეთ ბიჩერი და ჩააგდეთ ყველაზე ცუდ საკანში. ნუ მისცემთ ლოგინს, მუცლის ამოსავსებად დღეში ერთხელ წყალწყალა წვენი მიეცით. სხვა არაფერი. იყოს მიტოვებული. მე მგონია რამდენიმე დღე მშიერ-მწყურვალი ბნელ საკანში გატარება მოუხდება. როცა დაბრუნდება, აქაურობა სამოთხედ მოეჩვენება და ველარ გაბედავს ხელი შეახოს თეთრკანიანს... — სმოლვუდი შეჩერდა. — ჩემთვის ეს მეტად არასასიამოვნოა, — დაუმატა მან დინჯად, — მაგრამ ყველაფერს მისივე საკეთილდღეოდ ვაკეთებ. თუ იგი ამას ახლა ვერ გაიგებს, როდისმე მაინც იგრძნობს მწარე გამოცდილებით. განა სიმართლეს არ ვამბობ?

ტაკაჰუმ თავი დაუქნია.

სმოლვუდმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

— სთხოვეთ თქვენს მოადგილეს ბიჭი აქ ამოიყვანოს, — უთხრა მან. — იგი სარდაფშია სახლის უკან, მე მინდა მოველაპარაკო მას.

ტაკაჰუ ძირს ჩავიდა და გასაღები ტაუნს გადასცა. მათ ერთმანეთს რამდენიმე სიტყვა გადაულაპარაკეს. ტაუნმა სახლს შემოუარა, როცა ტაკაჰუ დაბრუნდა, მან უცებ ქუდი მოიხადა დიდი თავაზიანობით. აივანზე ქალი გამოვიდა. ეს იყო მისის სმოლვუდი. იგი შერიფს მიესალმა მეგობრულად, მაგრამ ცოტათი შეშფოთებული, რის გამოც შერიფმა ქალს გაბრაზებით შეხედა, როცა ეს უკანასკნელი ქმრის წინ სკამზე ჩამოჯდა. იგი მსუქანი, ტანადი ქალი იყო ოცდაათი წლისა, ლამაზი მშვიდი სახით.

— ჰელოუ ევი, — უთხრა მან სმოლვუდს, — როგორ გადაწყვიტეთ ჯორჯის საქმე? — იგი დაიხარა და ისე აკოცა ქმარს ლოყაზე, რადგან ცოტათი ქმარზე მაღალი იყო. მას მომხიბვლელი ხმა ჰქონდა და ლაპარაკის დროს თითქოს კიდევაც წაიმღერებდა. ეს მის ნატიფ გარეგნობას შეეფერებოდა.

სმოლვუდმა ცოლს მოფერებით ზურგზე გადაუსვა ხელი.

— ახლა ადექი?

— დიახ! — მხიარულად გაიცინა მან. — საშინელებაა, არა? ევი, შენ ხომ არ აგზავნი მას გზის საბუშაოზე? — შეშფოთებული იკითხა მან.

სმოლვუდმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მისტერ ტაკაჰუ წაიყვანს მას და რამდენიმე დღეში აღელვებას დაუცხრობს.

— ოჰ! — იგი შერიფს მიუბრუნდა. — როგორ ბრძანდებით, მისტერ ტაკაჰუ?

შერიფმა თავი დაუკრა. ქალმა თითქოს აქამდე ვერ იცნო იგი, რის გამოც ტაკაჰუ საშინლად გაბრაზდა. მას იგი სამჯერ თუ ოთხჯერ გააცნეს ადრე.

— დამპირდით, რომ მას არაფერს ავნებთ, — ღიმილით უთხრა ქალმა.

— რასაკვირველია, არა, მისის.

— მე არასოდეს არ გაპატიებთ, თუ ამ თხოვნას არ შემისრულებთ, — უთხრა ქალმა და გულთბილად გაუღიმა. მას, თეთრი ლამაზი კბილები გამოუჩნდა.

— ნუ სწუხართ, მისის, — დაარწმუნა ტაკაჰუმ. — ზანგის ბიჭი სეტერსა გავს. თუ კარგად გაწვრთნი, ყველაფერი კარგად იქნება.

— ჩემის აზრით საშინელება მოხდა. ევი შემპირდა, რომ ბიჩერს ჩემს შოფრად დააყენებდა, როცა ბაბბის აღება დამთავრდებოდა. მე ვუცდიდი ამ დროს.

— ვნახოთ, თუ იგი წესიერი გახდება, — თქვა სმოლვუდმა.

— მადლობთ, ევი! იგი ძლიერ ჭკვიანი ბავშვია. მე ვიმედოვნებ, რომ იგი ჩემი შოფერი იქნება.

— კარგი, ძვირფასო, — სმოლვუდი კვლავ მოეფერა მას და სახეზე ხიდ მოვნება აღებეჭდა. — მას ახლა აქ მოიყვანენ, მე უნდა მოველაპარაკო.

— შეიძლება დავრჩე? — ქალმა ისე გაიღიმა, როგორც ბავშვებმა იციან ხოლმე, როცა რაიმე უნდათ გთხოვონ.

— არა, ძვირფასო!

— ეჰ, — თითქოს გაბრაზებული, გაბუტული სახე მიიღო, მაგრამ სწრაფად გაიცინა. — რა კარგია კაცი ვიყო! საშინელებაა ქალობა, არა შერიფ?

ტაკჰუმ რაღაც ჩაიბურტყუნა. მას უნდოდა რაიმე თავაზიანი ეთქვა, მაგრამ სიტყვები ყელში გაეჩხირა და კვლავ გაუგებრად აბურტყულდა.

მისის სმოლვუდი შერიფს შესცქეროდა და სიცილს ძლივს იკავებდა. ბოლოს მაინც გაიცინა.

— არაფერი ავნოთ, — თქვა მან და წავიდა მსუბუქი, მოკლე ნაბიჯებით. მამაკაცებმა თვალი გააყოლეს. ისინი ერთხანს დუმდნენ.

მისის სმოლვუდი სახლში შევიდა.

4.

ჯორჯ ბიჩერმა დაბეჟილი ტანი გამართა და გაიფიქრა „რა დრო იქნება?“ დიდი ხანია შიოდა. სარდაფი დაფარული იყო მთელი თვის განმავლობაში მინდვრებიდან მონაბერი ყვითელი მტვერით. ამ მტვერით ბიჩერს ყელი ისე ამოვსებოდა, რომ ნერწყვის გადაყლაპვის დროს ტკივილს გრძნობდა.

იგი წამოდგა, ოცა რკინის მძიმე კარების გაღების ხმა გაიგონა. „აი, მოვიდნენ“ — გაიფიქრა მან. გასიებული მარჯვენა ხელის სახსრები სტკივოდა. იგი შეშფოთებული ელოდა.

— ეი, შენ! — გაისმა ბნელ სარდაფში ტაუნის მჭახე ხმა.—ამოდი მაღლა!

ბიჩერი ფეხსაცმლების ჭრიჭინით გაყვა სინათლის ზოლს, რომელიც ხის კიბეზე გაწოლილიყო.

— შენ, ეი, — კვლავ გაისმა ტაუნის ხმა, — მთვრალი ხარ თუ ყრუ, ამოდი მაღლა!

— მოვდივარ! — უპასუხა ბიჩერმა.

— შენ რაღაც არ ჩქარობ.

— აქ ბნელა, ბოს.

ბიჩერმა კიბეს მიაღწია და ნელა აყვა. „აი მოვიდნენ“ — ჩაილაპარაკა თავისთვის.

ტაუნმა უკან დაიხია, როცა ბიჩერი კარს მოადგა. შემდეგ გაიცინა და რევოლვერის ბუდეს ხელი გაუშვა.

— ღმერთმა დაგწყევლ! მე მეგონა, კაციჭამია ვეფხვს ვნახავდი. შენ ხომ ის ბავშვი ხარ, მე რომ მჭირდება?

— დიახ, ბოს!

— ძალიან კარგი, წამოდი, სმოლვუდს სურს შენი ნახვა.

„აი მოვიდნენ“ — ერთხელ კიდევ ჩაილაპარაკა ბიჩერმა თავისთვის.

ისინი ერთიმეორის გვერდით მიდიოდნენ.

— რა ღმერთი გაგიწყრა გუშინ? — გაოცებული შეეკითხა ტაუნი, — მთვრალი იყავი?

— არა, ბოს.

— აბა, რა ეშმაკმა გადაგრია?

ბიჩერმა არაფერი უპასუხა. მხოლოდ მისი ფეხსაცმელები ჭრიჭუნებდნენ ხრეშზე. მან გასივებული ხელი ფრთხილად ჩაიყო კომბინიზონის ჯიბეში.

— მე როგორც ვატყობ, ყველაფერი ეს შენ ფეხზე გაიდია, — ზიზღნარევი დაცინვით უთხრა ტაუნმა, — ფეხებზე გაიდია, რაც დაგემართება, ხომ მართალია?

ბიჩერმა დაინახა, რომ მისტერ სმოლვუდი აივანზე შერიფ ტაკაჰუს ელაპარაკებოდა. მან გზაზე დაინახა ღია მანქანაც, რომელშიც მეორე მოადგილე იჯდა. იგი სახლისაკენ მიდიოდა და მომავალი უბედურებით გამოწვეული მღელვარება თანდათანობით იპყრობდა. შინაგანი უხილავი ხმა გრამაფონის ფირფიტასავით ერთსა და იმავეს იმეორებდა — „აი, მოვიდნენ თეთრკანიანები, აი მოვიდნენ". რაღაც უჩვეულო გრძნობა დაეუფლა. მართლაც და უჩვეულოა მიდიოდე და სულის სიღრმეში შინაგანი ხმა იმეორებდეს ერთსა და იმავეს—„აი მოვიდნენ თეთრკანიანები! სრულიადაც არ დავეძებ, რაც უნდა ის მიყონ. კმარა ამდენი შიში, კმარა! ისინი არიან... თეთრკანიანები".

— მაღლა ადი, ბიჭო!—უთხრა ტაუნმა, თვითონ კი ადგილზე დარჩა.

ბიჩერი კიბეებზე ავიდა. იგი მექანიკურად მიდიოდა, თითქოს ამ ქვეყანაზე აღარც კი ფიქრობდა. შინაგანი ხმა კვლავ იმეორებდა ერთსა და იმავეს. შემდეგ მან დაინახა, რომ თეთრკანიანები შემობრუნდნენ და მას მიაცქერდნენ. ბიჩერმა უნებურად თავი მაღლა ასწია—იგი ნელა მიდიოდა და მათ პირდაპირ უყურებდა. „აი მოვიდნენ" — მშვიდად უთხრა თავისთავს, — „მოვიდნენ". ფეხები საშინლად დაუმძიმდა.

5.

როცა შერიფ ტაკაჰუს ბიჩერის ნაბიჯები შემოესმა, მობრუნდა და ზანგს მიაჩერდა. იგი გაოცებული დარჩა. ეგონა, რომ დაინახავდა ზორბა, ტანმოსულ ზანგს. ბიჩერი კი საშუალო სიმაღლისა იყო, გამხდარი, ერთი შეხედვით, ოცდაორი წლისა. მისი სახე, შიშველი ბეჭები და მკლავები კაკაოს ფერისა იყო.

ტაკაჰუ მიხვდა, რატომ უნდოდა მისის სმოლვუდს მისი აყვანა შოფრად. ბიჭს ჰქონდა ლაძაზი, სასიამოვნო სახე, ნაზი პირისკანი და სრულიად არ ჰგავდა სხვა ზანგებს. მაგრამ ზანგის თვალები მაინც არ მოეწონა ტაკაჰუს. „ეს ზანგი დიდი ურჩი ვინმე იქნება" — გაიფიქრა მან. ტაკაჰუმ ცხვირი მოიხოცა. „ლამაზი ზანგის ბიჭი მეოცნებე თვალებით! ნათლად ეტყობა. ძაღლები და ცხენებიც ასევე არიან. თუ ისინი მალე არ დაიურვე, მერე არაფერი ეშველებათ. არა უშავს რა, მე მოვუვლი მას! თვალის დახამხამებაში მოვიყვან ჭკუაზე. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის".

— აქ მოდი, ჯორჯ, — უთხრა სმოლვუდმა.

ბიჩერი ახლოს მივიდა. სმოლვუდი დაჯდა და ფეხი სავარძელის საფეხურზე შემოდო. იგი ღელავდა, როცა მის წინაშე მდგომ ზანგის ბიჭს ხედავდა. ბიჩერის დასჯა ადვილი იყო, ძლიერ ადვილი! ყველა არამზადას შეეძლო მისი დასჯა. მას კი სურს ბიჩერს მხოლოდ გააგებინოს, თუ რა ჩაიდინა, როცა თეთრკანიანს დაარტყა. ეს კი არც ისე ადვილია. იგივეა, რომ ბავშვს ასწავლო, თუ რას წარმოადგენს ცხოვრება.

ახალგაზრდა ზანგს სმოლვუდი რამდენიმე ხანს უსიტყვოდ ათვალიერებდა, შემდეგ დინჯი, მედიდური, ნაწყენი ტონით დაიწყო:

— რას ფიქრობ იმის შესახებ, რაც წუხელ მოხდა?

ბიჩერმა არაფერი უპასუხა. მას თვალები ძირს დაეხარა. იგი სმოლვუდის ფეხს მისჩერებოდა, რომელიც სავარძლის სახელურზე იყო ჩამოკიდებული. ფეხი ქანაობდა და ბიჩერი მას მზერას აყოლებდა. იგი თვალს არ აშორებდა

თეთრ ფეხსაცმელს, ყელში რაღაც აწუხებდა, თითქოს მტვერით ჰქონდა ამოვსებული, მაგრამ წყლის მოთხოვნა ვერ გაებედა.

— შენ მისმენ, ჯორჯ?

— დიახ, ბოს, — უპასუხა ახალგაზრდამ დაბალი ხრინწიანი ხმით.

ტაკაჰუმ თავი დააქნია. იგი იცნობდა ამ ხმას. ხმა და თვალები ერთმანეთის შესაფერი იყო. ორივე ურჩობაზე მეტყველებდა მტკიცედ ნაგები კედლის მსგავსად, რომელსაც ვერაფერი დაანგრევს.

— ნუ მეძახი მე ბოსს, ჯორჯ, — უთხრა სმოლვუდმა. იგი ცოტა ხანს შეჩერდა და ბიჭი კარგად შეათვალიერა. — შენ სწუხხარ იმაზე, რაც ჩაიდინე, ჯორჯ?

ბიჩერმა თვალი აარიდა სმოლვუდის მრისხანე მზერას. მან პირი გააღო, მაგრამ შეჩერდა. შემდეგ ჩაახველა და ნერწყვი გადაყლაპა.

— რა გსურთ ჩემგან, მისტერ სმოლვუდ?

სმოლვუდმა დინჯად და მტკიცედ გაიმეორა თავისი შეკითხვა.

— შენ ინანიებ შენს დანაშაულს? მე მინდა მიპასუხო, ჯორჯ!

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ბიჩერმა თავი მაღლა ასწია. მასში ერთმანეთს ებრძოდა სიამაყე, შიში და თავგანწირული გადაწყვეტილება.

— არა! თუ საჭირო იქნა, მე კვლავ ასე მოვიქცევი. ზანგს ლინჩის კანონით დასჯიან იმისათვის, რაც ბეილმა ჩაიდინა.

— ზანგს ლინჩის კანონით დასჯიან იმისათვის, რაც შენ ჩაიდინე,—უხეშად წამოიძახა ტაკაჰუმ და თამბაქოს ნაჭერი აივნის რკინის მოაჯირზე გადააფურთხა. — რამ გადაგრია, ბიჭო, რაებს ჩმახავ, განა ერთია, თუ რას გააკეთებ შენ და რას გააკეთებს თეთრკანიანი? ეს, ღმერთმა დასწყევლოს, ორი სხვადასხვა რამ არის. ეს ერასოდეს არ უნდა დაგავიწყდეს.

ბიჩერმა თავი მოაბრუნა. მის სახეზე სიბრაზე და მტკიცე გადაწყვეტილება აისახა. მას თვალწინ წარმოუდგა საშინელი სიმწარით აღსავსე ოცდაოთხი წლის ცხოვრება და სისხლი აუდუღდა. მასში იყო ერთი აზრი, ერთი რწმენა — ეთქვა ყველაფერი. ამ აზრმა გაიტაცა იგი.

— თქვენ გინდოდათ, რომ მისთვის მიმეცა პატარა გოგონას გაუპატიურების ნება? — უეცრივ წამოიძახა ბიჩერმა. — ეს ხომ ათი წლის არის.

ტაკაჰუ ფეხზე წამოვარდა, რომ მისებური პასუხი გაეცა, მაგრამ სმოლვუდმა შეაჩერა.

— მისტერ ტაკაჰუ, — ვესლიანად შენიშნა მან, — ნება მომეცით განმეორებით მოგაგონოთ, რომ ნუ აფურთხებთ ჩემი ცოლის ყვავილებს.

— ბოდიში! — ჩაიბურტყუნა ტაკაჰუმ. „ეშმაკმა დაგლახვროს — ფიქრობდა იგი — რამდენი ხანია, რაც არაყის გემო არ გამისინჯავს. ღორებსაც დაუთელია შენი ყვავილები, მე მისი დარდი არ მქონდეს“.

— შენ არ უნდა დაგერტყა მისთვის, — უთხრა სმოლვუდმა ბიჩერს.

ბიჩერმა ერთი ნაბიჯი წინ გადადგა. მისი თვალები მუდარას გამოხატავდა, სახე კი აღელვებისაგან დამანჭულიყო.

— რა უნდა მექნა, ბოს. მე ვუთხარი წასულიყო, მან ყურადღებაც არ მომაქცია. ხომ უნდა მელონა რაიმე? როცა ხელი მოვკიდე, დამარტყა და წამაქცია. შემდეგ მეც დავარტყი. რა გინდათ ჩემგან?

სმოლვუდი ფეხზე წამოიჭრა.

— მე მინდა იცოდე, რომ თეთრკანიანის ცემა არ შეიძლება! — წამოიძახა გაბრაზებულმა. — შენ უნდა გაქცეულიყავი, გეყვირა, დაგეძახა ან სხვა რაიმე ამის მსგავსი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგერტყა.

ბიჩერი უსიტყვოდ შესცქეროდა სმოლვუდს და კანკალებდა. მისი თვალები აღელვებისაგან ელვარებდა, სისხლი ყელში მოსწოლოდა. მას დაეუფლა განუსჯელი, დაუძლეველი სურვილი დაეყვირა ამ თეთრკანიანი კაცისათვის, ერთხელ მაინც თავისუფლად ეთქვა ყველაფერი, ერთხელ მაინც აეწია თავი ძიწიდან, შეეხედა ლურჯი ცისათვის, აეწია თავი ამაყად როგორც თავისუფალ, ლაღად მონავარდე ფრინველს. ეს სურვილი აბრჩობდა მას და ამიტომ არ შეეძლო რაიმე ეთქვა.

სმოლვუდი უცებ დაჯდა და შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა. თავისთავზე უკმაყოფილო იყო. იგი გაბრაზდა, რაც არ იყო საჭირო. მაგრამ, ღმერთო, რა უცნაურია ეს ბიჭი, რა უცნაური! ნეტავ სად გონია თავი, მარსზე თუ კლარაბელის საგრაფოში, ლუიზიანას შტატში? ღმერთმანი, მას წარმოდგენაც არა აქვს სამხრეთში ზანგების უფლებების შესახებ. ისე ლაპარაკობს, თითქოს ზანგების ბელადი იყოს სადმე აფრიკაში. ის კი ერთი უბრალო ზანგის ბიჭია თეთრკანიანებს შორის. ერთი რამ საბოლოოდ გადაწყდა — იგი პლანტაციის მუშად უნდა დარჩეს. შოფერად უკვე აღარ გამოდგება.

— ჯორჯ! — უფრო წყნარად უთხრა სმოლვუდმა, — შენ დაივიწყე მისტერ ბეილი. ეს ჩემი საქმეა და არა შენი. შენ იმაზე იფიქრე, რაც გააკეთე. ზანგი ლინჩის კანონით უნდა დაისაჯოს, როცა იგი თეთრკანიანს დაარტყამს. შენ ეს კარგად იცი. მისტერ ბეილის მე გავუსწორდები.

— როგორ? — ოდნავ გასაგონად წარმოთქვა ბიჩერმა. იგი მოიხარა და ადგილზე გაშეშდა. მისი მოუღვარე, გასისხლიანებული თვალები სმოლვუდს პირდაპირ სახეში შესცქეროდა. იგი უკვე წონასწორობიდან იყო გამოსული. მთელი მისი არსება თეთრკანიანთა სამყაროსადმი სიძულვილს მოეცვა. ამ წუთში მას მთელი თავისი ცხოვრება წარმოუდგა თვალწინ. მთელი სიცოცხლის განმავლობაში პლანტაციებში ხეტიალი... ეს იყო ნაპირზე გადმოსული ღრმა წყლის ძლიერი დინება, სიმკაცრისა და მორჩილების ქვის კედლების, რევოლვერისა და მათრახის კანონების წასალეკად აბორგებული.

— როგორ? — გაიმეორა მან. — როგორ გსურთ გაუსწორდეთ მას? თქვენ მას ბორკილებს დაადებთ და სამუშაოდ გაგზავნით? თქვენ მას ზანგებს გაასამართლებინებთ ისე, როგორც მე თეთრკანიანები მასამართლებენ?

სმოლვუდი გაცხარდა. იგი უკვე აღელვებული სუნთქავდა. შემდეგ უცნაურად გაიღიმა და როცა ხმა ამოიღო, ეტყობოდა, თავს ძლივს იკავებდა.

— ბეილი არ არის შენი საქმე, ჯორჯ! ხომ გითხარი! ბეილს მე მოვუვლი!

— მე ვიცი თქვენ როგორ მოუვლით მას! — ბიჩერი წელში გასწორდა. წამება და უკანონობა, განვლილი ცხოვრების სიმწარე, ზიზღი და მწუხარება, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავს იყრიდა ძასმი, ზანგის სხეულმა ვეღარ დაიტია და ისტერიულ ყვირილში ვადმოანთხია.

— თქვენ მხოლოდ კარგად ლაპარაკობთ, ისე კი ისეთივე ხართ, როგორც სხვები! თქვენ აპირებთ მე ბორკილგაყრილი მამუშავოთ, ის კი არა. თქვენ იცით, რომ იგი არ დაისჯება. თქვენ ცრუობთ.

სმოლვუდმა სახეში გაარტყა. ბიჩერი წაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— მირტყით! ისტერიულად წამოიძახა მან. — თქვენ მე ვერაფერს დამაკლებთ. მე ყბა გავუტეხე თეთრკანიანს და ამით ყველაზე უკეთესი რამ გავაკეთე ცხოვრებაში. თქვენ მე აწი ვერაფერს დამაკლებთ, მე არაფერს აღარ დავეძებ, რაც გინდათ, ის მიყავით.

სმოლვუდი შეჩერდა. მოქნეული მუშტი ჰაერში გაუშეშდა. მისი შავგვრემანი სახე გაფერმკრთალდა. იგი უძრავად იდგა და მთელი სხეულით კანკალებდა. ძალა აღარ შესწევდა თავი შეემაგრებინა, მაგრამ ზანგს აღარ მივარდა, მეორედ არ დაარტყა. ასე გავიდა მთელი წუთი, შემდეგ უცბად შეკრთა და ხელი მკერდზე მიიდო. სირცხვილმა მის სახეს უცნაური გამომეტყველება მისცა. იგი არ იყო მართალი! ღმერთო, იგი არ იყო მართალი! ზანგის ბიჭმა დაუმტკიცა, რომ იგი არ იყო მართალი.

სმოლვუდი სავარძელში ჩავარდა და ორთავე ხელები თავზე შემოიდო. იგი იტანჯებოდა. ღმერთო, როგორ დაიმცირა თავი და ამ პატარა ზანგის ბიჭს შემოარტყა! რა ლამაზად ლაპარაკობს, ისე კი არაფრით არ განსხვავდება სხვა პლანტატორისაგან — თვითონაც მსწრაფლ მუშტსა და მათრახს მიმართავს.

სმოლვუდმა ღრმად ამოიოხრა და ბიჩერს შეხედა.

ზანგი უძრავად იდგა, თავი ოდნავ ძირს დაეხარა, თვალები ამღვრეოდა, პირი გაეღო და ჩქარა სუნთქავდა. მას კვლავ ესმოდა უცნაური შინაგანი ხმა, ეხილავი ხმა, რომელიც თითქოს სხვისი ყელიდან ამოდიოდა. ეს უცნაური, არაამქვეყნიური, ძლივს გასაგონი ჩურჩული მას არასოდეს არ სმენია გარდა იმ წუთისა, როცა მასთან შერიფის მოადგილე ტაუნი მივიდა, როცა თეთრკანიანის მოადგილე მიადგა სარდაფის კარებს და ჩუმად გაუღო კარები, რათა წაეყვანა და დაესაჯა. ეს ხმა მას აქამდე ერთხელაც არ გაუგონია ამ ოცდაორი წლის ძაღლური ცხოვრების მანძილზე, მანამ, სანამ არ აივსო ტანჯვის ფიალა და არ გაიგონა განუწყვეტელი ძახილი ამ მწარე სიტყვებისა — „აი მოვიდნენ, ახლა ყველაფერი დამთავრდა“. და ბიჩერიც ელოდა. მას ყელი გაუშრა და თავისთვის იმეორებდა „სულერთია, სულერთია, ახლა უკვე ყველაფერი სულერთია“.

სმოლვუდმა თავი მაღლა ასწია.

— ჯორჯ, შენ ნუ იფიქრებ, რომ შეგიძლია თეთრკანიანს დაარტყა და დაუსჯელი დარჩე. — მან ხმა აიმაღლა. მის ხმაში მოისმოდა მტკიცე, დაჯერებელი ტონი. — მე ძლიერ ვწუხვარ, მაგრამ შენ უნდა დარწმუნდე ამაში. შენ უნდა გაიგო რომელ ქვეყანაში ცხოვრობ. თუ ამას ვერ გაიგებ, ცხოვრებას ხის წვერზე ჩამოკიდებული დაამთავრებ. მე არ მინდა, რომ შენ ეს შეგემთხვეს. — სმოლვუდი შეჩერდა. მან ფეხები კვლავ სახელურზე შემოაწყო. — მე ვნახავ მოსამართლეს, — განაგრძო მან უფრო რბილად, — ვეტყვი, რაც მოხდა. შესაძლებელია მან შენ დიდი სასჯელი არ მოგცეს. მე ასე მგონია. როცა უკან დაბრუნდები, შენც უნდა იცოდე, რომ ამგვარია ცხოვრება, — სმოლვუდმა ხელში ფუნჯი აიღო და ბეწვებს უგულოდ დაუწყო გლეჯა.

— მისტერ ტაკჰუ, შეგიძლიათ წაიყვანოთ იგი, — თქვა მან. მისი ხმა ახლა უფრო რბილი იყო.

შერიფმა მხოლოდ თავი გააქნია.

— ჩადი ძირს, მანქანასთან!

ბიჩერი ნელა მობრუნდა და წავიდა. იგი ისევ თავჩაქინდრული მიდიოდა, მექანიკურად მიათრევდა ფეხებს, გასივებული ხელი ხალათის ჯიბეში ჩაედო. მოადგილე ტაუნი მას კიბესთან დახვდა და ხელი მკლავში ჩაავლო.

ტაკაჰუ სმოლვუდს მიუჯდა.

— თქვენ გსურთ სასამართლოს მიმართოთ? — შეეკითხა იგი.

სმოლვუდმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არა! სარდაფში ჩაამწყვდიეთ, ერთი მაგანაც იგემოს. თუ სასამართლოს შესახებ რამე შეგეკითხოს, უთხარი, მოსამართლე შვებულებაშია-თქო. მე კავშირს ვიქონიებ თქვენთან. ალბათ ეს ამბები უფრო დიდხანს გასტანს, ვიდრე მე ვფიქრობ.

ტაკაჰუს ზედა ტუჩი შეერხა.

— თუ ნებას მომცემთ, მაგასთან საქმეს მალე მოვრჩები, — თქვა შერიფმა.

სმოლვუდი გაბრაზდა.

— ხელიც არ ახლო, — წამოიძახა მან, — გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებიან.

— რასაკვირველია, არა, სმოლვუდ! თითსაც არ დავაწებ.

ტაკაჰუს ზიზღი ისე ძლიერი იყო, რომ სმოლვუდს ეს არ შეძლებოდა, არ ეგრძნო. მან იგრძნო ეს ზიზღი, მიუხედავად იმისა, რომ შერიფის თხელი ბაგეები დუმდა და მისი გამხდარი სახე არაფერს არ მეტყველებდა.

— ჰო, ერთი, წუთით, მისტერ ტაკაჰუ, — სმოლვუდმა მეგობრულად აათვალიერა იგი თავიდან ფეხებამდე. — რაც შეეხება ბეილის თანამდებობა?..

— დიახ! — ტაკაჰუს პატარა თვალები მაშინვე აენთო.

— ვეჭვობ, რომ თქვენ დაგნიშნოთ მის ადგილას.

— ოჰ! — მისდაუნებურად აღმოხდა ტაკაჰუს.

— ვერა, მე ვშიშობ, რომ ვერა... — გაიმეორა სმოლვუდმა, — მაგრამ თუ თქვენ მოგბეზრდათ შერიფად ყოფნა, მისტერ ტაკაჰუ, ვფიქრობ ამ საქმის მოგვარებას შევძლებ. შეიძლება თქვენი დისშვილი დავნიშნოთ შერიფად.

— არა, სერ, რას ამბობთ! — კვლავ წაილუღლუღა ტაკაჰუმ.

— მე მეგონა, იქნებ მობეზრდა ეს სამუშაო-მეთქი.

— სრულიადაც არა, სრულიადაც არა მისტერ სმოლვუდ! ვისაც გსურთ, იმას ჰკითხეთ! — ლუღლუღებდა ტაკაჰუ. — განა ცუდად ვუძღვები ჩემს საქმეს? განა რაიმე უსიამოვნება შეგემთხვათ ჩემი მიზეზით? — საცოდავად ლუღლუღებდა აყლაყუდა შერიფი.

— ძალიან კარგი! — თქვა სმოლვუდმა და ხელი გაუწოდა. — ვესმის? ყური უგდე ბიჩერს.

— თითსაც არ დავაწებ! — უთხრა გამოცოცხლებულმა ტაკაჰუმ. — როცა უკან მოგიყვანთ, ვეღარც კი იცნობთ.

სმოლვუდმა ხელში პალიტრა აიღო და მიბრუნდა.

— კარგად იყავი, — მხნედ თქვა ტაკაჰუმ და კიბეებზე დაეშვა.

სმოლვუდი სურათის წინ იდგა. იგი ყურს უგდებდა ტაკაჰუს ფეხსაცმელების ბრახუნს კიბის საფეხურებზე. რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგონა, თუ

როგორ ამუშავდა მანქანა. ძველი ძლიერი ძრავი ათუხთუხდა და მანქანა საბურავების შრიალით გზას გაუდგა. ბიჩერს თვალი ვეღარ მოჰკრა. ალბათ დაბლა თუ დასვეს. სმოლვუდმა ამოიოხრა. აი, თავგადასავალი! მაგრამ რა უნდა ექნა? ყოველ შემთხვევაში, იგი ღირსეულად მოიქცა. მან კვლავ ამოიოხრა. რას იზამ, ასეთი მკაცრია ცხოვრება და შენც იძულებული ხარ მკაცრი გახდე.

6.

ძველი მოტორი გუგუნებდა, ხოლო საბურავები განუწყვეტლივ შრიალებდნენ ხრეშმოყრილ გზაზე. ხმას არავინ იღებდა. ჩარლი რენტლი მანქანას მთელი მინდობით მართავდა. ჰარისონ ტაუნი საჯდომზე გაშხლართულიყო და ჩამქრალ სიგარას კუჭავდა. ტაკაჰუმ სმოლვუდის ბრძანება გადასცა ჰარისონს, მაგრამ მოადგილე არც კი ფიქრობდა პირადად მოეკიდა ხელი ბიჩერის ხელახლა აღზრდისათვის. მრავალი საშუალება არსებობს ზანგის გონზე მოყვანისათვის და ტაუნი არც ისე სულელია, რომ ყველაფერში ტაკაჰუს დაუჯეროს. მოადგილეს ჩაეცინა ყოველივე ამის გაფიქრებაზე. მართალია, სკოლაში არ იყო ბრწყინვალე მოწაფე, მაგრამ აქ სხვა საქმეა. პოლიტიკაში საკმაოდ ერკვეოდა. საჭიროა იცოდე, სად არის მსუქანი ნაჭერი და ეცადო მუდამ მის ახლოს იყო. იგი მანქანის საჯდომის ზურგს მიაწვა და გაინაბა ძაღლივით, რომელიც პატრონის ხმას ელოდება.

ამაყად წამომჯდარ ტაკაჰუს თავისი გრძელი გაბანჯგვლული ხელი მანქანის კიდეზე ჩაევლო. ყბები შეკვროდა და ლოყებზე კუნთები უთამაშებდა. მას შიშისათვის თავი ვერ დაეღწია. იგი შეეძრწუნებია სმოლვუდის სიტყვებს „თუ თქვენ მოგბეზრდათ შერიფად ყოფნა, მისტერ ტაკაჰუ?“ ოი, ღმერთო, იგი იცნობს სმოლვუდს! იგი იცნობს ამ რბილი, მეგობრული ლაპარაკის ტონს, რომლითაც სმოლვუდს ადამიანის განადგურება შეეძლო. მომაკვდინებელი არისტოკრატიული თავაზიანობაა. „ძლიერ ვწუხვარ, მისტერ ტაკაჰუ, ძლიერ ვწუხვარ“, თითქოს მართლაც სიბრალულისაგან გული ეკუმშებოდა. ღმერთო ჩემო, ეს შეუძლებელია! იგი უკვე ათი წელია, რაც შერიფის მოვალეობას ასრულებს და ახლა ამ ბეღლის ჭიამ უნდა მოუღოს ბოლო? ერთი სიტყვით, არ არის სამართალი! ღმერთო ჩემო! ტაკაჰუს კვლავ ბამბის მკრეფავად წარმოუდგა თავისი თავი. არა, ეგ შეუძლებელია, სმოლვუდს არ შეუძლია ასე გაათამაშოს იგი. მას არა აქვს ამის უფლება, რასაკვირველია, არა.

შერიფს ცოტათი გულზე მოეშვა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო სულელურად ეჩვენებოდა ყოველივე ეს. სმოლვუდის ჩვეულებრივი ხუმრობაა. სმოლვუდს უყვარდა ამგვარი რამეები — უჩვენოს თავისი ძლიერება, შეაშინოს ვინმე, მაგრამ მაინც რენტლია, რენტლი, დამნაშავე! ტაკაჰუ დაჩერდა მანქანის საჭეზე გადახრილ გამხდარ ზურგს. აი, რას გააკეთებს — მას სასწრაფოდ გააგდებს. ეს გააჩუმებს ყბედებს. სმოლვუდმაც კი იხუმრა მის შესახებ. არამზადა! თითქოს მისთვის სულერთი არ არის! ეს ბიჩერიც! სწორია! რენტლი უნდა გააგდოს, ხოლო ბიჩერი ისეთად დაუბრუნოს უკან,

თითქოს სამრეცხაოდან ახლად გამოტანილი გახამებული ხალათი იყვეს. უკან ისეთი მოვიყვანო, რომ პირიდან თაფლი გადმოდიოდეს, ზანგთა შორის ყველაზე უფრო მოკრძალებული იყოს. სმოლვუდი, ალბათ, მაშინ ვერაფერზე გამომედავება.

— ეი! — ტაკაჰუმ ხრინწიანი ხმით დაუყვირა თავის დისშვილს, — გააჩერე ერთი წუთით!

მანქანა გაჩერდა. რენტლმა უკან მოიხედა.

— გვერდით იარე. შენ რა, მარტო ხარ ამ შარაზე? უყურეთ, ერთი, ამ სულელს!

რენტლმა მანქანა არხისკენ გადაიყვანა, თავი სწრაფად მოაბრუნა და და სათვალეები მოიხსნა.

— ძია სემ, თავი ანებე ჩემს ლანძღვას, — გაბრაზებით წამოიძახა მან, — მე არ მოგიფიმენ არც ერთი წუთით...

ტაკაჰუმ ჩაიფრუტუნა.

— ყური მიგდე! — განაგრძო რენტლმა, — მე მომბეზრდა შენი გინების მოსმენა. წესიერად მელაპარაკე, თორემ აღარ შემიძლია შენთან გაჩერება.

ტაკაჰუმ გადაიხარხარა.

— წადი, წადი, — უთხრა მან, — თუ ხათრი გაქვს წადი. შენს შემხედვარე კაცს გული შეუწუხდება. თუ ხათრი გაქვს, ჩქარა მომშორდი.

— აი, ნახავ! — ზიზღით უთხრა რენტლმა.

ტაკაჰუმ სიცილი შეწყვიტა და წინ გადაიხარა.

— შენ ხომ თქვი წავალო? — შეეკითხა რბილად. — რაღას უცდი?

რამდენიმე ხანს ახალგაზრდა გაოგნებული უმზერდა თავის ბიძას, შემდეგ კვლავ გაიკეთა სათვალეები, მოიძრო მოადგილის ნიშანი და მძიმე რევოლვერის ბუდე გახსნა.

— კარგი, ძია სემ, — უთხრა მან, — რაკი თქვენ თვითონ მთხოვთ. მე წავალ, მაგრამ იცოდეთ, რომ ქალაქში ჩასვლასაც ვერ მოვასწრებთ, რომ გამოფხიზლდებით და ფეხქვეშ ჩამივარდებით, მაგრამ უკან აღარ დავბრუნდები, სანამ სათანადო პირობას არ მომცემთ.

ტაკაჰუმ ფართოდ გააღო პირი და უხმოდ ბოროტად გაიღიმა.

— როცა ჩვენ ქალაქში ჩავალთ, შენ კიდევ გზაზე იქნები, თუ რომელიმე ზანგმა არ წამოგიყვანა.

— როგორ, გინდათ მანქანიდან ჩამომსვათ? — თითქოს თავის ყურებს არ უჯერებსო, ისე შეეკითხა ჩარლი.

ტაკაჰუ გაიკრიჭა.

რენტლი მანქანიდან გადმოვიდა.

— წუწკი! აი ვინა ხარ შენ, ბიძაჩემო! — თქვა გაბრაზებულმა და გზას გაუდგა.

— თავს გაუფრთხილდი! — უკან მიაძახა ტაკაჰუმ.

რენტლი არ მობრუნებულა.

ტაკაჰუ მოხრილი იჯდა. ხმამაღალი სიცილისაგან მისი უზარმაზარი ტა-

ნი ირხეოდა. ჯორჯ ბიჩერმა, რომელიც მანქანის ძარაში იწვა, უეცრივ თავი ასწია და მინდორს გადახედა. იგი ჩუმად იწვა, სანამ მანქანა გაჩერდებოდა. თავი მკლავზე დაედო და თეთრკანიანებისათვის ზურგი შეექცია. ცახცახმა, რაც მას სმოლვუდთან ლაპარაკის დროს აუვარდა, გაიარა. იგი ახლა დაღლილობასა და შიმშილს გრძნობდა, აგრეთვე რაღაც უჩინარის დაკარგვას, თითქოს მისი სხეული სავსე იყო და უცებ დაიცალაო. იგი მომავლის შესახებ აღარაფერს ფიქრობდა, მაგრამ გრძნობდა ყრუ ტკივილებს. სარდაფი, გრძელი დღეები, თეთრკანიანების მანქანა, შემდეგ კატორღული მუშაობა, ხელში — ცხრა ფუტიანი ჩაქუჩი და მათრახი, მათრახი... მერედა უკან რამდენი ზანგი ბრუნდება? იგი გაუხმრეელად იწვა, მას სწყუროდა. უეცრივ თეთრკანიანების სიცილში გაიგონა საეკლესიო ვალობის ხმა. მან თავი მაღლა ასწია.

როცა ბიჩერი მუხლებზე წამოდგა და ირგვლივ მიმოიხედა, ტაკაჰუმ სიცილი შეწყვიტა და ბიჭს მიაშტერდა. ბიჩერმა სმოლვუდი მოაგონა. მას ეს ამბები დავიწყებული ჰქონდა. რენტლის თავიდან მოშორება ადვილი იყო, მაგრამ სმოლვუდთან შესარიგებლად საჭირო იყო ბიჩერის მოთვინიერება. ეს კი ისე ადვილი იყო, როგორც ჯორისთვის კბილის მოთხრა. ბიჭს მეტად ბოროტი თვალები ჰქონდა. მას არც უნახავს ამგვართვალებიანი ზანგის ბიჭი.

ტაკაჰუმ ჩაახველა და გადააფურთხა.

— შენ საით, მეგობარო? — შეეკითხა იგი დაცინვით.

— არსად, უბრალოდ ვიცქირები, ბოს.

— რა, მიწის ყიდვას ხომ არ აპირებ აქ? სახლი ხომ არ უნდა აიშენო?

— არა, ბოს, აქ ეკლესიაა. იქნებ ვინმე ნაცნობი დავინახო.

გზიდან ასი იარდის მოშორებით იდგა ძველი, ნახევრად დანგრეული ზანგების ეკლესია. ერთ კარებს ანჯამა მოგლეჯოდა და ნახევრადღია შესასვლელიდან გალობის ხმა მოისმოდა. ეკლესიის წინ იდგა რამდენიმე ძველი ფორდი და დამტვრეული ურიკები. ხალხი კი არ ჩანდა.

— უყურე, უფრო დიდხანს უყურე! — უთხრა ტაკაჰუმ და ტაუნს თვალი ჩაუკრა.

ტაუნი გაიკრიჭა. იგი მიხვდა, თუ რას ნიშნავდა შერიფის ნართაული ლაპარაკი და სიტყვა ჩამოართვა.

— ჰო, ძვირფასო, შეიძლება მეტად ველარც კი იხილო ეს ეკლესია, შე საწყალო, უბედურო ზანგის ბიჭო. ძალიან მეცოდები.

ბიჩერი მანქანის ძარაში ჩაწვა და მათ პირი აარიდა.

შერიფმა და ტაუნმა ერთმანეთს გაუღიმეს. ტაკაჰუმ ვისკის ბოთლი ამოიღო.

— გაუმარჯოს ეკერი სმოლვუდს! — თქვა მან და გზაზე გადააფურთხა.

ტაუნმა ხმამაღლა ჩაიხითხითა.

მაგარი ვისკი კურკურით ჩადიოდა შერიფის ყელში. მან დასცალა და ბოთლი არხში გადააგდო. შემდეგ ხელი მანქანის ძარაში გადაყო, მეორე ბოთლი გამოაძრო და ჯაყვას დაუწყო ძებნა.

— ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა, — შეაქო ტაუნმა შერიფი.

შერიფს პასუხი არ გაუცია. მან მეორე ბოთლიც დაცალა.

— ჰო, ჰო, — გაიკვირვა ტაუნმა, — სად მიდის ამდენი ვისკი?

ტაკაჰუმ დაიფრუტუნა, საღეჭი თამბაქო მოკბიჩა და ყბები აამუშავა. შემდეგ, ლაპარაკის ხასიათზე მოსულმა, გინება დაიწყო.

— თქვენ გგონიათ, იგი გამიმეხსპინძლდა? არა, ღმერთმანი არა. შემდგარა მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე, ცხვირი მაღლა აუწევია. „მე არასოდეს არ გავისვრი ხელს ჩემს ზანგებზე, მისტერ ტაკაჰუ. ამისათვის გადასახადს ვიხდი, მისტერ ტაკაჰუ. მე მხოლოდ ჯენტლმენთა შორის ვსვამ, მისტერ ტაკაჰუ“. დაწყეველილი მამლაყინწა!

შერიფმა გაბრაზებით გადააფურთხა და შემდეგ გადაიხარხარა.

— ძროხა! ხა, ხა, ხა, ხა! ძროხა! იგი მხატვარი ბრძანდება, მისტერ ტაუნ, დიდი მხატვარი! წამომდგარა აივანზე და ძროხას ხატავს... „როგორ მოგწონს, მისტერ ტაკაჰუ?“ მე კი ვეუბნები „საუცხოოა“, მისტერ სმოლვუდ, საუცხოოა!“ — მთვრალმა შერიფმა გაბრაზებულად გაიცინა. — ჰო, ყოვლისშემძლე ღმერთო! მისტერ ტაუნ, ეს ძროხა ტრამვაის უფრო გავდა, ვიდრე ძროხას. გაუკეთე ოთხი ბორბალი და გააგორე აივანზე.

მოადგილე ტაუნი იძულებული იყო თანაგრძნობა გაეწია შერიფისათვის. მას აწუხებდა ბიჩერის აქ ყოფნა. ბიჩერს ხომ შეეძლო სმოლვუდისათვის გადაეცა ყველაფერი ეს. მან თვალი ჩაუკრა ტაკაჰუს და ცერი ბიჩერისაკენ მიათითა, მაგრამ შერიფმა ხელი ჩაიქნია და კვლავ ვისკი გადაკრა. თავს ძლივს იმაგრებდა, ახალი ბოთლი გაენახევრებინა.

„ეშმაკმაც დაგწყეველოს“ — ფიქრობდა ტაუნი თავისთვის. „ეს ბებრუხანა დღეს მაგრად გამოთვრა, ჯერ არ მინახავს, რომ ერთად ამდენი დაელიოს“.

— სმოლვუდი! — უეცრივ წამოიძახა ტაკაჰუმ, — ლურჯსისხლიანი სმოლვუდი! „ჩვენ სამხრეთელები ვართ, ჩვენ არისტოკრატები ვართ, კეთილშობილური სისხლი ჩქეფს ჩვენს ძარღვებში“... და ზანგის სისხლიც აგრეთვე! — გაბრაზებით დაუმატა მან.

ტაუნმა ჩაიხითხითა.

— „ჩვენ არ გვინდა ბინძური საქმეების გაკეთება! — განაგრძო ტაკაჰუმ,— ოჰ, არა! ჩვენ ხელებს სუფთად ვინახავთ, ფრანგულ სუნამოს გვასხურებენ მოსამსახურეები. ამისათვის ფულს ვიხდით“.

— ეი, შენ! — ტაუნმა ცერი ბიჩერზე მიუთითა და წასჩურჩულა, — ფრთხილად, გესმის?

— ეჰ! ეს არ ეტყვის, არ ეტყვის! შენ სმოლვუდი ისე გიყვარს, როგორც მე, არა შავო? რასაკვირველია! — მან მუჯლუგუნი გაკრა ბიჩერს, — რასაკვირველია!

პირქვე ჩაწოლილმა, მკლავებში თავჩარგულმა ბიჩერმა ოდნავ იგრძნო ტაკაჰუს მუჯლუგუნი, თითქოს პეპელა შეხებოდა სახეზე. იგი არ უსმენდა თეთრკანიანთა ლაპარაკს. იწვა ყველასაგან დავიწყებული და მხურვალე მზე ეალერსებოდა მის ტანს. მისი სხეული მზის სხივებს ისე ნთქავდა, თითქოს შიგ არსებული სიცალიერის ამოვსება ნდომებოდეს და მას მოაგონდა, როცა შუადღით დედა მოუტანდა მუხუდოსა და მჭადის ნატეხს, მაშინ იგი დროებით ანებებდა თავს მუშაობას და გრძნობდა, თუ როგორ არხევდა სუსტი ნიავი შეხუ-

თულ ჰაერს. თეთრკანიანთა ლაპარაკი ძლივს აღწევდა მის ყურებამდე. იგი ცდილობდა გაეგონა საეკლესიო გალობის ხმა, რომელიც ხან გარკვევით ისმოდა, ხან კი იკარგებოდა. ეს ხმა მას ნანასავით ესმოდა და აძინებდა როგორც ის ცეცხლი, რომელიც ზამთარში მის ქოხს ათბობდა, როგორც დედის თბილი ალერსი იმ დღეს, როცა ჯორმა წიხლი ჰკრა და სიცხიანი ლოგინში იწვა. დედა თავის თბილ მკერდში იხუტებდა მას. სწორედ ამ დროს იგრძნო, რომ ვიღაც მხარზე შეეხო და გაიგონა შერიფის ხმა.

— აბა, ერთი მოიხედე, ვაჟკაცო, ერთი შეგხედო!

ბიჩერმა თავი მოაბრუნა.

ტაკაჰუ მას თავისი გაწითლებული სისხლიანი თვალებით შესცქეროდა.

—ჰმ! შენ არც ისე ულამაზო ზანგის ბიჭი ხარ! — უთხრა მან. — მაგრამ რად გაქვს ასეთი ურჩი თვალები?

ბიჩერმა არაფერი უპასუხა.

ტაკაჰუმ ცბიერი გამომეტყველება მიიღო. იგი წინ გადაიხარა.

— მისმინე, ბიჭო, — დაიწყო მან საიდუმლო ხმით, — სმოლვუდმა მიბრძანა, რომ შენ ციხეში დაგამწყვდიო და მანამ გცემო, სანამ სული არ ამოგხდება. მაგრამ მე ამას არ ვიზამ. მე შენი მეგობარი ვარ, გესმის?

მან გაიგონა, თუ როგორ გაიმეორა შერიფმა — „მე შენი მეგობარი ვარ, ბიჭო“.

მაგრამ შორეული, შინაგანი ხმა ისევ ალაპარაკდა. „არა, ის არ არის შენი მეგობარი, თეთრკანიანი შერიფი არ არის შენი მეგობარი“. ბიჩერმა თავი ასწია.

— დიახ, ბოს, — უთხრა მან მისთვის ჩვეული მორჩილებით, — გმადლობთ, ბოს.

— მაგრამ რატომ გაქვს შენ ასეთი ურჩი თვალები? — თქვა შერიფმა. — ცუდია, როცა ზანგის ბიჭს ასეთი ურჩი თვალები აქვს.

— ყური მიგდე, სემ. არ წავიდეთ აწი? აქ ძლიერ ცხელა, — შეეხვეწა ტაუნი.

ტაკაჰუმ მუქარის ნიშნად ბიჩერს თავისი გამხმარი თითი დაუქნია.

— შენ არ გაქვს კარგი თვალები, ისინი ურჩად გამოიყურებიან.

— არა, მისტერ, — მორჩილებით უთხრა ბიჩერმა.

— მე გეუბნები კი. მედავები, ჯორჯ?

— მისმინე, სემ, — უთხრა ტაუნმა, — თუ ღმერთი გწამს, წავიდეთ, ძლიერ ცხელა.

— ჯორჯ, — განაგრძო ტაკაჰუმ, — რატომ დაარტყი თეთრ კაცს?

ბიჩერი სდუმდა.

— ჰეე! — ტაკაჰუმ ფეხი წაჰკრა, — როცა გეკითხები, უნდა მიპასუხო.

ბიჩერი ნელა წამოდგა.

— თქვენ კარგად იცით, ბოს.

— ერთი ამას დამიხედეთ! — ტაკაჰუმ ბრაზიანი თვალებით გახედა ბიჩერს. — შე პატარა ნაბუშარო!.. მართლაც რომ სმოლვუდის ზანგი ხარ. დიახ! სმოლვუდის ზანგები მაშინვე გამოიცნობიან თავიანთი გრძელი ენით.

ტაუნმა ქამარი შეიხსნა და ბიჩერისაკენ გადაიხარა.

— რატომ დაარტყი ედ ბეილს? ის ჯოგო შენი იყო?

— ის არავისი არ არის, — მკვახედ მიუგო ბიჩერმა, — ის ძლიერ პატარაა.

— მერედა რა მოხდა? — გაეცინა ტაკაჰუს. — შენ გიყვარს ის, ვინც ადვილად დაგემორჩილება, ბეილის კი არ უყვარს, არა, მას არ უყვარს ისეთები, რომლებიც ადვილად დაემორჩილებიან!

ტაუნმა ჩაიხითხითა.

ბიჩერი კვლავ დაწვა და შერიფს სახე მოარიდა. ტაკაჰუმ სიცილი შესწყვიტა. იგი ნელა დაიხარა, ბიჩერს ხალათში წვდა და წამოაყენა.

ახალგაზრდა ზანგი და თეთრკანიანი ერთმანეთს ჩასცქეროდნენ თვალებში.

— ბიჩერ, — შემპარავად უთხრა ტაკაჰუმ, — მე არ მომწონხარ შენ. შენ სმოლვუდის ზანგი ხარ! შენ ჯიუტი ხარ! როგორც ვხედავ, მომიხდება შენი განკურვნა. მე გასწავლი შენ, როგორ უნდა იხოხო მუცელზე, ბიჩერ!

ბიჩერს კვლავ მოესმა ნელი, ამაღელვებელი ჩურჩული შიგნიდან. შეუპოვარი ტალღა თანდათან მაღლა იწევდა და ყელში ებჯინებოდა.

— მე უკვე მომბეზრდა მუცელზე ხოხვა, თეთრო ბოს, — თქვა მან, — აწი არავის წინაშე არ ვიხოხებ მუცელზე.

ტაკაჰუ დააშტერდა. მისი პატარა თვალები აელვარდნენ.

— ბიჩერ, — კვლავ შემპარავად უთხრა მან. — მე შენ გაჩვენებ, თუ რა ქვეყანაში ცხოვრობ. მე შენ გასწავლი, როგორია ცხოვრება. ყველა ხოხავს, ბიჩერ, მე ვხოხავ სმოლვუდის წინაშე, მოადგილე ტაუნი ჩემს წინაშე და ყველა ზანგი თეთრკანიანის წინაშე. ასეც უნდა იყოს.

ახალგაზრდამ გამშრალი ბაგეები ენით დაისველა.

— მე მეტს აღარ ვიხოხებ! — თქვა მან, — კმარა ჩემგან!

— ტაუნ! — ცბიერად უთხრა ტაკაჰუმ თანაშემწეს ისე, რომ ბიჩერის სახისათვის თვალი არ მოუშორებია, — წაიყვანეთ მანქანა!

ტაუნმა მანქანის საჯდომს გადააბიჯა, საჭეს მიუჯდა და მანქანა ადგილიდან დაძრა. შერიფმა ნელ-ნელა გაუშვა ხელი ბიჩერს. ბავშვი ძირს დაეშვა. ტაკაჰუმ ვისკი გადაჰკრა და ბოთლს თავი დაუცო. იგი კვლავ ბიჩერს მისჩერებოდა თავისი სისხლიანი მოელვარე თვალებით.

ბიჩერი იწვა, თავი მკლავებში ჩაერგო. მას შერიფისათვის პირი აერიდებინა. მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა.

შერიფი ტაკაჰუ მანქანის საჯდომის ზურგზე გადაწოლილიყო. მან იცოდა, რომ ზედმეტი დალია, მაგრამ თავს კარგად გრძნობდა. საუცხოოა! ნეტავ ახლა სმოლვუდი შეხვდებოდეს. კეფაში ხელს ჩაავლებდა და ცოტათი მოუჭერდა. ღმერთმანი, საუცხოო იქნებოდა. ტაკაჰუმ ხელი მოუჭირა მანქანის

ძარის კიდეს. მას სურს მორჩილი ზანგი ჰყავდეს! სმოლვუდი ბოსია, ჯრა? და მას სურს მორჩილი ზანგი ჰყავდეს? კეთილი! ტაკაჰუს წინაშე ზანგი მუცელზე იხოხებს, მუხლებზე, ხელებზე, იგი თეთრკანიანის ფეხს დაუწყებს ლოკვას. საბრალო ნაბუშარო! ჯორივით ჯიუტო! თავი ურჩი ფიქრებით აუვსია. ნამდვილი სმოლვუდის ზანგია. კეთილი! ისე მოათვინიერებს, რომ ხელსაც არ ახლებს, თითსაც კი არ მიაკარებს! შერიფმა უეცრად ჩაიხითხითა. მან ხელი დაარტყა მანქანის საჯდომს, პირი ფართოდ გააღო და თხელ ტუჩებს იქით ცხენის დიდი კბილები გამოუჩნდა.

— ჰარისონ! — წამოიძახა მან, — ჰარისონ. შე წყეულო, გააჩერე შეინისთან, ერთი ბოთლი ვისკი უნდა ვიყიდო.

— მისმინე, შენ ხომ დაგრჩა კიდევ ერთი ბოთლი? — გადმოსძახა ტაუნმა. — მოითმინე სახლში მისვლამდე.

შერიფმა გაიცინა.

— გაჩერდი შეინისთან, შე წყეულო, შენა, ჰარისონ! — უთხრა მან.

— კარგი! — დაეთანხმა მოადგილე და გულში შერიფს შეუკურთხა.

შერიფი მანქანის საჯდომზე გაშხლართულიყო. იგი ზანგი ბიჭის უძრავ სხეულს მისჩერებოდა და მისი თვალები სიამოვნებით კრთოდა. საუცხოოდ გრძნობდა თავს. მას სურდა წამომხტარიყო და ეყვირა. მას სმოლვუდის ნახვა სურდა ახლა.

ისინი გზაჯვარედინს მიადგნენ, სადაც ბენზინისა და ვისკის ყიდვა შეძლებოდა. ტაკაჰუ ბარბაცით გამოვიდა მანქანიდან, ტაუნს თვალი ჩაუკრა და დუქანში შევიდა. ტაუნი შეიჭმუხნა. „რა ეშმაკი შეუჩნდა ამ ბებერ ტუტუცს“ — ფიქრობდა იგი გაბრაზებული.

ტაკაჰუ მალე დაბრუნდა. იგი ჩქარა ჩამოდიოდა დუქნის კიბეებზე და თანაც გაცხარებული ელაპარაკებოდა შეინს — მელოტ მედუქნეს, ორმოცი წლის მსუქან მოხუც კაცს, რომელსაც სახე მაიმუნს მიუგავდა.

— ღმერთს გეფიცებით, — ყვიროდა ტაკაჰუ და თანაც ტაუნს თვალს უკრავდა, — უნდა გავექცეთ. ჯორჯს გამოედევნენ, ლინჩის კანონით უნდა დასაჯონ.

ბიჩერი წამოხტა და დაჯდა. იგი შეშინებული თვალებით შეჰურებდა თეთრკანიანებს.

— დიახ, მისტერ, — თქვა შეინმ, — მე ეს არის ტელეფონით დამირეკეს. ზანგს მოსდევენ ედ ბეილის მეგობრები, რომლისთვისაც მას ყბა გაუტეხია. ეს არის? — შეეკითხა და ბიჩერისაკენ თითი გაიშვირა. — ვაა! ცუდად არის შენი საქმე, ჩემი მტერი ჩავარდეს შენს დღეში!

შეინმ სიცილის დასაფარავად პირზე ხელი მიიდო.

ტაუნი მიხვდა რასაც აწყობდნენ და სახეზე მხიარული ღიმილი გადაეფინა.

ბიჩერი გამალებით სუნთქავდა.

— თქვენ იმათ მისცემთ ჩემს თავს, ბოს?

— არა! — გაზვიადებული ტონით თქვა ტაკაჰუმ. — თუ ისინი დაგვეწევიან, მე დაგიცავ შენ!

— უმჯობესია დამალოთ, — თქვა შეინიმ. — მე რამეს მოგიტანთ. — და დუქნის უკან მიეფარა.

— შენი რევოლვერი გატენილია? — აღელვებული შეეკითხა ტაკაჰუ ტაუნს, — გვერდით მოიდევი, მზად გქონდეს.

ტაუნმა ხელი დაარტყა რევოლვერის კონდახს.

— სიცოცხლეს შეგწირავ, ზანგო.

შეინი სირბილით მოდიოდა, თანაც ხელში ეჭირა ჯორის ძველი, დახეული ჩული.

— ეს გადააფარე თავზე, თუმცა ამყრალებულია, მაგრამ შეიძლება ადამიანი დაიმალოს.

ტაკაჰუმ ბიჩერი წააქცია და თავზე ჩული დააფარა. თეთრკანიანები სიცილისაგან იგუდებოდნენ. ტაკაჰუმ ზღართანი მოადინა მანქანის საჯდომზე.

— მთელი სისწრაფით, ტაუნ! — უბრძანა მან.

— ბენი ვილკერსონთან შეჩერდი, — დაუმატა შეინიმ. — მე მას ტელეფონით დავურეკავ, როცა ისინი აქ ჩავლიან.

— კარგი, კარგი!

მანქანა ადგილიდან მოწყდა. შეინი იდგა შუა გზაზე და ღონემიხდილი იცინოდა. შემდეგ მან სიცილს თავი ანება, დუქანში შეირბინა და თავის მეგობრებს ყველაფერი შეატყობინა.

ბიჩერი იწვა ამყრალებული ჩულის ქვეშ. სუნთქვაშეკრული, პირგაღებული, სუფთა ჰაერს ეძებდა. მუშტი შეეკრა. ღრიალით, ხტომით მიმავალი მანქანა აქეთ-იქით ახლიდა მის მუხლებს, იდაყვებსა და თეძოებს. თავი ისე სტკიოდა, თითქოს ცეცხლში ჩაეგდოთ. ყურებში აუტანელი ზუზუნი ესმოდა და ტვინში თითქოს ვიღაცა ჩაქუჩს ურტყამდა. რადიოს სიგნალივით გაისმოდა ერთიდაიგივე: „რას მიზამენ, რას მიზამენ, ისინი?“ შემდეგ ეს ხმა შიგნიდან მოესმა, თითქოს ვიღაც ეჩურჩულებოდა ცივად, მკაცრად, ყოველგვარი სიბრალულის გარეშე: „შენ არ დაგეხმარება თეთრი მისტერი, შენ არ დაგეხმარება. გაგცემენ, დაიღუპე, ყველაფერი დამთავრდა, ჯორჯ“. ბიჩერი უსმენდა და მთელი არსებით ტიროდა სიბრაზისაგან, იმის გამო, რაც მას ესმოდა. „ესენი ჩქარობენ — ეუბნებოდა თავისთავს — ესენი არ ჩერდებიან, ესენი არ გამცემენ მე“, მაგრამ იდუმალი ხმა კვლავ ჩასჩურჩულებდა ცივ გაფრთხილებას და იგი კვლავ კარგავდა იმედს, რომელსაც ბიჩერი ისე ჩასჭიდებოდა, როგორც წყალწაღებული ხავსს.

შემდეგ მას ყურთან მოესმა თეთრკანიანის ხმა. ტაკაჰუ დაიხარა და ჩული ასწია. ხმა თბილი იყო და იმედიანი, მაგრამ ტაკაჰუს სახე ცბიერებისა და მხიარულების გამომხატველი ნაოჭებით იყო დაფარული. ბიჩერს შეეშინდა. ზანგი საშინლად შეძრწუნდა. ტაკაჰუს კი გადაწყვეტილი ჰქონდა ისეთი კროპერი დაებრუნებია, რომლის მსგავსი მას არასოდეს არ ენახა. „დავუბრუნებ მას არა ბიჩერს, არამედ ფიჭის თაფლს და ვეტყვი: „აი, ინებეთ, მისტერ სმოლვუდ, როგორ მოგწონთ? ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მიბრძანეთ, მისტერ სმოლვუდ“.

— ნუ გეშინია, მეგობარო, — უთხრა ტაკაჰუმ ბიჩერს ეშმაკური ხმით, — ჩვენ დაგიცავთ, ვერავინ ვერ დაგსჯის შენ ლინჩის კანონით! არა! ისინი გე-

მუქრებიან მოგჭრან ის ხელი, რომელიც ედ ბეილის დაარტყი და შენს თვალწინ დასწვან, მაგრამ ამას ვერ გააკეთებენ. არა, მისტერ, მე შენ დაგიცავ.

ტაკაჰუმ კვლავ გადაახურა ჩული ბიჩერს. ზედა ბაგე უთრთოდა შეკავებული სიცილისაგან. მან გამოიღო ვისკის ბოთლი, დასცალა და შორს გადაისროლა.

მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა სოფლის გზაზე.

ბიჩერი იწვა მანქანის ძარაში და უიმედოდ სლუკუნებდა. მან არ იცოდა რა დაეჯერებია. არაფრის დაჯერება არ შეიძლება, არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ბრძოლა რომ შეიძლებოდეს, სადმე გაქცევა რომ შეიძლებოდეს, რაიმეს გაკეთება რომ შეიძლებოდეს!.. მან კვლავ გაიგონა შერიფის ხმა.

— ნუ გეშინია, ჯორჯ, შენ არაფერი გაქვს საშიში.

— მე არაფრის არ მეშინია, — გააფთრებით წამოიძახა ბიჩერმა, — მაგრამ მეტი აღარ შემიძლია აქ წოლა, მე არ შემიძლია აქ გაჩერება.

— უნდა იწვე, სხვა გზა არ არის, — უთხრა ტაკაჰუმ. — იფიქრე რაიმეზე, ლინჩის ნუ გეშინია. ისინი ვერ ჩაგიგდებენ ხელში. მათ სურთ მანქანას გამოგაბან და გათრიონ მანამ, სანამ ტყავი არ გაგძვრება და სული არ ამოგხდება. მაგრამ ისინი ამას ვერ იზამენ. იფიქრე რაიმეზე. მოიგონე დედაშენი. მას ხომ უყვარხარ შენ? მას ხომ არ უნდა შენ რაიმე შეგემთხვეს? მოიგონე რომელიმე ლამაზი ზანგის გოგო, ცოლი გყავს?

— ღმერთო ჩემო, რეებს ლაპარაკობთ, — წამოიძახა ბიჩერმა. — გამიშვით, ნება მომეცით გავიქცე, — იგი წამოიჭრა, — თაც იქნება, იქნეს, გამიშვით!

— გაგიჟდი, ბიჭო? — მხიარულად უთხრა ტაკაჰუმ. — ისინი სადმე დაგიჭერენ. — მან ბიჭი იატაკზე დააგდო.

ბიჩერი დაეცა. მთელი სხეული უკანკალებდა. შინაგანი ხმა კვლავ ერთსა და იმავეს განაგრძობდა, თითქოს ვიღაც დოლზე ურტყამსო: „თეთრები გაგცემენ, ჯორჯ! გაგცემენ, ჯორჯ!"

იგი ცდილობდა ჩაეხშო ეს ხმა და ენერგიას არ ზოგავდა დაერწმუნებია თავისი თავი თეთრკანიანის სიტყვის სიმართლეში.

— ჩვენ გიხსნით, — ტკბილად უთხრა ტაკაჰუმ. — შენ ლამაზი ზანგის გოგონებზე იფიქრე. — ტაკაჰუს სახე გაუმხიარულდა. — გესმის ჯორჯ! — დაუყვირა მან. — ვერავინ ვერ გაწამებს. ისინი ვერ აგკუწავენ. მათ არ დავანებებ შენ კოცონზე დაგწვან. ჯორჯ! ოხ, არა! რასაკვირველია, არა, ჯორჯ! ხა, ხა, ხა, ხა, აქ იყავი ჯორჯ!

და ბიჩერისათვის ყველაფერი ცხადი გახდა. ახლა მან იცოდა, რომ ისინი არ დაიცავდნენ. ოჰ, ღმერთო! ღმერთო! განუსაზღვრელი შიშის ხმამ შეარყია მთლიანად მისი სხეული, ეს ხმა შეიჭრა მის გულში, ფილტვებში, მუცელში. ღმერთო! ო, ღმერთო! შემდეგ ყველაფერი გათავდა. ერთ წუთში

მან დასცალა შიშითა და საშინელებით სავსე ფიალა. იგრძნო ის, რაც მანამდე არ განუცდია და ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი გათავდა. იგი ყველაფრისაგან განთავისუფლდა. გაქრა შიში და მის ადგილას დარჩა რაღაც სხვა. მან იგრძნო, თუ მის სხეულში როგორ იჭრება სიძულვილი, მწვავე სიძულვილი და ზემოთ, მას ზემოთ კი, თითქოს აბრეშუმის ზეწარში გახვეული სული ყოფილიყოს, იყო სიამაყე — საკუთარი ღირსებისა და პატივის გრძნობა. მან იცის, რომ იგი მოკვდება, მაგრამ შიში აღარ იქნება მასში. მან უთხრა სმოლვუდს, რასაც ფიქრობდა. მან დაარტყა ბეილის. მას აწი არაფრის არ ეშინია. დიახ, მან ყველაფერი თქვა. ერთმა ზანგმა ხომ მაინც თქვა ყველაფერი! ვერავინ ნახავს მას შეშინებულს!

უეცრივ შერიფმა ტაკაჰუმ მოჩვენებითი შიშით წამოიძახა:

— აუჩქარე ჰარი, უკან მანქანა მოდის!

ტაუნმა გაზს ფეხი დააჭირა და მანქანამ სვლას უმატა. ისინი საშინელი სისწრაფით მიდიოდნენ — საათში სამოცდაათი მილით.

— ღმერთო, დაგვიხსენი, ექვსი მანქანა მოგვდევს! — იყვირა ტაკაჰუმ, — შეიარაღებული ხალხითა და იარაღით სავსე.

— დაგვეწევიან? — სიცილით ჰკითხა ტაუნმა.

— ვერაფერს გეტყვი. არა, გავუსწრებთ! ვერ დაგვიჭერენ! — წამოიძახა ტაკაჰუმ გამარჯვებულის ტონით. — თავი დამალე, ჯორჯ, ჩვენ გადაგარჩენთ. — შერიფმა ამოისუნთქა. — „ხაფანგში გავებით“. — მან თითი წინ გაიშვირა ცარიელი გზისაკენ. — წინ კიდევ ექვსი მანქანა! დაგვიჭირეს, ჰარი! სხვა გზა არ არის, უნდა მივცეთ საბრალო ჯორჯი. საბრალო ჯორჯს დასჯიან ლინჩის კანონით. ნელა, გზა გადაგვიჭრეს!

ტაუნმა გაზს მოუკლო, მანქანამ სისწრაფე შეანელა.

და მაშინ ჯორჯი აიტაცა ტალღასავით მოვარდნილმა სიამაყისა და ადამიანური ღირსების გრძნობამ. გულში გამომწვევი ცეცხლი ენთო. არა, მას თოკისათვის არ სცალია! არასოდეს!

ბიჩერი უეცრივ ფეხზე წამოიჭრა და გამძვინვარებული, ამაყად მანქანიდან გადახტა.

7.

ევერი სმოლვუდმა ტელეფონის მილი დადო და დავლადაცემულივით გაშეშდა. ამ საზარელმა ამბავმა მას გულ-ღვიძლი აურია. რა საშინელებაა! დაუჯერებელია! თავს დამნაშავედ გრძნობდა. თითქოს ზანგის სიკვდილში თვითონ ედო ბრალი. მაგრამ არა, მან ხომ იცის, რომ თვით არ იყო დამნაშავე.

რამ აიძულა ბიჭი ჩაედინა ასეთი უგუნურება? ალბათ გაქცევა თუ უნდოდა. როგორი სისულელეა, რა საშინელი სისულელე! მაგრამ ყველაფრის

წინასწარ გათვალისწინება ხომ არ შეიძლებოდა? ვის შეეძლო წინასწარ ცოდნოდა? ხომ უნდა ეღონა რამე, რომ ბავშვისთვის ჭკუა ესწავლებინა.

— ოჰ, ეშმაკმა... — აღმოხდა სმოლვუდს.

იგი დაჯდა და ხელები თავზე შემოიდო, რა მკაცრია ეს ცხოვრება!

სმოლვუდი წამოდგა, განჯინასთან მივიდა და ვისკი დაისხა. მან იცოდა, რაც მოუვიდოდა: მას კვლავ ეწვეოდა სევდა. ასეთია ცხოვრება. ვერაფერს გაუგებ მას. მთელი ერთი კვირა, თუ მეტი არა, იგი ხელში ველარ აიღებს ფუნჯს. რა ძნელია! რომ ამგვარ ცხოვრებას შეეგუოს, ამისათვის ადამიანი გულქვა უნდა გახდეს.

სმოლვუდი აივანზე გამოვიდა. იგი ადგილს ველარ პოულობდა. კარგა ხანია ასეთ მძიმე განწყობილებაზე არ ყოფილა. ეს საშინელებაა!.. და რომ რაიმე ეკეთებინა, სმოლვუდმა ფუნჯს დაუწყო რეცხვა.

თარგმნა ინგლისურიდან **ო. ფარეიშვილმა**

ლიტერატურის თეორია

ალექსანდრე ჩავლეიშვილი

სახეობრიობა და ტიპიურობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა გ. მალენკოვმა ამომწურავად განსაზღვრა ტიპიურის არსი: „ტიპიურია არა მარტო ის, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, არამედ ის, რაც ყველაზე მეტი სისრულითა და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს. მარქსისტულ-ლენინური გაგებით ტიპიური სრულიადაც არ ნიშნავს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს. ტიპიურობა შეესაბამება მოცემული სოციალურ-ისტორიული მოვლენის არსს, და მხოლოდ იმას როდი წარმოადგენს, რაც ყველაზე გავრცელებულია, ხშირად მეორდება, ჩვეულებრივია. სახის შეგნებულად ჭარბი ფერებით დახატვა, გამახვილება კი არ გამორიცხავს ტიპიურობას, არამედ უფრო სრულად, უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს მას. ტიპიურობა რეალისტურ ხელოვნებაში პარტიულობის გამოვლინების ძირითადი სფეროა. ტიპიურობის პრობლემა ყოველთვის პოლიტიკური პრობლემაა“.

ხელოვნების მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა ამ დებულების ღრმად გაგება-შეთვისება და მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისა და ანალიზის საქმეში მისი მტკიცედ დანერგვა და გამოყენება. აღნიშნული დებულების საფუძველზე უნდა დამუშავდეს ტიპიურობის არსთან დაკავშირებული სხვადასხვა თეორიული საკითხები. ერთ-ერთ ასეთ საკითხად ჩვენ მიგვაჩნია ტიპიურობის სახეობრიობასთან მიმართების საკითხი.

ტიპიურობა სახეობრიობას ეფუძნება. ხელოვნებაში, მხატვრულ ლიტერატურაში ტიპიურობა არ არსებობს სახეობრიობის გარეშე. ლიტერატურული ტიპი, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული სახეა, ხოლო სახე წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკას. ძველთაგანვე ცნობილია, რომ ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა სახეებით აზროვნებაა. ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს შეადგენს სახე, ხოლო ხელოვნების ფუნქციური თავისებურება ადამიანის სულის აღზრდაა. ხელოვნებას რომ ეს თავისებურებანი არ გააჩნდეს, მაშინ ხელოვნებათმცოდნეობა ანუ ესთეტიკა, როგორც მეცნიერება, დამოუკიდებელი არსებობის უფლებას დაკარგავდა.

ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა ზედნაშენური მოვლენაა, ხოლო „ზედნაშენის სპეციფიკური თავისებურებანი ისაა, რომ იგი საზოგადოებას ემსახურება პოლიტიკური, იურიდიული, ესთეტიკური და სხვა იდეებით და საზოგადოებისათვის ქმნის შესაბამის პოლიტიკურ, იურიდიულ და სხვა დაწესებულებებს“, გვასწავლის დიდი სტალინი. აქედან ცხადია, რომ ხელოვნე-

ბა, როგორც ზედნაშენური მოვლენა, საზოგადოებას ემსახურება ესთეტიკური იდეებით. ესთეტიკური იდეების გამოვლენა კი ხდება სახეების საშუალებით: მხატვრულ ნაწარმოებში მოცემული ესთეტიკური იდეების თავისებურება უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი **არასდროს არ გვევლინება როგორც მშრალი რიტორიკული მსჯელობა, არამედ მარად განუყრელია სინამდვილის გრძნობად-კონკრეტული სურათხატოვნებისაგან.** ხელოვნება და მეცნიერება ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა შინაარსით, არამედ შინაარსის დამუშავების ხერხით. ამის შესახებ დიდებულად ამბობს ბესარიონ ბელინსკი: „ხედავენ, რომ ხელოვნება და მეცნიერება ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ვერ ხედავენ, რომ ისინი განსხვავდებიან სრულებითაც არა შინაარსით, არამედ მხოლოდ მოცემული შინაარსის დამუშავების ხერხით. ფილოსოფოსი სილოგიზმებით მეტყველებს, პოეტი—სახეებითა და სურათებით, ხოლო ორივენი ერთსა და იმავეზე ლაპარაკობენ. პოლიტიკო-ეკონომი, სტატისტიკური ციფრებით შეიარაღებული, თავის მკითხველთა თუ მსმენელთა გონებაზე მოქმედებს და **ამტკიცებს,** რომ ამა და ამ კლასის მდგომარეობა საზოგადოებაში ბევრად გაუმჯობესდა ან ბევრად გაუარესდა ამა და ამ მიზეზთა შედეგად. პოეტი, სინამდვილის ცხოველი და მკაფიო გამოხატულებით შეიარაღებული, თავისი მკითხველების ფანტაზიაზე მოქმედებს და სწორი სურათით **აჩვენებს,** რომ ამა და ამ კლასის მდგომარეობა საზოგადოებაში მართლაც ბევრად გაუმჯობესდა ან გაუარესდა ამა და ამ მიზეზთა შედეგად. ერთი **ამტკიცებს,** მეორე **აჩვენებს,** და ორივე **არწმუნებს,** ოღონდ ერთი—ლოგიკური საბუთებით, მეორე კი—სურათებით".[1]) მაშასადამე, ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა — ეს არის შინაარსის **სახეობრივი ჩვენება.** მაგრამ რას ნიშნავს ჩვენება? როდესაც განვსაზღვრავთ „ჩვენებას", ცხადი იქნება სახეობრიობაც, ამის შემდეგ კი შესაძლებელი გახდება სახეობრიობისა და ტიპიურობის ურთიერთობის გათვალისწინება.

რას ნიშნავს **ჩვენება** და რით განსხვავდება იგი **მტკიცებისაგან?** ამის ცხადსაყოფად საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ აზროვნების ორი წესი: სახეებითა და ცნებებით აზროვნება. პირველად შევეხებით ცნებებით **აზროვნებას.** როგორც მარქსი ამბობს, „იდეალური სხვა არა არის რა, თუ არა მატერიალური, მხოლოდ ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული". ე. ი. ეს გადამუშავება რომ არ ხდებოდეს, მაშინ აღარ იქნებოდა განსხვავება გონებრივ კონკრეტულსა და რეალურ კონკრეტულს შორის. გონებრივ კონკრეტული რეალურ კონკრეტულის შეცნობის შედეგია. ამიტომ გონებრივ კონკრეტულში აღდგენილია რეალურ კონკრეტული მისი შინაგანი კანონზომიერებით — მოცემულია ადამიანისათვის გაცნობიერებულ მდგომარეობაში. სინამდვილე ადამიანის ცნობიერებაში არ აისახება, როგორც ქაოსი, არამედ ეს ასახვა ეშორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას და შემეცნების პროცესი, ე. ი. „თავის დიალექტიკა" სინამდვილის დიალექტიკის ასახვაა. აზროვნების გამოსავალი და განჭვრეტის საგანი რეალურ კონკრეტულია. ამ კონკრეტულის ცოცხალი ჭვრეტიდან გონება მიისწრაფვის აბსტრაქციისაკენ და მისგან პრაქტიკისაკენ. შემეცნების ეს პროცესი ლენინმა გენიალურად დაახასიათა: „ცოცხალი ჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და **მისგან პრაქ-**

1) ბ. გ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 693-694, 1948 წელი.

ტიკისაკენ — ასეთია ჰეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა".[1]) რეალურ კონკრეტულის შემეცნება წარმოებს ანალიზ-სინთეზის საშუალებით. ამ გზით გამოყოფილი ცნებები აბსტრაქტულია, მაგრამ არა მეტაფიზიკურად აბსტრაქტული, არამედ რეალურ კონკრეტულის ზოგადი, რომელიც „თავის-თავში შეიცავს განსაკუთრებულს, ინდივიდუალურის, ცალკეულის სიმდიდრეს (განსაკუთრებულისა და ცალკეულის მთელ სიმდიდრეს)" ამბობს ვ. ლენინი.[2]) დიალექტიკური განყენების გზით გამოყოფილი ზოგადი არის მოვლენის არსის, კანონის გამოსახვა. ასეთ ზოგადს ფილოსოფიის ენაზე ცნება ეწოდება. მატერიალურის იდეურად გადამუშავების შედეგი და საშუალებაც ასეთი ცნებებია. ცნებები არის ქვეყნის კონკრეტული შინაარსის ასახვის ფორმები ადამიანის ცნობიერებაში. ცნებები არის არა ცარიელი გარსი, არამედ „საკვანძო პუნქტები" ობიექტური ქვეყნის ასახვისა. ცნებების საშუალებით ჩვენ გვეძლევა სინამდვილის მრავალფეროვან მოვლენებს შორის არსებული აუცილებელი კავშირები, უზოგადეს ცნებებს კი ლოგიკური კატეგორიები ეწოდება. ამ ცნებებს იმიტომ აქვთ რეალობის გამოხატვის უნარი, რომ ისინი გამომუშავებულია ადამიანთა საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესში. მართალია, ეს ზოგადი ცნება „მკვდარია, არასავსე", მაგრამ, როგორც ლენინი გვასწავლის, მაინც ისაა „კონკრეტულის შემეცნების საფეხური". ასე რომ **„Бесконечная сумма общих понятий, законов etc. Дает конкретное в его полноте"**[3].)

აქვე ხაზი უნდა გაესვას შემდეგს: ცნება რეალურ კონკრეტულის ზოგადია; რეალურ კონკრეტული კი მარად მოძრავია. მატერიალური ქვეყანა, მისთვის იმახასიათებლად თანხლებული თვითმოძრაობის გამო, შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე განუწყვეტელ მოძრაობაში იმყოფება; „დიალექტიკა იხილავს ბუნებას: არა როგორც მყუდროებისა და უძრაობის, შეჩერებისა და უცვლელობის მდგომარეობას, არამედ როგორც განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვლილებების განუწყვეტელი განახლებისა და განვითარების მდგომარეობას, სადაც მუდამ რაღაც წარმოიშვება და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოჭმული ხდება".[4]) ე. ი. შემეცნების საგანი იმყოფება განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვლილების მდგომარეობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი ასახვა არ შეიძლება იყოს უძრავი. სინამდვილის ცვალებადობის გამო ცნებაც იცვლება და ამიტომ სინამდვილე და ცნება აბსოლუტურად ერთმანეთს არ ემთხვევიან. „იმ დღეს, როგორც კი ცნება და სინამდვილე ორგანულ ქვეყანაში აბსოლუტურად ერთმანეთს დაემთხვევიან, განვითარებას ბოლო მოელება. თევზის ცნება მოიცავს წყალში ცხოვრებას და ლაყუჩებით სუნთქვას; მაშ როგორღა გინდათ თქვენ, — სწერს ფ. ენგელსი კ. შმიდტს, — თევზიდან ამფიბიაზე გადახვიდეთ ისე, რომ ეს ცნება არ გაარღვიოთ და ეს გარღვევა კიდევაც მოხდა, და ჩვენ ვიცნობთ მთელ რიგ თევზებს, რომელთაც ჰაერის ბუშტი ფილტვებად განუვითარდათ და რომელთაც ჰაერის სუნთქვა შეუძლიათ". იმავე წერილში ფ. ენგელსი არკვევს ცნების ცვალებადობის არსს არა მხოლოდ ორგანულ ქვეყანაში, არამედ საერთოდ და იძლევა შემდეგ ზოგად დას-

1) В. И. Ленин, Философские тетради, გვ. 146-147, 1947 წ.
2) ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული, IX, გვ. 21, 1935 წ.
3) В. И. Ленин, философские тетради, გვ. 261, 1947 წ.
4) სკპ(ბ) ისტორია, გვ. 129, 1953 წ.

კვნას: „ცნებისა და მოვლენის ერთიანობა მეღავნდება როგორც არსებითად დაუსრულებელი პროცესი“[1]). მაშასადამე, შემეცნება და ცნება იცვლება შემეცნების ობიექტის ცვალებადობის შესაბამისად. აქ ლენინის მიერ დადგენილია შემდეგი მეთოდოლოგიური დებულება: „Человеческие понятия не неподвижны, а вечно движутся, переходят друг в друга, переливают одно в другое, без этого они не отражают живой жизни“[2]). ცნებების ეს ურთიერთში გადასვლა თუ გადაღვრა მარადიულია და წარმოადგენს დიალექტიკურ პროცესს. მოკლედ ასეთია ცნების, ლოგიკური კატეგორიების შემეცნებითი დანიშნულება. ამასთანავე გათვალისწინებულ უნდა იქნას ცნებების წარმოშობის საფუძველი.

მართალია ცნებები „სუბიექტურნი არიან თავის აბსტრაქტულობაში, მოწყვეტილობაში“, მაგრამ ამასთანავე, როგორც ლენინი გვასწავლის, ისინი „ობიექტურნიც არიან მთლიანობაში, პროცესში, ჯამში, ტენდენციაში, სათავეში“. თუ ცნებების გამომუშავების ეს მხარე არ გავითვალისწინეთ, ისე ყოვლად გაუგებარი იქნება, თუ ამ სუბიექტურ და აბსტრაქტულ ცნებებს რატომ აქვთ სინამდვილის გამოხატვის თვისება. საქმე ის არის, რომ ცნებების გამოყოფა წარმოებს ადამიანთა პრაქტიკული მოქმედების გზით. საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესში სინამდვილე ზემოქმედებას ახდენს ადამიანის შეგრძნების ორგანოებზე და იწვევს მასში ფსიქიკურ შეგრძნებებს, რომლებიც წარმოადგენენ აღქმა-შემეცნების უმცირეს ელემენტებს. „შეგრძნება არის შედეგი მატერიის ზემოქმედებისა ჩვენი გრძნობის ორგანოებზე“[3]), ამბობს ლენინი. ამ შეგრძნებების საშუალებით მყარდება მჭიდრო კავშირი გარეგან სამყაროსთან, რადგან „შეგრძნება გარეგანი სამყაროს სახეა“[4]). აღქმის მასალა განიცდის გადამუშავებას გონების გზით. გონება აწარმოებს განზოგადებას, მაგრამ განზოგადების არსი იმგვარად არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს აპრიორულად არსებობდეს წმინდა გონება, რომელსაც შეგრძნებათა ორგანოების მიერ მოწვდილ მასალაში შეჰქონდეს გარკვეულობა და წესრიგი. გონების როლის ამგვარი შეფასება იდეალისტურია. პირიქით, ზოგადი ცნებები დაფუძნებულია შეგრძნებებზე. ამოზრდილია შეგრძნებებიდან, შეგრძნებები ასახავენ სინამდვილეს და მასში არსებულ კავშირებსაც. მართალია, „ცნება არ არის რაღაც უშუალო“, იგი გაშუალებულია, მაგრამ ცნება გამოხატავს საგნის არსს და იძლევა მისი შემეცნების სრულ შესაძლებლობას. მოკლედ ასეთია ცნებების წარმოშობის სათავე, საფუძველი და შემეცნებითი არსი. მეცნიერული აზროვნება წარმოებს ამგვარი ცნებების საშუალებით. ამის შემდეგ უფრო ვრცლად შევეხებით მხატვრული, სახეობრივი აზროვნების თავისებურებას.

2.

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები წარმოადგენს მხატვრულ მსჯელობას რაიმეს შესახებ. გვიჩვენებს რა ობიექტს, ამით იგი ამბობს რაღაცას, მაგრამ ამბობს არა იმას, რაც უკვე თქმულა, არამედ იძლევა რაიმე ახალს,

1) კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 534, 1949 წ.
2) В. И. Ленин, философские тетради, გვ. 237, 1947 წ.
3) ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 58, 1950 წ.
4) იქვე, გვ. 61.

რათა ამით გაამდიდროს სუბიექტის ცოდნა. ახლის თქმა კი მოვლენის არსის გახსნაა. ობიექტის ღრმა ცოდნის გარეშე შემოქმედება შეუძლებელია. ჭეშმარიტი ცოდნა ყოველთვის მოვლენის არსის ცოდნაა და ესეც განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრულ-შემეცნებით ღირსებას. „ყოველი ნიჭი ცოდნით უნდა იკვებებოდეს“, უთქვამს გოეთეს. ილია ჭავჭავაძის აზრით, „ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო,—ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება იმას სთარგმნის **უხატებო, უსურათო** სიტყვითა, პოეზია კი **ხატებითა** და **სურათითა**... თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა. საცა **არ არის მეცნიერება, იქ მკითხველიც ამ წიგნისა არ არის**“.[1]) ილიას დასკვნით, პოეტური „მადლი“ „მალე ჭკნება... თუ მეცნიერების შუქი **არ** ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის“.[2]) „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“, ამბობს შოთა რუსთაველი. გენიალურმა ლენინმა ბრწყინვალედ დაახასიათა მხატვრულობის მიმართება ცოდნისადმი: „როცა ავტორი თავის მოთხრობებს მისთვის უცნობ თემას მიუძღვნის, არამხატვრულად გამოუდის“[3]). ავტორისათვის თემა უცნობია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას არ შეუმეცნებია, არ გაუგია, არ აუხსნია გამოსახატავი ობიექტის არსი. ასეთ შემთხვევაში, როგორც ბრძენი ლენინი გვასწავლის, ნაწარმოები გამოდის არამხატვრული. ე. ი. მხატვრულობა და ცოდნა განუყოფელი მოვლენებია. მაშასადამე, მხატვრული აზროვნება ასახავს სინამდვილეს და ეს ასახვა ხორციელდება არა ცნებების, არამედ სახეების საშუალებით. მხატვრული სახე შემოქმედების „ცნებაა“, რომლის საშუალებით მწერალი გამოხატავს თავის ცოდნას სინამდვილის შესახებ. ყოველი ლიტერატურული სახე სინამდვილის მოვლენის არსის გამოვლენაა. ამ მხრივ იგი ზოგადია, ცნებაა. მაგრამ სახე რომ სხვა არაფერი ყოფილიყო, მაშინ მხატვრული ლიტერატურა აღარ იარსებებდა, სინამდვილეს მეცნიერება შეიმეცნებდა და მხატვრული ლიტერატურა ფუნქციას დაკარგავდა. ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა ფაქტია და ამ ფაქტს ახსნა ესაჭიროება. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, იმაზე უნდა მივუთითოთ, რომ, როგორც ბელინსკი ამბობს, ხელოვნება **აჩვენებს**. ჩვენების არსის საილუსტრაციოდ მივმართავ მეცნიერულ და სახეობრივ მსჯელობათა ანალოგიებს. **ავიღოთ** ასეთი მსჯელობა:

ყველა თავადი ექსპლოატატორია

ზაალ ბარათაშვილი თავადია

მაშასადამე, ზაალ ბარათაშვილი ექსპლოატატორია.

ამ დასკვნაში მოცემულია ზაალ ბარათაშვილის სოციალური არსი. აქ მეცნიერულ-სილოგისტური მსჯელობით გამოთქმულია აზრი, რომ ზაალ ბარათაშვილი ექსპლოატატორია, ე. ი. იგი ითვისებს ფასგადაუხდელ შრომას. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მეცნიერულ განზოგადებასთან, რომელიც მოძრაობს სამ განსაზღვრებაში: „ერთეულობა, კერძოობა, ზოგადობა — ეი ის სამი გან-

---

1) ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 111, 1941 წ. (ხაზგასმა ჩვენია. ა. ჩ.).
2) იქვე, გვ. 110.
3) ვ ლ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 132, 1953 წელი.

საზღვრება, რომელშიც მოძრაობს მთელი „მოძღვრება ცნების შესახებ“,[1]) ამბობს ენგელსი. ამასთანავე „ყოველგვარი ნამდვილი, ამომწურავი შემეცნება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აზრებში ერთეულადს ერთეულობიდან კერძოობამდე, ხოლო ამ უკანასკნელიდან ზოგადობამდე ავამაღლებთ“[2]). ამ გზით მოცემულ ზოგადში აღარ მოჩანს ერთეულისა და კერძოს **თვალსაჩინოებითი ცხოველმყოფელობა**, არამედ წარმოდგენილია ამ ერთეულისა და კერძოს არსი, როგორც მათგან აბსტრაჰირებული კატეგორია. მეცნიერება მოვლენების არსს აყალიბებს ცნებებსა და კატეგორიებში, რომლებიც მოკლებული არიან **გრძნობად-კონკრეტულობას**. კ. მარქსი ამბობს, რომ „საქონელი, რამდენიც უნდა აბრუნოთ და სინჯოთ, როგორც ღირებულება მუდამ უხილავი დარჩება“.[3]) ე. ი. ღირებულებას თვალით ვერ დავინახავთ, ხელით ვერ შევეხებით, ვერც დავყნოსავთ და ვერც გემოს გავუსინჯავთ, რადგან იგი ცნებაა, შინაგანი არსია, რომელიც აბსტრაქციის გზით გამოიყვანება და მხოლოდ გონებით გაიაზრება. ყოველი სხეული სითბოსაგან ფართოვდება და სიცივისაგან იკუმშება. ეს არის ობიექტური კანონი, როგორც ზოგადი, მაგრამ სინამდვილეში ეს კანონი არსებობს ცალკეული მოვლენების სახით. სინამდვილის ცალკეული სხეულებია, სითბოსაგან რომ ფართოვდება და სიცივისაგან იკუმშება. მაგრამ აღნიშნულ კანონში აღარ მოჩანს ეს ცალკეული სხეულები. როდესაც ჩვენ აღნიშნულ კანონს გამოვთქვამთ, მაშინ არ წარმოვიდგენთ რომელიმე კონკრეტულ სხეულს, ვთქვათ, ქვას, ფოლადს, რკინას, დიდს, პატარას, შავს, თეთრს და ა. შ., არამედ ყველა სხეულის ზოგად კანონს. ეს ასეა, რადგან ყოველი ცნების გნოსეოლოგიური არსებობა აბსტრაქტულია, თუმცა იგი ყოველთვის კონკრეტულის ცნებაა. ცნობილია, რომ სამკუთხედის შინაგანი კუთხეების ჯამი უდრის 2 d -ს, მაგრამ ამ ფორმულაში აღარ მოჩანს კონკრეტული სამკუთხედი. ამ ფორმულას არ აინტერესებს სამკუთხედის კონკრეტული განსაზღვრულობა, მისი არც მახვილკუთხიანობა, არც მართკუთხიანობა და არც ბლაგვკუთხიანობა, რადგან რომელკუთხიანიც არ უნდა იყოს იგი, მისი შინაგანი კუთხეების ჯამი მაინც 2d ს უდრის. ამ ფორმულას არც ის აინტერესებს, თუ რა მასალისაგან იქნება ეს სამკუთხედი გამოკვეთილი. როგორც ბრძენი სტალინი გვასწავლის, გეომეტრია „თავის კანონებს იძლევა ისე, რომ აბსტრაქციას ახდენს კონკრეტული საგნებისაგან, განიხილავს საგნებს, როგორც კონკრეტულობას მოკლებულ სხეულებს, და მათ შორის ურთიერთობას განსაზღვრავს არა როგორც ამა და ამ კონკრეტული საგნების კონკრეტულ ურთიერთობას, არამედ როგორც საერთოდ სხეულთა, ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულ სხეულთა ურთიერთობას“.[4]) მაშასადამე, ცნება სწყდება იმას, რის ცნებაც იგია. ცნების გნოსეოლოგიური არსებობა აბსტრაქტულია. მხატვრულ სახეში კი **ზოგადი მოცემულია იმასთან ერთად, რის ზოგადიც იგია**. ამიტომ არის, რომ სახე გვიჩვენებს. თუ „მტკიცების ლოგიკის“ სფეროში დავრჩებოდით, შეგვეძლო ასეთი სილოგიზმი შეგვედგინა:

1) ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 231, 1950 წ.
2) იქვე, გვ. 240.
3) კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 15.
4) ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 22, 1951 წ.

ყველა თავადი ექსპლოატატორია
ლუარსაბ თათქარიძე თავადია

მაშასადამე, ლუარსაბ თათქარიძე ექსპლოატატორია.

მაგრამ „ჩვენების ლოგიკის“ თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ ლუარსაბ თათქარიძე რომ მხოლოდ ექსპლოატატორი ყოფილიყო, მაშინ იგი ცნებისეული იქნებოდა და არა სახისეული. მართალია, ლუარსაბ თათქარიძე ექსპლოატატორი თავადია, მაგრამ ამასთანავე იგი ჩასუქებულია, „როგორც კარგი ნასუქი კურატი“. ეს სიმსუქნე არ არის თავადის არსის ძირითადი ნიშანი. ლუარსაბს აგრეთვე აქვს მსხვილი თავი, მორგვივით სქელი კისერი, „წითელ თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაშა ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაღაბი; დიდრონი თვალები... გაბერილი, მეტად განიერად გადმოგდებული... ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები. დამორილი მსხვილი ფეხები“. ყველა ეს ნიშნები ლუარსაბის ინდივიდუალური, კერძოობითი ნიშნებია. ლუარსაბმა არც ანგარიში იცის, მან არ იცის, რომ ორმოცდაათი მეტია ორმოცზე, მაგრამ არც ეს არის ლუარსაბ თათქარიძის არსის გამოვლენის ძირითადი მაჩვენებელი ნიშანი. ეს ასეა იმიტომ, რომ იგი უამისოდაც შეიძლებოდა **თავადი ყოფილიყო, ე. ი. ექსპლოატატორი, რადგან თავადობის საფუძველი ტანადობა კი არ არის, არამედ ექსპლოატაცია.** ეს რომ ასეა იქიდანაც ჩანს, რომ დარეჯანის სიკვდილის შემდეგ ლუარსაბს „პატიოსანი ფაშვი ჩამოებერტყა, / ის ხაშხაში ლოყები ჩამოუყვითლდა, ის დიდრონი ძროხისოდენა თვალები უგემურად მიელივა, ის სამკეცი ფაფუკი ღაღაბი გუდა ლეღვსავით გაუხდა“, ე. ი. პირვანდელი ფიზიკური ნიშნები თითქმის დაკარგა, მაგრამ თავადობა მაინც არ დაუკარგავს — იგი მაინც ექსპლოატატორი დარჩა.

მაშასადამე, ლიტერატურული სახისათვის ის არის სპეციფიკური, რომ იგი მოვლენის არსს ახვევს გრძნობად-კონკრეტულ გარსში და სწორედ ამაში მდგომარეობს მოვლენის ჩვენება. ყოველ ჭეშმარიტ მწერალს ერთეული გადაჰყავს კერძოში და აქედან ამაღლებს ზოგადამდე. მაგრამ მთელი ეს ამაღლება წარმოებს სურათხატოვნად და ამ გზით მიღებულ ზოგადს მწერალი იძლევა არა აბსტრაქტულად, არამედ სახეობრივად, გრძნობად-კონკრეტულად, ე. ი. არსებით ნიშნებს არ სწყვეტს არაარსებითს, პირველხარისხოვანს არ აცილებს მეორეხარისხოვანს. ილია ჭავჭავაძე ზოგადს, არსებითს, ე. ი. თავადების ექსპლოატატორულ არსს წარმოგვიდგენს, მაგრამ წარმოგვიდგენს არა სილოგისტური მსჯელობით. არამედ „სინამდვილის ცხოველი და მკაფიო გამოხატულებით შეიარაღებული“, გვიჩვენებს როგორც მხატვრულ სახეს, ე. ი. გამოჰყავს კონკრეტული პიროვნება ლუარსაბ თათქარიძის სახით, რომელიც მთელი თავისი ინდივიდუალური სურათხატოვნებით ექსპლოატატორული არსის მატარებელია. მკითხველი ხედავს ამ ექსპლოატატორის გარეგნობას, ესმის მისი საუბარი, თვალწინ უდგება ის ლუარსაბი, რომელმაც რაღაც სასიხარულო შემთხვევების გამო „ერთი ფეხი აიშვირა მაღლა და სანამ „ურა“ არ გაათავა, ფეხი არ ჩამოუღია“.

მოვლენის, იდეის, შინაარსის სახეობრივად ჩვენება ლესინგს მიაჩნდა პოეზიის განუყოფელ თვისებად. მისი აზრით, პოეტი ცდილობს არა მხოლოდ

იმას, რომ ნაწარმოები გასაგები იყოს, არამედ მწერალს სურს „Сделать идеи, которые он возбуждает в нас, настолько живыми, чтобы мы воображали, будто получаем действительно чувственное представление об изображаемых предметах“ [1]) ე. ი. ლესინგის გაგებით, მხატვრულ ლიტერატურაში იდეის გაცოცხლება, ცხოვლად გამოხატვა იმას ნიშნავს, რომ გამოსახატავი საგნების შესახებ მკითხველი იღებს გრძნობად წარმოდგენებს. ამიტომ ამბობს ლესინგი, რომ „Поэт должен живописать постоянно (der Dichter soll immer malen)“. სიტყვებით ხატვის მიზანი კი ის არის, რომ მკითხველი დარწმუნდეს შინაარსის სახეობრივი ჩვენების ხერხით.

3.

ლიტერატურული ტიპი უპირველეს ყოვლისა სახეა. ამიტომ მხატვრულ ლიტერატურაში არსებობს იმდენნაირი ტიპი, რამდენნაირიც სახეა. სახე კი შეიძლება იყოს და არის როგორც სულიერის, ისე უსულოსიც. მართალია, მხატვრულ ლიტერატურაში მთავარი და წამყვანია ადამიანთა ტიპები, მაგრამ მხატვრული სახისა და ტიპის ცნება რომ მხოლოდ ადამიანს მოიცავდეს, მაქმინ ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილი“, „ფესვები“, „ქუჩი“, ნ. ბარათაშვილის „ჩინარი“, დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“, ნ. ლომოურის „სამფეხა ამირანა“ და სხვა მრავალი ნაწარმოები აღარ იქნებოდა მხატვრული ლიტერატურული ფაქტები. მაგალითად, ტიპიური შეიძლება იყოს ისეთი სახე, რომელიც გეოგრაფიულ გარემოს წარმოადგენს. ამის ბრწყინვალე მაჩვენებელია ალიო მირცხულავას ლექსი „სამშობლო ბელადისა“.

აი, ქვეყანა, სად უნაყოფოდ
უბრალო ხეც-კი არ დარხეულა,
მთა ჩახვეულად მთას ეფარება,
შიგ ელვასავით გზა დახვეულა.
გინდა მთელი დღე უსმენდე ნიავს,
რომ სიხარული იგრძნოს სხეულმა,
მიდამო პურის ნამქერებს მიაქვს,
მზის შადრევნებით ცა გარღვეულა.

მთას გადაივლი, ისევ მთებია,
ტყის ფარჩეულით შემოსილები.
ისევ ფრიალო დალმართებია,
ირგვლივ ჟღერაა სხივთა სიმების.
ველზე გაშლილა მდელოს ხავერდი
ამოქსოვილი ოქროს სირმებით,
ტანად მაღალი და რქანაყარი,
ხეები დგანან, როგორც ირმები.

მიწა ერთია, მხოლოდ ფერებით
დაშორებულან უბნებს უბნები,
სშირად, ფოთლების ლაჟვარდებიდან
ბრწყინავს ატმები და ალუბლები.

1) Г. Э. Лессинг, Лаокоон, ss. 117, 1933 წ.

მარჯვნივ ზღვა ღელავს თავთუხიანი,
წამლილან ცის და მიწის ზღურბლები,
მარცხნივ გახედავ: მთის ფერდობები
დაფარულია ცხვრების ღრუბლებით.

შეერთებია სოფელი ქალაქს
გზებით, ნარებით, წალამურებით,
აყვავებულან ბაღში დროშებიც
ფერწითლები და საამურები.
მცენარეებში ყვინთავს ქალაქი,
გაყვითლებულა ცა ალმურებით,
ძლევამოსილი შრომის დიდებას
მღერიან ქარხნის სალამურები.

...შეხვალ ბაღში და: ყრუ ჟრიამულით
ცა დაგადგება მწვანე ტევრების,
ზოგან ქლიავით დაბინდულია,
ზოგან — ნარინჯთა სხივთ შადრევნებით.
ხენი ზემოდან ხელებს გიშვერენ,
რომ მოგაწოდონ მწიფე მტევნები,
დაგავიწყდება შენი ასაკი,
ვაზებს ბავშვივით აედევნები.

აქ მოცემულია საქართველოს გეოგრაფიული გარემოს სახე.

მაგრამ **ყოველი სახე ტიპიური** როდია. **მხატვრულ ლიტერატურაში კი ყურადღებას იპყრობს ისეთი სახე, რომელიც ტიპიურია.** ალიო მირცხულავას მიერ წარმოდგენილი საქართველოს გეოგრაფიული სახე, მისი პეიზაჟი არ იქნებოდა მიმზიდველი, რომ იგი დანახული ყოფილიყო ეგზოტიკური მხრით, რომ იგი პოეტს გაეაზრა ნაციონალისტური თვალსაზრისით. მთავარი ის არის, რომ საბჭოთა პოეტი საქართველოს ბუნებას, მის გეოგრაფიულ გარემოს წარმოგვიდგენს ტიპიური სახით. ლექსის შემდეგ სტროფებში პოეტი ამბობს, რომ ამ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ეწოდება, დაიბადა დიდი სტალინი:

სტალინ! ეგ შენი სამშობლო არი,
სამაგალითო მხარედ ქებული,
გამოგყოლია მშობლის იერი,
ორბისმიერი, გალაღებული...
ლენინის ფიქრთა მესაიდუმლე
გულიც ამ უკვდავ ცეცხლით გზნებულა,
მუქთახორების გძულდა ქვეყანა,
წამება დიდხანს გაგრძელებულა,
და ბოლოს შენი აზრი მართალი
სიტყვით, სინათლით დაბრძენებულა,
და იგი აზრი, როგორც სიცოცხლე,
კიდით-კიდემდე გავრცელებულა...

სტალინ! აღსრულდა შენი ოცნება,
ბავშვობიდანვე რასაც ელოდი,
დაბეჩავებულ ხალხთა გულიდან
შენ მზის ამოსვლას დიდხანს შველოდი.
შენი ღიმილი დააჩნდა მხარეს
პირ-აყვავებულს მთებით, მდელოთი,
დღეს საქართველო შენით ამაყობს,
ვხარობთ ახალი საქართველოთი.

ასე გადაიზარდა საქართველოს გეოგრაფიული სახე ბელადის სამშობლოს ტიპიურ სახეში. ეს სახე მხატვრულ სახედ იმიტომ წარმოგვიდგება, რომ იგი გახდა ტიპიური. ლიტერატურული სახე მაშინ არის მხატვრულად სრულქმნილი, თუ იგი ტიპიურია. ტიპიური სახე თავის თავში ორგანულად აერთებს სახეობრიობას და ტიპიურობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ტიპიურობა სახეობრიობის მაქსიმალური სრულყოფილებით გამოვლენაა. მხატვრულობის საკითხი არსებითად ტიპიურობის საკითხია. ნაწარმოები მაშინ არის მხატვრული, თუ იგი ჭეშმარიტი, ღრმა ტიპიზებული იდეურობით ასახავს მოვლენას; სახეობრიობა, ტიპიურობა, მხატვრულობა, იდეურობა განუყრელი მოვლენებია.

ფრიდრიხ შილერი

მოსაზრებანი ტრივიალურისა და მდაბალის გამოყენების შესახებ ხელოვნებაში

ტრივიალურია ყოველივე, რაც გონს არ ესიტყვება და გარდა გრძნობადი ინტერესისა სხვას არას აღძრავს. მართალია, ათასობით არსებობს ისეთი ნივთი, რომელიც უკვე თავისი მასალის ან შინაარსის გამო ტრივიალურია; მაგრამ რაკი შესაძლებელია მასალის ტრივიალურობის გაკეთილშობილება დამუშავებით, ამიტომ ხელოვნებაში ლაპარაკია მხოლოდ ფორმის ტრივიალურობაზე. ტრივიალური თავი თვით უკეთილშობილეს მასალასაც კი შებღალავს ტრივიალური დამუშავებით; პირიქით, დიდი ჭკუისა და კეთილშობილი სულის პატრონი თვით ტრივიალურის გაკეთილშობილებასაც კი მოახერხებს და სახელდობრ იმით, რომ მას რაღაც სულიერს დაუკავშირებს და მასში რაღაც დიადს აღმოაჩენს. ასე, მაგალითად, ტრივიალური ყაიდის მეისტორიე გმირის ყოვლად უმნიშვნელო საქმეებსაც ისეთივე გულდასმით გადმოსცემს, როგორც მის უდიადეს ღვაწლს და ისე ხანგრძლივად შეჩერდება მის შთამომავლობაზე, მის ტანსაცმელსა და შინაურ საქმეებზე, როგორც მის გეგმებსა და განზრახვებზე. მის უდიდეს ღვაწლს ისე მოგითხრობს, რომ არავინ არ მიიჩნევს მას ასეთად. პირიქით, საზრიანი და განსაკუთრებული კეთილშობილი სულის ისტორიკოსი თავისი გმირის პირად ცხოვრებასა და ყოვლად უმნიშვნელო ქცევებშიც ინტერესსა და შინაარსს შეიტანს, რაც მათ მნიშვნელობას მიანიჭებს. ტრივიალური გემოვნება სახვითს ხელოვნებაში გამოიჩინეს ნიდერლანდელმა მხატვრებმა, კეთილშობილური და მაღალი გემოვნება — იტალიელებმა, ხოლო კიდევ უფრო მეტად ბერძნებმა. ეს უკანასკნელნი მუდამ იდეალისაკენ მიისწრაფოდნენ, უკუაგდებდნენ ყოველგვარ ტრივიალურ ნიშანს და, საერთოდ, არავითარ ტრივიალურ საგანს არ ირჩევდნენ.

პორტრეტისტი შეიძლება თავის საგანს ტრივიალურად ამუშავებდეს და შეიძლება დიდებულად. ტრივიალურად ამუშავებს, თუ შემთხვევითს ისეთივე მზრუნველობით გამოსახავს, როგორც აუცილებელს, თუ დიადს უგულებელყოფს, ხოლო წვრილმანს გულდასმით გადმოსცემს. პირიქით, დიდებულად ამუშავებს, თუ კი მას ემარჯვება უფრო საინტერესო მომენტის მიგნება, აუცილებლისაგან შემთხვევითის გამოცალკევება, თუ წვრილმანს მხოლოდ გაკვრით აღნიშნავს, ხოლო დიადს სრულად გადმოსცემს. დიადი კი სხვა არაფერია, თუ არა სულის გამოხატვა ქცევებში, ჟესტებსა და პოზებში.

ტრივიალურად ამუშავებს პოეტი თავის მასალას, თუ იგი უმნიშვნელო ქცევებს გადმოსცემს, ხოლო მნიშვნელოვანს გვერდს უვლის. დიდებულად

ამუშავებს, უკეთუ მას რამე დიადს უკავშირებს. ჰომეროსმა მოახერხა ფრიად საზრიანად გამოესახა აქილევსის ფარი, თუმცა ფარის დამზადება მასალის მიხედვით მეტად ტრივიალური რამ არის.

ტრივიალურზე კიდევ ერთი საფეხურით უფრო ქვემოთ დგას მდაბალი, რომელიც პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი არა მარტოოდენ რაღაც ნეგატიურს, არა მარტოოდენ საზრიანობისა და კეთილშობილების უქონლობას მოასწავებს, არამედ, რაღაც პოზიტიურს, სახელდობრ, გრძნობის სიტლანქეს, ცუდ ზნე-ჩვეულებებსა და უწმინდურ ზრახვებს. ტრივიალური მხოლოდ ისეთი უპირატესობის ნაკლებობას მოწმობს, რომელიც სასურველია, მდაბალი კი იმ თვისების უქონლობას, რომელიც ყველას შეიძლება მოეთხოვოს. ასე, მაგალითად, შურისძიება თავისთავად, სადაც და როგორც არ უნდა ვლინდებოდეს იგი, რაღაც ტრივიალურია, რადგან დიდსულოვნების უქონლობას ამტკიცებს. მაგრამ საგანგებოდ განარჩევენ მდაბალ შურისძიებას, როდესაც კაცი, რომელსაც სისრულეში მოჰყავს იგი, საზიზღარ საშუალებებს იყენებს მის დასაკმაყოფილებლად. მდაბალი მუდამ რაღაც ტლანქსა და მდაბიურს აღნიშნავს, ხოლო ტრივიალურად შეიძლება აზროვნებდეს და იქცეოდეს კარგი წარმოშობისა და საუკეთესო ზნის კაცი, უკეთუ იგი საშუალო ნიჭის პატრონია. ტრივიალურად იქცევა კაცი, რომელიც მხოლოდ თავისი სარგებლობისათვის ზრუნავს, და ამ მხრივ იგი უპირისპირდება კეთილშობილ კაცს, რომელიც თავის თავსაც კი დაივიწყებს, რათა სხვას ასიამოვნოს. მაგრამ იგივე კაცი სულმდაბლად მოიქცეოდა, უკეთუ თავის სარგებლობას თავისი პატიოსნების ხარჯზე გამოედევნებოდა და ამასთანავე მართებულების კანონებს ერთხელაც არ მიხედავდა. ამგვარად ტრივიალური უპირისპირდება კეთილშობილურს, მდაბალი — კეთილშობილურსა და მართებულს ერთსა და იმავე დროს. ყოველი ვნებისადმი დამორჩილება, მისთვის წინააღმდეგობის გაუწევლად, ყოველი გულისთქმის დაკმაყოფილება, არამცთუ კეთილმართებულების, არამედ თვით ზნეობის წესებითაც კი თავის შეუზღუდველად, სიმდაბლეა და მდაბალ სულს ამხელს.

ხელოვნების ნაწარმოებებშიც შეიძლება თავი იჩინოს მდაბალმა და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მდაბალ საგნებს ირჩევენ, რომლებიც დაუშვებლად მიაჩნია მართებულებისა და რიგიანობის გრძნობას, არამედ მაშინაც. როდესაც მათ მდაბალი მანერით ამუშავებენ. მდაბალი მანერით ამუშავებენ საგანს, როდესაც შესამჩნევს ხდიან მის იმ მხარეს, რომლის დაფარვასაც კეთილმართებულება მოითხოვს. ან როდესაც მას ისეთ გამოხატულებას აძლევენ, რომელსაც მდაბალი ოანმხლები წარმოდგენებისაკენ მივყავართ. თვით უდიდესი კაცის ცხოვრებაშიც ვხვდებით მდაბალი ქცევის შემთხვევებს, მაგრამ მხოლოდ მდაბალი გემოვნება გამოარჩევს და გააჭრელებს მათ.

შეგხვდებათ სურათები საღმრთო ისტორიიდან, რომლებზეც მოციქულებს, ღვთისმშობელსა და თვით ქრისტესაც კი ისეთი გამომეტყველება აქვთ, თითქოს ისინი უბირი ბრბოსაგან აეღოს მხატვარს. ყოველი ასეთი გამოსახვა მდაბალ გემოვნებას ამტკიცებს. რაც უფლებას გვაძლევს თვით ხელოვანის ტლანქსა და მდაბიურ აზრთა წყობაზე დავასკვნათ.

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მდაბალი ხელოვნებაშიც დასაშვებია, სახელდობრ, იქ, სადაც მან სიცილი უნდა გამოიწვიოს. ზოგჯერ ფაქიზი ზნე-ჩვეულების კაციც შეიძლება გამხიარულდეს ბუნების ტლანქი, მაგრამ ჭეშმარიტი გამოხატულებით და თავისი წრისა და მდაბიო ხალხის ზნე-ჩვეულებათა შორის არსებული კონტრასტის გამო, ისე რომ ამასთანავე შერყვნილი გემოვნება არ გამოამჟღავნოს. მაღალი წოდების კაცის სიმთვრალე, ასეთი რამ კიდევაც რომ ხდებოდეს, უსიამოვნებას გამოიწვევდა ჩვენში; მაგრამ მთვრალი მეეტლე, მეზღვაური და მეჯაგვე სიცილს გვგვრის. ოხუჯობა, რომელიც ზრდილი კაცისაგან აუტანელი იქნებოდა, გვახალისებს მდაბიო ხალხის პირში. ამ სახისაა მრავალი სცენა არისტოფანეს კომედიებში; მაგრამ ისინი ზოგჯერ ამ საზღვარსაც გადადიან და უთუოდ მიუღებელი არიან. ამიტომ გვახალისებს ჩვენ პაროდიები, სადაც უბირი მდაბიო ხალხის აზრებს, გამოთქმებსა და ქცევებს იმავე გამოჩენილ პირებს ახვევენ თავს, რომლებიც პოეტს მთელი მათი ღირსებითა და მართებულებით ჰყავს წარმოდგენილი. თუ პოეტს მხოლოდ ფარსი აქვს განზრახული და გარდა ჩვენი გართობისა სხვა არ უნდა რა, მაშინ ჩვენ მდაბალსაც მივუტევებთ მას, ოღონდ პოეტმა უკმაყოფილება, ან ზიზღი არ უნდა აღძრას.

უკმაყოფილებას აღძრავს იგი, უკეთუ მდაბალი შეაქვს იქ, სადაც ჩვენ მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვაპატიებთ, სახელდობრ, იმ ადამიანთა ხასიათში, რომელთაც უფლება გვაქვს უფრო ფაქიზი ზნენი მოვთხოვოთ. და თუ იგი მაინც ასე იქცევა, მაშინ ან ჭეშმარიტებას ბღალავს, რადგან ჩვენ მას უმალ ცრუდ ჩავთვლით, ვიდრე ვირწმუნებთ, რომ ზრდილ ადამიანებს მართლაც აგრე სულმდაბლად შეუძლიათ მოიქცნენ, ან მისი პერსონაჟები შეურაცხყოფენ ჩვენს ზნეობრივ გრძნობას და, რაც კიდევ უფრო უარესია, ჩვენს გულისწყრომას იწვევენ. სულ სხვა მდგომარეობაა ფარსში, სადაც პოეტსა და მაყურებელს შორის უსიტყვო შეთანხმება არსებობს, რომ აქ არავითარ სიმართლეს არ უნდა მოველოდეთ. ფარსში ჩვენ პოეტს გამოსახვის ყოველგვარი სისწორისაგან ვათავისუფლებთ და მას თითქოს პრივილეგია ეძლევა იცრუოს, რადგან აქ კომიზმს სწორედ სიმართლისადმი ეს კონტრასტული მიმართება უდევს საფუძვლად. მაგრამ შეუძლებელია, რომ ერთსა და იმავე დროს მართალიც იყო და სიმართლესაც ეწინააღმდეგებოდე.

მაგრამ სერიოზულსა და ტრაგიკულშიც არის ცალკეული იშვიათი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია მდაბალის გამოყენება. მაგრამ მაშინ იგი აუცილებლად საშინელში უნდა გადავიდეს, და გემოვნების წამიერი შეურაცხყოფა აფექტის გაძლიერებული მოქმედებით უნდა იქნეს ჩაქრობილი და ამგვარად, თითქოს, მაღალი ტრაგიკული ზემოქმედებით შთანთქმული. ქურდობა, მაგალითად, აბსოლუტურად მდაბალი რამ არის, და რასაც უნდა ამბობდეს ჩვენი გული ქურდის საპატიებლად, როგორც უნდა ყოფილიყო იგი იძულებული გარემოებათა შევიწროებით, მას მაინც წარუხოცელი დაღი აზის და ესთეტიკური თვალსაზრისით იგი სამუდამოდ მდაბალ საგნად დარჩება. გემოვნება აქ კიდევ უფრო ნაკლებ შემწყნარებელია, ვიდრე მორალი, და მისი სამსჯავრო უფრო მკაცრია, რადგან ესთეტიკური საგანი პასუხისმგებელია აგრეთვე ყველა იმ თანმხლები იდეისათვის, რომელიც მისი საბაბით

აღიძვრება ჩვენში, ეს მაშინ, როდესაც მორალური მსჯელობა, პირიქით, განყენებას ახდენს ყოველი შემთხვევითისაგან. ამის გამო კაცი, რომელიც ქურდობს, უაღრესად მიუღებელი ობიექტი იქნებოდა ყოველი სერიოზული შინაარსის პოეტური გამოსახვისათვის. მაგრამ თუ ეს კაცი ამასთანავე მკვლელიც იქნება, თუმცა მორალურად კიდევ უფრო მიუღებელია, მაგრამ ესთეტიკურად ამის გამო ცოტათი უფრო გამოსადეგი შეიქნებოდა. ვინც (მე აქ ყოველთვის მხოლოდ ესთეტიკური მსჯელობის თვალსაზრისით ვლაპარაკობ) თავს იმდაბლებს საძარცხვინო საქციელით, მას კვლავ შეუძლია რამოდენიმედ მაინც ამაღლდეს დანაშაულის საშუალებით და ჩვენი ესთეტიკური პატივისცემა დაიმსახურონ. ეს გადახრა მორალური მსჯელობისა ესთეტიკურისაგან ღირსშესანიშნავია და ყურადსაღები. ამის მრავალი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ. ჯერ ერთი, მე უკვე ვთქვი, რომ, რაკი ესთეტიკური მსჯელობა ფანტაზიისაგან არის დამოკიდებული, ამიტომ მასზე გავლენას ახდენს აგრეთვე ყველა ის თანმხლები წარმოდგენა, რომელსაც საგანი აღძრავს ჩვენში და მასთან ბუნებრივს კავშირში იმყოფება. და თუ ეს თანმხლები წარმოდგენები მდაბალი ხასიათისა არის, მაშინ ისინი აუცილებლად დაამდაბლებენ მთავარ საგანსაც.

მეორე, ესთეტიკურ მსჯელობაში ჩვენ ძალას ვაქცევთ ყურადღებას, მორალურ მსჯელობაში კი — კანონზომიერებას. უძლურება საზიზღრობაა, და ასეთივეა ყოველი საქციელი, რომელიც უძლურებაზე მიგვითითებს. ყოველი ლაჩრული და ქვემძრომული საქციელი ზიზღს იწვევს ჩვენში იმ უძლურების გამო, რომელსაც ეგი ამხელს; პირიქით, შეიძლება ესთეტიკურად მოგვეწონოს სატანური მოქმედება, რაწამსაც ეგი ძალას გამოავლენს. მაგრამ ქურდობა ხომ ქვემძრომული, ლაჩრული ზრახვების მაჩვენებელია; მკვლელობას მოჩვენებითი ძალა მაინც გააჩნია, ყოველ შემთხვევაში, დაძაბულობა იმ ინტერესისა, რომელსაც ესთეტიკურად განვიცდით მისგან, ეფარდება იმ ძალას, რომელიც ამ დროს მეღავნდება.

მესამე, მძიმე და საშინელი დანაშაულის დროს ჩვენ ყურადღებას ვარიდებთ მის რომელობას და მის საშიშარ შედეგებზე გადაგვაქვს იგი. შემდეგ უფრო ძლიერი სულიერი მოძრაობა ახშობს უფრო სუსტს. ჩვენ უკან კი არ ვიხედებით დამნაშავის სულში, არამედ წინ მისი ბედისა და მისი ქცევის შედეგებისაკენ. მაგრამ რაკი ძრწოლას დავიწყებთ, გემოვნების ყოველგვარი სინატიფეც იმწამსვე მიჩუმდება. მთავარი შთაბეჭდილება მთლიანად ავსებს ჩვენს სულს, და შემთხვევითი თანმხლები იდეები, რომელთაგანაც საკუთრივ დამოკიდებულია მდაბალი, ქრება. ამიტომაა, რომ ახალგაზრდა რუბერგის ქურდობა პიესაში „დანაშაული პატივმოყვარეობის გამო"[1]) ზიზღს კი არ აღძრავს სცენაზე, არამედ ჭეშმარიტად ტრაგიკულ გრძნობას. — პოეტი გარემოებათა მოხერხებული წარმართვით ისე გვიპყრობს და გვიტაცებს, რომ სულის მოთქმასაც ალარ გვანებებს. მისი ოჯახის საშინელი უბედურება და განსაკუთრებით მამამისის მწუხარება ის ობიექტებია, რომლებიც დამნაშავეს მთელ ჩვენ ყურადღებას არიდებენ და მას მისი მოქმედების შედეგებისაკენ მიმართა-

1) იფლანდის დრამა.

ვენ. ჩვენ მეტად ძლიერი აფექტით ვართ შეპყრობილი, რომ იმ სირცხვილის წარმოდგენებს გამოვუდგეთ, რომლითაც ქურდობა არის დადაღული. მოკლედ, მდაბალი საშინელით იჩრდილება. საოცარია, რომ ეს, ახალგაზრდა რუბერგის მიერ ნამდვილად ჩადენილი ქურდობა იმდენად მდაბალი საქციელი არა ჩანს, როგორც მტკნარი, უსაფუძვლო ეჭვი ქურდობაზე ერთ სხვა პიესაში.[1]) აქ ერთ ახალგაზრდა ოფიცერს დაუმსახურებლად ედება ბრალად ვერცხლის კოვზის მოპარვა, რომელსაც შემდეგ ისევ იპოვნიან. ამგვარად მდაბალი აქ მხოლოდ წარმოსახვითია, მტკნარი ეჭვია, და მაინც იგი პიესის უდანაშაულო გმირს წარუხოცელ ზადს აყენებს ჩვენს ესთეტიკურ წარმოდგენაში. ამის მიზეზი შემდეგია: რიგიანობის კანონები მოითხოვს, რომ მაგანი პატიოსან კაცად ითვლებოდეს, სანამ იგი საწინააღმდეგოს არ გამოამჟღავნებს; ასე, რომ მარტოოდენ წინასწარი ვარაუდიც კი, რომ ესა და ეს კაცი შეიძლება სულმდაბლად მოქცეულიყო, ამტკიცებს, რომ მის პატიოსნებაში არცთუ ისე მტკიცედ არიან დარწმუნებული. ამგვარად თუ მას რამე სისაძაგლის ჩამდენად თვლიან, გამოდის, თითქოს მას ერთხელ მაინც მიეცეს საბაბი ასეთი უნდობლობისათვის, თუმცა დაუმსახურებელი ეჭვის დროს, კაცმა რომ თქვას, სულმდაბლობას თვით ბრალმდებელი იჩენს. მოხსენებული პიესის გმირისათვის ეს მით უფრო სამარცხვინოა, რომ ის ოფიცერია და კარგი აღზრდისა და წოდების მანდილოსნის სატრფო. ამ ორი პრედიკატის მიმართ ქურდობის პრედიკატი საშინელ კონტრასტს ქმნის, და როდესაც იგი თავის დამასთან იმყოფება, შეუძლებელია წამსვე არ გაგვახსენდეს, რომ მას ვერცხლის კოვზი შეიძლება ჯიბეში ჰქონოდა. ამასთანავე უდიდესი უბედურებაა, რომ იგი სრულიადაც ვერ გრძნობს თავზე დამტყდარ ცილისწამებას; ასე რომ არ ყოფილიყო, ის როგორც ოფიცერი სისხლიან დაკმაყოფილებას მოითხოვდა;[2]) მაშინ შემდგომი ამბები საშინელში გადავიდოდა და მდაბალს გააქარწყლებდა.

კარგად უნდა იქნეს გარჩეული აზრების სიმდაბლე ქცევისა და მდგომარეობის სიმდაბლისაგან. პირველი ყოველგვარ ესთეტიკურ ღირსებას მოკლებულია, უკანასკნელი ხშირად ძლიერ კარგად უთავსდება მას. მონობა სიმდაბლეა, ხოლო მონური აზრები თავისუფლებაში საზიზღრობაა; პირიქით, მონური შრომა, ამგვარი აზრების გარეშე, არ არის საზიზღრობა; კიდევ მეტი, მდგომარეობის სიმდაბლე, დაკავშირებული აზრების სიმაღლესთან, შეიძლება ამაღლებულში გადავიდეს. ეპიკტეტეს[3]) ბატონი, რომელიც სცემდა მას, სულმდაბლად იქცეოდა, ხოლო ნაცემი მონა მაღალ სულს ამჟღავნებდა. ჭეშმარიტად დიადი კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალებით ანათებს მდაბალი ხვედრიდან, და ხელოვანს არ უნდა შეეშინოს თავისი გმირების საზიზღარ ნიღაბში წარმოდგენა, თუ კი დარწმუნებულია, რომ მას ძალუძს შინაგანი ღირებულების გამოხატვა.

მაგრამ ის, რის ნებაც პოეტს შეიძლება მიეცეს, ყოველთვის როდია დასაშვები მხატვრისთვისაც. პირველს თავისი ობიექტები მხოლოდ ფანტაზიის წინაშე გამოჰყავს, მეორეს, პირიქით, უშუალოდ გრძნობების წინაშე. ასე რომ

1) ლუდვიგ შრედერის კომედია, „პრაპორშჩიკი".
2) ე. ი. ორთაბრძოლაში (დუელი) გაიხმობდა (შენიშვნა თარგმნლისა).
3) ბერძენი სტოიკოსი ფილოსოფოსი. ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში. მისი ბატონი იყო ეპაფროდიტე, ნერონის ფავორიტი.

სურათის შთაბეჭდილება არათუ უფრო ცხოველია, ვიდრე პოეტური თხზულებისა, არამედ მხატვარს ამასთანავე არ შეუძლია თავისი ბუნებრივი ნიშნებით შინაგანი ისე თვალსაჩინოდ წარმოადგინოს, როგორც ეს პოეტს ძალუძს თავისი ნებისმიერი ნიშნებით, მაგრამ მარტოოდენ შინაგანს შეუძლია ხომ ჩვენი შერიგება გარეგანთან. როდესაც ჰომეროსი თავის ულისეს მათხოვრის ძონძებში წარმოგვიდგენს, ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ შევაფერადებთ ამ სურათს და რამდენ ხანს შევაჩერებთ ჩვენს ყურადღებას მასზე. ხოლო მას თავისთავად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ექნება იმდენი ცხოველმყოფელობა, რომ ჩვენში უსიამოვნება ან ზიზღი გამოიწვიოს. მაგრამ თუ მხატვარი, ან, მით უფრო, მსახიობი მოინდომებდა ულისე ზუსტად გადმოეხატა ჰომეროსისაგან, მაშინ ჩვენ უკმაყოფილებით ვიბრუნებდით პირს მისგან. აქ შთაბეჭდილების სიძლიერე ჩვენს უფლებაში როდია, ჩვენ უნდა ვუცქიროთ მას, რასაც მხატვარი გვიჩვენებს და იმ უსიამოვნო თანმხლებ იდეებს, რომლებიც ამ დროს მეხსიერებაში იჭრებიან, არ ძალგვიძს აგრე ადვილად დავაღწიოთ თავი.

თარგმნა გერმანულიდან **ა. რუგოუელმა**

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფრიდონ ხალვაში 83

ავრორა 3
კომუნისტები მოდიან მინდვრად 4
მღერის ჭაღარა ჭადარი 5
ფიქრები ტოლსტოიზე 6
ქელეზნოვოდსკი 8

შოთა როყვა

თოვლი 9
დღევანდელი დღე 9
კიმ ირ სენი მოსკოვში 10
ქართველი აგრონომის წერილი 11
* * * 11

პარმენ ლორია

მაღაროელთა ქალაქში 12

ნიკოლოზ თალაკვაძე

მოსკოვი 36
საქართველოს 37
დედა 37
დედის სიტყვა ახალწვეულს 38
მისი სინათლე 39

შოთა კომახიძე

მშობლიურ პარტიას 40
სოფელი 40
ევკალიპტი 41

ელიზბარ ზედგინიძე

სიყვარულის ძეგლი 42

ნანა გვარიშვილი

აჭარელო დიდო დედა 47
ღორჯომის გზაზე 47
საღამო ზღვაზე 48

ქსენია მჟავია 88
გზაში 49
მარად ცოცხალი 50
გამოთხოვება 52

გიორგი სალუქვაძე
წვიმა 53
შენი სიმღერა 53
თოვლი 54
რად ხარ ავადო 54
არ დავიჯერებ 55
იყო საღამო 55
ვარსკვლავის სხივი (ს. შჩიპაჩევიდან) 56

ელისო აბრამიშვილი
საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის
ისტორიიდან 57

შოთა ქურიძე
დიადი მეგობრობა 63

ჯემალ ჯაყელი
გზა მშვიდობისა, ჩაის რიგებო 71
პაპას სძინავს 71
პურის კალო 72
ხარატი ძმები 73

იაკობ მელია
მშობელი დედა, სამშობლო დედა 74
ზღვის სანაპირო 74
შემოდგომა აჭარაში 75
ზღვა და ასული 75

შალვა შუბლაძე
ახალ თბილისს 76
სარკის წინ 77
სვავი და მერცხალი (იგავი) 77

ვალერიან კანდელაკი
სარეველა 79

მამია ვარშანიძე
კორეას 124
დაიგვიანა 125
შენ გიმღერი, ლამაზო 125

ინეზა ბერიძე 88
შენი ბარათი 127
ჩემო პატარავ 127
მზეო, მინათე! 129

გიზო ჭელიძე
მშობლიურ სოფელში
1. ჩაის მიმღებ პუნქტზე 130
2. ბრიგადირი 130
3. ექიმი ქალი ჩვენს სოფელში 130
4. შეხვედრა მამასთან 131
5. ასოცდაათი წლის კაცი 131

რევაზ ჩხარტიშვილი
სიმღერა სამშობლოზე 132
სამგორში ჩამოსახლებულ ხევსურებს 133
ზღვა 133
ვინ თქვა უსიყვარულოდ 134

ნუგზარ აფხაზავა
სოფლის სურათი 135
მთის ყვავილი 135
ვით არ გიმღერო 136

ანდრო სალარიძე
ორი ფელეტონი
1. კრიტიკის „მოყვარული“ 137
2. „მშენებელი“ 139

ალექსანდრე ჩხაიძე
თვალახელილი 141

ალბერტ მალცი
ასეთია ცხოვრება (თარგმანი ინგლისურიდან ო. ფარეიშვილისა) 155

ალექსანდრე ჩავლეიშვილი
სახეობრიობა და ტიპიურობა 184

ფრიდრიხ შილერი
მოსაზრებანი ტრივიალურისა და მდაბალის გამოყენების შესახებ ხელოვნებაში (თარგმანი რუგოშელისა) 194